

სერგო თურნავა

ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მემკვიდრეები

რედაქციონები:

ფ.ჭელიძე

მ.გიბილაიშვილი

1999 წელი

ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის — პროფ. ისიდორე გვარჯალაძის ნათელ ხსოვნას.

ავტორი

წიგნში პირველადი წყაროების გათვალისწინებით, მეტ-ნაკლებად განხილულია საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული კულტურის მეგობრების: მიმო მორინას, რომ-მარი კიფერის, ჟორჟ ბუიონის, ჟან ბლანკოფის, გოლდი სკარ-ბლანკოფის, ანდრე გლოდის, ლეა ფლურის, იოლან-და მარშევის, კიგა ჩხენკელისა და რუთ ნოიკომის ნამ-რომები, რომლებიც მათ სხვადასხვა დროს გამოაქვეყ-ნეს საზღვარგარეთის პრესაში.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგა-დოებისათვის.

წინასიტყვაობა

სერგო თურნაეა დიდი ხანია იკელეეს ქართულ-ფრანგულ ლიგერატურულ ურთიერთობას. იგი არის ავტორი 12 წიგნისა და მრავალი ცალკე წერილისა. სისტემატურად აძლევს ინფორმაციას ქართულ და ფრანგულ პრესას ამ ორი ქვეყნის ლიგერატურულ ცხოვრებაზე. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ სერგო თურნაეა ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელიც იკელეეს ესოდენ სასარგებლო საქმეს.

ამაზე მეტყველებს წინამდებარე ნაშრომი — „ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები“, რომელიც ეძღვნება მიმოზორინას, რომმარი კიფერის, ჟორჟ ბუიონის, იოლანდა მარშეის, ლეა ფლურის, რუთ ნოიკომისა და სხვათა შემოქმედებას.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ სერგო თურნაეამ უშუალო შემოქმედებითი კონტაქტები დაამყარა ლუქსემბურგის პროგრესულ მწერლებთან, აღუძრათ მათ ინტერესი ქართული კულტურისადმი. ჩვენი მეკლევარი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინოს ქართული ლიგერატურით დაინტერესებულ მწერლებს. სისტემატურად უგზავნის მათ საჭირო ლიგერატურას, უწევს მათ კონსულტაციებს ლიგერატურის ამა თუ იმ საკითხზე და სათანადო შედეგებსაც ღებულობს. მეკლევარს მუშაობა უხდება ყამირზე, რადგან ღღემღე ჩვენ არ ვიცნობთ იმ ღიდ მუშაობას, რომელიც წარმოებს ლუქსემბურგში, ბელგიასა და შვეიცარიამი ქართველოლოგიის ღარგში.

როგორც ნაშრომიდან ჩანს, ავტორს გულმოდგინედ შეუსწავლია ლუქსემბურგის, ბელგიისა და შვეიცარიის პრესამი გამოქვეყნებული მასალები და დაუწერია სოლიდური ნაშრომი. ნაშრომში

მოგანილია პრავალი საინტერესო მასალა იმაზე, თუ როგორ აღ-
მოაჩინა მიმო მორინამ მოსკოვში ყოფნისას, რუს მწერლებთან
საუბარში, ქართული პოეზია. ქართული პოეზია ღიდად განებიუ-
რებული როდია დასავლეთის პოეტებისა და პერიოდიკის ყურად-
ღებით. თუ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ენებზე ქართული
პოეზიის (ძეგლისა და ახლის) ნიმუშების თარგმნა უკვე ჩვეულებ-
რივ მოელენად იქცა. დანარჩენი სამყაროსათვის მდიდარი გრა-
დიციების მქონე თვითმყოფადი ქართული პოეზია მოგჯერ ისევ
გერა ინკოგნიტად რჩება.

აგერ, უკვე ასეთ პირობებში, დასავლეთის პოეტური ჟურნალებ-
ის მიერ ქართული პოეზიისადმი გულწრფელი ინტერესის გამო-
ჩენა, ღიდად საყურადღებო და დასაფასებელი ფაქტია.

დასვლეთის პოეტის მოყვარულთა და დამუყასებელთა წრეებ-
ში საკმაოდ გავლენიანი ჟურნალი – „ნუველ ეროპ“ სისტემატუ-
რად უთმობს თავის ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილს ქართული
პოეზიის ნიმუშებს. ქართველი პოეტების ლექსები „ნუველ ეროპ-
ში“ ცნობილი პოეტი ქალის – როზმარი კიუფრის თარგმანებით
ქვეყნდება. მთარგმნელსავე ეკუთვნის ეველა ესე თუ შესავალი
წერილი, რომელიც ამ ლექსებს უძღვის წინ და რომლებშიც მთარ-
გმნელი საქართველოს მშენიერებით და მისი პოეზიის განუმეო-
რებლობით აღტაცებას გამოთქვამს.

„ნუველ ეროპის“ ესოდენ დიდი დაინტერესება ქართული პოე-
ზიით განაპირობა ამ ჟურნალის რელაქტორ-გამომცემლის, ცნობი-
ლი იტალიელი პოეტის – მიმო მორინას არაჩვეულებრივმა ყუ-
რადღებამ საქართველოსადმი. მიმო მორინამ არა მარტო თავისი
ჟურნალის ფურცლებზე წარუდგინა ქართული პოეზია ევროპელ
მკითხველს (ჟურნალი გამოდის ფრანგულად, იტალიურად, ესპა-
ნურად, გერმანულად, ინგლისურად), არამედ ქართველი მწერლე-
ბის ჯგუფი მიიწვია ლუქსემბურგში, სადაც გამოდის „ნუველ ერო-
პი“, და იქ ქართული ლიტერატურის სადამოები მოაწყო. მიმო
მორინა ამ ჟურნალს ღღემდე ხელმძღვანელობს.

წინამდებარე ნაშრომი, ეჭვს გარეშეა, დაეხმარება მკითხველს
აღნიშნული პოეტების ცხოვრება-შემოქმედების გაცნობაში. წიგნი,
რომელიც დაფუძნებულია უცხოურ წყაროებზე, ხელს შეუწყობს
ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შემ-
დგომ განვითარებას.

გამომცემლობა „ნაკადული“ სამუილიშეილო საქმეს გააკეთებს
ამ წიგნის გამოცემით.

გრიგოლ აბაშიძე
თბილისი, 25 მაისი, 1990 წელი.

მიმო მორინა,
იტალიელი პოეტი.
დაიბადა 1933 წელს



მიმო მორინა

გამოჩენილი იტალიელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ხალხის დიდი მეგობარი, კარგა ხანია, რაც მოღვაწეობს ლექსმბურგის დიდ საპერცოგოში. იგი არის საერთაშორისო ეურნალის – „სუველ ეროპის“ დირექტორი, მსოფლიოს პოეტთა ასოციაციის გენერალური მდივანი. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის საზღვარგარეთ.

მიმო მორინა აღნიშნული ეურნალის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებს ქართველი პოეტების ლექსების თარგმანებს უცხოურ ენებზე, აგრეთვე, მიმოხილვებს, რეცენზიებს, სტატიებს და ანოტაციებს ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ეურნალმა გამოაქვეყნა: სიმონ ჩაქოვანის, გრიგოლ აბაშიძის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის, თამაზ ჭილაძის, ლ. სტურუასა და სხვათა ლექსები.

მიმო მორინა ქართული მწერლობით დაინტერესდა ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც იგი მოსკოვში იყო და საუბარი პქონდა რუს მწერლებთან. მიმო მორინა თავის წერილში – „მეხვედრა ქართულ პოემისთან“, რომელიც დაიბეჭდა იტალიური ეურნალის – „კენგო ნუოვოს“ (ახალი ქროლვა) 1971 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ნომერში. ავტორი მოგვითხრობს: „...მეორე დღეს ვეწვიე მოსკოვის მწერალთა კავშირს, სადაც მელოდებოდა ვლადიმერ სტესენსკი, რომელიც მწერალთა კავშირში განაგებს დასაუღლეთ ევროპის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საკითხებს. გაიმართა საუბარი, რომელშიც ჩაერია ერთი ახალგაზრდა კაცი. ეს იყო საქართველოდან ჩამოსული მწერალი და მთარგმნე-

ლი — ნოდარ რუხაძე. იგი იყო ჩინებული კაცი, რომლის კეთილი და ნათესაური სული მაშინვე შევიქნას, როგორც სამხრეთელისა. მე საუბარი მქონდა პოეზიის საკითხებზე რუს პოეტებთან, ნოდარმა, თავისი ჩარევით, მხარი დამიჭირა და მაშინვე ყინული გალხა.

ნოდარ რუხაძე, ამის შემდეგ, თბილისიდან რეგულარულად მიგზავნიდა წერილებს, რომლებშიც არაერთგზის აღნიშნავდა ჩვენს პირველ მეხვედრაზე მოსკოვში და საერთოდ, ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების საკითხებზე საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ამ მიმოწერის შედეგად, ჩვენი ჟურნალის — „ვენგო ნოვოს“ მკითხველებმა აღმოაჩინეს დასავლეთ ევროპის მკითხველებისათვის უცნობი პოეზია, რომელიც, ევროპელობასთან ერთად, შეიცავს აღმოსავლურ მომხიბლელულობასაც. ეს იყო ქართული პოეზია. ჩვენს ჟურნალში ყოველთვის გამოვაქვეყნებთ სტატიებს რუბრიკით: „მეხვედრა ქართულ პოეზიასთან“. ეს რუბრიკა დღესაც მოქმედებს და იმოქმედებს ყოველთვის, როგორც ორი ცივილიზებული პოეზიის მეხვედრა, შესაძლებელია, სრულიად განსხვავებული, მაგრამ უხილავი ძაფებით გადახლართული სამხრეთულ ვენებთან“.

მიმო მორინა არ დაკმაყოფილდა თავის ბეჭდურ ორგანოებში ქართული პოეტების ლექსების თარგმანების გამოქვეყნებით, გადადგა უფრო მეტი პრაქტიკული ნაბიჯი და 1972 წელს, ლუქსემბურგში მიიწვია ქართული პოეტები: თამაზ ჭილაძე, ანა კალანდაძე, ნოდარ რუხაძე, მერმან ლებანიძე. ლუქსემბურგის დიდ საპერცოტოში გაიმართა ქართული პოეზიის სადამოებო, სადაც წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსების ქართული თარგმანები ოთხ უცხოურ ენაზე.

მიმო მორინა 1979 წელს თვითონ ჩამოვიდა საქართველოში, დაამყარა საქმიანი კონტაქტები ქართველ მწერლებთან, გაეცნო მათ ცხოვრება-შემოქმედებას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მისმა ჟურნალმა გამოაქვეყნა მრავალი წერილი ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

ინტერესმოკლებული არ იქნება, ქართველ მკითხველს ვაეცნოთ მიმო მორინას ცხოვრება-შემოქმედება, როგორც პოეტისა და საზოგადო მოღვაწისა.

მიმო მორინა დაიბადა სიცილიაში, 1933 წლის 4 აგვისტოს. ადრეულ ასაკშივე მიზნად დაისახა, მიეღო უმაღლესი კლასიკური განათლება, რაც შეასრულა კიდეც. 1957 წელს დაამთავრა პალერმოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ ამით მაინც ვერ დაკმაყოფილდა, ახლის ძიების წყურვილი მოსვენებას არ აძლევდა. ამავე დროს, ვერ ურიგდებოდა მის გარშემო არსებულ საზოგადოებრივ წყობას და რამდენჯერმე იმოგზავრა ევროპაში.

საკმაო ხანი დაჰყო სკანდინავიის ქვეყნებში. 1958 წელს, ოსლოს უნივერსიტეტში, პროფესორ გრანასთან ერთად, ნორვეგიელთათვის იგალიური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოც კი შეაღვინა.

ქვეყნიერების ყოველ მხარეს გადაჭიმული გზები მიმო მორინასათვის ადამიანური დამოკიდებულებების, შეხვედრების, ახალ-ახალი აღმოჩენებისა და გასჯის უწყვეტი ჯაჭვია. ყოველივე ეს მემღვკეტაჲ იქცევა პოეზიად, რომელშიც, ერისადა იმავე დროს, სიცოცხლის რწმენაცაა და სიკვდილის გარდაუვალობასთან შერიკების აუცილებლობაც.

მიმო მორინა არის მრავალი პოეტური კრებულის ავტორი, როგორიცაა: „მე თვითონ გადავიხდი“ (1955), „მარწყვები“ (1964), „უსიქე“ (1967), „შენ ხარ დედამიწა“ (1970), „საათის ქანქარა“ (1973), „გადატეხილი თოფი“ (1978), „პიერა“ (1980) და სხვ.

მიმო მორინა არის გამოჩენილი პოეტი-პეშანისტი, გამომცემელი, რედაქტორი, იურისტი. ხელმძღვანელობს საერთაშორისო ჟურნალს – „ნუველ ეროპას“, რომლის ფურცლებზეც ამუქებს მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს, მისმდინარე მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს.

მიმო მორინამ სახელი მოიხვეჭა, როგორც პოეტმა, ნიჭიერად დაწერილი ლექსებით, პოემებით, ნარკვევებით, პუბლიცისტური წერილებით და თარგმანებით. იგი აგრძელებს ფრანგული კრიტიკული რეალიზმის გრადიციებს. კიდევ მეტი, მიდის წინ, სოციალისტური რეალიზმისაკენ. მისი ლექსები თარგმნილია ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, რუმინულ, ესპანურ, ჩინურ და სხვა ენებზე.

მიმო მორინას ლექსების წიგნი – „შენ ხარ დედამიწა“^{*1} ქართულ ენაზე თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ, დაიბეჭდა იგი 1980 წლის „საუნჯეს“ მესამე ნომერში, ვრ.აბაშიძის წინასიტყვაობით.

წინასიტყვაობის ავტორი სამართლიანად წერს: „ნუველ ეროპის“ ესოდენ დიდი დაისტერესება ქართული პოეზიით განაპირობა ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლის, ცნობილი იტალიელი პოეტის – მიმო მორინას არაჩვეულებრივი ყურადღება საქართველოსადმი“.

აღსანიშნავია ამ ჟურნალის გენერალური მდივნის, მწერლისა და მეცნიერის – როზმარი კიფერის შესავალი სტატია მიმო მორინაზე. მწერალი ქალი აღნიშნავს, რომ მიმო მორინა არის თანამედროვეობის დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.

მიმო მორინა ჭეშმარიტად დიდი პოეტია, რომელსაც ღრმად აქვს გააზრებული კლასიკური ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება, ისტორია, ოსტატურად იყენებს ფოლკლორს, მითებსა და ლეგენდებს. ცხოვრობს მისით და მის მიერ ჩათესილი მარცვალი ხა-

(*1. Mimo Morina - "C'est toi la terra... Lu..... 1973, 48 p. Prefuce de R.Kieffer.)

რობს მწირ ყანაში.

„ჯორნალე დეი პოეგის“ რედაქტორმა, მწერალმა ქალმა – ედ-ეიგე პეშე გორინიმ, რომის საზოგადოების წინაშე მორინას წარ-დგენისას, თქვა: „მორინას ლირიკა გამსჭვალულია საოცარი გულ-წრფელობით, უსაზღვრო ფანტაზიით, გრძნობათა სიუხვით... ყოვე-ლივე ეს საფუძველს მაძლევს. მიუვლოცო მიმო მორინას აღმასე-ლა პოეზიის გასხივოსნებულ სამყაროში“.

1970 წელს ფლორენციაში დაიბეჭდა მიმო მორინას ლექსების წიგნი „შენ ხარ დედამიწა“.² რომელიც მიუძღვნა მამის ხსოვნას. წიგნს წამძღვარებული აქვს ცნობილი იტალიელი კრიტიკოსის დი-ეგო დ'ონტანოს შესავალი სიტყვა – „პოეზიაა თავად სიცოცხლე“, რომელშიც აანალიზებს აღნიშნულ წიგნში წარმოდგენილ ლექ-სებს. იგი უთანხმება ზემოთ მოცანილ რედაქტორის მოსაზრებას და საბართილიანად წერს: „მორინას პოეტური ქმნილებების გაი-ნობის შემდეგ, მემიძლია ღაფეთანხმოდ რედაქტორს და თამამად განვაცხადო, რომ იგი პქმნის უაღრესად თანამედროვე პოეზიას, აღწევს ფორმის სრულყოფას და, ამავე დროს, არ კარგავს მდი-დარ შინაარსს. მორინა გრძნობს წერის აუცილებლობას, ძალმო-სილებით აურქვევს იმპულსურ შინაგან გრძნობებს ხან დაუფარა-ვი მგზნებარებით, ხანაც ნაზი ლირიული ხმით, ხანაც – წინასწარ-მეტყველის სიბრძნით განსჭვრეტს მომავალს და ყოველივე ამას მშვენივრად უთანხმებს ავანგარდისტული პოეზიის კარმოწიულ რიგმიკას.

არიან ადამიანები, რომლებიც დროის მკაცრი ცვალებადობის ფონზე დახუნძლულნი არიან ხსოვნის გვირგვინით, თავისთავში იუნ-ჯებენ ყოველივე ყოფილს, ხსოვნის ქერაში გამოატარებენ ხოლ-მე საკუთარ პიროვნებას და ყოველივე მათ მიერ ქმნულსაც. მო-რინამ იცის, რომ ყოველივე მიედინება („პანტა რეი“) და ამას ნათ-ლად წარმოაჩენს თავისი პოეზიითაც. პოეგის პიროვნება და შე-მოქმედება უერთდება და ერწყმის სამყაროს – უსასრულო ქმნა-ლობას და ცვალებადობას, დაბადება, განვითარება და სიკვდილი რომ პქეია და მერე, ისევ თავის თავს რომ უბრუნდება.

წინამდებარე წიგნს „შენ ხარ დედამიწა“ პქეია. მასში პოეგმა თავი მოუყარა ყველაფერს: სიჭაბუკეს, დაბადებასა და ცხოვრების ცხოველმყოფელობას და, ამავე დროს, სევდას იმის გამო, რომ ყოველივე წარმავალია. მეტი დამაჯერებლობისათვის ავტორი იყუ-ნებს დიდი ადამიანების: დიდროს, ალფრედ დე ვინის, ლისტის, შა-გობრიანის, ჟსანდის, კონსტანის, სტენდალის, მირაბოს გამოწათ-ქვამებს, რაც ჩემის დრმა რწმენით, კიდევ უფრო ცხადყოფს ნა-წარმოების მთავარ იდეას“.

იგალიელს კრიტიკოსი სამართლიანად შენიშნავს, რომ შიშო მორინას მთავარი თემაა დედამიწისა და ქალის ურთიერთობა, ქალი, იგივე დედამიწა, ცხოვრების, სიყვარულისა და სიკვდილის სიმბოლოა. „შენ ღრმად გავიდვამს შენი ფესვი დედამიწაში სუსტი ფეხებით და ბორცვებით და მსკდარი მკერდით, უხსოვარ დროდან შენ იყავი იმედი ხეალის ამ ჩვენს მწუხარე დედამიწაზე“.*¹

კრიტიკოსი იქვე შენიშნავს, რომ „პოეზიაა სიციხულე“ და მორინა თავისი შემოქმედებით შორს ღვას ყოველგვარი მატერიალიზმისა და ოპორტუნიზმისაგან. მრავალი განსაცდელის გადაგზავნა მოუხდა პოეტს და ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათაგან თავგაბეზრებული, საკუთარ ციხე-სიმაგრეში განმარტოვდა, მის ნაესაყულად პოეზიისა და ხელოვნების სიყვარული იქცა, ხან სიხარულს, ხან მწუხარებას რომ განაცდევინებს. „შენი თვალები სიხარულის სხივებს აფრქვევდნენ, ჩული დანამა სიამის წვიმამ. მაგრამ ამაოდ. ეს იმედი ყოფილა ყალბი შენი. თვალების განაჩენი თვითმკვლელობაა“.

შესაყალიბებული ავტორი მიუთითებს, რომ სიხარულისა და მწუხარების ამ ურთიერთჭიდოში, ყოველთვის ნათელი ჭარბობს: „აგვისტოს მწველ მზებზე, ნაძვის ხის ჩრდილქვეშ, იბადებოდა სამყაროს სული“.

კრიტიკოსი მოიხსობს იგალიელი მწერლის – კარდუშის მოსაზრებას. როდესაც იგი მორინას წიგნს – „შენ ხარ დედამიწა“ ახასიათებდა, ამბობდა: „მორინამ ამ წიგნში მოგვცა სიმბიოზი „მატერიისა და სულის, გონებისა და გრძნობისა“.

შემდეგ აღნიშნავს, რომ შიშო მორინას ლექსების კრებულებს: „მე თვითონ გადავიხიდი“, „მარწყვები“ და „ფსიქე“ ახასიათებდათ მინაგანი წინააღმდეგობანი, მაგრამ ამ წიგნში უკვე დაძლეულია ეს მინაგანი წინააღმდეგობანიო, რადგან პოეტს უკვე დაუდგა ეპი სიმწიფისა, თუმცა შიგადაშიგ პესიმისტური მოტივიც გამოერევა: „ჩაძირული ვარ, როგორც გემი. ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა“, მაგრამ, შენიშნავს იგი, უფრო მეტად ნათელი რწმენა ქდერს: „ყოველი ყვაილი პაგარა ღიმილია“. ბოლოს, კრიტიკოსი დაასკვნის, რომ მორინას პოეზიამ შეიძინა სილალე და უბრალოება, ფორმის დახვეწილობა და სინაგაფი. პოეზია თავად სიციხულეა და მას სიკვდილი ეერ მოერევა. მორინამ ეს კარგად იცის და პოეტის მაღალი პოზიციიდან ბრძოლას უცხადებს სიკვდილს. ეს არის ბრძოლა პოეტისა და კაცისა მაშინაც კი, როცა იცის, რომ: „ძუნწი დედამიწა მიწად აქიქეს სიციხულეს და მასაც ამ ბედს უმზადებს“. პოეტმა კარგად იცის, რომ სიკვდილს უნდა შეაგებოს თვინიერი ღიმილი შენდობისა და მას სჯერა, რომ მხოლოდ ეს

(*3. იგალიურიდან თარგმნა ნ.გელაძემ.)

შენდობა იხსნის კაცობრიობას, ადამიანი იმოყის თავისი არსებობის გამართლებას, მაშინაც არ დაკარგავს რწმენას, როცა საღამოს მინ დაბრუნებულს დახელება შავი კუბო, რომელშიც ობოლი მარგალიტებით აწყვია ორი ცრემლი ცარიელ მუშის ამოსაესებად. სიცოცხლის ცხოველყოფილობა, ბრძოლის ჟინი, ქალისა და ღედამიწის მარადიულობისადმი ღრმა რწმენა და ბოლოს, სამხრეთული ენებათაღელეა ასამრდოებს მორინას პოეზიას.

მიმო მორინას შემოთ აღნიშნული ლექსების წიგნი – „შენ ხარ ღედამიწა“*4 ითარგმნა ესპანურ ენაზე და დაიბეჭდა იგი მადრიდში, 1981 წელს. წიგნს წამძღვარებული აქვს ესპანელი პოეტისა და კრიტიკოსის – ხ.ხორხე პადრუინის შესავალი სტატია, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს იგალიელ პოეტს და თავის სტატიას ასე იწყებს: „არიან ადამიანები, რომლებსაც ღმერთი ნიშანივით დაადებს შუბლზე ამოდ იცხოვრონ და მოკვდნენ... მარად ედომილნი და უცოდველნი, იმედიც კი მათთვის გაუსაძლისი საგანჯველია“ (ლისტი). იგალიელი პოეტი მიმო მორინა კი ასეთ სიკვდილს ებრძვის. იგი მთელი არსებით და პოეზიით ილტვის ერათ მიზნისაკენ, მიწა და ხალხი მისთვის განუყოფელია. თითქმის მთელი ევროპა მოიარა და მისთვის ნათელი გახდა, რომ სიტყვა ძმობა მხოლოდ ლიგონ სიტყვად არ უნდა დარჩეს, იგი საქმედ უნდა აქციონ ხალხებმა მთელს ღედამიწაზე. მიმო მორინამ შეძლო, გარს შემოეკრიბა თანამოაზრე პოეტები. დაიარსა ჟურნალი „ნუველ ეროპ“, რომელიც შეიდ ენაზე გამოდის, მექანა ევროპელ პოეტთა ასოციაცია.

მიმო მორინა დაიბადა კენსულ სიცილიაში და თუშეა, მთელი ევროპა შემოიარა, თუშეა, ნორვეგიასა და შვეიციაში იცხოვრობდა, თუშეა, შორს იყო თავისი ქვეყნიდან, მაინც ყველაზე მეტად სჭარბობს მის ლირიკაში სამშობლოს თემა. ყველაზე მეტად ჩანს, რა ღრმად აქვს პოეტს ფესვები გაღმული მშობლიური სიცილიის მიწაში“. როგორ შეიქმნა „შენ ხარ ღედამიწა?“ როგორც თვითონ პოეტმა მიოხრა, ევროპაში მოგზაურობისას, მეუციასა და ნორვეგიაში ცხოვრებისას ბევრი რამ ნახა და განიცადა, შეიყნო ღედამიწის ყველა საგკიყარი, სიკვდილი, სიყვარული და სხვ. თუ წინათ მის ნაწარმოებებში მიწა ღედის, მშობლის სიმბოლურ სახეს გამოხატავდა (სიცილია-ღედა), ახლა იგივე მიწა ქალის სახედ იქცა (მიწა – ქალი).

მიმო მორინასათვის ქალი არის მიწა, რომელიც ალვიებს თესლს, რომელშიც ფესვებია გაღმული, ქალი არის საწყისი და დასასრული კომმარული სიმრეებისა, მგანჯველი მარგოობისა. იგი არა მარგო მიწაა, არამედ წყაროა დაბადებისა და ნერვისა –

სსეა ალგერნაგია არ არსებობს (თარგმნა ელ.ახელედიანმა).

შეპლევ, ესპანელი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მიმო მორინა პოეტურ ცხოვრებას ესწრაფვის. მისი მშობლიური კუნძულის ქვიშინასა და ვულკანურ კონტურებში თითქმის ყველგან ჩანს ქალი. სიყვარულის გადასარჩენად სიგევა და მიწა შედგომიან მხარში ერთმანეთს. მკითხველი ამ წიგნში შეაქმნევს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ინგონაციებს: ირონიულსა და სასიყვარულოს, გაჯაფრებულსა და ელეგიურს. ეს არის ერთ-ერთი ხერხი, ერთგვარი მიდგომა ლირიზმისადმი. „შენ ხარ დედამიწა“ იშუათი შერწყმა იმედისა, მითოლოგიისა, საგურალიზმისა და ისტორიულობისა. მარადისობასა და სიკედილს, სიცოცხლესა და წარმატებას მორის ჩამდგარა პოეტი, ვისმა ხმამაც ჩვენამდე მოაღწია ამ მშვენიერი და ლაკონური ლექსების სახით.

კრიტიკოსი იქვე შენიშნავს, რომ ლექსების ამ წიგნში ჩანს ავტორის ყოვლისმომცველი ძალა, მაღალმხატვრულობა. თუმცა, მისი სტილი ძუნწი და მკაცრია. სიმბოლო მიწა-ქალი თბილ ფერებშია დასატული და ორგანულად არის ჩაწნული ამ მკაცრ არქიტექტურაში. ცხოვრებისეული, მელანქოლიური ფიქრები და წარმოსახვებიც ერთმანეთს ოსტატურად ერწყმიან. მისი ლექსები გამკვირვალა და შინაგანი ემოციებით დატვირთული. გვაუწყებენ სიყვარულის მარადიულობაზე, ასეთ პოეზიას კი სიკედილი არ უწერია.

1978 წელს. მილანოში გამოვიდა პოეტის მორიგი ლექსების წიგნი – „შემართული თოფი“*5 (ა კანე მოზე), რომელშიც პოეტი აკრიტიკებს არსებულ წყობილებას.

საინტერესოა იტალიელი პოეტის ალფრედო ლუიის შესავალი სკაგია, რომელშიც ავტორი მოკლედ განიხილავს მიმო მორინას პოეზიას. იგი წერს: „გადამგერული თოფი“ ნაღვლიანი დღიურია პოეტისა, რომლის მისწრაფებები ვერ ეგუება არსებულ დამახინჯებულ ყოფას და ამის აღმოსაფხვრელად იგი დაუღალავად იბრძვის. „ამოწყლებიან ჩემს ბაღში ვირთხები“ – წერს პოეტი ქარაგმულად, მაგრამ ბიუროკრატიული თვითმართველობის ძალაუფლება შეტად ვერაგია და იგი მთლიანად ხელში უჭირავთ „პატიოსან ადამიანებს“, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ინგრიგები. პატივმოყვარეობა, მინაური შელდი, კლასობრივი შენიღბვა, დასმენა და გაუაცოცხლებელი შეიარაღება.

მიმო მორინას პოეტური სხა ყოველივე ამის პროტესტად გაისმის. ერთხელ გადაისხნა ადამიანური სიხარბის ჭრილობა და წამლავს ადამიანური მორალის ნორმებს, ყოფის ეთიკას. ამიგომ პოეტი ქირურგიულ დანასავეით მკრელ სიგევებს იმარჯვებს, რათა

ძირუესკიანად აღმოუხერას ყოველსეჲ ჭეჭყი, რომ ჯანსად ორგანიზმს აღარ მოედოს იგი და შექმდომში, შექმდებელი აღარ გახლეს მისი გამოსწორება“.

შემდეგ, კრიტიკოსს მოაქვს მრავალი საინტერესო საბუთი იმაზე, რომ შიმო შორინა არის დიდი პუშანისტი, მეზრძოლი პოეტი, რომელიც იბრძვის მსოფლიო არენაზე კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის. იგი აღნიშნავს, რომ სურათი, რომელსაც მიმო შორინა თვალწინ გადმოგვიშლის, შეიძლება მას ვუწოდოთ „ეუროკრატია“, თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ, ამავე დროს, პოეტი ააშკარავებს იმ საიდუმლოებებს, რომლებიც ახასიათებთ შენიღბულ აღამიანებს თავიანთ „უსამღეროდ თეატრალურ სამყაროში“. ისტორიული, მშვიდობის, ძმობა-მეგობრობის, თანასწორობის ნიღბის ქვეშ იმალება ამაზრზენი პლიქენელობის გზით ძალაუფლებისაკენ სწრაფვა: „იგალიელები უცხოელებისათვის ყოველთვის ეიყავით დიდი ოჯახი, ნაშობნი მეძავე ღელის მიერ“ (იხ. „მართლის-მთქმელი დაღტონიკი“).

შემდეგ, კრიტიკოსი შენიშნავს, რომ ამ წიგნში შეგანილ ლექსებს ახასიათებს ერთგვარი სოსტალგია: „ზამთრის ერთ საღამოს, – დიდი ტკივილის ეამს ისევე შენ გამახსენდები.“

დაუძველებელია მორინასათვის ხსოვნა მზით განათებულ სიცილიაში (იხ. მისი ლექსი – „პაგარა აშბავი“, ანტიკურ პატრიარქალურ ოჯახზე ლექსი – „ოჯახური პორტრეტი“), მეგობრებზე, იმ ქვეყნის ენაზე, რომლის წარსულსაც ედემის მითთან მიეყავართ. სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილება გამოსვთვის შიმო შორინას ლექსში, თუშცა მოძაელის იმედის ნაპერწკალიც ელავს: „ეეროპაჲ, ეინ წარმოთქვამს შემდგომში შენს სახელს?“

1980 წელს გამოვიდა მიმო მორინას ლექსების წიგნი „პიერა“*6 (1980, 51 p.) (აღმოჩენილი კუნძულის ლექსები), იტალიური ტექსტის პარალელურად, წარმოდგენილია ფრანგული თარგმანი ეიქენ ვიევიკისა, წის უძღვის იგალიელი პოეტისა და კრიტიკოსის – ჯიანკარლო ვიგორელის შესავალი სტატია. „მშობლიური ენის გარდა, წერს შესავალი სტატიის ავტორი, რომელ ენაზე არ წაიკითხავით შიმო შორინას ლექსებს. ჩემს ხელითაა იგალიური თუ უცხოური გამოცემები, თარგმანები ინგლისურ, ფრანგულ, რუმინულ, გერმანულ, პოლანდიურ, ჩიხურ, პოლონურ, რუსულ ენებზე. გამოცემათა და თარგმანთა ამ სიუხვეს სამი მყარი საფუძველი აქვს:

1. მორინას დაუღალავი მოგზაურობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (ამაზე მოგვიხსრობს მისი ბიოგრაფია), რამაც თავისი უცყუარი კვალი დატოვა ჯერ

(*6. Mimo Morina "Hiera", Editrice Alcione? (Trento) 1980, 51 p.)

კიდევ ჭაბუკი პოეტის შემოქმედებაზე.

2. ის დიდი მისია, რომელიც მიმო მორინას აკისრია ლექსებში ბურგში. აქ, სამ თვეში ერთხელ, იბეჭდება საგირის ექო და ოუ დღეს გადამლით „იგალიური საგირული პოეზიის ანთოლოგიას“ (გუანდა, 1964), დარწმუნდებით, რომ პალაესკისა და დელფინის საგირის გვერდით, ღირსეული აღვლილი უჭირავს მიმო მორინას საგირასაც. „პიერა“ თითქმის არაფრით ჰგავს „გადამგერულ თოფს“, მაგრამ ამ პოლემიკური წიგნისათვის მაინც დამახასიათებელია ექსპრესიული და კომპოზიციური სილალე. ავტორი აქაც ემობს პირმოთინობას, ფარისეელობას, კომპრომისებს. მოქალაქეობრივი მორალი – ეს არის ამ პოეტური კრებულის მთავარი თემა. „პიერა“ დაბრუნებაა საწყისთან, მშობლიურ კერასთან, წინაპრებთან. ამ წიგნის ბოლოს, პოეტი წერს: „აი, შეც მოვედი, როგორც იქნა, ჩემს ნახსაყუდელთან“.

მორინას ლექსი ამ წიგნში ისევე თავისუფლად ეღერს, როგორც ზღვა სუნთქავს ღელვის შემდეგ“.

ლექსების წიგნი „ფსიქე“*7 პირველად 1967 წელს დაიბეჭდა რომში. წიგნში მოცემულია პარალელური თარგმანი გერმანულად, თარგმნეს იგი იოჰანეს მ.ლუიმ და ე.ფონჰესემ. ავტორმა წიგნი უძღვნა დედას. მეორე გამოცემა გამოვიდა 1968 წელს, ჯორჯიო ბოსიოს წინასიტყვაობით.

წინასიტყვაობის ავტორი სუამს კითხვას: რა არის ხელოვნება? და იქვე პასუხობს: თვითშემეცნების საშუალებათ. ჩვენს დროში აღამიანი ცდილობს, წარმოაჩინოს თავისი თავი, ხშირად საშუალება და მიზანი იცვლება. მორინა ამ წიგნში გვთავაზობს თავის ესთეტიკურ გამოცდილებას, მისთვის პოეზია სუითსმიზანი კი არ არის, არამედ თავის თავის ხელმეორედ აღმოჩენაა. პოეტი გადმოგვცემს ბავშვობისა და ყრმობის მოგონებების მძაფრ სურათებს, ომის საშინელებას. ექვსი ლექსი ეხება ომის ამბებს, პოეტი სამარცხეისო ბოძზე აკრავს ჰიტლერულ ფაშისტებს, რომლებმაც გაანადგურეს ქალაქები, მიწასთან გაასწორეს კულტურის ძეგლები.

აღსანიშნავია ლექსების წიგნი – „მარწყვები“,** პარალელურად წარმოდგენილია ფრანგული თარგმანი, რომელიც ეან ბორეგარმა შეასრულა. მეორე გამოცემა გამოვიდა 1964 წელს. აღნიშნულ ლექსების წიგნს წინ უძღვის გრეგორიო ნაპოლის წინასიტყვაობა.

ავტორი აღნიშნავს, რომ მიმო მორინა, 1955 წლიდან დაწყებული, განუწყვეტლივ აქვეყნებდა ლექსებს, რომლებიც პესიმისტური ხასიათის იყო, მაგრამ ეს კრებული, დაწერილია უკვე ჩამოყალი-

(*7. Mimo Morina, "Psyche", Roma, 1968, 141 p.)

(*8. Mimo Morina, "Le Fragole", seconda edizione, 1964, 45p.)

ბებული პოეტის მიერ. იგი თავის საკუთარ მეში ჩაკეტილი როლია, არამედ ღრმად წედება სინამდვილეს, პოეტი წებს აწმყოზე, ფიქრობს მომავალზე. მოგიერთ მის ლექსში გვხვდება ავტობიოგრაფიული მტრიხებიც. კრებულში უფრო უარყოფით მოჩანს მორინას პოეტური სამყარო, იგი უფრო ღრმად წედება ცხოვრებისეულ პრობლემებს, ამუქებს მოვლენებს ახალი ასპექტით, თემა კონკრეტული და პირდაპირია.

მგოსანი სამარცხენო ბოძზე აკრავს ჰიტლერულ ჯალათებს, ნეონაციტებს, წყევლა-კრულვას უგზავნის ჯალათებს, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის დროს მილიონობით უდანაშაულო ადამიანი აწამეს ოსვენციმის, ბუხენვალდისა და ლახაუს საკონცენტრაციო ბანაკებში.

იტალიელი პოეტი მთელი სრულყოფით წარმოსახავს თანამედროვე ეპოქის მაჯისცემას, ბურჟუაზიულ სამოგადოებაში ხალხის ჩაგერის ამბებს, უმღერის მშვიდობას, თავისუფლებას ხალხებს მორის.

საინტერესოა ლირიკული ლექსი კრებულიდან – „შენ ხარ დედამიწა“, რომელშიც პოეტი წერს:

გამომწვევად თვალწარმტაცი დედამიწა ხარ,

ქალი ხარ ლამაზთვალედა,

და უნაკლოა სხეული შენი.

შენ ხარ ფიალა ჩემი სიამის,

ამ განაჩენით ფეოქავს გული და

აბობოქრდება სისხლში ხანძარი.

აეოცხლებს ბაგეთ,

ანათებს ღიმილს.

ამ განაჩენით იფეოქებს და

აბობოქრდება სისხლში ხანძარი.

შენ დაპყნარი გაზაფხული ხარ,

განაჩენი ხარ სამუდამო,

ოცნება ხარ აყრუებული...

მკედარი დაფაა შენი მხურვალე გული.

შარმანდელი ზაფხულის ქარებს

გაჰყენენ ღრუბლები.

ხომალდის ჩონჩი

თოკის კიბითლა შეიგრძნობს მხოლოდ

გალღების კრთომას?

მწუხარება დედამიწა და მზეც მწუხარება.

მიუხელოებელია დედამიწის ტკბილი სხეული.

(თარგმანი გასტონ ბუაჩიძისა)

მიმო შორინასთან ერსად, ქართულ მწერლებთან ლიტერატურული კონტაქტები აქვს დამყარებული ჟურნალ „ნუვილ ერო-

პის“ რედაქციის გენერალურ მდივანს – როზმარი კიუერს, რომელიც ლექსებშერვისა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს ქართველი პოეტების ლექსების ფრანგულ და იტალიურ თარგმანებს, აგრეთვე, სტაგიებსა და რეცენზიებს ქართველი მწერლების ნაწარმოებებზე და სისტემატურად კითხულობს ლექსებს ქართველი მწერლების ცხოვრება-შემოქმედებაზე. როზმარი კიუერი არაერთგმის მსჯელობს მიმო მორინას დამსახურებაზე საერთაშორისო ასპარეზზე, ხალხებს შორის მშვიდობის დაცვის, კულტურული, ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

მიმო მორინა არის არა უბრალო ემოციების, არამედ, ღრმა ფილოსოფიურ გააზრების პოეტი. მისი ლექსების ლეიტმოტივია – კეთილის გამარჯვება ბოროტზე. პოეტი ფილოსოფიურად განსჭვრეტს ქალისა და დედამიწის ქალღმერთის დაახლოებას. ლექსებში წარმოგიდგება პოეტი, რომელიც არ მალავს თავის გრძნობებს აბსტრაქტულ ფრაზებში. პოეტს დედამიწის ქალღმერთად ჩვეულებრივი ქალი მიაჩნია, პატივს სცემს მას და ამელავენებს მისდამი დიდ სიყვარულს. ჩვენი აზრით, ამაზე მეტი ქალისადმი სიყვარულის გამოხატვა არაყის შეუძლია. ეს კი მეტად ღრმა და ჰუმანური ფილოსოფიაა:

...მაგრამ ქალი,

თავისი სიკედილის შემდეგაც

თან დააგარებს სიყვარულს...

რომელი ქალი აღაგზნებს ვნებას,

თუ ჩვენს ძარღვებში სისხლი აღარ ფუთქავს.

მიბოძე ვაჟი,

ო, უფალო,

ქალისგან, რომელიც მიყვარს.

ეს არის პოეტის მიერ ულმოებელ სრბოლაში მოპოვებული გამოცდილება, რომელიც, მეტაპორფოზების სახით, ვლინდება მოგონებაში, სადაც მგოსანი და მისი პერსონაჟები ერთმანეთს ერწყმებიან. მოგონებად ქცეული გამოცდილება ისევე გარემომცველი სამყაროს ელფერს იღებს, ემსგავსება იმ მცწას, რომელსაც ყოველი ადამიანი უნდა მიეზაროს:

ჩვენი სიცოცხლის მშვენიერი

თავგადასავლის მოგონებით გაცოცხლებულნი,

მაინც ერთ დღეს

მიწას დავებრუნებით ჩვენს საიღუმლოს.

(ერებულიდან – „შენ ხარ დედამიწა“, თარგმანი გასტონ ბუაჩიძისა).

ახალგაზრდა პოეტსა და მეცნიერს, აღზრდილს სმელთაშუაზღვის მშვენიერი პეიზაჟის ფონზე, ძიებისა და სიახლეითა ხილვის

მძაფრმა სურვილმა, ბურჟუაზიული სინამდვილისადმი მტრულმა განწყობამ, აღუძრა ინგერესი მოვზაურობისადმი და ბევრი იმოგზაურა. სკანდინავიის ქვეყნები იყო მისი ნახაყუდელი. აქ ღაოჯახდა. ცოლად შეირთო პოეტი ქალი – ნელეკ ოსტვენნი, რომელიც, მასთან ერთად, თანამშრომლობს ლექსებდერგში. მანვე თარგმნა პოლანდიურ ენაზე მისო მორინას ლექსების წიგნი 1978 წელს.

მიმო მორინას 1968 წელს, „მოლიზეს ლიგერაგურულმა ცენტრმა“ შეანიჭა პოეზიისა და ესეის ეროვნული პრემია; 1969 წელს იტალიის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა „კულტურის პრემიით“; 1971 წელს გახდა იტალიის რესპუბლიკის საპატიო ორდენის კაეალერი, ჯილდო პოეტს პირადად გადასცა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, „იტალიური კულტურის პოპულარიზაციისათვის საზღვარგარეთ“.

მიმო მორინას ძალიან უყვარს საქართველო. მისი ხალხი, ლიგერაგურა, ხელოვნება, ქართველი პოეტები. 1984 წლის პირველი აპრილის წერილში ეკითხულობთ: „დიდი ხანია ვფიქრობდი, თქვენთვის რმდენიმე სტრიქონი დაძეწერა. დრო ძალიან სწრაფად გადის, მენატრება გაზაფხული, რომელიც, ალბათ, საქართველოში დიდი ხანია დადგა. აი, დღეს პირველი აპრილია, თოვს და თოვს, როგორც შუა ზამთარში. სითბო ჩემს გულში არ ქრება, მას დროთა განსძაელობაში ჩემი ქართველი მეგობრები უფრო აღვიუებენ. დიას, ჩემს გონებაში უბერავს სამსრეთის ქარი.“

მე მახარებს ის გარემოება, რომ თქვენ ჩემს შემოქმედებას აცნობთ თქვენს თანამემამულეებს, რომლებიც შეიძლება ჩაეთეალოთ ედემის პირუელ მცხოვრებლებად. დიდი შადლობა ამისათვის. მე ძალიან მიყვარს თქვენი დიადი ქვეყნის პოეტები: გრიგოლ აბაშიძე, გასგონ ბუაჩიძე, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდაძე და სხვები. დაე, მშვიდობა სუფევდეს მსოფლიოს მწერლებს შორის, მთელ ხალხებს შორის. ვისძედოვნებ, რომ უახლოეს ხანში ჩვენ შევხვდებით თბილისში, რადგან ეს ქალაქი შეგობართა გაძარია. ეასრულებთ თქვენ თხოვნას, გიგზავნიო ჩემს ხელნაწერ ავგოპორტრეტსა და ფოტოს“.

უოგოსურათის მუორე გვერდზე, ფრანგულ ენაზე დაბეჭდილია პოეტის ლექსი – „შევსება“, რომელიც მკითხველებში დიდ ემოციას იწვევს.

აი, ეს ლექსიც:

გამარჯება, ბატონებო,

გამარჯება, ქალბატონებო.

წინ, წინ შედგრად,

სამსახური უპირველეს ყოვლისა.

გამარჯება, ბატონებო,

გამარჯება, ქალბატონებო.

მე თქვენი ვარ, თაუდადებული
წმინდა მამისა და შელისათვის.

ენახოთ, ენახოთ...

ეიყოთ გულწრფელნი.

ენახოთ, ენახოთ,

უკეთ ენახოთ...

(ფრანგულიდან თარგმნა სერგო თურნაევამ).

მეტად საინტერესოა ავტოპორტრეტი, რომელიც პოეტმა დაწერა 1984 წლის 4 აპრილს და, ხელნაწერის სახით, გამოცემიდან. იგი დაწერილია ლექსად იტალიურ ენაზე, შესანიშნავად ჟღერს, მასში ნათლად ჩანს დიდი პუმანისტი პოეტის პიროვნება. მოვიტანთ ჯერ იტალიურად, შემდეგ თარგმანს, რომელიც შეასრულა ზაირა სტურამ.

Autoritratto

Non sano un vecchio gallo stanco

Ma

Un gallo innarmoratto

Ogni alba e canto

●

Rossa e la creta,

Turpida e sanguigna,

Come uno standardo inalberato

Che al primo sole

Scintilla.*

არა ვარ დაღლილი მოხუცი მამალი,

არამედ, მე

ვარ შეყვარებული მამალი

და

ყოველ გარიყრაქზე ვმღერა

...

წითელია თიხა,

მოუქნელი და სისხლისფერი,

რომელიც, როგორც სამსედროი დროშა. მაღლა აღმართული,

მზის პირველ სხივზე

ბრწყინავს.

(ამ ლექსს ეუძღვნა ჩემს მეგობარს – სერგო თურნაევას, ხანგრძლივი სიცოცხლის ნიშნად. მიმო მორინამ, ლუქსემბურგი, 1984 წ. 20 ოქტომბერი).

მიმო მორინამ 1970 წელს, იტალიურ ენაზე, გამოსცა ლექსების წიგნი, ქალაქ ფლორენციაში, სათაურით: „სეი გუ ლა ტერა“ („ეს

(*9. Mimo Morina, Autoretrato, Luxembourg, Le 4 avril, 1984)

შენ ხარო, მიწაო“). ეს წიგნი 1973 წელს გამოვიდა ფრანგულ ენაზე, გამოცემა იგი „ეროვლიტორმა“ ლექსებკრებში, რომში კიჟერის წინასიტყვაობით. სათაური მისი ასეთია. „არგონავტების დაბრუნება“, რომელსაც წამძღვარებული აქვს სტრიქონები: „შენ ვადალასე იღუპალების ზღუბლი, ადამიანო, არგონავტო...“

აღნიშნული ლექსების წიგნი დაიბეჭდა „საუნჯეს“ 1984 წლის მესამე ნომერში (176-190), თარგმნა იგი ფრანგულიდან გასტონ ბუაჩიძემ.

ქართულ გამოცემას წამძღვარებული აქვს მწერალ-აკადემიკოსის გრიგოლ აბაშიძის წინასიტყვაობა, რომელშიც მსჯელობს მიმო მორინას ცხოვრება-მემოქმედებაზე და აძლევს მაღალ შეფასებას. რა თქმა უნდა, ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ქართული მწერლობა დაუალებულია შიშო მორინასაგან და ეს ჩვენ უნდა გამოვასწოროთ, გაეცნოთ მისი შემოქმედება ქართველ მკითხველს. გრ.აბაშიძე წერს: „ქართული პოეზია დიდად განებივრებული როდია დასავლეთის პოეტებისა და პერიოდიკის ყურადღებით. თუ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ენებზე ქართული პოეზიის (ძველისა და ახლის) ნიმუშების თარგმნა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, დანარჩენი სამყაროსათვის, მდიდარი ტრადიციების მქონე თვითმყოფადი ქართული პოეზია, ზოგჯერ ისევე გერა ინკოგნიტად რჩება.“

ასეთი პირობებში, დასავლეთის პოეტური ქერხალების მიერ, ქართული პოეზიისადმი გულწრფელი ინტერესის გამოჩენა, დიდად საყურადღებო და დასაფასებელი ფაქტია.

აგერ, უკვე რამდენიმე წელია, დასავლეთის პოეზიის მოყვარულთა და დამფასებელთა წრეებში საკმაოდ გავლენიანი ქერხალი – „ნუველ ეროპ“ სისტემატურად უთმობს თავის ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილს ქართული პოეზიის ნიმუშებს. ქართველი პოეტების ლექსები „ნუველ ეროპში“ ცნობილი პოეტი ქალის – როზმარი კიჟერის თარგმანებით ქვეყნდება. მთარგმნელსავე ეკუთვნის ყველა ესე თუ მესაეალი წერილი, რომელიც ამ ლექსებს უძღვის წინ და რომელშიც მთარგმნელი საქართველოს მშენიერებით და მისი პოეზიის განუყოფელობით აღტაცებას გამოთქვამს.

რომშიარი კიჟერი ეეროპში კარგად ცნობილი პოეტი გახლავი. იგი არაერთხელ იყო საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც ჩამოვიდა, რათა პირადად გაცნობოდა ქართველ პოეტებს.

„ნუველ ეროპის“ ესოდენ დიდი დაინტერესება ქართული პოეზიით განაპირობა ამ ქერხალის რელაქტორ-გამომცემლის, ცნობილი იტალიელი პოეტის – მიმო მორინას არაჩვეულებრივმა ყურადღებამ საქართველოსადმი. შიშო მორინამ, არა მარტო თავისი ქერხალის ფურცლებზე წარუდგინა ქართული პოეზია ეეროპელ

მკითხველს (ქერნალი გამოდის ფრანგულად, იტალიურად, გერმანულად, ინგლისურად), არაპედი, ქარიველი მწერლების ჯგუფი მიიწვია ლექსებურვში, სადაც გამოდის „სუველ ეროპი“ და იქ ქართული ლიტერატურის საღამოები მოაწყო.

მიმო შორინა შარშან თუთიონ ეწვია საქარსუელოს და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ შზად არის, უფრო განამტკიცოს ჩვენთან შემოქმედებითი ურთიერთობა.

ქართული მწერლობა დაეალებულია მიმო შორინასაგან, რომელიც ავტორიტეტულად ეწვეა ჩვენი პოეზიის პროპაგანდას დასაქვლითში. ამ ვალის მოხდის პირველი ნაბიჯია ჩვენი ცნობილი მთარგმნელისა და დასაქვლიის ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნის – ვასტონ ბუაჩიძის ცდა, გააცნოს მკითხველს მიმო შორინას პოეზია“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1990 წლის იანვარში „მერანმა“ გამოსცა მიმო შორინას ლექსების ახალი კრებული – „ალა რემერმ დე ლა ტუაზონ დორ“ („ოქროს საწმისის ძებნაში“), გრ.აბაშიძის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით (იტალიურიდან თარგმნა ვასტონ ბუაჩიძემ).

მთარგმნელს წიგნში შეუტახია რომმარი კიფერის შესაქალი წერილი – „არგონავტების დაბრუნება“, რომელიც წამძღვარებული პქონდა 1973 წლის ფრანგულ გამოცემას. ქართულ თარგმანში შევიდა ლექსი – „ოქროს საწმისის საძებნელად“ და პოეტური კრებულებიდან: „ეს მეჩ სარ, მიწაო“. „იერა“, „სამყაროს ქებათა ქება“, „შვიდი მარტობა ერთი კუნძულისათვის“ და „სარკინოზების იერიში“.

მკითხველის ყურადღებას იქცევს ლექსი „ოქროს საწმისის საძებნელად“:

„ქაქეკასიის მთების მიღმა,
ბეთისხილებსა და ეენახებს შორის,
კოლხეთში,
მე, არგონავეტი გულისა,
კამკამა მზეში
მდინარის უსასრულო სიტკბოებას
ვიკრეფ.
სიცილიურ ფესვს რომ ესაღბუნება.
სწორედ, ეს ფესვი
გადაშემლის
საიდუმლო სასწაულს.

პოეტი აღნიშნულ ლექსში უმღერის განახლებულ კოლხიდას. იგი მოსულია კოლხეთში კეთილი განზრახვით, დადის ბეთისხილისა და ეენახების ბალებში, რომ შეიყნოს უსასრულო სიტკბოება კოლხეთის მიწისა და გაიგოს საიდუმლოება კოლხეთის წარსუ-

ღისა. იგი აქ გვეკელისება. როგორც „გელის არგონაეტი“. ამ სა-
კითხებზე შესანიშნავად მსჯელობს თავის შესავალ წერილში პრო-
ფესორი რომმარი კიუერი. აი, რას წერს იგი: „სხეადასხვა ქვეყნე-
ბის ლიგერატურათა დაუღალაებმა მკელეუარმა — მიმო მორინამ
ქურნალ „ვენგო სუოვოს“ რამდენიმე სომქრში გაგვაცნო რუმინუ-
ლი და ჩსნური პოეზია, პოლანდია და პესტუმის ძეგლი მიწა-წყალი.
ხოლო ქურნალში — „ნუველ ეროჟ“ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გა-
ხადა ქართული ლიგერატურაც, დიდი და მშვენიერი გრადიციების
ლიგერატურა, კავკასიონის ფერხსითი რომ იშეა და გაიფურჩქნა.
კავკასიონისა, სადაც უშიშარი პრომეთე მიაჯაჰვეს, სადაც კახე-
თისა და ქართლის ყმაწვილი ქალები და კოლხეთის ასულები ღლე-
საც გრძნეული მედეას სახელს აგარებენ. ლეგენდარული მედეას
სახელს, რომელმაც თავისი ახლობლები და დრაკონი შოაჯადოეა
და, ესოდენ გრაგიკულად შეიყვარა არგონაეტი იაზონი. იმ საქმი-
ანობის გახსენება, რასაც მიმო მორინა ეწევა, ვითარცა მკელეუ-
არი და შუამავალი, გზას გვიხნის მისი შემოქმედებისა და, კერძოდ,
მისი კრებულის — „ეს შენ ხარ, მიწაო“ გასაცნობადაც. ეს კრებუ-
ლი ახლახან რემო პოეტიკიმ და პიერ როლერმა დიდი რუღღნე-
ბით, ოსტატურად თარგმნეს იგალიურიდან ფრანგულად. გზის გა-
ვლევა უფრო გავვიადვილდება, თუ კი ბერძენი არგონაეტის — ია-
ზონის თავგადასავალსაც გავიხსენებთ. იგი ხომ ესოდენ შორს,
შავი ზღვის გაღმა, კავკასიონის მთებისკენ წაიღია, დაგოვა გას-
ხივოსნებული და განათლებული საბერძნეთი, რათა იმ სამყაროს
შათერაკებს შიარებოდა, რომელიც თანამემამულეებს ბარბარო-
სულად მიაჩნდათ. უცხო სამყაროს, სადაც მათი შეხედულებით,
სახლობდნენ ენებიანი და პირქუშნი, მაგრამ მტკიცე, ნამღვილი
და მოსიყვარულე ადამიანები.

თავისი ვაჟკაცობა იაზონმა კოლხეთის მიწაზე, განთიადის ქე-
ყანაში შეიქნო. დასავლეთში მოგზაურობისას პერკულესმა პესპე-
რიდების ბაღში შეაღწია, ულიეს ზღვის გაღლებმა აიტაცეს და კა-
ლიპოსო კუნძულზე გარიყეს. იქ მან ნახა კირკეა, სამიში სირინო-
მები და მშვენიერი ნავსიკაე, მაგრამ ითაკის კუნძულზე მას ელო-
დებოდნენ ერთგული პენელოპე და გელემაქე, საყვარელი ვაჟი:
„მიბოძე ვაჟი, ო, უფალო, იმ ქალისაგან, რომელიც მიყვარს“.

მოგზაურობის ნამღვილ სურათის, ადამიანებისა და გონების ოდი-
სეა—თავგადასავალს, შეხვედრას, წინააღმდეგობას, თეზისისა და
ანტითეზისის ამ ცნებებს: იაზონი-მელეა, საბერძნეთი-კოლხეთი, გმი-
რობა, თავგადასავალი-დასვენება, ყოველდღიური შრომა და მე-
დიგაცია, ყოველივე ამას თვალწინ გადავვიშლის, განვცაყდევო-
ნებს მიმო მორინა თავის ცხოვრებასა და პოეზიაში.

პოეტი ბუდნიერია თავის ხმელთაშუაზღვისეული წარმომადგომი:
„ახლა ავითიანზე შევიძლია გახვიდე... აი, ზღვა, ხმელთაშუაზღვის

ბრწყინვალეობით აესებულა ვრცელი ყურე...”

მიმო მორინა ცხოვრობდა ნორვეგიაში. იქ მან გაიცნო სკანდინავიური ქვეყნების ბოვტიერთი ასაქეტი, ის ასაქეტები, რომელთაც ჩვენში, მოგჯერ წინ წამოსწევენ ხოლმე და რომლებიც მხოლოდ მაღაუენ და დროებით ნიღბაუენ ამ მხარეთა ღრმა სიღამაბეს. მორინამ დაინახა და აამეტყუელა ეს ამადლელებელი სიღამაბე, სურათის და მრავლისმოქმელი გრიპეტიონის სახით შემოგვთავაზა იგი: „თერმა პელიკანმა თავისი დიდი მოოქროვილი ფრთები გაშალა, ზაფხულის ღამის უკიდუგანო ნათელში, ცისფერი ანგულოში, განთიადის ზღურბლზე გადიოდა... ჩრდილოეთის ციადის სპექტრის მიღმა, გრძელი ღამე იყო, ნაბეს წევტიან ჩრდილში სამყაროს სული მიმალულიყო“.

პოეტი-არგონავტი იცნობს დედამიწის ყველა სატკიუარს, სიკუდილს, გაქრუებულსა და გულისგამტებს სიყვარულს, მოღალატე ქალს და იმ ურჩხულებს, ღამღამობით რომ შემოგვესევნიან, სიმძრებს, რომლებიც კომშარებს ბადებენ. იგი გვიამბობს მოჩვენებებზე, მოვონებებზე, გარდაცვლილებსა და აჩრდილებზე. ცდილობს გაუქლადღეს მათ და უპკლადღება კიდეც: „რამდენი აღარ ასელს თვალს გაღვიძებისას და რამდენი ამოთხრილი ხელი, ღაისის გამჭირვალე შუქში, მიმის ზარსა სცემს თავხედ მხედარს“.

„ქარიშხალში“ შექსპირი ათქმუენებს არიელს ღრმამზროუან, იღუმალებით სავსე პოეტურ სიგყებს. პერსონაჟები გემის დაღუპვის განიცდიან, იგანჯებიან, გამოცდილების წყალობით, განიწმინდებიან, მადლდებიან, თავიანთ ნამდვილ არსებას შეიცნობენ:

„ზღვის ფსკერზე წვეს მამამენი,
შეერია გაღლებს ზღვისას,
მარგალიტად ექცა თვალი,
ძელები მარჯნად გადაიქცა.
არც დაჭკნება, არც გაქრება,
ზღვა შეუცვლის მხოლოდ იერს“.

(თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა).

ეს სიგყეები არგონავტებსაც უდგება და ნორვეგიიდან დაბრუნებულ, სიყვარულისა და სიბრძნის აღმოშენ სიცილითს პოეტ-მეზღვარს – მიმო მორინასაც: „ნება დამრთე, ჩემი საფლაღი, შენი საფლაღის გვერდით რომ იყოს... სადაც ქარის ღმუილი აიგაცებს კლდეებზე შემსკდარ ზღვის ქაფს. პირამიდა, ციხე-დარბაზი, მხოლოდ შენთვის იქნება და შენ არ გეცოდინება უძილო ღამეები და ზამთარი. მაგნოლიის ფოთლებში შუქი გაჟონავს. აკაცია სურნელს ააბოლეს აყვებულ ტყეის თაისებში და შენ ღამელოდები, საღვურის პატარა, აბსურდულ სკამზე“.

ისევე, როგორც ფრიდრიხ ჰოლდერლინთან, მრავალი თვისებით მდიდარი მეზღვარი, რომელსაც არ უთქვამს უარი თავგადა-

საეალზე, გამოცდილებაზე, სამისროებაზე მოგებული რჩება და კელაე უბრუნდება მიწას, რომელიც მისი საცხოვრებელია, ეული, ძვირუასი, მძეენიერი პოეზიის დარად, რომელიც სიმტკიცესა და ხანგრძლივობას ანიჭებს ადამიანის ცხოვრებას.

არგონაეტი შინ ბრუნდება პოეტური სუბსტანციით გაძდიდრებული, გულგადახსნილი, ცოდნას, სიყვარულსა და მიწას ნამიარებული“.

1989 წელს, ლექსებურგში, საერთაშორისო გამომცემლობა „ეროუდიტორმა“ გამოსცა კანადაში მოღვაწე იუგოსლავიული პროფესორის – მიო კაპეტანოვიჩის მონოგრაფია – „შექმდებელთან ჰიდილიში“, ეტიული მიმო მორინას პოეტურ და ფერწერულ ნაწარმოებებზე“ („ლე დეფი დე ლემპოსიბლ“).

მონოგრაფია შედგება წინასისტყუაობის, ისტერეიუს, შესაელი-სა დ ათი თაეისაგან. წინასისტყუაობა ეკუთენის ფრანგ კრიტიკოსს – ჟორჟ-ემანუელ კლანსიუს. წიგნის დართული აქეს პოეტის მრომების ბიბლიოგრაფია და ბიოგრაფიული მონაცემები.

წიგნის აეტორი – პროფ. მიო კაპეტანოვიჩი თანშიმდეერულად განიხილავს მიმო მორინას ლექსებსა და ფერწერულ ნაწარმოებებს. ამ ნამრომში პირეულად ეიგებო, რომ მიმო მორინა ყოფილა, აგრეთეე. კარგი მხატვარიე. ნამრომში განხილულია მიმო მორინას პოეტური კრებულები, რომლებიც, დროთა განმავლობაში, ქეეყნდებოდა საზღვარგარეთის ქეეყნებში. ასეთებია: „მე თიითონ გადაეიხილი“ (1955), „მარწყეები“ (1964), „უსიქე“ (1967), „მენ ხარ, დედამიწა“ (1970), „საათის ქანქარა“ (1973), „კონტრაპუნტი“ (1974), „შეპართული თიუფი“ (1978), „ბორდერი“, „პე პუაემატა“ (1986). სულ ათი პოეტური კრებული, თეშყა, პოეტს კიდეე აქეს გამოქეეყნებული 15 წიგნი სხეადასხეა ენამე.

როგორც მონოგრაფიიდან ჩანს, აეტორს დიდი მრომა გაუწეეია, დაწერილებით შეუსწავლია პოეტის ლექსები, ფერწერული ნაწარმოებები და მისი მოღვაწეობა საერთაშორისო არენამზე.

წიგნის აეტორი აღნიშნავს, რომ მიმო მორინას ლექსების წიგნებში ნათლად ჩანს პოეტისა და მხატვრის ყოელისმომცეელი ძალა, შებრძოლი ჰუმანისტის დიდი ძალა, ძაღალმხატვრულია, თეშყა, პოეტის სტილი ძუნწი და მკაყრია. სიმბოლო მიწა-ქალი თბილ ფერებშია დახატული და ორგანულად არის ჩაწნული მკაყრ არქიტექტურაში. ცხოვრებისეული, მელანქოლიური ფიქრები და წარმოსახეები ერთამანესის ოსტატურად ერწყმან. მისი ლექსები გამჰირვალეა და შინაგანი ემოციებით დატეირთული, გვაუწყებენ სიყვარულის მარადიულობას: მხოლოდ ასეთი პოეზიას არ უწერია სიეედილი.

მიმო მორინას ლექსების წიგნი – „ა კანე მოცე“ („შეპართული თიუფი“) ნაღელიანი დღეერია პოეტისა, რომლის მისწრაფებები ეერ

ეგუება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებულ დამახინჯებულ ყოფას და ამის აღმოსაფხვრელად იბრძვის. „ამოწყლებიან ჩემს ბაღში ვიროხები, წერს პოეტი ქარაგმულად, მაგრამ ბიუროკრატიული თვითშმართველობის ძალაუფლება მეგად ვერაგია, იგი მთლიანად ხელში უჭირავს „პატიოსან ადამიანებს“, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ინტრიგები, პატივმოყვარეობა, შინაური შეღული, კლასობრივი შენიღბვა, დასმენა და გაუაყიციებული შეიარაღება“.

აეგორის მართებული შენიშვნით, მიმო მორინა არის დიდი პუჩანისტი, მებრძოლი პოეტი, დანტესა და ლაბრუიერის გრადიციების გამგრძელებელი, რომელიც შეუპოვრად იბრძვის პროგრესული იდეებისათვის და ხალხებს შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მკითხველის ყურადღებას იქცევს წიგნის აეგორის ინტერვიუ პოეტთან, მსოფლიო პოეზიის მომავალი ბედის შესახებ. მიმო მორინა, აღნიშნულ საკითხზე, პასუხობს: „ჩემი მიზანი არ არის, განესაზღვრო ის, რაც უკვე განსაზღვრულია, მე, პოეტის შემოქმედებაში, პრიორიტეტს ვაძლევ ერთგულებას, მის რწმენას სინამდვილისადმი. რომ გამოხატოს თავისი ეპოქისა და ხალხის სატყეარი, იგი. უსათუოდ, პრივილეგიური მოწამე უნდა იყოს. ასეთ კონცეფციას რომ დაუპირისპირდე, ეს ნიშნავს, ევალაგო იდეას და ჩაიძირო ლოგიკის ლაბირინთში. მე ყოველთვის კეთილად ვარ განწყობილი ბედისადმი. რწმენა მაძლევდა ყოველთვის საფუძველს, გამომენახა იმედის ბილიკები. ეს იყო იმ მომენტში, როდესაც პესიმიზმი ხელს მიშლიდა, გვირაბის ბოლოში სინათლე დამენახა. თვითონ პოეტი იმედის სიმბოლოა. დავდექი ეროვნულ ურონტს მაღლა. ასეთი ყაიღის პოეტს, პესიმიზმში ჩაძირვის უფლება არ აქვს, არამედ მან უნდა განახორციელოს მოგიერთი რამ, რეალურად შეუძლებელთან კიდილში“.

ამიტომ იყო, რომ აეგორი პოეტს დაეხესხა და თავის წიგნს „მეუძლებელთან კიდილში“ უწოდა.

აეგორს შესაფერისი სათაური გამოუძებნია მონოგრაფიისათვის. სინამდვილეში, მიმო მორინა თავის პოეზიაში შეუძლებელს შესაძლებლად ხდის. არ ეშინია დაბრკოლების. მისთვის პოეზია საბრძოლო იარაღია, რომლის ძალისხმევით მას სინათლეზე გამოაქვს უღიმღამო საზოგადოება, ყოველგვარი ბიუროკრატიზმი. უსამართლობა, გახურებული მანათით ებრძვის მანკიერ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რეალიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებს მას და ხალხებს სიფხიშლისაკენ მოუწოდებს.

მიმო მორინა არის იურიდიულ-მეცნიერებათა დოქტორი. მისი აზრები იურისპრუდენციის პრიზმასშია გატარებული, ღრმა ფილოსოფიურ აზროვნებას ამაყდენებს. თავის ლირიკულ ქმნილებებში

მოხდენილად ჩხელეებს ყოველგვარ ცენზურას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ფრანგი კრიტიკოსი და პოეტი – ეორჟ-ემანუელ კლანსიე თავის შესავალ წერილში მაღალ შეფასებას აძლევს პოეტს. იგი წერს: „რა თქმა უნდა, მისი პორინა დიდი კულტურული ადამიანის მაგალითის გვაძლევს. იგი ხელოვნებას ამაღლებს რელიგიის ღონისძივ, მაგრამ ყოველგვარი ღოგმის, ჟანგაზმის გარეშე. მისი რელიგია პუმანურია, მიმართულია მშეენიერებისა და თავისუფლებისაკენ. ასე შესახება ეს შეგობარი. პატივს ეცემ მის ნაწერებს, მის მოღვაწეობას მსოფლიო პოეზიის სარბიელზე“.

პროფესორ მხო კაპეტანოვიჩის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი თავის მონოგრაფიაში ამუღავენებს საკლევი ობიექტის კარგ ცოდნას. ღრმა შეცნიერული ანალიზი, სახეშა. გულდასმით შეესწავლია ჩვენი პოეტის პოეტური კრებულები. 1951 წლიდან 1986 წლამდე. აეტორი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდებოდა პოეტი წლების განმავლობაში და როგორ მიაღწია შემოქმედებით წარმატებებს მსოფლიო პოეზიის არენაზე.

შეცნიერი განიხილავს ლექსების წიგნს – „ფსიქე“, რომელშიც პოეტი მკითხველს სთავაზობს თავის ესთეტიკურ გამოცდილებას. მისთვის პოეზია თვითმზიანი კი არ არის, არამედ, საკუთარი თავის ხელოვნურად აღმოცენა. პოეტი გვისაგავს ბავშვობისა და ყრბობის მძაფრ სურათებს, ომის სამსიელ წლებს. აქ ექვსი ლექსი მეორე მსოფლიო ომის სამსიელ აბბებს გვისაგავს, დიდი იგალიელი პუმანისტი სამარცხინო ბოძზე აკრავს პიგლერელ ფამისტებს. რომლებმაც გაანადგურეს ქალაქები, სოფლები, მიწასთან გაასწორეს კულტურის ძეგლები.

აეტორი განიხილავს, აგრეთვე, მიმო მორინას ლექსების პირვე კრებულს – „მე თვითონ გადავიხდი“, რომელიც 1955 წელს გამოვიდა. ბატონი – პროფ. მხო კაპეტანოვიჩი შეცნიშნავს, რომ მასში იგრძნობა პესიმოზმის მოტივები, მაგრამ მეორე კრებულში – „მარწყვები“ პოეტმა გაითვალისწინა ყოველივე ეს, წარმოგვიდგინა ახალი ლექსები, რომლებშიც ღრმად წვდება სინამდვილეს და ახალი ასპექტისი აშუქებს.

მონოგრაფიაში მოგანილია მრავალი საინტერესო მასალა იმაზე, რომ მიმო მორინამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა, შეაგროვა მრავალი მასალა და შემდეგ, ამ თემაზე გამოაქვეყნა საუკეთესო ლექსები, რომლებშიც რეალისტურად ასახა ევროპისა და ამერიკის სინამდვილე.

ჩემი რეცენზია აღნიშნულ მონოგრაფიაზე ღაიბუჟდა გაზეთი „კომუნისტის“ 1989 წლის 12 ოქტომბრის ნომერში, სათაურით: „კარგი იქნება, თუ ვთარგმნისი“, რომელშიც ეწერ: „პროფესორ მხო კაპეტანოვიჩის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ნამურომი დაწერი-

ლია საკელევი ობიექტის კარგი ცოდნით. წარმოდგენილი ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი ნათლად გვიჩვენებს საბელოვანი იგალიელი პოეტის შემოქმედების განვითარების ეტაპებს, დიდ ჰუმანიზმს, შემართებას, ღვაწლს ხალხთა შორის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების საქმეში. მას ახლახან შეუსრულდა დაბადების 55 წელი. ასე რომ, წინ დიდი შემოქმედებითი გზა აქვს. კარგი იქნება. თუ მწერალთა კავშირთან არსებული მთავარი მთარგმნელობითი კოლეგია ითაუებს ამ მონოგრაფიის თარგმნას. მიმო შორინა ამას ჭეშმარიტად იმსახურებს“.

მიმო შორინა სამჯერ იყო საქართველოში. უკანასკნელად, 1987 წლის ოქტომბერში, იჭავევაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობაც მიიღო. პოეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში წარმოთქვა სიტყვა დიდი ქართველი პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაზეთმა „თბილისმა“, 1988 წლის 5 ოქტომბრის ნომერში, გამოაქვეყნა ინფორმაცია, რუბრიკით: ქართული კულტურის უცხოური მერიდიანები, სათაურით: „ცნობას გვაწოდის „ინოსტრანაია ლიტერატურა“. ამ ინფორმაციაში ნათქვამია: „ქართველი მკითხველი, ალბათ, განსაკუთრებულად მიაპყრობს ყურადღებას ჟურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურას“ 1988 წლის სერეე ნომერს, რომელშიც რუბრიკით: „თვიდან თვემდე“, მიმოხილულია საერთაშორისო ჟურნალის – „ნუველ ეროპის“ 1987 წლის 54-55 ნომერი და ყურადღებას ამახვილებს ამ ჟურნალში დაბეჭდილი ქართველი მეცნიერების: ვასტონ ბუაჩიძისა და სერგო თურნაძის სტატიებზე, რომლებიც ქართული ლიტერატურის საკითხებს შეეხება. ჟურნალის აღნიშნული ნომერი, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოდის ლუქსემბურგში, იგალიელი პოეტისა და კულტურის მოღვაწის, „მსოფლიო პოეტთა ორგანიზაციის“ გენერალური მდივნის – მიმო შორინას ხელმძღვანელობით, მკითხველებს აცნობს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას. ნომერი იხსნება შოთა რუსთაველის პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ დიდი ნაწყევლით. შესავალ სტაგიაში მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე ვასტონ ბუაჩიძე რუსთაველის ნაწარმოებს, მისი თანამედროვე მწერლების: ბერგრან დე ბორნის, ეოლფრამ ემენბახელისა და კრეტიენ დე გრუას შემოქმედებასთან შეპირისპირებით განიხილავს. ჟურნალი გვამცნობს, რომ 1988 წელს ფრანგულ-საბჭოთა გამოცემლობაში გამოვა პოემის თარგმანის სრული გეჟსტი, რაც მას მისაწოდომს გახდის ფრანგულენოვან სამყაროსათვის.

„ნუველ ეროპ“ აქვეყნებს მეორე ქართველი კლასიკოსის – ილია ჭავჭავაძის ლექსების სერგი წულიაძისეულ თარგმანებს, რომლებსაც წამძღვარებული აქვს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, საფრანგეთის არტურ რეშბოს კულტურის ცენტრის წევრ-კორესპონდენტის – სერგო თურნაიას სტაგია. აეგორი მეგვახსენებს, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ასახული გლობალური პრობლემები დამაკავშირებელი რგოლი იყო ქართულ და ფრანგულ ლიტერატურებს შორის. ამის დასტურია ეურნალ „ივერიაში“ დაბეჭდილი ვიქტორ პიუგოს. ანდრე მენიეს, ონორე დე ბალმაკისა და ემილ მოლას ნაწარმოებები.

ლექსებზურგის ეურნალის ფურცლებზე მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის ლექსების და 1772 წელს გამოსცემული „ვეფხისტყაოსნის“ ფოტოფირები, აგრეთვე, ახალგაზრდა მხატვრის – რესუდან ფეგვიამიელის მიერ შესრულებული რუსთაველის პორტრეტი.

პუბლიკაცია მოაერდება სერგო თურნაეას მეორე სტაგიით, რომელიც ეძღვნება ქართული მწერლისა და მეცნიერის – გიორგი ციციშვილის შემოქმედებას.

ასეთივე ინფორმაცია გამოაქვეყნეს გაზეთებმა: „კომუნისტი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ინფორმაცია უფრო ვრცელია და სრულყოფილი. დაიბეჭდა იგი 1988 წლის 25 თებერვლის ნომერში, სათაურით „ნუვილ ეროპის“ ფურცლებზე. საერთაშორისო ეურნალის ბოლო ნომერში დიდი ადგილი ეთმობა ქართულ თემატიკას“. აქ ნათქვამია: „საერთაშორისო ეურნალ „ნუველ ეროპას“ ხელმძღვანელობს ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, ლექსებზურგის დიდ საპერეოგოში მოღვაწე იგაღიელი პოეტი – მიმო მორინა, რომელმაც ახლაჰან მონაწილეობა მიიღო იმ საიუბილეო დღესასწაულში, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი პოეტის – ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს. მიმო მორინა ქართული მწერლობით 70-იან წლებში დაინტერესდა. იგი თავისი ეურნალის ფურცლებზე სისტემატურად ათავსებს ქართველი პოეტების ლექსების თარგმანებს, ოთხ უცხოურ ენაზე: ფრანგული, იტალიური, გერმანული და ინგლისური. აგრეთვე, სტაგიებს ქართველ მწერლებსა და მეცნიერებზე.

ამ დღეებში, თბილისში მიღებულია „ნუველ ეროპის“ 1987 წლის 54-55 ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია თბილისის უნივერსიტეტის ფრანგული ფილოსოფიის კათედრის გამგის – პროფესორ ვასტონ ბუაჩიძის სტაგია – „მზიანი ღამე“. რომელიც მოთა რუსთაველს ეძღვნება. ეურნალში გამოქვეყნებულია, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ მისივე პოეტური თარგმანი, ფრანგულ ენაზე, 851-ე სტროფიდან 895-ის ჩათვლით. ფრანგული ეურნალის რედაქცია მკითხველს აუწყებს: „ვასტონ ბუაჩიძემ ქართულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც მოლიანად წარმოდგენილია 1587 სტროფი. ყველა სტრიქონი გარიტმულია, თარგმანი გამოეა 1988 წელს. მას ერსობლივად გამოსცემს მოსკოვის გამომცემლობა – „რადუგა“ და საფრანგეთის გამომცემ-

ლობა - „ორიენტიკალიზმ“. რუსუდან ფეტეიაშვილის ილუსტრაციებით.

კერძოალი აქვეყნებს, აგრეთვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის - სერგო თურნაიას სტატიას - „ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად, მისი დაბადების 150 წლისთავის გამო“.

აგორი მოუთხრობს მკითხველებს დიდი ქართველი მწერლის - ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. აქვე, დაბეჭდილია ილიას სამი ლექსი: „მეშა“, „როცა მოეკედები“, „პარიზის კომუნა“, ფრანგულად თარგმნილი სერგი წულაძის მიერ. იქვე, დაბეჭდილია სერგო თურნაიას მეორე წერილიც - „გიორგი ციციშვილი - თანამედროვე საქართველოს გამოჩენილი მეცნიერი და მწერალი“, რომელიც ეძღვნება მეცნიერის დაბადების 65 წლისთავს. აგორი უცხოეთის მკითხველებს აცნობს იმ დამსახურებას, რომელიც გიორგი ციციშვილს მიუძღვის დიდ სამამულო ომში ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე, მეცნიერებასა და მწერლობაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიმო მორიხა არის დიდი საზოგადო მოღვაწე, მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი პოეტური ანთოლოგიის გამოყენება და საერთაშორისო სიმპოზიუმების მოწვევა. ამ მხრივ, მკითხველის ყურადღებას იქცევს პოეტური ანთოლოგია - „თილაგა“, რომელიც 1985 წელს გამოსცა საერთაშორისო გამომცემლობა „ეროდიტორმა“. საფრანგეთის კულტურული და გეოსიკური თანამშრომლობის ფინანსური დახმარებით, წინასიტყვიანობა იტალიელი მწერლის ჯიანკარლო ვიგორელისა, სურათები - ეაკიე კერგოსი, ხელოვნებისა და ლიტერატურის კოლექცია - ლუქსემბურგელი პოეტისა და მთარგმნელის - ნელეკოსტევენშორინასი. ანთოლოგიაში შევიდა მსოფლიოს პოეტების ლექსები, თარგმნილი ფრანგულ ენაზე და იქვე, წარმოდგენილია ორიგინალური.

ამ წიგნს არც მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიის პრეგენზია აქვს და არც - ზღვისაღმოსავლეთის მკითხველისა. მასში დაბეჭდა, მხოლოდ და მხოლოდ, მსოფლიოს მოწინავე 46 პოეტის ლექსები, რომლებიც 1968 წლიდან აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ იმ სიმპოზიუმებში, რომლებიც მსოფლიოს პოეტთა ასოციაციის ხელმძღვანელობით გაიმართა. უცხოელი პოეტების ლექსები თარგმნილია ორიგინალიდან ფრანგულად, 27 მთარგმნელის მიერ, ძარღვიანი ფრანგული ენით.

საბჭოთა კავშირიდან ანთოლოგიაში შევიდა მხოლოდ ქართული პოეტის - გრაბაშვილის ორი ლექსი: „შავი ზღვა და მერცხალი“ და „შავ ზღვაზე თქმული თეთრი ლექსი“, ქართულიდან თარ-

გმნა გასტონ ბუაჩიძემ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გრ.აბაშიძე, გასტონ ბუაჩიძე და ამ სტრუქტურების ავტორი მიწვეულნი იყვნენ სიმპოზიუმზე, მაგრამ, მოუცულობის გამო, ვერ დაესწრნენ.

აღნიშნულ ანთოლოგიაში მიმო მორიხამ წარმოადგინა ლექსები: „მეიდი მეუღრო აღგილი ერთ კენძულზე“, „ჩემი სიყვარული“, „ეველაფერი“ და „აურიკა“ (იგალიურიდან თარგმნა ურანგმა პოეტმა – გიგეიკმა).

საერთაშორისო გამოშვებულობა „ეროელიტორმა“ 1989 წელს გაიმოსცა ანთოლოგია – „სიერელები“, გონების ეკოლოგიის საძებნელად, ესპას ალა რემერმ დიუნ ეკოლოგი დე ლესარი).

როგორც ცნობილია, 1986-1987 წლებში, მედგა მსოფლიოს პოეტთა კონგრესები, სადაც მიიღეს რეზოლუცია: „გარემოს დაცვა, როგორც აუცილებელი პირობა მხატვრული შემოქმედებისა და როგორც ფაქტორი კულტურული განვითარებისა“.

სიგვეით გამოსულმა ორატორებმა შემოთავაზებთ აღნიშნეს, რომ, ახლანდელ ეტაპზე, აღამიანები პრობლემების წინაშე დგანან, აღამიანის შემეგობით, ბუნება კვდება, ფაუნა, ზღვისა და ხმელეთის ფლორა ფერს იცვლის, საჭიროა ქმედითი ზომების მიღება მათ გადასარჩენად.

აი, ამ პრობლემებს ეძლეება აღნიშნული ანთოლოგია, რომელიც იხსნება ქართველი პოეტის – გრიგოლ აბაშიძის სამი ლექსით, რომლებშიც პოეტი ესება ბუნების დაცვის მნიშვნელოვან პრობლემებს.

ასევე, ანთოლოგიაში აღნიშნულ თემაზე შესანიშნავი ლექსები წარმოადგინეს მსოფლიოს პოეტებმა: ესპანელმა – რაფაელ ალბერტიმ, ურანგმა – ეორე ემანუელ კლანსიემ, გერმანელმა – გიუნტერ გრასიმ, კანადელმა – ეორე იონსტონმა, იგალიელმა – მარიო ლეციმ, დანიელმა – ივან მაღისიოესკიმ, ურანგმა – ეაკიუ ეუტომ, რუსმა – იოსებ ბროდსკიმ, ლუქსემბურგელმა – ანრი ბლეზიმ, ლუქსემბურგში მოღვაწე იგალიელმა პოეტმა – მიმო მორინამ და სხვებმა.

ავრეითე, აღსანიშნავია ამ თემაზე დაწერილი ნარკვევები, რომლებიც წარმოადგინეს: ბლემიმ, კარერმა, შურაკიმ, კუუონმა, კრისტინიმ, ფელიტიანომ, გასკონიმ, ჯერბინიმ, მარიანომ, მილანოსმა და ოჩიპინგიმ.

ლექსებსა და ნარკვევებში აღნიშნულია, რომ, ახლანდელ ეტაპზე, კაცობრიობის წინაშე დგას მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა, დავიყუთ გარემო და კაცობრიობა გადაეარჩინოთ მოსალოდნელი დაღუპვისაგან.

მეტად საინტერესოა მიმო მორინას ლექსები, რომლებიც პოეტმა მიუძღვნა გარემოს დაცვის პრობლემებს.

ბანუყრალი მიწა შვიდი ინგუიციე ერთი ჭაშმარიტებისათვის

I

გარინდებულა დედამიწა
და ელის ღიმილს –
ამოზიდულს მიწის ხნულიდან;
წვიმის წამოსელას,
მშის მობრძანებას
და ქარის თარეშს,
განახლებისკენ რომ მიაქანებს
ცხოვრებას ჩვენსას.
ასე, მარადეამს,
გაცხადდება იღუპალი ჭეშმარიტება.

II

და ვერრა ძალა ვერ დამაეჭვებს,
რომ არ არსებობს დაფარული, რაც არ გაცხადდეს.
უიხული ზეცაში შეთქმულ ვარსკვლავებს,
დავსკერი, როგორ იფერჩენება მანგად ყვაილი
და
მეფიქრება, რომ მიწა ჩვენ ვართ,
გაჩენის დღიდან რასაც ვატარებთ ჩვენსავე სისხლში.
დაუსაბამო განთიადების
და დაისების მარადი
მიწა.

III

თუ წამიერად სულით დაეცა ადამიანი,
არაფერია,
აღგება ისევ.
ეს არის მსოლოდ –
ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს
და გაღვივდება
ჩვენში ყოველი,
რაც კი მარცვალი
გვითესია გულუხვ მიწაში.

IV

ასე მოვდივართ რომ კელაე დაებრუნდეთ

იქ, საიდანაც გუშინ მოყვდიო.
უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი,
რათა შევეროთ მარადისობას.
გვიყვარდეს ერთმანეთი,
რადგანაც მიწა, თუ შეპლებს,
ისევე ჩვენი სიყვარულით
კელაე აყეაებებს.

V

ჩემო სიცოცხლე,
თუ დაიჯერე ჩემი სიტყვების ჭეშმარიტება
მიწის გულიდან ამონათქვამი,
მიტომ ხომ არა,
რომ აღარ იყოს ქვეყნად სიკვდილი?
ხეთა რიგებში სიო რონინებს თაედაეიწყებით,
და კელაე მიწები...
ოკეანეებს ენაცულებიან
ისევე მიწები.
ასე ვიყავით ადამის ძენი –
წყლისა და მიწის ზიგზაგებს
შორის მარად ცთომილნი.

VI

საკმარისია თუნდ ერთი კენესა,
მცირე ღიმილიც
და აღმოხდება ასე ნათელი,
შეხმატკბილებულ ორი მეტოქის
ფარულ ჭიდილში.

VII

და როცა შენში დაეივანებთ,
მშობელო მიწავ,
ჩვენ შევიინიეთებთ
ლორთქო ბალახის უნაჩეს სუნთქვას
და წრფელ სინათლეს,
მზესუმზირის
მორცხვი მზერიდან.
(იტალიურიდან თარგმნა ნუნუ გელაძემ)
თბილისი, 1990 წლის 14 თებერვალი.

როგორც ცნობილია, 1987 წლის ოქტომბერში ჩატარდა ილია
ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილე, რომელშიც მონა-
წილეობა მიიღეს მსოფლიოს გამოჩენილმა მწერლებმა და მეცნი-
ერებმა. მათ შორის, ზეიმში აქტიური მონაწილეობა მიიღო მემო-
სორიანამ.

სამშობლოში გამგზავრების წინა დღეს, მემო მორინა წაეიყუა-

ნე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში. ესაუბრა გაზეთის რედაქტორს ელ.ჯაფელიძეს და რედაქციის სხვა მუშაკებს.* (* მოთარგმნელობა გასწია ამ სტრუქტურების ავტორმა.) პოეტს მისცეს მრავალი კითხვა, მან უპასუხა დასმულ კითხვებზე და აღნიშნა, რომ იგი დაინტერესებულია საქართველოს მწერლებთან კონტაქტების დამყარებით. როცა ღრმად გაეცნობა ქართულ კულტურას, დაწერს ნამუშაოს საქართველოზე. პოეტს შეეკითხეს, რა იუმარზე წერს ლექსებს, მან უპასუხა, რომ იგი წერს ლირიკულ ლექსებს, აკრიტიკებს თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას. შემდეგ, ლაპარაკი ჩამოვიარდა ილია ჭავჭავაძეზე, მან თქვა: „ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში და მის პიროვნებაში განსაკუთრებით მხიბლავს მწერლის სოციალური პოზიცია და, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სწორედ, ეს არის მწერლის, პოეტის მოქალაქეობრივი ვალი, სწორედ, ამ კუთხით ფასდება მწერლის შემოქმედება. ილია ჭავჭავაძე საქართველოსათვის უკვდავია... რვა წლის წინათ ვიყავი „ოქროს საწმისის“ ქვეყანაში. საქართველო თავისი ზნე-ჩვეულებებით, ადათების სიმრავლით, მშობლიურ სიცილიას მაგონებს. აქ ჩემთვის ყველაფერი მშობლიურია – ადამიანური სიტბო, აზროვნების ფორმა. ცოცხალი, ხატოვანი მეტყველება. ბუნების ფანტასტიკური აღქმა. ალბათ, ყველაფერმა ამან განაპირობა, რომ საქართველოში ბევრი კარგი მეცობარი შეუძინე – გრიგოლ აბაშიძის, გასტონ ბუაჩიძის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძისა და სერგო თურნაიას სახით. ეურნალი, რომლის ღირეტიტორიუ გახლავართ. ხშირად უთმობს ადგილს ქართველ მწერალთა შემოქმედებას. ჩვენ ებეჭდავთ წერილებს ქართულ ხელოვნებაზე, კერძოდ, ქართველ მხატვრებზე, ეურნალმა, სხვადასხვა დროს, გამოაქვეყნა წერილები ნიკო ფიროსმანის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილისა და ნათელა იანქოშვილის შემოქმედებაზე. ჩვენი ეურნალის სამუალებით, ფრანგი მკითხველები გაეცნენ: გრიგოლ აბაშიძის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის პოეზიის ფრანგულ თარგმანებს. ამასთანავე, ეედილობით ცოცხალი, უშუალო კონტაქტების დამყარებას. ჩემი მოწვევით ლექსებბურგში იყენენ: ანა კალანდაძე და ოთარ ჭილაძე. შეგად სასიამოენო ფაქტად რჩება ისიც, რომ თბილისში, აღმანახ „საენჯეში“ დაიბეჭდა ჩემი პოემა „შენ ხარ, დედამიწა“, ფრანგულიდან თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ, ხოლო გამომცემლობა „მერანში“ კრებულიც მზადდება და, ალბათ, მალე გამოვა“.

მიმო შორინა დაინტერესდა ქართველი მხატვრის – გურამ პაპინაშვილის ნამუშევრებით. ჩვენ მიმო შორინა, 1987 წლის 27 ოქტომბერს, მივიყვანეთ მოქანდაკის სახელოსნოში (კლარა ეტკონის ქ.118). სტუდარმა დაათვალიერა მხატვრის შიურ, სხვადასხვა დროს, შესრულებული გრიგოლ ჩიქოვანის, რეიამ ჯაფარიძის, შოთა

ნიშნისაღების, კახტანჯ ჯავახაძის, მორის ფოცხიშვილის, ოთარ შამ-
ფორიას, კახი კაკაბაძის, სერგო თურნაიასა და სხვათა პორტრეტე-
ბი.

იტალიელ პოეტს, განსაკუთრებით, მოეწონა პორტრეტები: „თბი-
ლისელი მოქალაქე“, „მოხუცის განწყობილება“, „მხატვრის პორ-
ტრეტი“, „ვიკა“, „მეგობრის პორტრეტი“, „ღთაყაიშვილი“, „მოქან-
დაკე მეგობრის პორტრეტი“ და სხვ. შემდეგ, მიმო მორინამ თქვა:
„როგორც ჩანს, პორტრეტი მხატვრის საყვარელი ჟანრია. ყველა
პორტრეტი შესრულებულია ოსტატურად. იგი გამოსერწილია რე-
ალისტური სტილით. ექსპრესივით შეპყრობილი წარმატებებს“.

გურამ პაპინაშვილმა სკუპარს სოხოვა ნებართვა, გაეკეთები-
ნა იქვე მისი პორტრეტი. პოეტი დაეთანხმა. მოქანდაკემ ჩემს თვალ-
წინ, ორი საათის განმავლობაში, გამოსერწა მისი მორინას პორ-
ტრეტი. როდესაც პორტრეტი დაათვალიერა, მან თქვა: „მე არ მე-
გონია, რომ ბატონი გურამი ასეთ მცირე ღროში თუ შეიძლებდა
პორტრეტის გამოსერწვას. განსაკუთრებულად მისმა ხელოვნებამ“.

მხატვრის სახლში, სხვა პორტრეტებისან ერთად, გამოფენილია
მისი მორინას პორტრეტი. გაპაპინაშვილმა მიიღო მისი მორინას
წერილი, რომელიც დათარიღებულია 1987 წლის 25 დეკემბრით.
წერილში ვკითხულობთ: „ჩემზე ძალიან დიდი მთაბეჭდილება მო-
ახდინა გაგაცემამ. მოკლე ხანში რომ გამოაქანდაკეთ ჩემი ბიუს-
ტი. ეხსების სისწრაფემ და სრულქმნილებამ, რომლითაც თქვენ
გამოსახეთ ჩემი სახის ნაკეთების ყველაზე ღრმა თავისებურება-
ნი, გასაგები გახდა ჩემთვის, რომ თქვენი ხელოვნება თავისუფ-
ლად იჩენს თავს. მე ძალიან პატივით ვარ თქვენი ამ დიდებული
ქმნილებისათვის, რომლის ასლს, იმედია, მივიღებ. მანამდე,
გთხოვთ, გამომიგზავნოთ ამ პორტრეტის ფოტო, რათა ვუჩვენო
ჩემს თანამშრომლებს და მეუღლეს.“

განზრახვა მაქვს, ეურნალ „ნუეელ ეროპის“ ფურცლებზე გამო-
ვაქვეყნო სტატია თქვენზე, როგორც სკულპტორ-პორტრეტისტის
შესახებ. პიროვნება, ვისაც მეუძლია ამის შესრულება კომპეტენ-
ტურად და სრულქმნილი ლიტერატურული ფრანგულით, არის პრო-
ფესორი გასტონ ბუაჩიძე, ჩემი ეურნალის თანამშრომელი. გირ-
ჩევთ, მას მიმართოთ“.

(იხ. სერგო თურნაიას სტატია – „მეგობრობა გზად და ხიდად“,
რომელიც გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ 1988
წლის 4 მარტის ნომერში).

მისი მორინამ შეასრულა თავისი დაპირება. „ნუეელ ეროპის“
1988 წლის 56-57 ნომერში გამოქვეყნდა პროფ. გასტონ ბუაჩიძის
სტატია – „პორტრეტის ლაბირინთებში“, საუბარი ქართველ მო-
ქანდაკე გურამ პაპინაშვილთან. ავტორი უცხოელ მკითხველს მო-
უთხრობს ქართველი მხატვრის მოკლე ბიოგრაფიას. მის შემოქ-

მედლებით წარმატებებზე, რომლებიც მხატვარმა მოიპოვა წლების განმავლობაში საქართველოში, მოსკოვსა და ლენინგრადში მოწეობილ გამოფენებზე. საუბარი შემდგარა მხატვრის სასელოსნოში, 1988 წლის იანვარში. სტაგიის ავტორი მხატვარს აძლევს მრავალ შეკითხვას და მხატვარი ამომწურავად პასუხობს.

გურამ პაპინაშვილმა მიმო მორინას პორტრეტი ჩამოასხა ბრინჯაოში და, ეს საჩუქარი მიმო მორინას ლექსებშერგში წაუღეს, 1989 წლის 5 მაისს: გრიგოლ აბაშიძემ და გასტონ ბუაჩიძემ. გრ.აბაშიძემ და მიმო მორინამ, პორტრეტთან ერთად, გადაიღეს ფოტოსურათი. იგალიელმა პოეტმა გურამ პაპინაშვილს გამოუგზავნა სამადლობელი წერილი და, ამავე დროს, საჩუქრად ორი მედალიონი, თავისი და მეუღლის გამოსახულებით, სათანადო წარწერით. მედალიონი გაკეთებულია ფრანგი მოქანდაკეების – ეულიენ და ნინა ლეფევერების მიერ.

მიმო მორინას წაუკითხავს აკად. შოთა ძიძიგურის წიგნი – „ქართველები და ბასკები“, რომლის შესახებ წერს: „ქართველები და ბასკები ნამდვილად მონათესავე ხალხები არიან, მეც ბასკების შტოს ეეკუთვნი. ჩემი თბილისში ყოფნისას, ასე მომხიბვლელი რომ არის, შევნიშნე, რომ საქართველოსა და ჩემს სამშობლო – სიცილიას შორის, არის საერთო მსგავსება“. წიგნის ავტორი, 116 გვერდზე, მსჯელობს სიცილიელებზე, რომლებიც ძველად ჩამოსულნი არიან აღმოსავლეთი იბერიიდან. ნება გვიბოძეთ, ამიერიდან ქართველებს ძმა ეუწოდო.

მიმო მორინამ თბილისში ყოფნისას, 1987 წლის ოქტომბერში, სასტუმრო „ივერიაში“, გაიხსო მწერალი რევაზ მიშველაძე, რომელმაც მას აჩუქა თავისი ნოველების ახალი წიგნი.

მიმო მორინა ერთ-ერთ წერილში გვწერს: „ძალიან მომეწონა ახალგაზრდა მწერლის – რევაზ მიშველაძის ნოველების წიგნი. მე ვთხოვე ჩვენი რედაქციის გენერალურ მდივანს – მწერალ როზმარი კიფერს, შეარჩიოს რამდენიმე ნოველა და თარგმნოს ფრანგულ ენაზე და მოამზადოს ეურნალში გამოსაქვეყნებლად. მოსაგონებლად გიგზავნით ფოტოსურათს, სასტუმრო „ივერიაში“ ერთად რომ გადავიღეთ, ჩემი აპარატით. როგორც კი დაიბეჭდება თბილისში ჩემი ლექსების წიგნი, მე და ჩემი მეუღლე – ნეკელ ოსტევენი ჩამოვალთ საქართველოში. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი მხურვალე სალამი ჩემს ქართველ კოლეგებს“.

მიმო მორინას უშუალო კონტაქტები აქვს დამყარებული ქართველ მწერლებთან და მეცნიერებთან: გასტონ ბუაჩიძესთან, გრ.აბაშიძესთან, ანა კალანდაძესთან, ოთარ ჭილაძესთან, გურამ პაპინაშვილთან, სერგო თურნავასა და სხვებთან..

მოვიგანთ მოგიერთი წერილს, რომელიც ეხება ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებს. 1986 წლის 13 ოქ-

გომბრის წერილში მიმო შორინა გვწერს: „მე უკვე მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი წიგნი – „ქართულ-საბღვარჯარეოული ლიტერატურული ურთიერთობანი“, რომელიც გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ. ამ წიგნში თქვენ დიდსულოვნად მიძღვნით ურეულ სტატიას, ქართულ მკითხველს აცნობთ ჩემს შემოქმედებას, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

სისხლით ნათესაობა, რომელიც აკავშირებს ჩვენს ორ ხალხს და რომელიც გამოხატულია წინაპართა მრავალ მწე-ჩეულებად, დღეს ვაცოცხლებულია ორივე ხალხის წარმომადგენელი მწერლების მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით. თქვენი წერილით გავიგე, რომ თქვენი მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის – პროფ. გიორგი ციციშვილის მიერ მოწვეული ვიქნები საქართველოში, რაც ჩემთვის დიდი პატივისცემა და სიამოვნებაა. ეს მოგზაურობა საშუალებას მომეცემს, გავიცნო წლების მანძილზე მტკიცე კულტურული ურთიერთობით დამყარებული მეგობრები და ძმობის სულისკვეთებით წარმოეჩინო ჩემს ნაშრომებში თქვენი ხალხის სულსერი საპყარო, რომელმაც დასაბამი მისცა ჩემს წინაპარ სილიკანებს.

ძალიან მომეწონა ქართველი მხატვრის – გურამ პაპინაშვილის მიერ გამოქვეყნებული თქვენი პორტრეტის პლასტიკური ინტენსიობა. მხატვარმა ოსტატურად შესძლო თქვენი ხასიათის ძალის წარმოჩენა. ეფიქრობ. ეს მშვენიერი პორტრეტი დაამშვენებს იმ სტატიას, რომელსაც ჩემი მრჩეველი, მწერალი ქალი – როზმარი კიფერი მიუძღვნის თქვენს მეცნიერულ და სამწერლო მოღვაწეობას. რა თქმა უნდა, სტატიას, პორტრეტთან ერთად, გამოუაქვეყნებ „ნუიელ ერომის“ ჟურნალებზე.

როგორც თქვენ შთამბავთ, კონტაქტები დავამყარე იგალიში მოღვაწე პროფესორ ლუიჯი მაგაროტოსთან, შემპირდა სტატიას თანამედროვე ქართულ პოეზიაზე, სადაც მიმოხილული იქნება მის მიერ იგალიურ ენაზე თარგმნილი თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები.

როგორც ხედავთ, ჩვენი ლიტერატურული კონტაქტები მომავალში უფრო გაღრმავდება. იმედი მაქვს, რომ თქვენი მეგობარი – მწერალი და მეცნიერი გასკონ ბუაჩიძე დაუყოვნებლივ დაიწყებს თანამშრომლობას ჩემს ჟურნალში და, ფრანგულენოვანი სამყაროსათვის, გამოაქვეყნებს სტატიას ქართული ლიტერატურის საკითხებზე. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულითადად საღამო ბატონ გასკონ ბუაჩიძეს და გთხოვთ, მომწეროს წერილი, რადგან მისგან დიდი ხანია, რაც წერილი არ მიმიღია. კიდევ ერთხელ გმადლობთ სტატიისათვის, რომელიც მიუძღვენი ჩვენს მიერ გამოცემულ მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიას, სათაურად ბერძნული სახელწოდება – „თალატა“ (ზღვა) რომ მიეყიით.

მალე ცალკე გაახლებთ ჩემი ლექსების ორ ბოლო კრებულს. პირველის სახელწოდებაა „პუაქმაგა“, რომელიც ეძღვნება შემოქმედ ადამიანს. იგი ლექსებურგის დიდ საპერეოგომი დაიბეჟდა სამ უეხო ენაზე. მეორე კრებული – „ილა მაე“, დაიბეჟდა ლისა-ბონში, პორტუგალურ ენაზე“.

„დიდი ხანია, რაც ვფიქრობდი თქვენთვის წერილის მოწერას, მაგრამ სამუალება არ მომეცა, რისთვისაც დიდ ბოდიშს ვიხდით. რამდენიმე კეირაა, რაც კანადიდან დაებრუნდი.

მადლობას მოგახსენებთ თქვენი თავაზიანი წერილისათვის. გარწმუნებთ, რომ მასალები, რომლებიც გამოგვიგზავნით, მიღებულია რელაქსიამი და უცდის მომენტს გამოქვეყნებისათვის. თქვენ. ჰემმარიტად, ეულკანი ხართ, მთელი თქვენი სიცოცხლისუნარიანობით, ადამიანური კორპუსითა და გონებით, პოეტებსა და მხატვრებს ხელშეწყობ ატმოსფეროს რომ უქმნით.

რამდენიმე კეირამი თბილისში გამოვა ქართულად თარგმნილი ჩემი ლექსების კრებული – „ოქროს საწმისის საძებნელად“. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მასზე დაწერთ რეცენზიას და მისიკით სათანადო შეფასებას“. (ლექსებურგი, 1989 წ. 31 ოქტომბერი).

„მე უკვე მივიღე თქვენი წერილი. 1989 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული. ამ წერილში თქვენ მიგზავნით იმ სტატიებს, რომლებიც დაბეჟდით ქართულ პრესაში იეგოსლავეილი მექსიერის – მიმო კაპეტანოვიჩის წიგნზე – „მეუძლებელთან ჰიდილში“. აგრეთვე, კერნალ „ნუველ ეროპისა“ და ანთოლოგიის შესახებ. დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ დიდი ინტერესისა და თავაზიანობისათვის რომელთაც ჩემი ნამრომებისადმი იჩენთ.

ვიმედოვნებ, რომ თბილისში მალე გამოვა ჩემი ლექსების კრებული – „ოქროს საწმისის საძებნელად“ და თქვენ გამომიგზავნით ერთი ეგზემპლარს.

რაც შეეხება თქვენს სტატიებს აკაკი წერეთელსა და ირაკლი აბაშიძეზე, რომლებიც გამომიგზავნით. ორი სტატია და იბეჟდება „ნუველ ეროპის“ 1990 წლის პირველ კვარტალში. ხოლო 1989 წლის ბოლო ნომერში იბეჟდება მასალები, ჩემი შეგობრების: გრითოლ აბაშიძისა და გასტონ ბუაჩიძის ლექსებურგში მოგზაურობასთან დაკავშირებით.

მალე მოეძებნი იტალიური ენის გრამატიკას ფრანგულად, აგრეთვე, იტალიურ-ფრანგულ ლექსიკონს და მოკლე ხანში გამოგიგზავნით იმ იმედით, რომ მომავალი შეხვედრის დროს, თბილისში გელაპარაკოთ იტალიურ ენაზე. ძალიან ვაძაყობ იმით, რომ თქვენ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეთ, რაც მე უდიდეს ალერსს მგერის და სიხარულით მავსებს. მე და ჩემი მეუღლე – ქალბატონი ნელეკ ოსტვეენი გადმოგვცით მხურვალე სალაშს და საუკეთესო

სკრეილებს შობასთან დაკავშირებით“ (ლექსიკონური, 1989 წლის 27 ნოემბერი).

როგორც გრიგოლ აბაშიძე სამართლიანად აღნიშნავს, მიმო მორინა ნამდვილად იმსახურებს ქართველი ხალხის ყურადღებას იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მიუძღვის ქართული კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის საქმეში. მიმო მორინა ქართველოლოგები არ არის, მაგრამ უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე რიგითი ქართველოლოგი. იგი შესანიშნავად აგრძელებს იგალიის კულტურის მოღვაწეთა ძველ გრადისებს. ამიტომ ჩვენ მის წინაშე ვალში არ უნდა დავრჩეთ. ქართულ ენაზე უნდა ითარგმნოს პროფ. მიო კაპეგანოვიჩის მონოგრაფია – „მეუძღვებელიან ჭიდილში“. ამ საქმეში მხარს გვიჭერს გაზეთი „კომუნისტი“. იხილეთ ჩვენი რეცენზია – „ქარგი იქნება, თუ ვთარგმნით“ („კომუნისტი“, 1989, 12 ოქტომბერი).

დღემდე ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე სტატია: „მიმო მორინა და ქართული მწერლობა“, „კრიტიკა“ № 1, 1988, 208-217), „მიმო მორინა და ქართული კულტურა“, კრებული „ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობანი“, „მეცნიერება“ (1986, 108-121), „მეგობრობა გზად და ხიდად“ („ლიტერატურული საქართველო“, 1988, 4 მარტი), „ქართული კულტურის დიდი მეგობარი“ („საბჭოთა ოსეთი“, 1988, 1 ივლისი), „მიმო მორინა და ქართული მწერლობა“ („ლიტერატურული საქართველო“, 1984, 24 აგვისტო), „ჩვენი კულტურის მეგობარი“ („წიგნის სამყარო“, 1982, 22 სექტემბერი), „საქართველო ჩემი სიხარულია“ („სოფლის ცხოვრება“, 1987, 22 სექტემბერი), „მონოგრაფია მიმო მორინაზე“ („სახალხო განათლება“, 1990, 10 იანვარი), „გრუზია ნა სგრანიცაჲ „ნუველ ეროპ““ („გარია ეოსტოკა“, 1989, 31 აგვისტო), „ნუველ ეროპ“ ო გრუზინსკოი ლიტერატურე“ („მოლოდე გრუზი“, 1988, 13 ოქტომბერი). აღნიშნულ სტატიებში მოკლედ გაშუქებულია მიმო მორინას შემოქმედების ზოგიერთი საკითხი.

ბაგონი მიმო მორინა არის პალერმოს უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ფლორენციის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს პოლიტიკური მეცნიერების საკითხებზე. 1982 წლიდან არჩეულია მსოფლიოს პოეტთა ასოციაციის გენერალურ მდიენად. არის რომის თაჩამელროვე ლიტერატურის შემსწავლელი ინსტიტუტის წევრი.

მიმო მორინამ იმოგზაურა ამერიკის ქვეყნებში და წაიკითხა ლექციები კოლუმბის, ნორმანის, სტანფორდის, სანჯოზესა და ბერკლის უნივერსიტეტებში. აგრეთვე, ჩინეთის, იაპონიის, კორეასა და ტაილანდის უნივერსიტეტებში.

თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილმა წარმომადგენელმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ – გრი-

გოლ აბაშიძემ კარგა ხანია, რაც აღიარება ჰპოვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ, საზღვარგარეთაც.

საზღვარგარეთის მკითხველები, კრიტიკოსები, მწერლები და მეცნიერები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი სახელოვანი ქართველი მწერლის ცხოვრება-შემოქმედებისადმი. მისი ლექსები, პოემები, პიესები, მოთხრობები და რომანები ითარგმნება უცხოურ ენებზე და, ამჟამად დროს, მწერლის შემოქმედებაზე იბეჭდება ნაშრომები უცხოეთის პრესაში.

მწერალმა, განსაკუთრებით, სახელი მოიხვეჭა: საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, გერმანიაში, ისტონიაში და სხვა ქვეყნებში.

ჩვენს მწერალს ხშირად იწვევენ საზღვარგარეთ გამართულ კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე, რომლებიც ეძღვნება მშვიდობის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. მწერალს საზღვარგარეთ ჰყავს ბევრი მეგობარი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართული კულტურის საკითხებით.

ბელგიელმა პოეტმა ანდრე გლოდმა ფრანგულ ენაზე თარგმნა მისი ლექსები – „შვიდი მეციხოვნე“, „მწვერვალებისაკენ“ და „გაზაფხულის ყვავილი“ და მიუძღვნა ცალკე სტაგია.

აღგორი ერცლად განიხილავს გრ.აბაშიძის შემოქმედებას, აძლევს მას მაღალ შეფასებას და ბოლოს, დაასკვნის: „საბჭოთა საქართველოს ჰყავს მწერლების შესანიშნავი პლეადა. გრ.აბაშიძე აგრძელებს ქართული ლიტერატურის გრადიციებს. საბჭოთა ეპოქაში, საქართველოში დიდი ცვლილებები მოხდა, ახლა იქ ულამაზეს ქალებს აღარ ცელიან არაბულ ცხენებზე და დამასკურ სპლებზე. ეს არის კოლმეურნეებისა და მუშების ქვეყანა. კავკასიას აქვს თანამედროვე გექსია, პიდროცენტრალები. გრ.აბაშიძე არის ამ გიტანური ცვლილებებისა და ძველი კოლხეთის რადიკალურად გარდაქმნის ეერპარნი. მან გამოაქვეყნა საყურადღებო ლექსთა კრებულები: „შავი ქალაქის გაზაფხული“, „ასფერცილა“, „გიორგი მეექვსე“. ლექსში – „ძღუვის ქედი“ მწერალი უმღერის გერმანიაზე საბჭოთა ჯარების გამარჯვებას, ხოლო ლექსი – „სამხრეთის საზღვარი“ ქართული ხალხის დიდებულ ჰიმსს წარმოადგენს. გრ.აბაშიძე 1959 წლის სექტემბერში სტუმრად იყო ბელგიაში, ენოკეს პოემიის ფესტივალზე. ძალიან მოხარული ვარ, რომ იგი დაესწრო საერთაშორისო პოემიის ფესტივალს. ეს ფესტივალი რომ არა, ეერ აღმოეჩინდი საბჭოთა პოემიის მუდამ ძლიერსა და ცოცხალ მტოს, რომელსაც ქართული პოეზია ჰქვია“.

აღსანიშნავია, მეორე ბელგიელი მწერლისა და კრიტიკოსის – ეორე ბუიონის სტაგია – „ვრიგოლ აბაშიძე – ქართველი მწერალი“. რომელიც გამოქვეყნდა ბელგიური ეურნალის – „ბელეტიკურის მაგაზინის“ 1978 წლის 10 ნომერში.

ეორე ბუიონი წერს: „გრიგოლ აბაშიძე პირველია, რომელსაც დიდი ნიჭი აღმოაჩნდა პროზაში. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული რომანები, პიესები. შესანიშნავად არის დაწერილი რომანები: „ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ცოგნე“. ამ წიგნებში იგრძნობა სამყაროს პოეტური ჭერება და ისტორიული რომანის კონსტრუქცია“.

ეორე ბუიონი ეხება, აგრეთვე, გრ.აბაშიძის ლექსების წიგნის – „მთები და კლდეების“ ფრანგულ თარგმანს. ავტორი აღნიშნავს, რომ გრ.აბაშიძის პოეზია სუნთქავს მშობლიური მიწის სურსელოვან, მჭიდროდაა დაკავშირებული თავისი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან და ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთ-ერთ საპატიო ადგილს იჭერს.

ფრანგი მეცნიერი ბერნარ უტიე თავის სტატიაში ეხება გრ.აბაშიძის რომანს – „ცოგნე, ანუ ქართველთა ღაცება და ამაღლება“. ასეთი ნაწარმოების შექმნა ღიახაც, საჭირო იყო, წერს უტიე, რათა ისტორიული ფაქტი თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით წარმოჩენილიყო მხატვრულ სახეებში. მწერალი რეალუზებით მუშაობს ქართულ ქრონიკებზე, ღრმად წელება მათ, ალაღვენს არა მარტო იმდროინდელი ეპოქის კოლორიტს, არამედ ქართველი კაცის სულის სიღრმესაც სწელება. რომანი შესძრავს მკითხველს, რომელსაც ნაწარმოებში აღდენილ ფაქტს ისეთივე ძალეღარებით განიცდის, როგორც თავად გადახდენილ ამბავს. მიუხედავად ამისა გრ.აბაშიძის „ცოგნეს“, რომელშიც მწერალმა მოელი თავისი ხელოვნება, სიყვარული და შთამბავონებელი ოპტიმიზმი ჩააქსოვა“.

„ლაშარელას“ ეხება აგრეთვე ლექსებზერგული პროფორი რომზმარი კიფერი. იგი წერს: „რომანის ავტორი უცნობი როლია ჟურნალ „ნუველ ეროპის“ მკითხველისათვის, ჩენ უკვე დაებეჭლებთ ამ გამოჩენილი მწერლის ლექსების ფრანგული თარგმანები. გრ.აბაშიძე ლირიკოსია, რომლის შთავგონების ერთ-ერთი წყარო, მდიდარი წარსულის მქონე სამშობლოს სიყვარულია.

ამიგომ არც არის გასაკვირი, რომ ვითარცა პროზაიკოსმა თავი გამოიჩინა, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული რომანებით. ავტორი, სწავლულის კომპეტენტურობით, ალაღვენს ისტორიულ მოვლენებს, გადაგვიშლის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა ღელაგს. წიგნი შეიძლება შევადაროთ წყლის დინებათა ქსელს, წყაროებს, ნაკალულებს, მდინარეებს, რომლებსაც, საბოლოოდ, საქართველოს ბედი აერთიანებს“ (ჟურნალი „ნუველ ეროპ“, 1977).

გრ.აბაშიძის შემოქმედებას შეეხო, აგრეთვე, პროფ. კსალაია, მან თავის ჟურნალში – „რევიუ დე კარგველოლოგი“ და, აგრეთვე, თავის წიგნში – „ქართველი ერის ისტორია“, გამოაქვეყნა ორი სტატია, რომელშიც ქართველ მწერალს მაღალი შეფასება მისცა.

იგი წერს: „გრ.აბაშიძე გულისა და გონების აუცილებლობას გვაგრძნობინებს ლექსების წიგნში – „მთები და კლდეები“. ისე, როგორც ბუბერამს, ლედაშიწასთან შეხება ახალ ძალას მატებს. ასევე მას არაჩეულებრივ ძალას მიწა ანიჭებს, რომელსაც ეყრდნობა. მწვერვალები და ქარაფები ლედაშიწის გულიდან ღებულობს გამძლეობას...

მწერალი ღრმად წედება ქართულ მაგიანეებს. მან არა მარტო აღაღგინა იმ ეპოქის ელფერი, არამედ გააცოცხლა კიდევ ძლიერი ქართული სული, რომელიც საუკუნეებს წედება და მკითხველს აღელვებს“.

აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიგოლ აბაშიძეს უშუალო კონტაქტები აქვს დამყარებული ფრანგულენოვან სამყაროსთან. რადგან მწერალი კარგად ფლობს ფრანგულ ენას, მას სსრ კავშირის მწერალთა ხელმძღვანელობა ხშირად აგზავნის კონტაქტების დასამყარებლად აღნიშნული ქვეყნის მწერლებთან და მეცნიერებთან.

1977 წელს, გრ.აბაშიძემ უშუალო კონტაქტები დაამყარა ფრანგი მწერლების ორ ორგანიზაციასთან. ეს იყო: გონკურების აკადემია და „ფრანგ ლიტერატორთა საზოგადოება“. გრ.აბაშიძე ესაუბრა ამ საზოგადოების პრეზიდენტს იე კაზოს ფრანგული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობაზე, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის გრადიციულ მეგობრობაზე, ხალხთა შორის მშვიდობაზე, აგრეთვე, ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან გრადიციებსა და მის დღევანდელ წარმატებებზე. გრ.აბაშიძე შეხვდა, აგრეთვე, საფრანგეთის გონკურების აკადემიის პრეზიდენტს ერეუ ბამენს, მის აგარაკზე, მათი საუბრის თემა იყო: მწერალი და მშვიდობა, პელსინკის სული და კულტურის ოსტატთა მოვალეობა.

გრ.აბაშიძის მოგზაურობა პარიზში, მისი არაერთგზის საუბრები ფრანგ მწერლებთან და მეცნიერებთან, მეტად ნაყოფიერი იყო ორ ქვეყანას შორის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების საქმეში. ეს საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიება ძალიან მოეწონა საბჭოთა კავშირის პარიზელ ელჩს – ბატონ ჩერეონენკოს, მწერალი მიიწვია საელჩოში და გაესაუბრა. ელჩმა აღნიშნა, რომ გრ.აბაშიძემ ძალიან სასარგებლო საქმე გააკეთა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

გრ.აბაშიძე, ახლანდელ ეტაპზე, ამ გრადიციებს კვლავ აგრძელებს. იგი 1989 წელს, გასტონ ბუაჩიძესთან ერთად, მიიწვიეს ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში იმასთან დაკავშირებით, რომ ლუქსემბურგში, საერთაშორისო გამომცემლობა „ეროელიგორმა“, ფრანგულ ენაზე გამოსცა გრ.აბაშიძის ლექსების წიგნი. აგრეთვე, საქართველოში გამოსცეს ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში მოღ-

ვაწე ქართველი ხალხის დიდი მეგობრის – მიმო მორინას ლექსების წიგნი – „ოქროს საწმისის საძებნელად“.

ამ ღლეებში, თბილისში, მივიღეთ გრ.აბაშიძის ლექსების წიგნი – „სანაპიროზე სამი ფანჯარა“, ქართულ-ფრანგულ ენებზე. ლექსები ფრანგულ ენაზე თარგმნა და შესავალი სტაგია წარუმიძღვრა გასტონ ბუაჩიძემ.

წიგნში შევიდა ლექსები: „სანაპიროზე სამი ფანჯარა“, „როცა შორსა ვარ“, „სუფრა მთვარიან ღამეში“, გრიგოლ აბაშიძისა და მთარგმნელის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

გასტონ ბუაჩიძე საქმის კარგი ცოდნით ააწარმოებს გრ.აბაშიძის ლექსებს. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ გრ.აბაშიძე არის გამოჩენილი ლირიკოსი, რომანისტი, დრამატურგი, დიდი პატრიოტი. პოეტი მოგზაურობს სამ ღროში: წარსულში, აწმყოსა და მომავალში. წარსულს თანაუგრძნობს, აწმყოში ქმნის და მომავლის განჭვრეტას ცდილობს.

შესავალი სტაგიის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ღროის მიღებული განზომილებების მიღმა, პოეტი ჟამთაჟღერის მართოს გადაგვიშლის და, ღლეებისა და წლების სრბოლაში, საკუთარი გზის მაჩვენებლებსაც აღნუსხავს.

პოეტი უცხოელ მკითხველს მოუთხრობს ლეგენდაზე, რომლის მიხედვითაც, თბილისი აშენებულია ეახტანგ გორგასალის მიერ. ამ საკითხზე პოეტი გაღმოგეცემს: „ნუ დაუჯერებ ზღაპრად მოთხრობილს, მაგრამ ეს ლექსი არის ნამღესი: მე დაჭრილი ვარ, როგორც ხობობი და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი“.

გასტონ ბუაჩიძე პოეტის ამ სტრიქონებს შესანიშნავად უხსნის უცხოელ მკითხველს: „მაგრამ შემოქმედის თვალსაწიერს უნებლიეთ ნუ შევეკეცავთ, როღესაც რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, იგი გაგვანდობს, მე მზის სხივის და თბილისის ხნის ეარო! ამით ხომ იმას გვიდასტურებს, რომ წამის მარადისობა შორეულ მხარეთმოხილვასაც სურს მოახმაროს. პოეტის მზერა სანაპიროზე სამ ფანჯარას მოსწედება, მწვანე კენძულს ესტუმრება, ელალის თაზე გადაივლის და საიდუმლო სერობის წინაშე მოითქვამს სულს, უფიციის მხატვრობასთან და დამშვიდობებისას, ერემლი მოერევა მსახველს.“

გარდასულ საუკუნეთა გვირთი ვერ გაანელებს მთვარის შუქზე გამართული ნადიმითა და ოქროს ეენახში დაწურული ღვინით ტკბობას.

სიცოცხლის წყურვილი, დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობა, პოეტის ეს ერთგული თანმხლებნი, ბრძნულ რჩევას მისცემენ, რომელსაც იგი ყველას გაუზიარებს, ვინც კი ყურს უგდებს: „ძალიათაც რომ დაგიხუჭონ, გაახილე თვალი. მოასწარი, ქვეყნის ნახეა წილად გერგო ერთხელ“.

აღსანიშნავია სარელაქციო ცნობა პოეტისა და მთარგმნელის შესახებ, ორივეს შესახებ მოთხრობილია მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

აღნიშნულია, რომ გრ.აბაშიძე არის გამოჩენილი ლირიკოსი, რომანისტი, დრამატურგი, მთარგმნელი და ესეისტი. იგი, დიდი ხნის განმავლობაში, ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, წლების განმავლობაში, რელაქტორობდა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალს, ამჟამად არის რუსთაველის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

შემდეგ, მსჯელობა მიდის გრ.აბაშიძის შემოქმედებაზე. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში, მისი პირველი ლექსების წიგნი გამოვიდა 1938 წელს. შესანიშნავად აგრძელებს ქართული კლასიკური პოემიის გრადიციებს. დაწერილი აქვს მრავალი ლექსი, პოემა, პიესა, მოთხრობა და რომანი. ბოლოს, მსჯელობა მიდის იმ თარგმანებზე, რომელიც გამოქვეყნებული აქვს პოეტს ქართულ პრესაში. გამოშვემლობა აქვს გრიგოლ აბაშიძისეულ პეტრარკას, ვიონის, რონსარის, გოტიეს, ელუარის, ფრენოს, მისკევიჩის, ნერუდას, პეტეუსის, ემინესკუს, იენე ვაზოვისა და ნიზამის ლექსების ქართულ თარგმანებს.

წიგნთან ერთად, მიღებულია საერთაშორისო ჟურნალის – „ნუველ ეროპის“ 1989 წლის ბოლო, №62-63. ჟურნალში გამოქვეყნებულია საინტერესო მასალები, გრ.აბაშიძისა და გასტონ ბუაჩიძის მოგზაურობასთან დაკავშირებით, ლექსებზე რეზიუმე.

გამოქვეყნებულია მასალები, რუბრიკით: „მოგზაურობა სამდროში“, ქვესათაურად პოეტის სტრუქტურები: „მე მზის სხივის და თბილისის ხნისა ვარ“.

ჟურნალი აქვეყნებს გასტონ ბუაჩიძის სტაგიას გრ.აბაშიძის ცხოვრება-შემოქმედებაზე, პოეტის ორ ლექსს: „სანაპიროზე სამი ფანჯარა“, „უცნაური სუფრა მიუვარიან ღამეში“ და პოეტის ფოტოსურათს.

ჟურნალის 56 გვერდზე მოთავსებულია ფოტოსურათი, პრემილიუმში სხედან, მარცხნიდან: მიმო მორინა, გრ.აბაშიძე, საბჭოთა კავშირის ელჩი ლუქსემბურგში – ბატონი ალექსანდრე ავდეევი და პუშკინის კულტურის სახლის დირექტორი – ქალბატონი ივონ ფრეში.

ჟურნალი მკითხველებს აუწყებს, იმასთან დაკავშირებით, რომ ლუქსემბურგში საერთაშორისო გამომცემლობა „ეროდიტორმა“ ქართულ-ფრანგულ ენებზე გამოსცა გრ.აბაშიძის ლექსების წიგნი – „სანაპიროზე სამი ფანჯარა“, გრ.აბაშიძე და მისი მთარგმნელი – გასტონ ბუაჩიძე ლუქსემბურგში მიიწვია მსოფლიოს პოეტთა ასოციაციამ, ევროპის კულტურული სამოგადოების ცენტრმა, პუშ-

კინის კულტურის ცენტრმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

პუშკინის კულტურის ცენტრში შედგა სხდომა, რომელსაც დაესწრო დიდძალი ხალხი, მიეძღვნა იგი გრიგოლ აბაშიძის ლექსების წიგნის გამოსვლას ლუქსემბურგში. მოხსენება გააკეთა მწერალმა და კრიტიკოსმა ეველინ ლენუიმ, თემაზე: „გრიგოლ აბაშიძის ლექსების ახალი წიგნი“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გრ.აბაშიძე უცხოელთა ყურადღებას იქცევს, როგორც ლირიკოსი და რომანისტი, მისი ლექსები დაწერილია თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე, ხელს უწყობს ხალხებს შორის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებასო.

სიტყვით გამოვიდნენ: მიმო მორინა, გასტონ ბუაჩიძე და ზოგორთი კრიტიკოსი. მათ თავიანთ სიტყვებში მაღალი შეუასება მისცეს გრ.აბაშიძის შემოქმედებას. ბოლოს, სიტყვით გამოვიდა გრ.აბაშიძე, რომელმაც მათ მაღლობა გადაუხადა და შეეხო ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს.



პროფესორი და მწერალი

(1932-1994)

როზმარი კიფერი

როზმარი კიფერი მოღვაწეობდა მისო მორისასთან, ლუქსემბურგის დიდ საპერიოდიკოში. იგი იყო საერთაშორისო ჟურნალის – „ნუველ ეროპის“ გენერალური მდივანი, მწერალი, მეცნიერი და მთარგმნელი. ქართული მწერლობით დაინტერესდა ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში.

როზმარი კიფერი 1972 წლის სექტემბერში, ოფიციალურა მოწვევით, ჩამოვიდა მოსკოვში, სადაც შეხვდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, გაეცნო საბჭოთა სისამდილეებს. მოსკოვის შემდეგ, მწერალი ეწვია საქართველოს. მას ღირსეული შეხვედრა მოუწყო მაშინდელმა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ – გრიგოლ აბაშიძემ. მწერალი ქალი გაეცნო ფართო ლიტერატურას ქართული ლიტერატურის საკითხებზე. „მე სამუალება მომეცა, წერს როზმარი კიფერი, დამეფავლიერებინა თბილისი, მისი ღირსშესანიშნაობანი, ქართველები დამეხმარსენ, შემესწავლა მოგი რამ საქართველოსა და ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. სამშობლოში დაბრუნებისას, შევიძინე ქართული გრამატიკის წიგნი, დაეწყო ქართული ანბანის შესწავლა, მაგრამ, სამწუხაროდ, უღრობის გამო, ვერ შეეძლო ამ საქმის ბოლომდე მიყვანა“

მეცნიერმა ბევრი რამ შეისწავლა ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, მაგრამ კელაფ დასჭირდა ზოგიერთი საკითხის დამკვ-

ტება. იგი 1973 წელს მეორეჯერ ჩამოვიდა თბილისში, მწერალთა კავშირმა უცხოელ მწერალს ღიმილად დახმარება აღმოუჩინა, მიუჩინა სათანადო კონსულტაციები.

„1973 წელს, წერს რომმარ კიფერი, საქართველოს კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას ექვზი. ღირეცის მრავალმა წარმომადგენელმა მეგობრულად მიმიღო და ჩემთვის საინტერესო სხვადასხვა კართოგეკაჲ მომიტანა. ერთ-ერთი მათგანი – დალი გოცირიძე კარგად ლაპარაკობს ფრანგულად და სწორედ მან მითარგმნა დაწერილი და დაბეჭდილი ნაწარმოებები. მრავალი წიგნი და ბროშურა გამოუცდათ საქართველოში, ზოგი მათგანი ფრანგი ტურისტებისათვის განკუთვნილი ცნობარია, საქართველოს ისტორიითა და ეკონომიკით დაინტერესებულ პირთათვის საჭირო პუბლიკაციაა. აჲ ეხედებით სამეცნიერო კონგრესებისათვის შედგენილ ცნობებსა და მოხსენებებს. აჲევა, სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული ქართველი მოქალაქეების ბროშურები. განსაკუთრებით, მხელეულობაში მყავს სერგო წულაბე. ამ მეგალ საყურადღებო პიროვნების შესახებ, მე ქვემოთ ვილაპარაკებ.

ძალიან საინტერესოა ქართული ხელოვნება, არქიტექტურა, ფრესკები, შუა საუკუნეების მისანიქრები დიდებული სანახაჲია. აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა პარიზში გამოაქვეყნა წიგნი – „საქართველოს მისანიქრები“ (1961), 1969 წელს – ნაშრომი სიკო ფიროსმანაშვილზე, ხოლო 1970 წელს – კაპიგალური ნაშრომი: „ქართული ხელოვნება“. ამჲვე კართოგეკაჲჲ მოხსენებულია ახალი და ძველი ისტორიული ნარკვევები, რაც კი უცხოელ მეცნიერებს საქართველოს შესახებ დაუწერიათ“.

რომმარი კიფერი არის შესანიშნავი პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. შესანიშნავად ფლობს: იტალიურს, გერმანულს, ინგლისურს, რუსულსა და აღმოსავლურ ენებს.

რომმარი კიფერს აჲეს შესანიშნავი ბიოგრაფია. დაიბადა იგი 1932 წლის 30 დეკემბერს, ლუქსემბურგში. სწავლობდა პარიზში, დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი, აჲეჲ, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1955 წელს, არჩეულია სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრად, არის ლუქსემბურგის ქალთა ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი, დიდი საპერცოგოს ხელოვნების ინსტიტუტისა და მწერალთა კავშირის წევრი, აგრეთვე, ქეიანდენის ე.პიუგოს სახელობის მუზეუმის დირექტორი.

რომმარი კიფერი პროფესიით პედაგოგია. წლების განმავლობაში, კითხულობს ლექციებს ლუქსემბურგის სხვადასხვა ლიცეუმებში, აგრეთვე, თანადროულობის აჲტუალურ საკითხებზე და ქართული კულტურის პრობლემებზე, თავის სამშობლოში და საზღ-

ვარგარეთ.

რომმარი კიფერს გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების, რომანებისა და მხატვრული ნარკვევების მრავალი წიგნი. მათ შორის, აღსანიშნავია, მოთხრობების წიგნები: „აპრილის მშვიდი ღამე“ (1974), „ვერცხლის წვიმა“ (1977), „ამფითეატრი ღ-53“, „გლავის შავი კატა“. ცალკეული მოთხრობები: „პერმის ტყეები“, „მოსაწყენი ქალაქები ადამიანის გულში“, „ქარის სწრაფვა და მომღერალი მთვარე“, „ჩემს ზემოთ ეარსკელაუებიანი ცა არის“ (რომანი – ფელეტონი), საბავშვო მოთხრობა „მურისაი გოჭი“, რომელიც ფრანგულიდან თარგმნა რუსულად თურნავამ, დაიბეჭდა იგი ქურნალ „დილის“ 1984 წლის X ნომერში. აგრეთვე, გამოაქვეყნა მეორე საბავშვო მოთხრობა – „ბაყაყი მეფის ოთახში“.

მისი მოთხრობები ეძლეება თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, აშუქებს ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან საკითხებს. მწერალი აგრძელებს ფრანგული კრიტიკული რეალიზმის გრადიციებს, ამავე დროს, მის მოთხრობებსა და ნოველებში სოციალისტური რეალიზმის ელემენტებიც შეიმჩნევა.

პუბლიცისტიკაში მწერალს ახასიათებს მეტრძოლი ტემპერამენტი, ებრძვის ცილისმწამებლებს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სიცრუეს რომ არცელებენ. მისი მოთხრობების წიგნი – „აპრილის მშვიდი ღამე“ გაკლენთილია ნაბი ლირიზმით, უბრალო ადამიანებისადმი სიყვარულით. მწერალი თვლის, რომ მთავარი პირობა ადამიანის ბედნიერებისა ქვეყანაზე მშვიდობა და ურთიერთგაგებაა. ეს აზრი ყველგან გატარებულია მწერლის ნაწარმოებებში. იგივე აზრია გატარებული ჩვენი მწერლის საბავშვო მოთხრობებსა და ზღაპრებში.

რომმარი კიფერს რუსი მწერლები დიდ შეფასებას აძლევენ. მისი მოთხრობების რუსული თარგმანები იბეჭდება მოსკოვის ქურნალეებსა და გაზეთებში.

ჩვენს დიდ მეგობარს საქართველოშიც ჰყავს მეგობრები: გრიგოლ აბაშიძე, გასტონ ბუაჩიძე, ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე, მურმან ლებანიძე. აქვს მათთან სისტემატური მიმოწერა ქართული კულტურის საკითხებზე, რა თქმა უნდა, ამ სტრუქტონების ავტორთანაც. დაინტერესებულია, გაიგოს ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიმდინარე პროცესი, ჩვენი ლიტერატურის სიახლენი, აგრეთვე, ქართული კლასიკური ლიტერატურის სიახლენი და სხვ.

რომმარი კიფერი, თავისი თანამემამულის – მწერალ აღინ მაირიშ დე სენ უბერის მსგავსად (1874-1947), მიზნად ისახავს, საქმიანი კონტაქტები დაამყაროს მსოფლიოს კულტურის მოღვაწეებთან, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან ხალხთა შორის მშვიდობის, ლიტერატურული და მეცნიერული კონტაქტების განმტკიცების

სათვის. „ჩვენ შეგვიძლია ამ საქმეში, წერს კიფერი, მევიგანოთ ჩვენი წელიწადი, გამოვიყენოთ სურვილი ამისათვის, რომ უკეთ გავცნოთ საბჭოთა ლიტერატურას, შევისწავლოთ უცხო ენები“.

ამ მიზნით მწერალი სამღვარგარეთის ქუეყნებში სისტემატურად კითხულობს ლექციებს ქართული და რუსული ლიტერატურის საკითხებზე. 1973 წლის 8 მარტს წაიკითხა ლექცია ქმადუნსენში, თემაზე: „კლასიკური და თანამედროვე ქართული პოეზია“, ამავე წელს, ნანსის (საფრანგეთი) უნივერსიტეტში – „ჩემი ლიტერატურული მოგზაურობა საბჭოთა კავშირზე გაყლით“, 1972 წლის 26 მაისს, ქბერნში – „ყოველდღიური ცხოვრების მომხიბლველობა და ნაღველი ასტონ ჩეხოვის მოთხრობებში“, ამავე წლის ივნისში, ქტრეში (ლუქსემბურგი) – „რუსული და საბჭოთა ხელოვნება“ და სხვ.

პროფ. რომმარი კიფერს სამღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია და ნარკვევი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მათ შორის, აღსანიშნავია: „მთა რუსთაველი აღმოსავლური რენესანსის გარიყრამე“, „ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზია“, „კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯენის“ შესახებ“, „კულტურული ურთიერთობანი საქართველოსა და საფრანგეთს შორის“, „ლიტერატურული მოგზაურობა საბჭოთა კავშირზე გაყლით“, „ნიკო ფიროსმანი“, „გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანი – „ლაშარელა“, „მურმან ლებანიძე“, „ანა კალანდაძის პოეზია“, „ვისის და რამინის რომანი“, „შეხედრა ქართულ პოეზიასთან“, „სამი საბჭოთა მწერალი ლუქსემბურგში“, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, „ქართული წიგნები საქართველოდან“, „შეხედრა „ამირანთან“. აღსანიშნავია რომმარი კიფერის ერყელი ნამრობი – „ქართული პოეზია“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ნუველ ეროპის“ 1973 წლის XII ნომერში.

ავტორი მსჯელობს ქართული ლიტერატურის განვითარების გზებზე, ძველი დროიდან ღღემდე. ამავე დროს, ეხება პროზასაც, მაგრამ განსაკუთრებით გახაზავს ქართული პოეზიის განვითარების ეტაპებს.

აქ ავტორი, უპირეელებს ყოვლისა, ჩერდება დავით აღმაშენებლის (1089-1125) დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე. მკელეყარი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი იყო მეტად განათლებული ქართველი მეფე-მოღვაწე, რომელმაც საფუძელიანად იცოდა ქართული სასულიერო და საერო მწერლობა, საქართველოს ისტორია. მისი მეფობის დროს საქართველო გაძლიერდა პოლიტიკურად და კულტურულად.

მისი სამართლიანი თქმით, დავით აღმაშენებელი იყო დიდი მწიგნობარი, ხელს უწყობდა სწავლა-განათლების გაერყელებას,

ეხმარებოდა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ღიდ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართული ლიტერატურის კერებში (საბერძნეთი, პალესტინა, ბულგარეთი). თვითონ წერდა ლიტერატურულ ნაწარმოებს, დღემდე შამორჩენილია მისი „გალობანი სინასულისანი“, რომელშიც ნათლად ჩანს მისი საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლება.

ბოლოს, მეცნიერი დაასკვნის: „დავით აღმაშენებელმა საქართველოში დაამყარა წესრიგი, ხალხებს შორის მშვიდობა, მეგობრობა. გააკეთა გზები, გაიყვანა არხები, ააშენა სააეადმყოფოები, სახლები, მოხუცებს დაუნიშნა პენსიები. მეზობელ ქვეყნებთან განავითარა სავაჭრო ურთიერთობანი. გახსნა სკოლები, საფუძველი ჩაუყარა გელათისა და იყალთოს აკადემიებს, რომლებიც, საუკუნეების მანძილზე, კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ. დავითმა გამოთქვა სურვილი, დაეკრძალათ იგი გელათის აკადემიის შესასვლელთან, სრულიად უბრალოდ, ისე რომ მონასტრის ყოველ მნახველს შეძლებოდა მისი საფლავის ქვაზე ფეხის დადგმა. მეფის ამ გადაწყვეტილებამ შთააგონა ქართველი პოეტი ანა კალანდაძე, რომ დაეწერა ლირიკული ლექსი – „ფეხი დამადაგით“, ამ ლექსის ლიტერატურული რუსული თარგმანი შემომთავაზა ბატონმა ნოდარ რუხაძემ. ჩვენ ეს ლექსი, ამ რუსული თარგმანის საფუძველზე, ვთარგმნეთ ფრანგულ ენაზე“.

რომმარი კიფური დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნით“, ღიღი ინტერესით წაიკითხა სერგი წულაძისეული ფრანგული თარგმანი, რომელიც გამოსცა პარიზში გალიმარმა. 1964 წელს. უცხოელი მეცნიერი აღაფრთოვანა პოემამ, მაგრამ ზოგიერთი ადგილი პოემაში მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა. თბილისში ყოფნისას სპეციალისტებმა ჩაუტარეს კონსულტაციები და მკვლევარმა ამომწურავი პასუხი მიიღო მისთვის საინტერესო და გაუგებარ საკითხებზე.

მწერალი თავის სტაგიაში – „რუსთაველი აღმოსავლური რენესანსის გარიერაზე“, რომელიც დაიბეჭდა 1973 წელს, გაზეთ „ლუქსემბურგელ ვორგში“, აღნიშნავს, რომ პოემა შექმნილია XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართული ცივილიზაცია ყვაოდა და აღმავალი გზით მიდიოდა.

აგორი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ კითხვამ და შესწავლამ საფუძველი მომცა, გამოეთქვა ჩემი აზრი. პოეტი კეთილშობილ პრინციებს და გრძნობებს გაღმოგვცემს. მთელ ნაწარმოებში, ყველგან სიკეთე სუფევს. რუსთაველი მტკიცე ხასიათის პოეტია, მისი გმირები: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, როსტევეანი მაღლიერების მოციქულები არიან“.

აგორი ცალკე ახასიათებს პოემის გმირებს. შემდეგ, ეხება უცხოელ კრიტიკოსებს, რომლებიც მიაჩნევენ, რომ პოემა დაწერილია სპარსული და ბერძენი პოეტების შიბადებით. „ვეფხისტყაო-

სანმა, წერს როზმარი კიფერი, ჩემზე ღილი შთაბეჭდილება მოახდინა. პოემაში ერთ ადგილსაც კი ვერ შევხვდი ისეთს, რომელიც წინანდელი პოეტიკის მიბაძვას ამტკიცებდეს. თუ ალაგ-ალაგ რუსთაველმა გამოიყენა ძველი ფილოსოფოსების ამრები, ეს სრულყოფილი არ ამტკიცებს იმას, რომ ქართველი პოეტი ბაძავდა ლათინთა და ბერძენთა მწერლებს. ეს ფაქტი მხოლოდ რუსთაველის განსწავლულობაზე მიუთითებს.

რაც შეეხება რუსთაველის შემოქმედებით მეთოდს, გრძნობათა კეთილშობილებას, აზრის სიღრმეს. ქართველებს შეუძლიათ იამაყონ, რომ მათი ეროვნული ეპოპეა არაა დაწერილი არც პომეროსის მიბაძვით და არც — ვირგილიუსის. პოემა, პირველ გვერდიდან უკანასკნელ გვერდამდე, მხოლოდ რუსთაველისებურია“.

პროფ. რ.კიფერი აკრიტიკებს აკად.: მარსელ ბრიონსა და რენე ლაკოგს, რომლებიც „ეფუხისტყაოსანს“ ჩეულებრივად აღარებენ XII საუკუნის ფრანგი მწერლის — კრეტიენ დე ტრუას სარაინდო რომანებს. არ ეთანხმება აღნიშნული მეცნიერების მოსაზრებებს, ეყრდნობა აკად. ალ.ბარამიძის წიგნს — „რუსთაველი და მისი პოეზია“, სადაც აკად. ალ.ბარამიძე ასაბუთებს, რომ რუსთაველის „ეფუხისტყაოსანს“ ვერც „ტრისტანი და იზოლდა“, შეედრება ვერც — კრეტიენ დე ტრუას რომანები, ვერც — „სიმღერა როლანდზე“, ვერც „ნიბელუნგები“, ვერც — „სიმღერა მელაზე“, ვერც — „სიმღერა ვარლზე“, ვერც — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.

პროფ. როზმარი კიფერი აღნიშნავს, რომ კრეტიენ დე ტრუას რომანში — „ერეკი და ენიდი“ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შეუყვარდა მეფე არტურის რაინდს — ერეკს ღარიბი რაინდის — ენიდის ქალიშვილი და როგორ შეირთო ცოლად. მაგრამ როცა ერეკი ოჯახურ ცხოვრებაში ჩაება, დაავიწყდა რაინდის მოვალეობანი, ხალხმა უსაყვედურა ამის შესახებ. ენიდის სახით, მწერალი გვიჩვენებს ქალს, რომელიც გახდა ცოლი და ქმრის მრჩეველი.

სულ სხვა ხასიათისაა კრეტიენ დე ტრუას მეორე რომანი — „ლანსელოტი, ანუ რაინდი ურმისა“. ერთ-ერთი უცნობი რაინდი მოიგატყებს დედოფალ ჯინეერას, რომელიც უყვარდა ლანსელოტს. ხოლო ლანსელოტი დაეღვენება გამგაცებელს. იგი იძულებულია იაროს ურმით, რაც რაინდის ღირსებას ამტკიცებს. დედოფალი მას ბურგს შეაქცევს, რადგან მან ერთი წუთით დააგვიანა ურემზე დაჯდომა, ეს კი დედოფლისათვის ძალიან საწყენი იყო.

ავტორი დაასკენის: „რუსთაველისდროინდელი საქართველო ემყარებოდა ჰუმანისტურ პრინციპებს. ეს იყო XII საუკუნეში. ამ დროს ევროპის სახელმწიფოს უმრავლესობა ძალიან შორს იდგა თავისი განვითარების მწვერვალისაგან. რუსთაველმა კი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ადამიანის ღირსება, გაუსწრო ევროპის

რენესანსს. რუსთაველის აზრით, სიყვარული გვაზიარებს უმაღლეს ჰარმონიას, რადგან მისი მეოხებით ბოროტება დაიძლევა. რუსთაველს ადამიანი არსახულ სიმაღლეზე აყავს. გარიყლი მომავლის ადამიანის განსახიერებაა და არა უბრალო ინდოეთის მეფის. ასეთები არიან: აეთანდლი, ნესტანი, თინათინი და ფრადონი. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამგვარი პოემა იშვიათია“.

ავტორი შემდეგ ეხება პოეტიკის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ პოემა დაწერილია 16 მარცვლიანი შაირით, ამასთან, სტროფის ყოველი ტაქტი ერიოთმება ერთმანეთს. მაქორულ, ანუ მაღალ შაირს ენაცვლება მინორული, ანუ დაბალი შაირი. მაღალ შაირს ორ მარცვლიანი რითმა აქვს, დაბალს – სამიანი. გარდა ამისა, ყოველ სტროფში ალიგერაცია შეადგენს პოემის მუსიკალური ენის საფუძველს.

ეხება, აგრეთვე, თარგმანის საკითხსაც, იწონებს თარგმანს და წერს: „მთარგმნელმა სერგი წულაძემ, რომელიც ეროვნებით ქართველია და, ამავ დროს, ჩინებული ფრანგი მწერალი, დასაძლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის კარგი მცოდნე, შესანიშნავად შეუბამა დელნის რიგში ფრანგულ რიგმს 16 მარცვლიანი წყობა, საუცხოოდ გადმოსცა ორიგინალის ელერადობა და რითმების შებამება. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ფორმალური პოეტური ხერხების გამოყენება იქნებოდა, რომ თარგმანი, ლიტერატურულ სიმშვენიერად, არ გამოირჩეოდეს სინატიფით, ბუნებრივი სრულყოფით, სადაც საუცხოოდ არის შეხამებული მეცნიერება და ერუდიცია.“

პროფ. რ. კიფერი იქვე მოიხსენიებს სერგი წულაძის წიგნს – „გაცნობა რუსთაველთან“, რომელიც დაიბეჭდა თბილისში ფრანგულ ენაზე, 1966 წელს. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ნაშრომს, ახდენს სერგი წულაძის სტრიქონების ციტირებას. სადაც ქართველი ავტორი ასაბუთებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეროვნული პოემაა, მარად ცოცხალი და ქართველი ერის სულიერი სიმდიდრისა და უმაღლესი კულტურის განსახიერება.

რ. კიფერი კელავ უბრუნდება რუსთაველის გმირების, პროვანსალური გრუბადურებისა და გერმანელი შინეზმინგერების მსგავსების საკითხს. მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოსა და სამხრეთ საფრანგეთში, კერძოდ, პროვანსში შეიმჩნეოდა სოციალური ცხოვრების პირობების იდენტურობა, მაგრამ ეს ჩვენ საფუძველს არ გვაძლევს, პარალელი გაველოთ ქართველ მიჯნურსა და X-XI საუკუნეთა სამხრეთ საფრანგეთის კურგიმანულ სიყვარულს შორის. „ძირითადი განსხვავება, წერს კიფერი, იმაშია, რომ შეყვარებულთა განჯვის და გრუბადურთა სიმ-

ღერების ობიექტი მუდამ მანდილოსანი, გაოხრილი ქალია და არა — ქალიშვილი. გრუბალურთა მიჯნური არ ოცნებობს თავისი სატრფოს ცოლად შერთვაზე. „ვეფხისტყაოსანი“ კი სრულიად განსხვავებულ სურათს გვთავაზობს. პოეტის შეხედულება ქალზე წმინდა პუშანურია, რაც სრულიად უჩვეულოა შუა საუკუნეებისათვის. თუ დასავლეთ ევროპაში ქალი პასიურ არსებად მიაჩნიათ, რუსთაველი, თინათინისა და ნესტან-დარეჯანის სახით, მაშაყი, შეულრეკელი ქალის გიჟს ქმნის, რომლებიც ყველაფერში და ყველგან შესანიშნავ ენერგიულობას ამჟღავნებენ. ისინი მამაცნი, უღრეკნი, გაბედულნი არიან და ბრძოლებში სიკედილის არ ეშინიათ. რუსთაველი ავთანდილს ათქმევინებს: „სჯობს სიციოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

რომმარო კიფერი დაასკვნის: „რუსთაველმა დააგვირგვინა და უდიდესი ძალით გამოხატა ადამიანის ის დიდი იდეალი, რომელზედაც შუა საუკუნეებში ოცნებაც კი არ შეეძლოთ. რუსთაველმა განადიდა ადამიანის სახელი და გაუსწორო ევროპის რენესანსს. „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართული ხალხის ფასილადუბებული საუნჯე.

რუსთაველის აზრით, სამყარო იმისათვის კი არ არსებობს, რომ ბოროტების ქადაგებად გადაიქცეს, არამედ, ეს ქვეყანა შექმნილია შემოქმედის მიერ ადამიანისათვის, მის გარეშე შეუძლებელია სამყაროს ერთიანობა და მთლიანობა. პოემის არქიტექტონიკა ძალიან რთული და ძნელი გასაგებია“.

გარდა ამისა, რ.კიფერმა გამოაქვეყნა მეორე სტატია „რუსთაველი ევბელში“, რომელიც დაიბეჭდა „ნუველ ეროპის“ 1984 წლის №45-ში.

ავტორი გადმოგვცემს ქართული ხალხის მეგობრის — პოეტისა და მთარგმნელის მაქს პოლ-ფუმეს დამოკიდებულებას რუსთაველისადმი. ავტორი სტუმრად ყოფილა ქალაქ ევბელში (საფრანგეთი) მაქს პოლ-ფუმესთან, რომლის ერთ-ერთ საცხოვრებელ ოთახში უნახავს გამოფენა რუსთაველზე, აქ გამოფენილი ყოფილა ქართველი პოეტის პოემის თარგმანები უცხოურ ენებზე, აგრეთვე, პოემაზე დაწერილი ნაშრომები საზღვარგარეთ.

რ.კიფერი ეხება ქართულ „ვისრამიანს“. იგი მიუთითებს, რომ ფახრედინ გორგანის თხზულება — „ვისო რამინ“ სპარსული პოეზიის კლასიკური პერიოდის სამიჯნურო ხასიათის ძეგლია, რომელმაც ხელი შეუწყო სპარსულ პოეზიაში რომანული ეპოსის განვითარებას. მიუხედავად ამისა, პოემას სპარსეთში დაფასება არ ჰქონია. მაგრამ საქართველოში კი პირიქით, დიდი დაფასება და გავრცელება ჰპოვა, უმაღლეს თარგმნა ქართულად და გავრცელდა პროზაული თარგმანი. ქართველმა მთარგმნელმა პროზა აირჩია იმისათვის, რომ დაეცვა მეტი სიმკაცრე. როგორც ქართველი

სპეკიალისტები აღნიშნავენ, ქართული თარგმანი შესრულებულია სპარსულიდან ძალიან კარგად.

გადმოსცემს პოემის მოკლე შინაარსს. მისი აზრით, პოემის კულმინაციური წერტილი ორ ძმას შორის სასიკედილო შეპრძოლუბაა. მაგრამ ბრძოლაში განგება ჩაერია და მათი ბედი სხვაგვარად წარიმართა. იმ დროს, როცა ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, ტყიდან მოულოდნელად გარეული ტახი გამოეარდა, რომელსაც მოაბადი დაედევნა. ამ დროს, ტახი ეძგერა შაჰინშას და ემეებით გაუპო გული.

მკვლევარი ეყრდნობა აღბარამიძის ნაშრომს. მიუთითებს, რომ რამინმა გაიმარჯვა, როგორც მიჯნურმა, გაიმარჯვა ვისისა და რამინის სიყვარულმა. გამარჯვებული სიყვარულის ნიადაგზე სამართლიანობა და საყოველთაო ბედნიერება დამყარდა მრავის ქვეყანაში.

„ნუველ ეროპის“ 1982 წლის 37-ე ნომერში გამოქვეყნდა რ.კიფერის სტატია – „ქართული წიგნები“, რომელშიც გამოთქვამს საგულისხმო მოსაზრებებს ქართული კულტურის საკითხებზე. ქართული ხელოვნების ნიმუშების ხილვამ, ქვეყანაში, რ.კიფერს განსაკუთრებული სიამოვნება მიანიჭა, რადგან მას ვენა წარმოუდგენია აღმოსავლეთის კარიბჭედ, რომელსაც ევროპელებს გზას უხსნის აღმოსავლეთის საილუმლოებათა შესაცნობად. მეცნიერი სინანულით აღნიშნავს, რომ ძველად მოგზაურები მეტი მზრუნველობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით აწვდიდნენ ცნობებს დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთის შესახებ, მაშინ როდესაც „XX საუკუნის დიდი „ტურისტები“, ჩვენი ლიტერატურის, პრესის, გამოცემლობის ვარსკვლავები, სამწუხაროდ, გამოირჩევიან ზედაპირული რეპორტაჟებით და არასერიოზულობით“.

ნაშრომის მეორე ნაშთში, ავტორი უცხოელ მკითხველს აცნობს რამდენიმე ქართულ წიგნს. მისი ყურადღება მიუპყრია იოსებ ნონეშვილის ლექსების ტატიანა ავალიანისეულ (ფონ ფონტინის) ფრანგულ თარგმანებს, 1972 წელს „განათლებლამ“ ცალკე წიგნად რომ გამოსცა.

უცხოელ მწერალს სამშობლოს მოსიყვარულე პოეტში დაუნახავს ჩვენი საუკუნის ნამდვილი შვილი, რომელმაც უცხოელი სილამაშის გათავისება, ღრმად შეგრძნება და გრძნობის მკითხველისათვის ახსნა შეძლო. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს ტატიანა ავალიანის (ფონ ფონტინის) „დახეწილ, ამაღლელებელ, გულში ჩამწვდომ“ თარგმანებს.

მკვლევარს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აღგაცება „ვეფხისტყაოსნის“ სერგი წულაძისეული ფრანგული თარგმანის შესახებ. ამჯერად, იგი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ფრანგულ პოეტურ თარგმანს, რომელიც შეასრულა გასტონ ბუაჩიძემ. მისი თარ-

გმანის ნაწყევები გამოქვეყნდა ჟრანგულ ჟურნალში – „რეკიუ დე კარტეპოლოგი“ და „ლეტრ სოიეტიკში“. ავტორი იწონებს ამ თარგმანს, რომელიც სწორად გადმოსცემს ქართულ აგმოსფეროს და, უორმითაც, აკმაყოფილებს მაღალ მოთხოვნებს.

ავტორი მსჯელობს ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის – პროფესორ ჰაინც ფენრიხის წიგნზე – „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც გერმანულ ენაზე გამოვიდა საქართველოში. რ.კიფერი მიუთითებს, რომ საქართველოს მეგობარ ქვეყნებში არიან ენთუზიასტები, რომლებიც თარგმნიან ქართული ლიტერატურის ნიმუშებს. არსებობს სამეცნიერო წრეები, რომლებიც გატაცებით იკვლევენ ყველაფერს, რაც კი მოიპოვება ამ ლიტერატურის „ოქროს საბადოებში“. იაზონი ოქროს საწმისისათვის გაემგზავრა კოლხეთს, ჩვენს ფილოლოგებს კი იქიდან პოეზიის საგანძურები ჩამოაქვთ“.

პროფ. რ.კიფერი მოკლედ განიხილავს XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ცენტრალური ფიგურა იყო. აგრეთვე, თანამიმდევრული ეროვნულ აზროვნებაში, დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ილიამ, აკაკი წერეთელთან ერთად, შექმნა ახალი ქართული სამწერლობო ენა, გაამდიდრა ქართული ლიტერატურა შედეგებით და შემდეგ მის გავლენას განიცდიდნენ მომდევნო პერიოდის მწერლები.

„ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, წერს კიფერი, ასახავს საქართველოს სოციალური განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს. მისი მოღვაწეობა ემთხვევა ორ ეპოქას: ბატონყმობის გაუქმებისა და კაპიტალიზმის განვითარების მიჯნას. მწერალმა თავის ნაწარმოებებში, ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები წამოაყენა და თავისი შემოქმედებითი იდეოლოგიური იარაღით გატაცებით იბრძოდა მათ გადასაწყვეტად“.

ავტორი ყურადღების ცენტრში აყენებს ილიას „ივერიას“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების საქმეში. ილიას ახასიათებს როგორც ქართველი ერის დამცემს, რომელიც პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებებით შიშის გარეშე პეფის თვითმპყრობელობას. „ილია, წერს ავტორი, იყო მთელი საქართველოს დამცემი, ოპოზიციამდე ედგა მეფის თვითმპყრობელობას და საქართველოს განთავისუფლებისათვის თვალსაჩინო მებრძოლად ითვლებოდა. მეფის მთავრობა მწერალს სერიოზულ მოწინააღმდეგედ თვლიდა, მისი ნაწარმოებების უმრავლესობა, ცენზურის მიერ, აკრძალული იყო. მწერალზე დაწესებული იყო პოლიციური ბეღამხედველობა“.

ავტორი ეხება ილიას შეხედულებას ლიტერატურისა და ხელოვნების

ნების საკითხებზე, საილუსტრაციოდ მოაქვს მრავალი საინტერესო მასალა და ბოლოს, დაასკენის: „ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ მხატვრული ლიტერატურა არის სინამდვილის შემეცნების ერთ-ერთი ფორმა. ამიტომ იყო, რომ იგი ლიტერატურისა და ხელოვნების ცხოვრებასთან ურთიერთობის საკითხებში იცავდა იმ დებულებას, რომლის მიხედვითაც ხელოვნება და პოეზია უნდა ემსახურებოდეს პრაქტიკულ ცხოვრებას. პოეზია არის სინამდვილის, ცხოვრების განსახიერება“.

ავტორი ესება ილიას „აჩრდილსა“ და „განდევილს“. განსაკუთრებით, ჩერდება „განდევილის“ ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზზე და წერს: „განდევილი“ ღრმა ფილოსოფიური ნაწარმოებია, რომელშიც მწერალი გვიხატავს თავის შეხედულებას ადამიანის ცხოვრებასა და ბედზე. მწერალმა პოემის სიუჟეტად აიღო ხალხური ლეგენდა არა მარტო იმისათვის, რომ ხალხის გონებაში აღედგინა მხატვრული სახით, არამედ იმისათვის, რომ მასში გამოეხატა დიდი ფილოსოფიური აზრები. აქ ერთმანეთს ეჯახება ორი იდეა: სინამდვილის მიღებისა და მისგან გაქცევისა... მწირთან საუბარში თანდათან ელინდება ასკეტური ცხოვრების უძლურება და არარაობა. ადამიანი ცხოვრებასთან ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომ შეუძლებელია მისი დაშორება“.

ავტორს გამოუყენებია აკად. გ.ჯიბლაძის წიგნი, XX საუკუნის ქართველ მწერლებზე რომ აქვს გამოცემული რუსულ ენაზე.

პროფ. რ.კიფური ცალკე სტაგიაში – „ფრანგული ლიტერატურა საქართველოში“, ესება ილია ჭავჭავაძისა და ეპიქტორ ჰიუგოს შემოქმედებით ურთიერთობას. იგი ერთ ადგილას წერს: „...თბილისიდან წამოსულებმა გადავიარეთ მთა და, ალაზნის დიდებული ველით, კახეთში ჩავედით. შაბათი დღე იყო, მთის კალთებზე ქართველები შინდს კრეფდნენ. სასოფლო-სამეურნეო სამსახურისათვის გამწესებული ათიოდე ვერგმურენი უქმად იდგა ველზე, სამაგიეროდ, მონადირეები მოგოციკლებით ბრუნდებოდნენ გყიდან და თავიანთი ნადავლი – საცოდავი ფრინველები მოჰქონდათ.“

ალ.დიუმაე აღნიშნავს, რომ ამ მხარეში უხვად არის ნანადირე-ვიო... შეადლისას, ყვარელში, დიდი ქართველი მწერლის – ილია ჭავჭავაძის სამშობლოში ჩავედით. დავათვალიერე სახლ-მუზეუმი, „სასახლე“, სადაც 1837 წლის 27 ოქტომბერს დაბადებულია პოეტი. ახალგაზრდობაში ი.ჭავჭავაძე, თურმე, ოცნებობდა, გარიბალდის არმიას შეერთებოდა იტალიაში. 1861 წელს, სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ სტუდენტთა დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის. იგი 1907 წელს გარდაიცვლილა, პოლიტიკურ მმართველთა მოხელეების მიერ ჩადენილი ბოროტების მსხვერპლი გამხდარა. პოეტი იზიარებდა მისი თანამედროვე დიდი ფრან-

გი მწერლების იდეებს და მუდამ პუშანური იდეალებსაიყვის იბრძოდა. ილია ჭავჭავაძის სახლის ერთ ოთახში ხელთ მომხედა ერთ-ერთი მისი პოემის რუსული ტექსტი, რომელიც მწერალმა 1871 წ. კომუნის დამარცხებას უძღვნა. იგი მთელი გულით უთიანგრძნობდა, პატივს სცემდა სამართლიანი საქმისათვის მებრძოლ ხალხს.

იჭაქვაძე ძალიან კარგად იცნობდა ფრანგულ ლიტერატურას, განსაკუთრებით, ვ.პიუგოს ნაწარმოებებით ყოფილა აღფრთოვანებული. და სწორედ მას, 1863 წელს შეეგუღიანებია თანამემამულეებთან ერთადგმნათ, „განკიცხულნი“. შემოკლებული თარგმანი კიდეც გამოუქვეყნებია თავის ჟურნალში – „საქართველოს მოამბე“.

ილია ჭავჭავაძის ბაღში, სადაც ძველი ხეების ჩრდილქვეშ ესაუბმობდით, ერთბაშად აღელვებამ მომიცეა: კავკასიის ქედის სამხრეთით, ალაზნის ველზე მდებარე ამ პაგარა ქალაქმა – ყვარულმა ლუქსემბურგის პაგარა ქალაქი – ვიანდენი მომაგონა, სადაც 1871 წელს, პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, ბრუსელიდან განდევნილი ე.პიუგო სამი თვით ჩამოვიდა საცხოვრებლად და სადაც, მთელი რიგი პოემები დაწერა. ეს პოემები შედის კრებულში – „სამინელი წელი“. ეს ორი პაგარა ქალაქი დაუეკავმირე ერთმანეთს: ვიანდენი თავისი ბორცვებით, ტყეებით, ცხე-კომკებით რაღაცით ჰგავს ქართულ ქეიმაქს“.

რ.კიფერი ეხება, აგრეთვე, აკაკი წერეთლის შემოქმედებას. მოაქვს მრავალი საინტერესო მასალა იმაზე, რომ პოემა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, მრავალი ლექსი გამოაქვეყნა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. უცხო ავტორი სამართლიანად წერს: „რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში გამათავისუფლებელმა იდეებმა უმაღლეს საფეხურს მიაღწია. აკაკიმ ეპოქის ჭექა-ქუხილი სიამოვნებით მიიღო და რევოლუციის თემაზე დაწერა მთელი სერია აღმაფრთოვანებული ლექსებისა. ასეთი ხასიათის ლექსების წერას პოეტი თანდათანობით სრულყოფდა“.

ავტორი ჩერდება აკაკიმე, როგორც მებრძოლ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეზე. მიუთითებს, რომ იგი ჟურნალ-გამეიუებში სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებს. აკაკი, ილიასთან ერთად, იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლი, რომელმაც თავის ნაწარმოებებში ასახა ქართული საზოგადოების ცხოვრება, მთელი თავისი ნაირსახეობით. აკაკი იცავდა იმ იდეას, რომ ადამიანის მთელი რეალური ცხოვრება, მისი აზრები და იმელები, იყო და არის ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი მიზანი. მეცნიერი, ამასთან დაკავშირებით, წერს: „აკაკი თვლიდა, რომ ლიტერატურა არის ბასრი იარაღი სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხალხს ეროვნულ

ნული ჩაგერისაგან განთავისუფლებისათვის. აკაკი ამბობს, რომ „პოეტი გარემოების საყვირია“. „ჩონგური“ მისთვის საჭიროა იმისათვის, რომ ემსახუროს მშრომელს ხალხს“.

ერცლად ჩერდება აკაკის ლირიკაზე და წერს: „სულიკო“, „ციცინათელა“, „თავო ჩემო“ პოპულარულ სიმღერებად გადაიქცა და ძალის გავრცელებულია არა მარტო საქართველოში, არამედ — მის საზღვრებს გარეთაც“.

მკვლევარი, განსაკუთრებით, ხაზს უსვამს აკაკის პატრიოტიზმის ძალას, მისი სამართლიანი თქმით, პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანი მოტივი — პატრიოტიზმია. პოეტს უზომოდ უყვარს თავისი ხალხი, იწვის მისთვის, მზად არის, გადაიტანოს ყოველგვარი შევიწროება. კიფერს ძლიერ პატრიოტულ ლექსად აკაკის „განთიადი“ მიაჩნია, სადაც ჩვენი მგოსანი განსაკუთრებული სიძლიერით გამოხატავს სამშობლოსადმი სიყვარულს, წლების განმავლობაში ქართველი ხალხი აღტაცებაში რომ მოჰყავდა.

მკვლევარი ეაქასაც არ გოეებს უყურადღებოდ. მიუთითებს, რომ ვაჟა, ილიასა და აკაკისთან ერთად, ითვლება ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენელად. პოეტი კარგად იცნობდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, რომელსაც რეალისტურად ასახავდა თავის ლექსებსა და პოემებში. „ვაჟა-ფშაველამ, წერს კიფერი, ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა. მგოსანი პოეტური შთაგონებისათვის მოსდენილად იყენებს მითოლოგიური ხასიათის სხვადასხვა ეანრს. ეაქას ხალხის ცხოვრების ჩინებული ცოდნა საშუალებას აძლევს, თავის ნაწარმოებებში ჩააქსოვოს ფილოსოფიური ამრები. ამას იგი აღწევს თავისი პოეტური ნიჭის სიძლიერით. პოეტმა, ქართველი ხალხის წინაშე, გამოამჟღავნა ორიგინალური პოეტური სამყარო, ახლებურად გაამუქა რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა“.

აეტორი ერცლად ჩერდება ვაჟას ეპიკურ პოეზიაზე. შენიშნავს, რომ ვაჟას ეპიკურ პოეზიაში სრულყოფილად აისახა როგორც გმირების ხასიათი, ასევე, მთელი ქართველი ხალხის დამახასიათებელი ეროვნული თვისებები. ვაჟას პოეტური გენიის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ზოგადადამიანური ღირსების შენარჩუნება, მაგრამ ამ ზოგადში ადამიანური სიმაღლე გმირის ეროვნულ ხასიათს ეერ წაშლის, არამედ ისინი ერთმანეთს აესებენ, აფართოვებენ და ბუნებრივად მრავალფეროვანს ხდიან. ეს ჩანს ვაჟას ეპიკურ პოემებში: „აღუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მკამელი“ და „ბახტრიონი“.

ამ პოემებში მოქმედება იშლება თუშ-ფშავეხევესურეთის ფონზე, რადგან მთიულთა შორის ყველაზე უკიდურესად იქ იყო „შემიონახული“ გმირი ხალხის დამახასიათებელი თვისებები. ვაჟას გმირების დამახასიათებელი თვისებებია: „სამშობლოსადმი სიყვარული,

კეთილშობილური პატრიოტიზმი“.

ბოლოს, ავტორი დაასკენის, რომ ვაჟა არის შესანიშნავი მხატვარი, ბუნების კანონიერის შესაბამისად, რომელიც, ამ მიმართულებით, ბევრ პოეტს ჩრდილავს. რ.კიფურა, იქვე, სამართლიანად შენიშნავს, რომ ვაჟას არ სჯერა ბუნების სიკვდილი და ამ საკითხში მან გაიზიარა ნიკოლოზ ბარათაშვილის შეხედულებათ.

რომმარო კიფური ეხება ანა კალანდაძის შემოქმედებას. ძალიან მოწონებია მისი ლექსები და ნოდარ რუხაძის პუკარელის შემეფობით, ფრანგულ ენაზე თარგმნა ანა კალანდაძის ლექსები: „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“, „ღრუბლები“, „ქარო“, „მიუვალს კლდემუ დამიღვი ჩემი მიწური“, „პელსინკის კუნძულები“, „ფეხი დამაღვით“ და სხე.

თარგმანები შესრულებულია ოსტატურად, სწორად გადმოსცემს ქართველი პოეტის აზრებს, იცავს რითმებსა და რიტმს.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ რ.კიფურმა ანა კალანდაძემუ დაწერა ნარკევეი: „ანა კალანდაძის პოეზია“, რომელიც გამოქვეყნა „ნუეელ ერომის“ 1972 წლის XII ნომერში. ავტორი აანალიზებს ანა კალანდაძის ლექსებს, მიიჩნევს მას სიჭიერ პოეტად, რომელიც ღრმად ჩასწვდა ქართულ სინამდვილეს და გამოაქვეყნა ადამიანის გულში ჩამწელოში ღირიკული ლექსები. რ.კიფური წერს: „ანა კალანდაძის შემოქმედებაში ეერ ნახავთ საშეალო ლექსებს, მისი ლექსები დაწერილია დიდი პოეტური ოსტატობით, მაღალ იდეურ-მხატვრულ ღონემუ; ხასიათდება ღირიზმითა და ფილოსოფიური სიღრმით. მკითხველს ხიბლავს მისი პოეტური ენის მგრძნობელობა და სიმშეენიერე. მას შემდეგ, რაც მიმო მორინამ და ნოდარ რუხაძემ საქმიანი კონტაქტები დაამყარეს ქართველ და ლუქსებურგის დიდ საჰერცოგოში მომუშავე პოეტებს შორის, ანა კალანდაძის ლექსები დაიბეჭდა „ნუეელ ერომის“ ფურცლებზე, ფრანგულ და იტალიურ ენებზე. თვითონ პოეტი – ანა კალანდაძე 1972 წლის შემოღგომაზე ჩამოვიდა ლუქსებურგში. აი, მისი ლექსები, რომლებიც ფრანგულად ეთარგმნე ნოდარ რუხაძის მიერ შესრულებული პუკარელის მიხედვით“.

პროფ. რ.კიფურის ნარკევეი ანა კალანდაძემუ მოეწონა დიდი საჰერცოგოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას და, ასეთი კარგი ნარკევეის გამოქვეყნებისათვის, რ.კიფურს, 1973 წელს, სიღარის პრემიის ლაურეატობა მიანიჭა. აი, რას წერს ეიური თავის მოხსენებით ბარათში: „რომმარო კიფური დაჯილდოვებულია მეცნიერული კელევის დიდი ნიჭით. მკელევარი, წლების განმავლობაში, მოგზაურობდა საზღვარგარეთის ქეეყნებში, ინახულა ბეერი ქეეყანა არა მხოლოდ თავისი ეგზოტიკური გატაცებისათვის, არამედ იმისათვის, რომ გასცნობოდა ამ ქეეყნების კულტურას და გასაგები ენით გამოყოქვა თავისი აზრი ამა თუ იმ ქეეყნის ლიტე-

რაგურაზე. მწერალმა ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა მრავალი რეპორტაჟი და კრიტიკული სტატია, რომლებშიც გამოამჟღავნა დიდი ცოდნა ამ უცხოური ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში. მწერალს აქვს თავისი ღრმა მეცნიერული რწმენა, ღრმად სწოდება ლიტერატურულ პროცესებს. მის მიერ დაწერილი ნარკვევი ანა კალანდაძეზე ამის დამადასტურებელი საბუთია. მასში ავტორმა წარმოაჩინა ანა კალანდაძის პოეზიის რაობა“.

რომმარი კიფერს წაუკითხავს გურამ ასათიანის წიგნი რუსულ ენაზე – „კორნი ი კრილია“, რომელშიც ერთი თავი ეძღვნება ანა კალანდაძის შემოქმედებას. ეს ერთი თავი ანა კალანდაძეზე ფრანგულ ენაზე უთარგმნია ახალგაზრდა მთარგმნელს – არტურ უმელდინგერს და დაუბეჭდავს „ნუველ ეროპის“ 1983 წლის 41-ე ნომერში. თარგმანს წინ უძღვის რ. კიფერის სტატია – „გურამ ასათიანის პატივსაცემად“, რომელშიც განიხილავს ქართული მეცნიერის აღნიშნულ წიგნს. თელის მას ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარად, რომელმაც მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ქართველ მწერლებს, საშუალება მისცა დაინტერესებულ პირთ, ჩაწედნენ ქართული ლიტერატურის საკითხებს და გამოიყენონ თავიანთი სამეცნიერო შრომებში.

რომმარი კიფერი, უპირველეს ყოვლისა, გულითად სამძიმარს გადმოსცემს გასწვრივებული ოჯახსა და მის მეგობარ მწერლებსა და მეცნიერებს. რ. კიფერის მართებული თქმით, გურამ ასათიანის დაკარგვით ქართულმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა. კიფერი წერს: „გურამ ასათიანი, რომელიც იყო გამოჩენილი მკვლევარი, უღმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგლიჯა თავის ოჯახს და მეგობრებს. გურამის ერთ-ერთი მონოგრაფია – „შესვები და ფრთები“ 1981 წელს გამოვიდა მოსკოვში, რუსულ ენაზე, გამოსცა იგი „საბჭოთა მწერალმა“ („სოვეტსკი პისატელმა“) სოლიდური სათაურით – „კრილია ი კორნი“.

ქართველი მწერლები ილწვიან იმისათვის, რომ მიწედნენ პირველ წყაროებს, შეიძინონ ცოდნა, გაამდიდრონ თავიანთი თხუთმეტასუკუნოვანი ლიტერატურის ისტორია და წავიდნენ უფრო შორს, მორეული პორიზონტისაკენ.

გურამ ასათიანმა შესანიშნავად იცოდა თავისი სამშობლოს მწერლების ცხოვრება-შემოქმედება, თავის ნაშრომებში გადმოგვცა ქართული მწერლების შემოქმედების ღრმა მეცნიერული ანალიზი, თითოეული მწერალი შესწავლილი ჰყავს ინდივიდუალურად, მათი დაღებიით და უარყოფითი მხარეები, მათი ღირსება და მთავონება. თითოეულ მწერალზე წარმოდგენილი აქვს არგუმენტირებული ნარკვევი, რომელიც ჩვენ, უცხოელ მწერლებსა და მეცნიერებს, გვიადილებს ქართველ მწერალთა შემოქმედების შეს-

წაელას. ამიტომ ჩვენ ბატონ გურამს დიდ მადლობას მოვუხსენებთ. უცხოელი მკითხველისათვის ავირჩიეთ გურამის ნარკვევი ანა კალანდაძეზე და გამოვაქვეყნეთ „ნუქელ ეროპის“ ფურცლებზე.

გურამ ასათიანი აღნიშნულ წიგნში მოკლედ განიხილავს ანა კალანდაძის შემოქმედებას. მოაქვს მრავალი საბუთი იმაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდა ანა კალანდაძე, როგორც პოეტი, რომელმაც პირველი ღლებიდანვე მკითხველის ყურადღება მიიპყრო ნიჭიერად დაწერილი ლექსებით თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე. როგორც გურამ ასათიანი აღნიშნავს, შეუძლებელია დავიწყება იმ მღელვარებისა, რომელსაც განვიცდით ანა კალანდაძის ლექსების წიგნის – „იფრინეთ ფოთლებს“ წაკითხვისას, აგრეთვე, მეორე წიგნის – „მრავალეამიერის“ წაკითხვის დროს.

ქართული ავტორი გადმოგვცემს რუსი კრიტიკოსების მოსაზრებას ანა კალანდაძის ლექსებზე. როგორც ნარკვევიდან ჩანს, ანა კალანდაძის ლექსების რუსული თარგმანები რუს მკითხველს კარგად მიუღია.

მე უფიქრობ, რომ გურამ ასათიანის მიერ ანა კალანდაძის შემოქმედებაზე დაწერილ ნარკვევს უცხოელი მკითხველი გულთბილად მიიღებს. მით უფრო, რომ ანა კალანდაძის ლექსები გამოქვეყნებულია ლექსებბურგის ეურნალ-გაზეთებში და მკითხველის მოწონება დაიმსახურა.

ჩვენი მეგობარი ანა კალანდაძე 1972 წელს ჩვენი ეურნალის ღირექტორის – მიმო მორინას მოწვევით, ლექსებბურგში ჩამოვიდა. მე და მიმო მორინამ ანა კალანდაძე ვინახულეთ თავის სამშობლოში.

ერთმა ახალგაზრდა მწერალმა – არტურ უმელდინგერმა, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი მოსკოვში დაასრულა, ფრანგულ ენაზე თარგმნა გურამ ასათიანის ნარკვევი ანა კალანდაძეზე, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვუხსენებთ. ჩვენი აზრით, თარგმანი შესრულებულია მუსგად, სწორად გადმოსცემს ნარკვევის შინაარსს, მის სტილსა და ენას, რაც ჩვენ დიდ მიღწევად მიგვაჩნია. ამ ახალგაზრდამ, მოსკოვში სწავლისას, შესანიშნავად შეისწავლა რუსული ენა.

„კურიე დე ლიუნესკოს“ 1982 წლის დეკემბერის ნომერში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც მიეძღვნა ჩინეთს. ამ სტატიაში ერთ ადგილას ნათქვამია: „როცა საქმე გვაქვს კალიგრაფიის ხელოვნებასთან, პოეზიასა და მხატვრობაში ყოველი ჩინელი ანბანში პოულობს რიგშს და სულიერად ამ ანბანის ელემენტებს უკავშირდება“. ქართული ასოები ძალიან ლამაზია. კარგად ვიცი, რომ ანა კალანდაძე თავისი მშობლიური ენის თითოეულ სიტყვას რულუნებით ეკიდება, რადგან მას უყვარს თავისი ქვეყანა და თანამემამუ-

ლევები. ამიტომ, ღარწმუნებული ვარ იმაში, რასაც ჩინელი მწერალი პუანგ მიაოცი ამბობს ჩინური ენის შესახებ. ეს მშვენიერი სიტყვები ეხება, აგრეთვე, ჩვენს მეგობარს – ანა კალანდაძეს, რომელსაც მივესალმებით მეგობრულად“.

ალსანიშნავია რ.კიფერის სტატია – „მეხედრა ანა კალანდაძესთან“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დი ვარტე პერსპექტივის“ 1973 წლის 28-ე ნომერში. იგი კელაე ეხება ანა კალანდაძის შემოქმედებას და წერს: „ანა კალანდაძე თავის ლექსებში უმღერის სიყვარულს, რომელსაც თითოეული ქართველი იჩენს თავისი სამშობლოსადმი, თავისი ოჯახისადმი, თავისი მეგობრებისადმი, თავისი ღამაში უძველესი კულტურისადმი. მის ლექსებში, აგრეთვე, ასახულია ბუნების პეიზაჟები. პოეტმა იმოგზაურა სკანდინავიის ქვეყნებში, იყო ინგლისში, კარგად იცნობს, აგრეთვე, პარიზს, იტალიას, ჩეხოსლოვაკიას. თავის ლექსებში გადმოსცემს თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

ამრიგად, პოეტმა თავის ლექსებში დაგვიხატა ბუნების საოცარი მომხიბლელობა. ზოგჯერ მის ლექსებს მელანქოლიის იერიც კი დაჰკრავს, თავისებური სინაზე, რომელსაც ზოგჯერ ფინეთის დედაქალაქი ამჟღავნებს. ანა კალანდაძის პიროვნებაში ჩვენ შევიცანით ის ფაქტი, რომ იგი ჩვენთვის ძვირფასი პოეტია, შესანიშნავი გამგრძელებელი უძველესი ქართული კულტურული ტრადიციებისა. ჩვენს სამშობლოში ყოფნისას კარგად გაეცანით პოეტის პიროვნება, გავეცანით, აგრეთვე, მის პოეტურ კულტურას, მის მეგობრულ დამოკიდებულებას სხვა ხალხების კულტურებთან“.

ამის შემდეგ, რ.კიფერი გადადის იოსებ ნონეშვილის, გრ.აბაშიძის, ს.ჩიქოვანის, გ.ლეონიძის, დ.ავალიანის, ნ.იანქოშვილის, ს.რუხაძის, დ.ფანჩულიძის, ალ.ბარამიძის ნაწერების მოკლე მიმოხილვაზე.

რ.კიფერი 1973 წლის ზაფხულში მეორეჯერ იყო თბილისში, სადაც გაიცნო ქართველი მწერლები: გრ.აბაშიძე, გ.ბუაჩიძე, ნ.ღუმბაძე, ელ.მადრაძე, ა.სულაკაური, ი.ნონეშვილი, ელ.მაისურაძე, ლ.სულაბერიძე, ჯ.თითმერია, თ.ანდლულაძე და სხვები.

რ.კიფერი 1973 წლის 30 აგვისტოს მწერალთა კავშირის სასახლეში ეწვია იოსებ ნონეშვილს, რომელიც მაშინ იყო მწერალთა კავშირის მდივანი და თავმჯდომარის მოადგილე. გაიმართა საინტერესო საუბარი ლ.სულაბერიძის, ელ.მაისურაძის და ჯ.თითმერიას თანდასწრებით. აქ იყო რ.კიფერის გიდი – ნოდარ რუხაძე. ი.ნონეშვილმა რ.კიფერს უამბო ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან პროცესებზე, გააცნო ქართული პოეზიის განვითარების გზები.

ამ მეხედრის შესახებ რ.კიფერი გადმოგვცემს: „1973 წლის 30

აგვისტოს მიგვიღო მწერალთა კავშირის მდივანმა და თავმჯდომარის მოადგილემ – პოეტმა ი.ნონეშვილმა. მწერალთა კავშირის მოთავესებულია ერთ ძეგლ, ღამამ სასახლეში, აქეს მაღალი ჭერი, ფართო დარბაზები. ი.ნონეშვილთან კაბინეტში იყვნენ: ლ.სულაბერიძე, ელ.მაისურაძე და ჯ.თითქერია. ვისაუბრეთ ქართული ლიტერატურის საკითხებზე, ბევრი რამ გაეგე ამ შესაღწემაზე პოეტებთან საუბარში. მან მაჩუქა „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“, რომელშიც შევიდა 90 ქართული საბჭოთა პოეტის ლექსების რუსული თარგმანები.

აეგორი შემდეგ, მსჯელობს ი.ნონეშვილის ლექსებზე და მითითებებს, რომ ი.ნონეშვილი ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტია საბჭოთა საქართველოში. მისი ლირიკული ლექსები გამოირჩევა ემოციურობით, ღრმა ფილოსოფიური გააზრებით. ქართულ პოეზიაში მან მოიტანა თავისი საკუთარი ხმა, თავისი გულწრფელი ლექსები. მისი პოეტური სიტყვა გამოირჩევა მამულიშვილური გრძნობით და პატრიოტული შემართებით. აეგორი იქვე შენიშნავს, რომ ი.ნონეშვილმა აღიარება ჰპოვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ – მთელ მსოფლიოში.

აეგორი, შემდეგ, დაასკვნის: „ი.ნონეშვილის ლექსების მთავარი თემაა მშობლიური ბუნების სიბო და სურსელი. ხალხთა მეგობრობისა და პატრიოტიზმის თემა მის პოეზიაში წინა პლანზეა წამოწეული. პოეტმა მთელი მსოფლიო ინახულა, არაერთგზის გამოსულა მაღალ გრიბუნებზე, სადაც ქადაგებდა ხალხთა შორის მშვიდობასა და სიყვარულს. სამწუხაროდ, მისი ლექსები უცხოურ ენებზე ძალიან ცოტაა თარგმნილი. ჩემი თბილისში ყოფნისას, რუსულ ენაზე მითარგმნეს მისი ლექსი – „შემოდგომა თბილისში“, რომელსაც ძალიან მომეწონა. ამ ლექსში ქართული პოეტი უძღერის თბილისის სიმშენიერეს, ქართული ხალხის გამრჯე მარჯვენას“.

კიფერს მოაქვს რამდენიმე სტროფი, რომელსაც მას უთარგმნია ფრანგულად.

რ.კიფერმა და ევგენი ევგუშენკომ ერთობლივად ფრანგულ ენაზე თარგმნეს, აგრეთვე, სიმონ ჩიქოვანის „თბილისის ღამე“.

როგმარი კიფერი აღნიშნავს, რომ სიმონ ჩიქოვანი იყო XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტი, დიდი მამულიშვილი, რუსული და ფრანგული ლიტერატურის კარგი მცოდნე, რომელმაც სახელი გაითქვა სიჭიერად დაწერილი ლექსებით, პოემებითა და მგზნებარე პუბლიცისტური წერილებით.

ლუქსემბურგელი მწერალი იქვე შენიშნავს, რომ სიმონ ჩიქოვანი, შემოქმედების პირველ პერიოდში, იყო ფუტურისტი, მაგრამ შემდეგ პერიოდში პოეტმა თავისი ფუტურისტული ცდუნებანი გადალახა, გაემიჯნა მას, გასდა მოწინავე საბჭოთა პოეტი. თავის

ლექსებსა და პოემებში უმღერის განახლებულ საბჭოთა საქართველოს.

მკვლევარი კარგად იცნობს გრ.აბაშიძის ცხოვრება-შემოქმედებას, აქვს ქართულ პოეტთან პირადი კონტაქტები, მიწერ-მოწერა ქართული ლიგერატურის საკითხებზე. მან გრ.აბაშიძეს მიუძღვნა რამდენიმე სტაგია. ნოდარ რუხაძესთან ერთად, ფრანგულ ენაზე თარგმნა მისი ლექსები: „თბილისი“ და „ფიქრის უსწრაფეს მიჰქრიან ღღენი“. თარგმანი შესრულებულია ოსტატურად. გასაოცარია ის ფაქტი, რომ ნოდარ რუხაძის პწკარედის მიხედვით შესრულებული ფრანგული თარგმანი ეღერს ისე, როგორც ორიგინალში, თარგმანი მუსტად ემთხვევა ორიგინალს, იცავს რითმს, რიტმსა და საზომს.

თარგმნილ ლექსებს წინ უძღვის რ.კიფურის შესავალი სტაგია, რომელშიც ჯერ გადმოსცემს ქართველი პოეტის მოკლე ბიოგრაფიას: დაიბადა 1913 წლის 1 აგვისტოს. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1934 წელს, ხოლო 1938 წელს, გამოვიდა ლექსების პირველი წიგნი, შემდეგ წლებში კი რამდენიმე კრებული.

გრ.აბაშიძე, წლების განმავლობაში, მუშაობდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, 1950 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა იმ ღიდი ღამსახურებისათვის, რომელიც მიუძღვის ქართული ლიგერატურის განვითარების საქმეში.

გრ.აბაშიძე არის მოსკოვეური ფრანგული ჟურნალის – „ვერ ე ოპინიონის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ეს არის ავტორიტეტული ჟურნალი, ბეჭდვითი ორგანო საბჭოთა მწერლებისა მოსკოვში. მასში იბეჭდება გამოჩენილი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები, აგრეთვე, კრიტიკული სტაგიები ლიგერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

რ.კიფური მოიხსენიებს პოეტის ლექსებსა და რომანებს. მიუთითებს, რომ გრ.აბაშიძე არის შესანიშნავი ლირიკოსი და, ამავე დროს, რომანისტიც. უცხოელი მკვლევარი წერს: „გრ.აბაშიძე არის XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი, რომელიც სახელოვნად აგრძელებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიგერატურის ტრადიციებს. შესანიშნავია მისი ლექსების წიგნი – „მთები და კლდეები“, რომელიც ფრანგულად თარგმნა ჩვენმა კოლეგამ – გამოჩენილმა მწერალმა და მთარგმნელმა სერგი წულაძემ.

ასევე, მეტად საყურადღებოა მისი პოემები: „გიორგი მეექვსე“, „ძლევის ქედი“, „შავი ქალაქის გაზაფხული“ და „მარშმის მზანება“, რომლებიც ავტორს მთააგოსა ქართველი ხალხის ისტორიულმა ბრძოლებმა და მეორე მსოფლიო ომმა.

გრ.აბაშიძე არის, აგრეთვე, ისტორიული რომანების ავტორი.

ასეთები: „ლაშარელა“, „დიდი ღამე“, „ცოტნე, ანუ ქარიველია დაცემა და ამბალეება“. იმისათვის, რომ შეექმნა ისტორიული რომანები, მწერალმა საგანგებოდ შეისწავლა ქართული მაგიაწიგები, ღრმად ჩასწვლა მათ. მწერალმა არა მარტო აღადგინა ამ ეპოქის ელფური, არამედ გაააცოცხლა კიდევ ძლიერი ქართული სული, რომელიც საუკუნეებს წვდება და მკითხველს აღელვებს.

„ლაშარელა“ ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნა პროფ. ჰაინც ფენრიხმა, გამოვიდა იგი ბერლინში. რომანის მთავარი გმირი — ღამად წოდებული გიორგი მეოთხეა, რომელიც საქართველოს მეფე იყო. იგი იყო თამარ მეფის შვილი და მემკვიდრე. 18 წლის იყო ღამა, როცა დედა გარდაეცადა. ღამა იყო ნიჭიერი მეფე, მეტად განათლებული, უყვარდა ლიტერატურა, ხელოვნება. იბრძოდა იმისათვის, რომ საქართველო გაეძლიერებინა, ალაგმა ურჩები. ღამამ ომში გამოამჟღავნა დიდი მამაცობა, მაგალითი უჩვენა ჯარისკაცებს.

რომანის ავტორი შესანიშნავად ხატავს ღამას მთელ მოღვაწეობას. გრ.აბაშიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან, განსაკუთრებით, სახელი მოიხეჭა ისტორიული რომანებით.

გრ.აბაშიძე ეურნალის — „ნუველ ეროპის“ მკითხველებისათვის უცნობი არ არის. ამ გამოჩენილი მწერლისა და პოეტის ლექსები ჩვენ ეთარგმნეთ ფრანგულად და გამოვაქვეყნეთ ამ ეურნალის ფურცლებზე.

ჩვენ სამზავსით აღენიშნაეთ, რომ გრ.აბაშიძე არის, აგრეთვე, შესანიშნავი ლირიკოსი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, უმღერის მის ღიღებასა და წინსვლას.

გრ.აბაშიძე არის, აგრეთვე, შესანიშნავი მთარგმნელიც, ფრანგული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე. მაღალ მხატვრულ დონეზე თარგმნა მან ფრანგი და უნგრელი პოეტების ლექსები და გამოაქვეყნა ქართულ ეურნალ-გამეტებში“.

რომმარი კიფერი პირადად იცნობს გრ.აბაშიძეს, რამდენჯერმე იყო მასთან მწერალთა კავშირში და საცხოვრებელ ბინაშიც. აქვს ქართველ მწერალთან საქმიანი მიმოწერა ქართული ლიტერატურის მიმდინარე პროცესებზე.

1983 წლის პირველ აგვისტოს გრ.აბაშიძეს შეუსრულდა დაბადების 70 წელი. ამასთან დაკავშირებით, რომმარი კიფერმა დაწერა მისასალმებელი წერილი, რომელიც დაიბეჭდა 1984 წლის „ნუველ ეროპის“ მეექვსე ნომერში. იგი წერს: „მე, როგორც ლექსმბურგის დიდი საჰერცოგოს ინსტიტუტის ხელოვნებისა და ლიტერატურის განყოფილების ნამდვილი წევრი და კომპეტენტური პიროვნება და, ამავე დროს, ლექსმბურგის ფრანგულენოვანი მწერალთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს მეგობარი, სულითა და გულით ვულოცავ

გრ.აბაშიძეს დაბადების 70 წლისთავს. დაე, კიდეც დიდხანს იმოღვაწეოს მზიურ საქართველოში თავისი მეგობრებისა და ოჯახის ფართო წრეში.

გრ.აბაშიძემ თავისი შთაგონებული ლირიკით, რომელიც ღრმად ქართული და პუმანურია, მომხიბლა, აგრეთვე, თავისი შესანიშნავი რომანებით, რომლებიც გერმანულ ენაზე შესანიშნავად თარგმნა პროფ. ჰაინც ფერიხმა. ჩემს თვალწინ გადაიშალა ქართველი ხალხის ბრწყინვალე წარსული, რომელიც ასე მდიდარი და ღრამაგულია.

1974 წელს, თბილისში რომ ვიყავი, სამუალება მქონდა, პირადად გაჩეცნო გრ.აბაშიძე და სათანადო შემეფასებინა მისი დიდი კულტურა, ფრანგული ენის უცუარი ცოდნა და მისი გამოყენება.

რა თქმა უნდა, ეს ქართველი პოეტი ღირსია, იყოს სულიერი მემკვიდრე შოთა რუსთაველისა. მე მჯერა, რომ გრ.აბაშიძე კიდეც დიდი ხნის განმავლობაში მაგალითის მიმცემი იქნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ახალგაზრდა მიმბაძეველებისათვის“.

რ.კიფური ეხება მურმან ლებანიძის პოეზიას. მან დაწერა სტატია – „მურმან ლებანიძე“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლექსებ-ბურგერ ეორგის“ 1973 წლის 25 ნოემბრის ნომერში. გაზეთში, მურმან ლებანიძის ფოტოსთან ერთად, გამოქვეყნებულია რომმარი კიფურისა და ნოდარ რუხაძის მიერ შესრულებული მურმან ლებანიძის ოთხი ლექსი: „როგორ არ ეწუხდე, რომ ფერი მიგდის“, „მეტეხის კლდეში სწერია“, „ხმელი ფოთლები“ და „ფუნდუკში დილით წვენს ხვრეპლენს სამნი“.

თარგმანები, როგორც ყოველთვის, უმაღლეს დონეზეა შესრულებული. რომმარი კიფური უცხოელ მკითხველს აცნობს მურმან ლებანიძის ბიოგრაფიას. აღნიშნავს, რომ მურმან ლებანიძემ ლექსების წერა დაიწყო ადრე. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1938 წელს, 1950 წელს კი – პირველი წიგნი. „მურმან ლებანიძე, წერს კიფური, ეხება ბეერ საჭირბოროტო საკითხს. როგორც ნოდარ რუხაძე თავის სტატიაში სამართლიანად შენიშნავს, მურმან ლებანიძისათვის ისე, როგორც ყველა ნამდვილი პოეტისათვის, არ არსებობს ისეთი თემა, რომელიც არ იყოს მისი პოეზიის შთამაგონებული. მურმან ლებანიძის ლექსები აღსავსეა ემოციით, ახასიათებს ელერადობა, რითმისა და რიტმის შეგრძნება.

ლექსები, რომლებიც პოეტმა ჩვენი საუკუნის 70-იან წლებში გამოაქვეყნა, მეტად მნიშვნელოვანია თავისი თემატიკით. ეს არის ახალი ეტაპი პოეტის შემოქმედებაში. მურმან ლებანიძე არის გააზრების პოეტი და არა – უბრალო ემოციებისა, ის ღრმად იჭრება მოვლენებში და რეალურად განსჭვრეტს სინამდვილეს. მურმან ლებანიძე არის ღრმა ფილოსოფიური აზროვნების პოეტი, სულგრძელი, ცხოვრობს თბილისში. მე თვითონ შემიძლია შევაფასო ის დი-

და პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც იჩენს პოეტის მიმართ ქართველი ხალხი, როგორც უძველესი ქართული კულტურის გრადიციების ღირსეული გამგრძელებლსა“.

რომმარი კიფერი 1973 წლის აგვისტოში, ბინაზე ეწვია მწერალ ლადო ავალიანსა და მის მეუღლეს – ნათელა იანქოშვილს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ჟურნალ „ნუეელ ეროპის“ 1973 წლის XI ნომერში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეხება ორივე შემოქმედის მოღვაწეობას ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ავტორი წერს: „მე ვიყავი სახლში მწერალ ლადო ასათიანთან, რომელიც არის ავტორი ტრილოგიისა – „ახალი პორიზონტი“, აგრეთვე, ნოველებისა და მოთხრობებისა. ბატონ ლადოს ჰყავს მეუღლე – მხატვარი ნათელა იანქოშვილი. მე ვნახე ნათელა იანქოშვილის მიერ შესრულებული თამარ მეფის პორტრეტი, აგრეთვე, ბუნების პეიზაჟები, რომლებიც ძირფესვიანად ამაფორიანებელი, ამაღლებელი და ღრამბებულია. „მე ასე ვიყნობ და ასე მესახება ჩემი ქვეყნის ისტორია“, – მითხრა მხატვარმა. შეხედლრა მხატვართან ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. დიდად ვუფასებ ნათელას მიერ შესრულებულ ნახატებს, რომლებიც გამოუყენილია თბილისში და მოსკოვში. ჩემი აზრით, გულითა და სულით ნათესაური კავშირი არსებობს ნათელა იანქოშვილსა და ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას შორის“.

რ.კიფერი, შემდეგ, ჩერდება ლადო ავალიანის შემოქმედებაზე. განსაკუთრებით, მოკლედ განიხილავს „ახალ პორიზონტს“. იგი წერს: „ახალი პორიზონტი“ ძველი მემხგის – სიკო არაბიძის ოჯახის, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ვაჟის – შატბია არაბიძისა და მისი სატრფოს – თამარელას ცხოვრების ისტორიაა. ამ ეპიური ნაწარმოების თემა აღამიანის მორალური პასუხისმგებლობაა, როგორც სამოგადოების, ისე საკუთარი თავის წინაშე, იმ საქმის სიყვარული, რომელიც მას აურჩევია და დაუსახავს ცხოვრების მიზნად.

დიდი სამამულო ომის პერიოდში, მკაცრ პირობებში, რომანის პერსონაჟების მაგალითზე, მწერალი გვიჩვენებს იმ მრომით თავდადებას ზურგში, იმ ერთგულებას, რამაც განაპირობა საბჭოთა ხალხის გამარჯვება გერმანულ ფაშიზმზე“.

რომმარი კიფერი დაინტერესებულა კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანებით, განსაკუთრებით, „დიდოსტაგის მარჯენის“ გამო. მკვლევარს წაუკითხავს აღნიშნული რომანის ფრანგული თარგმანი, რომელიც 1957 წელს გამოვიდა პარიზში, თარგმნა იგი რუსულიდან ფრანგმა მწერალმა – რენე ღომეკმა.

ავტორი აღნიშნავს, რომ რომანში მოქმედება წარმოებს X-XI საუკუნეებში. ეს იყო ის დრო, როდესაც საქართველო პაგარ-პაგარა ფეოდალურ სამფლობელოებად იყო დაქუცმაცებული და მას თავს

ესხმოდნენ უცნობი ღამიერიობლები. მეფე გიორგი იბრძოდა ერთიანი, ღამიერიობლები საქართველოს შექმნისათვის. ავტორი ჯერ გადმოსცემს რომანის მოკლე შინაარსს, შემდეგ, ცალ-ცალკე ახასიათებს რომანის გმირებს: გიორგი პირველს, ხალხის წიაღიდან გამოსულ კონსტანტინე არსაკიძეს, ღამიერი შორენასა და ფარსმან სპარსს. ლუქსემბურგელი მწერლის სიმბათია კონსტანტინე არსაკიძის მხარეზეა. „ღიღოსტაგის მარჯვენაში“, წერს რომმარი კოფერი, მწერალი ავგისახავს ქართველი ხალხის ისტორიის მეტად საინტერესო პერიოდს. ბაგრატ მეფემ მოახერხა, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანებისათვის. მისი საქმე ღირსეულად განაგრძო ბაგრატ მესამის შვილმა, საქართველოს სახელოვნამა მეფემ – გიორგი პირველმა. რომანის მთავარი გმირი სწორედ გიორგი პირველია. მწერალი ავგისახავს გიორგი პირველის მეფობის ხანას, მის სახელოვნამ ბრძოლას საქართველოს გაერთიანებისათვის. რომანში ასახულია ის შინაგანი წინააღმდეგობა და უთანხმოება, რომელთაც ადგილი ჰქონდა გიორგი მეფესა და სამთავროთა თავნება ფეოდალებს შორის. მწერალი, რომანის დასაწყისიდანვე, ღამიერიობლებად ავგისწერს მეფის ბრძოლას მამამე ერისთავის, თალაგეა კოლონკელაძის, გოხაიძისა და ჭიბურის წინააღმდეგ. რომანში ბევრ ადგილას არის ნაჩვენები გიორგი პირველი, როგორც ხალხისათვის თავდადებული, საქართველოს ღამიერიობლებისათვის მებრძოლი მეფე. რომანის მღიღარია მრავალფეროვანი, მხატვრულად სრულყოფილი და ღამიერიობლები სახის მქონე პერსონაჟები. მწერალი ძლიერი საღიღარებით ხატავს გიორგი მეფის, მამამე ერისთავის, შორენას, მელქისედექ კათალიკოსის, ფარსმან სპარსისა და კონსტანტინე არსაკიძის სახეებს“.

ლუქსემბურგელი ავტორი, შემდეგ, აღნიშნავს, რომ კონსტანტინე არსაკიძისა და გიორგი მეფის შემდეგ, მხატვრული საღიღარებით ყველაზე უფრო სრულყოფილი სახე მაინც ფარსმან სპარსია. იგი მიუთითებს, რომ კონსტანტინე არსაკიძეს თავდადებით უყვარს შორენა, შორენამ თავისი გული არსაკიძეს ანდო, მხოლოდ მასში მონახა ქალმა გულწრფელი მიჯნური. მწერალი კონსტანტინე არსაკიძის სახით, ღამიერი ფენიდან გამოსულ, მღიღარავე აზროვნების აღამიანს გვიხატავს.

უცხოელ მღიღარს მესანიშნავად გაეგია კონსტანტინე არსაკიძის პიროვნება, მისი მღიღარავე როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რ.კოფერი სამართლიანად წერს: „რომანის ცენტრალურ ფიგურას კონსტანტინე არსაკიძე წარმოადგენს, რადგან ხალხური თქმულება ამავე მიუთითებს და სათაურიც რომანისა მწერალმა ძლიერ გამოკვეთა, უთანასწორო ბრძოლაში ღამიერიობლები დიდი შემოქმედის – არსაკიძის სახე, რითაც ისტორიულ რომანს თანად-

როული ელერადობა მისცა“.

უხსოველ მეცნიერს ძალიან მოსწონებია, ქალებს შორის, ყველაზე უფრო შორენა. იგი დასძენს: „საინტერესოაა, აგრეთვე, დახასიათებული შორენაც. იგი ქართული ქალის მეტად საინტერესო გიჟია. გამსახურდიათ გმირ ქალთა შორის, ყველაზე მაღლა დგას თავისი მორალური სახით, ულამაზესი შორენა. მას აქვს ქალური სათნოება, გმირული და ეაეაეური სული, პატრიოტული გრძნობა და გულწრფელი მიჯნურობა. შორენას ყველა ეს თვისება ქართულ მწერალს დიდი ოსტატობით აქვს დახატული“.

რომმარი კიფერი ეხება, აგრეთვე, ფარსმან სპარსს, მას ეძახის ავანტიურისტს, რომელსაც შეშურდება კონსტანტინე არსაკიძის წარმატებანი სექციტხოვლის მშენებლობის ღარგმი: არსაკიძეს დაასმენს მეფესთან, რომ მას უყვარს შორენა.

გამმაგებული მეფე შურს იძიებს: შორენას ჩაკეტავს მონასტერში – ახალგაზრდა არქიტექტორს კონსტანტინე არსაკიძეს მოჰკეითენ მარჯვენა ხელს, არქიტექტორი განჯვით კვდება. შორენა, თავისი მიჯნურის სიკვდილს რომ გაიგებს, თავს იკლავს – მაღალი კლდიდან უფსკრულში გადაეშვება. ავტორი მართალია, მოკლელ განიხილავს რომანს, მაგრამ ძალიან კარგად და საქმის კარგი ცოდნით“.

აქვე უნდა აღინიშნოს წერილები, რომლებიც რ.კიფერმა მიუძღვნა ქართულ აღზარამიძეს, დუანჩულიძესა და მწერალ სოღარ რუხაძეს. დაიბეჭდა ეს წერილები „ნუველ ეროპის“ ფურცლებზე და ქართულ ჟურნალ-გამეთებში.

„სოღარ რუხაძეს, წერს კიფერი, ჩვენ პატივს ვცემთ, როგორც დაუცსრომელ პუბლიცისტს, რომელმაც სამღეარგარეთის ხალხებს გააცნო თავისი ქვეყნის საოცარი კულტურა, მის მიერ თავის მშობლიურ ენაზე თარგმნილი გერმანული ლიტერატურის სიმდიდრე. როდესაც ჩვენს ხალხებს ვაცნობთ მსოფლიოს ჰუმანისტების შემოქმელებას, ეს დიდად საპატივცემლო საქმეა, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შესწირა სოღარ რუხაძემ. ასეთი მოღვაწეობა ასულდგმულებს დიდი ქართული პოეტის – შოთა რუსთაველის პოემიას, ხელს უწყობს მშვიდობის საქმისა და ადამიანის ამროვნების შემდგომ განვითარებას“.

„პროფესორმა დავით დანჩულიძემ, განაგრძობს რომმარი კიფერი, თავისი ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების ღრმა მცოდნემ, ამავე ღროს, ფრანგული ლიტერატურის შესანიშნავმა მკვლევარმა დამაკავშირებელი ხილი გაღო ჩვენს ქვეყნებს შორის. ჩვენი ქვეყნები უნდა იცნობდნენ ერთმანეთს, მოძმე ხალხების ლიტერატურას, მათ ურთიერთობისაგან უნდა ისწავლონ და გააძდიდრონ თავიანთი ლიტერატურა. დიდი ინგერესით შევისწავლე დუანჩულიძის წიგნი: „ქართულ-ფრანგული ურთიერთობანი XIX

საუკუნეში“ და 1972-1973 წლებში დაეწერე სტატია – „ფრანგები საქართველოში“, რომელიც დაიბეჭდა 1974 წლის კანადურ ჟურნალში – „ეკრიტიკულ ფრანსიზ დან ლე მონდში“. პროფ. დ. ფანჩულიძის წიგნმა დიდი დახმარება გამიწია იკვავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და კიკა ბუაჩიძის ნაშრომთა უკეთ გაცნობაში. მისი წიგნიდან გაეიგე, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი საზოგადოებრიობა ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებას. ეს ფაქტი განსაკუთრებით მაინტერესებს, რადგან ე.პიუგო ჩვენს ქვეყანაში ხუთჯერ იყო“.

ასევე, როგორმადი კიფერი გამოეხმაურა აკად. ალ. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავის იუბილეს, დაიბეჭდა მისი სტატია 1982 წლის „ნუველ ეროპის“ 37-ე ნომერში. მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი აკადემიკოსის დამსახურებას ძველი ქართული ლიტერატურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში სამღვარგარეთ.

როგორმადი კიფერი მოხიბლა ჩვენი სახელგანთქმული, მარად ცოცხალი სერგი წულაძის ფრანგულმა თარგმანებმა, აგრეთვე, მისმა პუბლიცისტურმა წერილებმა. მწერალი ქალი თავის ნაშრომებში მრავალგზის მსჯელობს მის თარგმანებზე და აძლევს მათ მაღალ შეფასებას. „საქართველოში ჩემი მეორედ ყოფნისას, წერს რ. კიფერი, დიდად მასიამოვნა დოქტორ სერგი წულაძის გაცნობამ. სერგი წულაძე საფრანგეთში დაბადებულა, იქვე მიუღია სამედიცინო განათლება, ამჟამად ექიმი-ფსიქოლოგის თანამდებობაზე მუშაობს თბილისში. იგი საქართველოში თავის მეუფლესთან – მადლენ ეერდოსთან ერთად ჩამოვიდა. დღეს ფრანგული ყოფა თბილისში მაღალ, ინტელექტუალურ დონეზე დგას. სერგი წულაძემ 1964 წელს, პარიზის გალიმარის გამომცემლობაში დაბეჭდა მის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი შ.რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. 1965 წელს ეს გამოცემა აღინიშნა საფრანგეთის აკადემიის ღანგლუას პრემიით. წინა გამომცემლობის ნებართვით, ეს თარგმანი ხელახლა გამოვიდა საქართველოში, 1966 წელს (გირაჟი 1000).

სერგი წულაძემ, ამ ღრმად განათლებულმა კაცმა, დაწერა ბროშურა – „რუსთაველთან გაცნობა“, რომელიც, ასევე, საქართველოში გამოვიდა ფრანგულ ენაზე (გირაჟი 10000). ნაშრომში დაწერილებით არის გაანალიზებული რუსთაველის პოემა, ავტორი მას ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიაში, ასევე, ქართულ ლიტერატურასა და მსოფლიო ლიტერატურაში განსაკუთრებულ ადგილს მიაკუთვნებს.

სერგი წულაძემ 1968 წელს, პარიზში, გამოაქვეყნა დიდი ქართული პოეზის – ნიკოლოზ ბარათაშვილის (1819-1845) ლექსების წიგნი, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოსცა „ლე ბელიტოერ ფრანსე რეიუნიმ“ (ფრანგ გამომცემელთა გაერთიანება). ნაშრომი შეი-

ცაეს ქართულ ტექსტსა და ალაპგაციას. წიგნის სათაურია: „ბელი ქართლისა“. შესავალი დაწერილია სერგი წულაძის მიერ. მანვე თარგმნა ბარათაშვილის რამდენიმე ლექსი, სხვა ლექსები თარგმნეს ფრანგმა პოეტებმა: მაქს-პოლ ფუშემ, პიერ გამარამ, ჟაკ გომერონმა და გიევიკმა, გასტონ ბუაჩაძის აწკარედის მიხედვით. თერთმონ გასტონი ფრანგულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის თბილისის უნივერსიტეტში. სერგი წულაძემ საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობა მომაწოდა ერთ ნაშუადღევს, ზურაბ და თინათინ კალანდაძეების, პოეტი ქალის – ანა კალანდაძის ძმისა და რძლის ოჯახში. ანა კალანდაძე მგზნებარე, ფაქიში სულის ქალია. მასთან საუბარში იგრძნობა ქართული, ესოდენ ლამაზი ბუნებით გამოწვეული შთაბეჭდილებები, მშობლიური მიწისაღმი სიყვარული, სამშობლოს გრავიკული ისტორიით აღძრული ემოციები. იმ დღეს, ჩვენს შორის იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – როგნედა ლამბაშიძე, რომელიც ძალიან კარგად ლაპარაკობს ფრანგულად. მან მაჩუქა ქართული ენის თეიომასწავლებელი, განკუთვნილი უცხოეთში დაბადებული და მცხოვრები, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველებისათვის. როგნედა ლამბაშიძე, ნუნუ ქალაქშილთან ერთად, ამ ნაშრომის თანაავტორია.

სერგი წულაძემ თბილისში წაგვაცოხა ანა კალანდაძის ლექსის – „თუთის ხის მისეული ფრანგული თარგმანი, რომელიც შესანიშნავად ჟღერს.

კარლ მარქსის ბიბლიოთეკაში გავიგე, რომ ფრანგი კლასიკოსებიდან ბევრი ყოფილა ქართულად თარგმნილი. სერგი წულაძემ გადმომცა სია და შელაპარაკა „როლანდის სიმღერისა“ და რაბლეს ნაწარმოებთა თარგმანებზე. ახლახან დისერტაციებიც კი დაუწერიათ რეტიფ დე ლა ბრეტონზე, ლოტრეამონზე და აპოლინერზე. დოქტორ სერგი წულაძის აზრით, XIX საუკუნიდან ფრანგული ლიტერატურა აშკარა გაელენას ახდენს ქართულ ლიტერატურაზე. ეს მოსაზრება ეყრდნობა პროფ. დ. ჟანჩულის დებულებებს.

სერგი წულაძე ფიქრობს, ფრანგული პოეზიის, კერძოდ, პოლ ვერლენის პოეზიის სუნთქვა თუ სურნელება დღესაც იგრძნობა ქართულ პოეზიაში. ფრანგული ენის მეოდნე ბევრია საქართველოში, ფრანგ მწერლებთან შეხვედრაც ხშირია, ეწყობა საუბრები მრგვალ მაგიდასთან. 1966 წელს, როცა საქართველომ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილე იზეიმა, საფრანგეთი წარმოდგენილი იყო სერიოზული დელეგაციით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: რენე ლაფონი, გასტონ გალიმარი, გამომცემლობა „ლე ბელიტერ ფრანსე რეიუნის“ დირექტორი – მაღელენ ბრონი, მაქს-პოლ ფუშე, პიერ გამარა, გიევიკი, არმან ლანუ, კატერინ გოლსგოი, იე განდონი და როჟე კაიუა. აღჭირიდან მწე-

რალი კატეგორიის იასიენი ჩამოსულა, რომელიც ფრანგულ ენაზე წერს.

სერგი წულაძე პარიზში გამოსაცემად ამზადებს „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“, X საუკუნიდან დღემდე. ამ კრებულში ჩვენს მიერ მოხსენებული ლექსიც შედის. სერგი წულაძემ სხვა ლექსებზეც გამაცნო: პაოლო იაშვილის, გალაკტიოს ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, მერმან ლებანიძისა და ოთარ ჭილაძის ლექსები. ყველა აქ ჩამოთვლილი მწერალი დიდებული პოეტიც არის. მაგრამ მე მინდა წარმოგიდგინოთ გრ. აბაშიძის ლექსები. იგი ცნობილი მწერალია, რომელსაც მგზნებარედ ეხერხება თავისი ქვეყნის სილამაზისა და მის მიერ შთაგონებული სიყვარულის გამოხატვა. ეს კარგად ჩანს მის ლექსში – „ოქროს ვენახი“.

როცა დოქტორ სერგი წულაძეს უსმენთ, რწმუნდებით, რომ ფრანგული ენა კარგად მიესადაგება ქართული პოეზიის ადაპტაციას. სერგი წულაძის თარგმანებში ამკარად იგრძნობა საქართველოს ბრწყინვალეობა და სხივი.

„საქართველოს მშეები“ – ამ სათაურით ამზადებს სერგი წულაძე წიგნს, რომელიც განზრახული აქვს, მიუძღვნას ქართულ სამშობლოს, რათა იგი თავის ყოფილ – ფრანგულ სამშობლოს გააცნოს.

ბრწყინვალეობა, სხივი, მზე – ამ სიტყვების გამოყენება ბუნებრივია საქართველოს აღწერისას: ნათელი ბრწყინვალეობა, დაბინდულ ბრწყინვალეობასთან ერთად, ფრანგული სიმდიდრე, მთები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები. ძველ ქალაქებში, სადაც ჭადრებში ჩაფლული, აღმართ-დაღმართი ქუჩები და მოჩუქერიძებული აივნები სახლებია, დგას კარლ მარქსის სახელმწიფო ბიბლიოთეკა“.

აღნიშნული სტატია დაწერა კიუფერმა, 1974 წელს, როდესაც სერგი წულაძე ცოცხალი იყო და ქმნიდა, მაგრამ 1977 წლის 2 ივლისს, ეს დიდებული მოღვაწე, მოსკოვში ყოფნისას, მოულოდნელად გარდაიცვალა.

მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში კიუფერს უნახავს და შეუსწავლია დ. ფანჭულიძის ნაშრომები, მათ შორის განსაკუთრებით ფუდამენტური მონოგრაფია: „ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობისათვის“.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რ. კიუფერის სტატია – „რომანული ფილოლოგიის ორი ქართველი საეციალისტი: გასტონ ბუაჩიძე და სერგი თურნაია“, რომელიც დაიბეჭდა კანადურ ჟურნალში – „ეკრიტიკურ ფრანსეზ დან ლე მონდი“. ავტორი უცხოელ მკითხველს მოუთხრობს ამ ორი მოღვაწის შესახებ საერთაშორისო სარბიელზე.

კიუფერი წერს: „ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, საქართველოში ფრანგების ყოფნის მნიშვნელობის ზრდას ხელს უწყობს პროფ. გასტონ ბუაჩიძის მოღვაწეობა. ბაგონი გასტონი თანამშრომლობს მრავ-

ვალ უცხოურ ბეჭდუდით ორგანოში, მის სტატიებს ხშირად ეკითხულობთ ქურნალში – „ნუქელ ეროპ“, რომელიც ლუქსემბურგში გამოდის იტალიელი პოეტის – მიმო მორინას ხელმძღვანელობით“.

მეტად საინტერესოა კიუფერის სტატია – „ფრანგული ლიტერატურა საქართველოში“, რომელიც დაიბეჭდა კანაღური ქურნალის – „ეკრიტიურ ფრანსეზ დან ლე მონდის“ 1981 წლის მესამე ნომერში. ავტორი მოიხმობს პროფ. ფანჩულიძის, პროფ. ვასკონ ბუაჩიძისა და დოქ. სერგი თურნაშას ნაშრომებს. მიუთითებს, რომ ქართველებს ფრანგებიდან შუა საუკუნეებიდან პქონიათ კულტურული კავშირები, შემდეგ საუკუნეებში ეს კავშირები უფრო გაძლიერდა, XVII საუკუნეში ჩამოვიდა ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, შემდეგ ექვნი ორსოლი, ბარონ დე ბაი, ადოლფ ბერეჟე, მარი ბროსე და სხვ. მათ შეისწავლეს საქართველოს კულტურა და საზღვარგარეთ გამოაქვეყნეს ნაშრომები.

რომმარი კიუფერი თავის ნაშრომს იწყებს ალექსანდრე დიუმას საქართველოში მოგზაურობით და მაღალ შეფასებას აძლევს ფრანგ მწერალს, რომელიც იყო ქართველი ხალხის დიდი მეგობარი.

რ.კიუფერი ეხება ფრანგი მოგზაურების: ჟან-შარდენის, ჟან ბაგის ტავერნიეს, ფრ.დიუბუა დე მონტპერეს, მარი ბროსეს, სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომებს.

„XVII საუკუნეში, წერს რ.კიუფერი, დიდი ქართველი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთში ჩასულა ლუი XIV-ის სამეფო კარზე. საქართველო, ქრისტიანული ცივილიზაციის ძველი მიწა, მუსულმანთა ბატონობისა და გამუდმებული მუქარით იტანჯებოდა, მაგრამ დასაყლეთ ევროპა არ გამოხმადურებია ქართველი ხალხის მოწოდებას. სამაგიეროდ, დიდ ფრანგ მოგზაურებს დაუთვალღიერებიათ ეს ქვეყანა. ჟან ბაგისტის ტავერნიეს (1605-1689), ჟან შარდენის (1643-1713) და ფრედერიკ დიუბუა დე მონტპერეს (1798-1850) გამოუქვეყნებიათ წიგნები, რომელშიც გაღმოცემულია თავიანთი შთაბეჭდილებანი ქართველი ხალხის უძველეს კულტურაზე.

ფრანგ მწერალს – ბარიელემი დიუ ომანს გამოუქვეყნებია ქართულ თემაზე რომანები: „რეტინა, ანუ ლამაზი ქართველი ქალი“ (1723) და „რესპია, ანუ ლამაზი ჩერქეზი ქალი“ (1754).

ენციკლოპედიაც იძლევა ცნობებს საქართველოს შესახებ. ფრანგული სამხედრო მისია, რესპუბლიკის მეხუთე წელს აქვეყნებს „ისტორიული და გეოგრაფიული მეძუარები შაჰ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარე ქვეყნებზე“ (1783-1835). პარიზში ბეჭდავს წიგნს – „მოგზაურობა კავკასიონის მთაზე და საქართველოში“.

ფრანგი ორიენტალისტი მარი ფელისიტი ბროსე (1802-1880), სანქტ-პეტერბურგის აკადემიის წევრი, დილხანს ცხოვრობდა საქართველოში, შეისწავლა ქართული ენა და პარიზში გამოაქვეყნა

ნაშრომები ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. აქვე შეენიშნა, რომ მარი ბროსე საქართველოში დიღხანს არ ცხოვრობდა, დიღხანს ცხოვრობდა სანქტ-პეტერბურში. საქართველოში ჩამოვიდა იგი 1847 წლის აგვისტოში და დაბრუნდა სანქტ-პეტერბურგში 1848 წლის შემოდგომაზე. ფრანგ მეცნიერს საქართველოში ქართული ენა და ლიტერატურა. სახელოვან ქართველოვს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ნაშრომები ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე.

რომმარი კიფერი განაგრძობს, რომ ამ ნაშრომში მოხსენებული არიან სხვა ფრანგი მოგზაურებიც, მათ შორის, ალექსანდრე დიუმა – მამა. ყველა მოგზაურს დაუწერია მოგონებები თავიანთ მოგზაურობაზე. „დიუმა – მამა, წერს კიფერი, სხვათა შორის, დაწერილებით აწერს შამილის ხალხის მიერ თავადის ქალის – ანეტა ჭავჭავაძისა და თავადის ასული – ვარეზა ორბელიანის მოგაცუბას. ეს ორი დიდგვაროვანი მანდილოსანი მხოლოდ იმის შემდეგ დაუბრუნებიათ ოჯახში, როცა რუსეთის მეფეს სანქტ-პეტერბურგში მძევლად დატოვებული შამილის ვაჟი დაუბრუნებია მამისათვის. თავადის ქალს – ჭავჭავაძეს ბავშვების აღმზრდელად ჰყოლია ფრანგი მაღამ დრანსე, რომელიც მათთან ერთად, მოუტაცნიათ. ამ ქალს ცოტა მოგვიანებით, პარიზში გამოუქვეყნებია წიგნი – „ფრანგი ქალის, შამილის გყვეს მოგონებანი“, სადაც ამ საშინელ ამბავს აღწერს. ქალები 1854 წელს მოუტაცნიათ, ალექსანდრე დუმას მოგზაურობამდე ცოტა ხნით ადრე“.

რომმარი კიფერი ეხება, აგრეთვე, ბარონ დე ბაის მოგზაურობას საქართველოში, მოიხსენიებს მის ნაშრომებს, როგორიცაა: „საქართველოში“, „კავკასიის ქედის სამხრეთით“, „კავკასიის ქედის ჩრდილოეთით“, „ტიფლის“, „იმერეთში“, „აფხაზეთში“ და მალაღ შეფასებას აძლევს მის წიგნებს.

კიფერი მიუთითებს, რომ ბარონ დე ბაი დიდ ხანს ცხოვრობდა საქართველოში. აქ უმუსგობაა, ბარონ დე ბაი სამჯერ იყო საქართველოში, ცოტა ხნით. (ს.თ.)

მეცნიერი შენიშნავს, რომ პროფ. დ.ფანჩულიძეს თავის წიგნში შეტანილი აქვს ერთი თავი ბარონ დე ბაის მოღვაწეობაზე, ავტორს წიგნში შეუტანია ლეგენდა – „მშვენიერება“, რომელიც ფრანგ მოგზაურს უთარგმნია ფრანგულ ენაზეო. ამკარად ჩანს, რომ ფრანგმა მწერალმა განიცადა და შეისისხლბორცა ქართული პოეზიის მომხიბვლელობაო.

რ.კიფერი უცხოელ მკითხველს მოუთხრობს იმ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე მეფე ერეკლე მეორეს. მეცნიერი მიუთითებს, რომ საქართველო, დიდი ხნის განმავლობაში, ცხოვრობდა ძნელბედობაში, მას ხშირად ავიწროებდნენ მისი მეზობლები – თურქები და სპარსელებიო. ერეკლე

მეორემ XVIII საუკუნეში მიმნალ დაისახა, მჭიდრო მეგობრობა დაემყარებინა ქრისტიანულ და ორთოდოქსალურ რუსეთთან. 1801 წელს საქართველო ნიბაყოფლობით მეუერთდა რუსეთს. მართალია, ამ მომენტიდან ქართველებს რუსეთთან ერთად მეუფის ხელისუფლებათა რეჟიმის უსამოვნებათა გადატანა უხდებოდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთის სამუალებით უფრო მეტი კონტაქტები დაამყარეს დასავლეთ ევროპასთან.

როზმარი კიუფერი მსჯელობს ფრანგ განმანათლებლებზე: ვოლტერზე, მონტესკიეზე, რუსოზე და ლიდროზე, რომელთაც დიდი გავლენა მოახდინეს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. ამის საილუსტრაციოდ ავტორი მოიხსენიებს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში კონტაქტები დაამყარა საფრანგეთთან, ფრანგულ ენაზე თარგმნა ლაფონტენის, ვოლტერის, კორნულის, რასინის, ჰიუგოს ნაწარმოებები და გააცნო ქართველ მკითხველს.

როზმარი კიუფერი, იქვე, მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც კარგად იცნობდა ფრანგულ მწერლობას, ქართულ ენაზე თარგმნიდა ფრანგი პოეტების ლექსებს და აცნობდა მკითხველთა ფართო სამოგადოებას.

„ილია ღრმა პატივისცემით იხსენიებს ჰიუგოს. წერს კიუფერი, როგორც ვიცით, ილიას თაოსნობით თარგმნილი და დაბეჭდილი იქნა ჰიუგოს რომანი – „საბრალონი“. განსაკუთრებით, რომანის მოქმედ პირს – ეპისკოპოს მირიელს მოუხდენია დიდი შთაბეჭდილება ილია ჭავჭავაძეზე. ქართველი მწერალი ვიქტორიენ სარდუს თეატრითაც დაინტერესებულა. მის ბიბლიოთეკაში უამრავ ფრანგულ წიგნს შესვლით. „საფრანგეთის დიდებული ერი ქმნის დიდებულ ადამიანებს არა მარტო საფრანგეთისათვის, არამედ, ყველა ერისათვის. დიდება მხოლოდ საფრანგეთს“, წერს ილია ჭავჭავაძე საფრანგეთის შესახებ. ეს მოსაზრება წითელ ზოლად გასდევს პროფ. დავით ფანჩულიძის გამოკვლევას, რომელიც საქართველოში გამოქვეყნდა 1970 წელს.

ვიქტორ ჰიუგომ სწრაფად იპოვა ქართველი მთარგმნელები, მათ შორის, ბუერი მწერალია. აი, ზოგი მთარგმნელის გვარი: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, გიორგი წერეთელი, თეოდოსიო, კოტე ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ჩიქოვანი, ივანე მაჭავარიანი, სიმონ ქვარიანი და სხვ.

თუ ჰიუგოს რომანმა – „საბრალონი“ დიდი წარმატება პოვა საქართველოში, ასეთივე გავლენა მოახდინა ჰიუგოს პოეზიამ და თეატრმა ქართულ ლიტერატურაზე. 1879 წელს, ქუთაისის თეატრმა სცენაზე დადგა ჰიუგოს პიესა – „ერნანი“, ხოლო იგივე პიესა, 1898 წელს, წარმოადგინეს თბილისში. ქართველი მწერალი იონა მეუნარგია პარიზში შეხვედრია ვ.ჰიუგოს. ამ შეხვედრისას

ფრანგი მწერალი დაისტერესებულა და მას ქართველი მოსაუბრე გაუშხიეებია შ.რუსთაველის „ეფესისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანის წამოწყებაში“.

რ.კიფერი, აგრეთვე, ყურადღებას ამახვილებს ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაზე (1843-1928), რომელსაც იყო კარლ მარქსის მეგობარი, ფილოსოფოსი და მწერალი. იგი დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში, წერდა ფრანგულ ენებზე ნაშრომებს. ნიკო ნიკოლაძეს ქალაქ ციურისში დაუეცა სალოქტორო ლისერტაცია ფრანგულ ენაზე. მისი თემა ყოფილა: „განიარაღება და მისი ეკონომიური და სოციალური შედეგები“. ეს ნაშრომი გამოქვეყნებული იქნა ენეებაში, ფრანგულ ენაზე.

ნიკო ნიკოლაძემ საფრანგეთის გააცნო საქართველო. ამასთანავე, მრავალი გამოკვლევა დაბეჭდა საქართველოში ფრანგ მწერლებზე. ნიკო ნიკოლაძე მოუწოდებს ქართველ თანამემამულეებს, ისეთივე გულდასმით შეისწავლონ საქართველოს წარსული, როგორც ეს გააკეთა გუსტავ ფლობერმა თავის რომანში – „სალამბო“, კართაგენის წარსულის გამოკვლევისას. მე დავემატებდი, ეს სურვილი დღეს უკვე შესრულებულია კონსტანტინე გამსახურდიას რომანის – „დიდოსტაგის მარჯვენის“ გამოქვეყნებით. ეს რომანი ფრანგულად თარგმნა მწერალმა რენე ლიშეკმა და გამოაქვეყნა პარიზში, 1957 წელს“.

მწერალი, ასევე, მსჯელობს კიგა აბაშიძის მოღვაწეობაზე (1870-1917).

კიფერი წერს: „კიგა აბაშიძეს დაწერილი აქვს მრავალი ნაშრომი ფრანგული ლიტერატურის საკითხებზე. კერძოდ, მას ეკუთვნის ნარკვევები ფერდინანდ ბრუნესიერის, პოლ ბურჟესა და ანრი ბერანეს შემოქმედებაზე. მანვე მიუძღვნა გამოკვლევა XIX საუკუნის ფრანგული ლირიკული პოეზიის განვითარების საკითხებს. კიგა აბაშიძე პიუგო იმ დროს დაიცვა, როდესაც მას თავს დაესხა ფრანგი კრიტიკოსი ჟიულ ლემენტრი. „ვიქტორ პიუგოს პიროვნება, წერს კ.აბაშიძე, ისე ძლიერია, რომ მის დასაკინებლად ნაკლის ამოტივტივება უღირსი საქციელი იქნებოდა“.

მე პატივი მქონდა, გაცნობოდი ამ ცოცხალ ურთიერთობას. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მეძლევა სხვასაც გაეცნოს ეს ურთიერთობა, რადგან კულტურული გაცელა-გამოცელა გამდიდრებისა და ბედნიერების წყაროს წარმოადგენს ხალხისათვის“.

რომმარი კიფერის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ რუსი კრიტიკოსები და მწერლები. მისი მოთხრობები და ნარკვევები იბეჭდება მოსკოვის ჟურნალ-გამეტებში. „ლიტერატურნაია როსიას“ 1977 წლის 9 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა რომმარი კიფერის ორი მოთხრობა: „აპრილის მშვიდი ღამე“ და „ნიანგების ომი“. მოთხრობებს წამძღვარებული აქვს შესავალი სტატია, რო-

მელშიც ვკითხულობთ: „ლუქსემბურგელ მწერალს – რომმარი კიუფერს საბჭოთა კავშირში ბევრი მეგობარი ჰყავს. რ.კიუფერი პროფესიით პედაგოგი, რწმენითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით საბჭოთა კულტურისა და ლიტერატურის აქტიური პროპაგანდისტია... იგი ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ თავის ქვეყანას გააქნოს საბჭოთა მწერლებისა და მხატვრების შემოქმედება.

რ.კიუფერი დიდი ხანია, რაც აქვეყნებს სტატიებსა და ნარკვევებს რუსული და საბჭოთა პროზის საკითხებზე. პუბლიცისტიკაში მწერალს ახასიათებს მებრძოლის გემპერამენტი, მეურიგებლად იბრძვის ცილისმწამებლების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირზე სიყრუეს რომ ავრცელებენ. რ.კიუფერი ატყობს მოთხრობებისა და ნოველებისა. მისი მოთხრობების მეორე წიგნი – „აპრილის მშვიდი ღამე“ გაუღიანილია ნაზი ღირიშმით, უბრალო აღმანიშნულად სიყვარულით. მწერალი თვლის, რომ მთავარი პირობა ადამიანის ბედნიერებისა ქვეყანაზე, მშვიდობა და ურთიერთგაგებაა. ეს ამრიგე ყველგან გაგარებულია მწერლის ნაწარმოებებში. იგივე ამრია გაგარებული მის საბავშვო მოთხრობაშიც – „ნიანგების ომი“, რომელსაც დღეს „ლიტერატურნაია როსია“ სთავაზობს მკითხველს“.

ასევე, კიუფერის მოთხრობა – „კორმინის გზა“ დაიბეჭდა რუსული ჟურნალის – „სოვეტსკაია ენშინას“ 1975 წლის მათე ნომერში.

კიუფერის მოგვიერი მოთხრობა ეძღვნება საბჭოთა სინამდევლეს. მოთხრობაში – „გალინა გომნიკოვა“ ასახულია რუსი კოლმეურნე გოგონას წარმატებანი კოლმეურნეობა „ავრორამი“, სადაც გამრჯე გოგონა – გალინა ქმნის ღოვლათს. იგი ხარობს თავის ოჯახთან ერთად, მიზნად ისახავს მოსკოვში გამგზავრებას სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომ იხილოს სიახლენი და შემდეგ მეტი ენერგიით იმუშაოს ქვეყნის საერთო ღოვლათის წარმოების საქმეში.

მოთხრობაში – „კორნისის გზა“ დამაჯერებლად აგვისახავს 1942 წლის აგვისტოში, გერმანელი ფაშისტების შემოსევის ამბავს ლუქსემბურგში და მშრომელთა ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებს დამაყრობლების წინააღმდეგ. ლუქსემბურგელი მშრომელები მყიდრო კავშირს ამყარებენ ბელგიის მშრომელებთან, ფრანგებთან და ამერიკელებთან მოთხრობის გმირები: ეანმარი და მარი კლერი, ოჯახთან ერთად, ებრძვიან გერმანელ ოკუპანტებს. გერმანელი ფაშისტები ხალხს მხეცურად უსწორდებიან, აპაგომრებენ, ხერუტენ, მაგრამ ხალხი კელავ იბრძვის და იმარჯეებს უთანასწორო ბრძოლაში. წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლებს ეხმარებიან ამერიკისა და საფრანგეთის ჯარები და სასტიკ დარგემებს აჯემებენ ფაშისტებს.

როგმარი კიფერის მოთხოვნებში კარგად ჩანს, რომ იგი აგრძელებს ფრანგული კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებს, მაგრამ, ამავე დროს, მრავალ მოთხოვნაში სოციალისტური რეალიზმის ელემენტები ჩანს. მისი გმირები არ კმაყოფილებიან მარტო ბურჟუაზიული სინამდვილის კრიტიკით, არამედ უფრო შორს მიდიან, იბრძვიან ახალი თავისუფლების მოყვარე ლემოკრატიული წყობილებისათვის, სადაც არ იქნება აღამიანის ჩაგვრა.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ამ სტრიქონების ავტორმა გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია როგმარის კიფერის მოღვაწეობაზე. ამ ბოლო ხანებში ორი დიდი ვრცელი სტატია: „ერთი „საუნჯეს“ 1985 წლის მეორე ნომერში, სათაურით – „როგმარი კიფერი და ქართული ლიტერატურა“, მეორე „კრიტიკის“ 1989 წლის შესამე ნომერში – „როგმარი კიფერი და ქართული მწერლობა“

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ლიტერატურისადმი მიღრეკილება აღუძრა ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში მოღვაწე პოეტმა, ჟურნალ „ნუეკლ ეროის“ დირექტორმა, ქართველი ხალხის მაგობარმა – მიმო მორინამ.

როგმარი კიფერი, ამის შესახებ, ერთ-ერთ თავის წერილში აღნიშნავს, რომ საქართველო და ქართული ლიტერატურა ძირეულად აღმოჩნდა ლუქსემბურგის დიდ საპერცოგოში მოღვაწე იტალიელმა პოეტმა – მიმო მორინამ.

რა იქნა უნდა, ჩვენ მოკლელ შევეხეთ როგმარი კიფერის ცხოვრება-შემოქმედებას, რადგან, ამჯერად, არ გვაქვს საშუალება, დავერიყიბოთ გაეამქოთ როგმარი კიფერის, როგორც მწერლის, მეცნიერისა და მთარგმნელის მოღვაწეობა ლიტერატურაში. ჩვენ ამ საკითხს კელავე დაეუბრუნდებით უახლოეს მომავალში.

აღნიშნულ ნაშრომში ქართველი მკითხველი მაისც გაიგებს იმ დიდ დაძაბულ სამეცნიერო მუშაობას, რომელსაც მეცნიერი წლების განმავლობაში ეწევა ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში საზღვარგარეთ.

მიმო მორინასთან ერთად, როგმარი კიფერის დამსახურება დიდია ქართული კულტურის წინაშე. იმედი გვაქვს, ქალბატონი როგმარი კიფერი მომავალში კელავე ნაყოფიერად იმუშავეს ქართველი და საზღვარგარეთელი ხალხების კულტურული, ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

უესურვებით მიმო მორინასა და როგმარი კიფერს ჯანმრთელობასა და შეძღომ წარმატებებს ქართველი და საზღვარგარეთელი ხალხების საკეთილდღეოდ. ქართველი ხალხი არასოდეს დაიწყევებს მათ დამსახურებას, ქართული მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის რომ ეწევიან წლების განმავლობაში საზღვარგარეთ.

ამას აღასიკურებს მიმო მორინასა და როგმარი კიფერის წერილები, რომლებიც ამ სტრიქონებს ავტორს აქვს მიღებული.



ბელგიელი მწერალი.
დაიბადა 1915 წლის
25 ივნისს

ჟორჯ ბუიონი

XX საუკუნის ბელგიელ მწერლებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ქართული კულტურის დიდ მეგობარს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – ჟორჯ ბუიონს, რომელმაც სიჭიქურაღ დაწერილი ლექსებით, მოთხრობებით, ნარკვევებით და პუბლიცისტური წერილებით მიიქცია მკითხველის ყურადღება.

აღსანიშნავია მწერლის „რჩეული ლექსები“, მოთხრობების ოთხი წიგნი, საერთო სათაურით: „აღამიანის პუმანიშში“, რომელშიც შევიდა: „აეტოპორტრეტი“, „სხვა პორტრეტი“, „პორტრეტები სარკეში“, „ეპისტოლარული პორტრეტები“, მოთხრობების ცალკე წიგნები: „ურწმუნოს სიგელები“, „მოიგონე“, „კიდეე მოიგონე“ „საქართველო ოქროს საწმისის ქვეყანა“.

ჟორჯ ბუიონი დაიბადა 1915 წლის 25 ივნისს, ქანეერში (ბელგია), მეფუნტუშის ოჯახში. ბუიონმა 1937 წელს დაასრულა ლიევის უნივერსიტეტის ფილოსოფია-ლიტერატურის ფაკულტეტი, მეორე მსოფლიო ომის დროს, მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში თავის მეგობარ ანდრე გლოდთანებერთან. მისმა პოლკმა მრავალი გერმანელი ფაშისტი გაწყვიტა ბელგიის მიწაზე.

ჟორჯ ბუიონი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა XX საუკუნის ორმოციან წლებში, სისტემატურად აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს პერიოდულ გამოცემებში, როგორიცაა: „ანონს სიუდ“, „ლე დრაპო რუე“, „მარეინალ“, „საეუარ ე ბოტე“, „სინთეზ“, „ოდას“, „ლა ფამ სოვიეტიკ“, „ლე ჟურნალ კაბაკ“, „ბელგიკურსს მაგაზინს“...

მწერალმა 1955 წელს დააარსა საკუთარი ჟურნალი – „ლა დრი-ად“, რომლის ფურცლებზე ბეჭდავს სტატიებს მსოფლიო ლიტერატურის საკითხებზე, აგრეთვე საბჭოთა, ლიტერატურის მიმდინარე პროცესებზე.

ე.ბუიონი არის ბელგია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების პრეზიდენტი, აგრეთვე მრავალი სამეცნიერო აკადემიისა და საზოგადოების წევრი საზღვარგარეთ. ხშირად მოგზაურობს საზღვარგარეთის ქვეყნებში, გამოდის მოხსენებით მსოფლიო ლიტერატურის საკითხებზე, პოპულარიზაციას უწევს რუსულსა და ქართულ ლიტერატურას, თავის სტატიებში ამხელს ომის გამჟაღებლებს.

ეორე ბუიონის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირში, საფრანგეთში, ამერიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში და სხვა ქვეყნებში.

უცხოეთის პრესაში ხშირად ქვეყნდება სტატიები მის მოღვაწეობაზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ბელგიელი მწერლისა და ფილოსოფოსის – ედგარ ავენის წიგნი: „ეორე ბუიონის დიალოგი ჰუმანიზმზე“, რომელშიც გაანალიზებულია ის ნაშრომები, რომლებიც ეორე ბუიონმა გამოაქვეყნა, 1966 წლიდან 1974 წლამდე. ავტორი ესება ე.ბუიონის ოთხტომეულს, როგორცაა: „ავტოპორტრეტი“, „მეორე პორტრეტი“, „პორტრეტები სარკეში“ და „ეპისტოლარული პორტრეტები“. ედგარ ავენი აღნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული ნაშრომები სერიოზული შენაძენია, ავტორი აღნიშნულ ნაშრომებში მიჰყვება გამოჩენილი ფრანგი განმანათლებლების ნაკვალევს. „მე დაძაინტერეს, წერს ედგარ ავენი, განსაკუთრებით, ეორე ბუიონის ბოლო დროს გამოქვეყნებულმა ოთხმა ნაშრომმა, რომლის საერთო სათაურია – „აღაშინის ჰუმანიზმი“. გადავიკითხე ოთხივე გომი და მწერლის ნაშრომებში შევაძინე ორი ძირითადი მოტივი: ეს არის თანდაყოლილი გულწრფელობა და კეთილსაღისის ბრძოლა“.

პროფ. ედგარ ავენი ჩვენ პირადად გავიცანით თბილისში, 1982 წლის აგვისტოში, როდესაც ე.ბუიონის ხელმძღვანელობით თბილისში ჩამოვიდა ბელგიის და ლუქსემბურგის მწერალთა დელეგაცია. ბაგონმა ედგარმა ჩვენთან საუბარში მიუთითა იმ დიდ დამსახურებაზე, რომელსაც მიუძღვის ეორე ბუიონს პროგრესული იდეებისათვის ბრძოლაში საერთაშორისო არენაზე. ე.ბუიონი, მართლაც ძალიან გულწრფელია თავის ნაწარმოებებში, იგი ამხილებს ბურჟუაზიის მანიკერებასა და ხალხებს მშვიდობისა და თავისუფლებისაკენ მოუწოდებს. ამიტომ იყო, რომ მან საქართველოში ჩამოიყვანა მწერლებისა და პოეტების დელეგაცია, მათ გაიცნეს ქართული სინამდვილე და ბელგიაში დაბრუნებისას, გამოაქვეყნეს თავიანთი შთაბეჭდილებანი საქართველოზე.

ერთ-ერთ ნაშრომში, ეორე ბუიონსი სამართლიანად წერს: „მე ეარ მემარცხენე ჰუმანისტი, მეძარცხენე აღმზრდელი, და ბოლოს, მემარცხენე ღემოკრავი. იყო მემარცხენე, ეს იმას ნიშნავს, რომ იბრძოლო პეძანენტული რეეოლუციისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის. ეს ნიშნავს, ლიგერატურასა და ხელოვნებაში იბრძოლო სიწმინდისათვის, არ უღალატო მას.

იყო მემარცხენე, ეს ნიშნავს, იყო ოპტიმისტი. მემარჯვენეს ჭაჭანება არ ექნება ჩვენთან. იყო მემარცხენე, ეს ნიშნავს, იფიქრო შესნ კოლეგაზე, იფიქრო ძმობას, ერთობასა და პროგრესზე“.

ეორე ბუიონზე წიგნი გამოაქვეყნა, აგრეთვე, ბელგიელმა მწერალმა – მარსელ ღეგლიეტმა: „ეორე ბუიონის ღოსიუ-ანთოლოგია“, რომელიც გამოვიდა 1981 წელს, ბრიუსელში. ასევე, მწერალმა – კლოდ როსიმ – „ეორე ბუიონი, პაგიოსანი კაციის პორტრეტი“, რომელსაც წამძღვარებული აქვს გამოჩენილი ფრანგი მწერლის ალბერ კამიუს სტრიქონები: „მას ყველაფერს ურჩენია გულწრფელობა, რომელიც ძალიან იშვიათია“.

კლოდ როსი მიმოიხილავს ეორე ბუიონის ღექსებს, მოთხრობებს, რომანებს, ნოქელებს, ნარკევეებსა და პუბლიცისტურ სტატიებს. აეგორი საქმის კარგი ცოდნით წარმოგვიჩენს იმ ფაქტს, რომ ეორე ბუიონი არის კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, რომელიც ამხელს ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებას.

„ეორე ბუიონი, წერს კლოდ როსი, პაგიოსანი კაცია, ღიდი ჰუმანისტი, ერთგული ადამიანური იდეებისადმი. მას არასღროს უღალატია ჰუმანიზმისათვის, არც თავისი კოლეგებისა და არც საკუთარი თავისათვის.

ეორე ბუიონი არის ღიალოგის კარგი ოსტავი, რომელიც ნათლად გვიხატავს სინამღილეს, როგორც თავის ღექსებში, ასევე, პროზაულ ნაწარმოებებში“.

ბატონ კლოდ როსის საპასუხოდ, შეენიშნავთ, რომ ეორე ბუიონის ღექსებსა და პროზაულ ნაწერებში ეხელებით სოციალისტური რეალიზმის ელემენტებსაც. მწერალი მიღის უფრო შორს, მას უნდა, ხალხი გაანთავისუფლოს ჩაგვრისაგან და ღამყარღეს ისეთი საზოგადოება, რომელიც ღამყარებული იქნება ხალხთა შორის მეგობრობასა და თავისუფლებაზე. მწერალი იბრძვის ხალხის უქეთესი მომავლისათვის, საღაც არ იქნება ადამიანის ექსპლუატაცია.

ბელგიელი მწერალი, გრიგოლ აბამიძის მეგობარი – ანღრე გლოდი თავის 1979 წლის 5 მარტის წერილში გვწერს: „წავიკითხე ეორე ბუიონის წიგნი – „საქართველო – ოქროს საწმისის ქვეყანა“. ძალიან კმაყოფილი ღავრჩი. ამ წიგნიდან ბევრი რამ გავიგე თქვენს საოცარ ქვეყანაზე. წიგნში ამკარად ჩანს ეორე ბუიონის ღიდი ნიჭი, მისი განსწავლელობა. იგი რომ საფრანგეთში ცხოვ-

რობლეს, დიდ სიყვარულს დაიმსახურებდა ათეულ ათას მკითხველში და პოპულარული მწერალი გახდებოდა. თქვენ დამატებით ტექსტში ნახავთ, რომ ჩვენს მეგობარს — ეორე ბუიონს, წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით, გაუეგზავნე სახობგო წერილი. იგი ნამდვილად იმსახურებს შექებას ასეთი კარგი წიგნის დაწერისათვის საქართველოზე. რა თქმა უნდა, ეს წიგნი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის განვითარებას“.

ეორე ბუიონი ქართული კულტურით დაინტერესდა ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში. მწერალმა საქმიანი კონტაქტები დაამყარა ბელგიის საელჩოში მომუშავე ქართველ ლიბლომატებთან: გივი დაქა მანსურაძეებთან. ქართველმა ლიბლომატებმა მწერალს მიაწოდეს ზოგიერთი ცნობა საქართველოზე, რაც საკმარისი გახდა იმისათვის, რომ მწერალი გამომგზავრებულიყო საქართველოში და უშუალო კონტაქტები დაემყარებინა ქართველ მწერლებთან და მეცნიერებთან.

ეორე ბუიონმა სამჯერ იმოგზაურა საქართველოში, თავის მეუღლესთან ერთად. პირადი კონტაქტები დაამყარა: გრიგოლ აბაშიძესთან, იოსებ ნონეშვილთან, სერგი წულაძესთან, გასტონ ბუაჩიძესთან, ნოდარ ღუმბაძესთან, ელგუჯა მალრადესთან, მურმან ლებანიძესთან, თამაზ ჭილაძესთან, გურამ ასათიანთან, ბესო ელენგთან, პაულე ინგოროყვასთან, ირაკლი აბაშიძესთან, გიორგი შაგბერაშვილთან, შოთა ძიძიგურიან და სერგო თურნაეასთან.

ბელგიელმა მწერალმა ისახულა თითქმის საქართველოს ყველა კუთხე, იყო ქართლში, კახეთში, გურიაში, სამეგრელოში, მესხეთში, ჯავახეთში და სხვა ადგილებში.

მწერალს დიდი დახმარება გაუწიეს ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა, მიაწოდეს მას საჭირო ლიტერატურა და გაუწიეს სათანადო კონსულტაციები. უცხოელმა მწერალმა კარგად შეისწავლა კრიტიკული ლიტერატურა და მრავალი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად, დაწერა წიგნი — „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“ (ო პეი დე ლა ტუამონ დორ, ლა ევორესი). გამოვიდა ეს წიგნი ბელგიაში, 1978 წელს, „ლა დრიალის“ გამომცემლობაში.

წიგნი ეძღვნება ქართული კულტურის მნიშვნელოვან საკითხებს, ავტორი განიხილავს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს, ძველი დროიდან დაწყებული დღემდე. ნაშრომში გამოყენებული აქვს ბესო ელენგის, სერგი წულაძის, სერგი ჭილაძის, გაა მარგველაშვილის, გურამ ასათიანის, სარგის ცაიშვილის, ნოდარ ნათაძის, გასტონ ბუაჩიძის, დავით ფანჩულაძის, გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის, მზია ბაქრაძის, სერგო თურნაეასა და სხვათა ნაშრომები. ავტორი თავისი ნაშრომის შესავალ

ნაწილში აიხადებს, რომ მის წიგნს არ აქვს მეცნიერული ნაშრომის პრეტენზია, არამედ, აქ არის უბრალო თხრობა უცხოელი მკითხველისათვის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მაღლობას უხლის ყველას, ვისც დაეხმარა. ავტორი წერს: „ყველა მასალა, რომელიც ამ წიგნში წარმოდგენილი, საკუთარი თვალით ვიხილე, ბევრი გავიგე ჩემი გიდი – მთარგმნელების საშუალებით. უშუალოდ, ლოკუმენტური საბუთების საფუძველზე ვიხილე ცალკეული გამოკვლევები ქართულ კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე. ყოველივე ეს ჩემს ცნობიერებაში შევიმეცნე და დაეწერე წიგნი ქართულ კულტურაზე, რომელსაც მეცნიერული ნაშრომის არაერთი პრეტენზია არა აქვს.

ჩემი მიზანი იყო, მეოქვა სიმართლე საქართველოზე, გამეცნო მსოფლიოს ხალხებისათვის ქართული კულტურა და მემხილებისა ცილისმწამებლები. ბელგიის საელჩოში მომუშავე ქართული კულტურის მოღვაწეებმა – ეკა და გივი მაისურაძეებმა დამაინტერესეს ქართული კულტურით, ბევრი რამ მიაღებეს საქართველოზე, თბილისზე, ისე, როგორც ყაზახებმა – ალმა-ატაზე და უზბეკებმა – ტაშკენტზე.

ეკა და გივი მაისურაძეები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩემი წიგნიც არ გამოვიდოდა, ამისათვის მათ დიდ მაღლობას ვუძღვნი.

ვინახულე აფხაზეთი, მისი საგაზტო ქალაქი – სოხუმი, ბიჭვინთა, რიწის გბა, თბილისი კი – 1975 წელს.

მე ვინახულე დიდი ქალაქი თბილისი, ცოცხალი და სიხარულით აღსაესი, ქალაქი მწვანეში ჩაფლული; გამარჯვების პარკი ეაკეში, რუსთაველის გამზირი მომღიმარი ხალხით, ხეებზე ჭრაცხნების გალობას რომ უესმენდი.

ვინახულე მდინარე მტკვარი, ბევრი ისტორიული ამაღის მოწმე; ციხე-სიმაგრე ნარიყალა; ძველი სახლები, თანამედროვე კვარტალები; მეტრო; კაფეები; ქორწინების სასახლე; მწერალთა პანთეონი; ფუნიკულიორი; იპოდრომი; ცირკი; ქრისტიანული და მუსლიმანური ეკლესიები.

ვინახულე ქართულის დედა, რომელსაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში კი ღვინით – სავსე ფიალა. ხმლით მტრებს ებრძვის, ღვინით კი მეგობრებს უმასპინძლებდა.

ვინახულე ვახტანგ გორგასალის ძეგლი, რომელიც მეტეხის ციხესთანაა აღმართული. ვახტანგმა თბილისი ააშენა. ვინახულე რუსთაველის, პუშკინისა და ლენინის ძეგლები. ვიყავი გორში, სადაც ენახე სტალინის სახლ-მუზეუმი, სადაც დაიბადა და აღიზარდა სტალინი. სტალინმა რევოლუციური ნათლობა საქართველოში მიიღო. ი.ბ. სტალინი იყო ლენინის თანამებრძოლი, რომელმაც მრავალი წიგნი გამოაქვეყნა, მანვე შექმნა მოძღვრება ლენინზე, გამოაქვეყნა დილტანტიანი წიგნი – „ლენინიზმის საკითხები“, რომელ-

მელაყ აღიშარლენ მსოფლიოს პროგრესული ადამიანები. ი.ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, საბჭოთა არმიამ დამარცხება აგემა კბილებამლე შეიარაღებულ გერმანულ ფაშიზმს.

აქ უნდა გაეისხენო ნიჭიერი ქართველი პოეტის – იოსებ ნო-ნეშვილის სიტყვები: „ქართველი ხალხი მეზრძოლი და სტუმართ-მოყვარეა, ვინ არ იყის, რომ სტუმარი ღმერთის გამოგზავნილია. ღიას, არსებობს ასეთი ქვეყანა, მისი სახელი საქართველოა“.

აქ უნდა გაეისხენო ჩემი მეგობრის, ლექსებმზრგელი მწერ-ლის, პუშკინის სახელობის მუზეუმის ღირეკტორის – როზმარი კი-ფურის სიტყვები. იგი ერთ-ერთ წერილში წერს: „თუ თბილისში მოხელებით, აუცილებლად იკითხეთ სერგი წულაძე, ქართველი ემიგრანტის შეილი, რომელსაც საფრანგეთში სწავლობდა მედიცი-ნას, იქვე გახდა კომუნისტი, შემდეგ წავიდა თავის სამშობლოში, თავის ფრანგ მეუღლე – მაღლენ ვერდოსთან ერთად. სერგი არის მეტად ცივილიზებული ადამიანი. მან ფრანგულ ენაზე თარგმნა „ვეფ-ხისტყაოსანი“, რომელსაც წარუმძღვარა შესავალი სტატია და კო-მენტარები. მანვე თარგმნა, აგრეთვე, სხვა ქართველი პოეტების ლექსებიც, მოამზადა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“. ამ ანთო-ლოგიას ენახავ, მაგრამ ჩემს მეგობარს სერგი წულაძეს კი ვერა-სოდეს, იგი ცოცხალი აღარ არის, ახლახან დაასაფლავეს...“

სერგი წულაძის ფრანგულმა თარგმანებმა აღიარება ჰპოვა. „ვეფხისტყაოსნის“ მისეულმა ფრანგულმა თარგმანმა საფრანგე-თის აკადემიის ლანგულუას პრემია დაიმსახურა“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეორე ბუიონს წიგნში გამოუყვია ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები და ცალკე თავად წარმოუდგენია, სათაურით: „ფრანგი მწერლები და საქართველო“.

როგორც ნამრომიდან ჩანს, მწერალს შეუსწავლია მასალები ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებ-ზე, როგორიც არის: კალისტრატე და ნინო სალიების, სერგი წუ-ლაძის, გასტონ ბუაჩიძის, ღაეით ფანჩულიძის, მზია ბაქრაძის, სერგო თურნაეას, სუნუ ქაღეიშვილის, ისიღორე გვარჯალაძის, რუსუდან ღოდაშვილის, ვახტანგ ბერიძის, გურამ ასათიანისა და სხვათა.

აეგორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ფრანგული კულტუ-რის მოღვაწეები, შუა საუკუნეებიდან დაწყებული, საქართვეოს-თან ამყარებდნენ უშუალო კონტაქტებს, სწავლობენ ქართველი ხალხის კულტურას და ცივილიზებულ ევროპას აწედიან ცნობებს საქართველოზე. მისი აზრით, ასეთი იყო XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური ეან შარლენი, რომელმაც პირველი ცნობები მიაწოდა ცივილიზებულ ევროპას და ეს მასალები შემდეგ საუკუნეებში გა-მოიყენეს თავიანთ ნაწარმოებებში ფრანგმა მწერლებმა: მონტეს-კიემ, ეან-ეაკ რუსომ და ეოლტერმა.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს მარი ბროსეს მოღვაწეობის განხილვას. იგი წერს, რომ მ.ბროსემ შეისწავლა ქართული ენა, გამოცნა ქართული ენის გრამატიკა, ხოლო 1840 წელს თარგმნა და გამოაქვეყნა „ქართული ქრონიკები“, მეძლეგ – საქართველოს ისტორიის რამდენიმე ტომი ფრანგულ ენაზე ძველი ღროიდან დაწყებული XIX საუკუნემდე.

ბელგიელი მწერალი მსჯელობს ქართველ მწერლებზე, რომლებიც ფრანგულიდან თარგმნიდნენ ფრანგი მწერლების ნაწარმოებებს და დიდ როლს ასრულებდნენ ორივე ქვეყნის კულტურული, ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობის განვითარების საქმეში. „ალექსანდრე ჭავჭავაძე, წერს ბუიონი, მოღვაწეობდა XIX საუკუნეში. იგი იყო ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და პროპაგანდისტი ფრანგული ლიტერატურისა საქართველოში. ფრანგულიდან ქართულად თარგმნა რასინისა და კორნელის ტრაგედიები, აგრეთვე, ლაფონტენის იგაე-არაკები. ალექსანდრე ჭავჭავაძე თვითონ იყო პოეტი რომანტიკოსი, რომელიც გატაცებული იყო ფრანგული რომანტიკული პოეზიით, აღმერთებდა ვიქტორ ჰიუგოს პოეზიას, თარგმნა მისი ლექსი – „ერთი ქალს“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ საზოგადოებაზე“ (ეორე ბუიონი, „ოქროს საწმისის ქვეყანა“, ბრიუსელი, 1978, ფრანგული გამოცემა, 180-181).

განიხილავს გიორგი ერისთავის მოღვაწეობას. მოაქვს მრავალი მასალა იმაზე, რომ გიორგი ერისთავი იყო კარგი მთარგმნელი, ქართული თეატრის დამაარსებელი, დრამატურგი, ეურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, რომელიც თავის ეურნალში სისტემატურად აქვეყნებდა ფრანგი მწერლების ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებს. იქვე შენიშნავს, რომ ერისთავთან რედაქციაში სტუმრად იყო ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა. გიორგი ერისთავმა კარგად იცოდა მოლიერის ცხოვრება-შემოქმედება, მას „ქართველ მოლიერს ეძახდნენ“.

ვრცლად ჩერდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. მისი აზრით, ილია ამავე ეპოქის ასევე დიდი მწერალია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიჩინა ფრანგული ლიტერატურისადმი, განსაკუთრებით, გატაცებული იყო ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებით, განიცდიდა მის გავლენას, რაც ნათლად ჩანს ილიას მოთხრობებში „გლახის ნაამბობი“ და „სახჩობელაზედ“. „ილია ჭავჭავაძე, წერს ბუიონი, იყო პირველი მწერალი საქართველოში, რომელმაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებას. ფრანგული რომანტიკული სკოლის მწერლები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ქართველ მკითხველებს შორის, ყოველთვის დიდი ინტერესით ხვდებოდნენ ფრანგი რომანტიკოსი მწერლების ნაწარმოებთა გამოჩენას ქართულ ენაზე. ილია ჭა-

ჭაეაძის თაოსნობით ითარგმნა ვიქტორ ჰიუგოს რომანი „საბრალონი“, რომელიც გამოქვეყნდა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ და წილად ღიდი წარმატება ხვდა. ვ.ჰიუგოს „ერნანი“, 1877 წელს, პირველად დაიდგა ქ.ქუთაისში. ქართველი ხალხი ღიდი ხნიდან ამჟღავნებდა ღიდ სიმპათიას ფრანგი ხალხისადმი, გაუაყიციებით აღევენბდა თვალყურს საფრანგეთის რევოლუციური ამბების განუითარებას. საქართველოში ღიდი გამოძახილი ჰპოვა პარიზის კომუნამ. მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში პირველი ილია ჭაეჭავაძე გამოეხმაურა თავისი ლექსით – „პარიზის კომუნას“, მიესალმა მუშებს და ამით გამოხატა თავისი სიყვარული ფრანგი ხალხისადმი. შემდეგ, პარიზის კომუნის ამბებს გამოეხმაურნენ: ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი. კონტაქტები საქართველოსა და საფრანგეთს შორის მეტად ნაყოფიერი იყო. ეურნალებში: „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, რომელთაც ილია ჭაეჭავაძე ხელმძღვანელობდა, რეგულარულად იბეჭდებოდა ფრანგული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები – ლექსები, მოთხრობები, წერილები, ნარკვევები, ინფორმაციები.

პირადად ილია დაინტერესებული იყო ვსარდუს პიესებით. ასე, მაგალითად, ილია აფასებდა გიორგი ერისთავის მიერ თარგმნილ სარდუს პიესას „სამშობლო“, რომელმაც ღიდი ინტერესი გამოიწვია მაშინდელ მაყურებელში და ღელსაც არ განულებულა ქართულთა ინტერესი. ანტონი მენიშნავს, რომ ქართველი მწერლები ფრანგულ ლიტერატურას იცნობდნენ იმ ნაშრომებით, რომლებიც გამოაქვეყნეს ილია ჭაეჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა, ბოსლეველმა (მჭკლდიძე), თედო სახოკიამ და სხვებმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი ქართველი მწერალი თარგმანებით არ კმაყოფილდებოდა და ორიგინალებში კითხულობდა ფრანგ მწერლებსო.

ეორე ბუიონი განიხილავს ძველი ქართული ლიტერატურის ზოგიერთ საკითხს, უპირველეს ყოვლისა, ჩერდება „ვეფხისტყაოსანზე“. მისი აზრით, საქართველოს კულტურა XII საუკუნეში მაღალ ღონეზე იდგა, პოეტი თავის პოემას ქმნიდა უღიდავ გრადიციების პირობებში ახალი სულისკვეთებით.

იგი წერს: „ვეფხისტყაოსანი“ თავისი ღროისათვის, ასე ვთქვათ, პროგრესულ, პოლიტიკურ ნაწარმოებად გვევლინება. მის მოსპობას ცდილობდნენ საქართველოს მტრები, მაგრამ ქართველი პოეტის პოპულარობა იმდენად ღიდი იყო, რომ მის მიერ შექმნილი პოემა-მელერი ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა, თუმცა, მოქმედება არაბეთსა და ზღაპრულ ქვეყნებში წარმოებს, მაგრამ ნაწარმოები ფიგურალურად, მეტაფორულად გადმოგვცემს რეალურ ამბებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ XI-XII საუკუნეების მიჯნაზე“.

ბუიონი ფიქრობს, რომ „სპარსული ამბავი“ რუსთაველმა შენილბეისათვის გამოიყენა. პოემის გმირები, საეარაულოდ, არიან არაბები, ინდოელები და მუსულმანები, მაგრამ ისინი სინამდლეულში გადაცმული ნამდელი ქართუელები არიან. მისი აზრით, გარიელი, აეთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინათინი, ფატიანი, დავარი, მეფეები შუა საუკუნეების საქართუელს ფეოდალურ საზოგადოებას ეკუთვნიან. ისინი აღმრდილნი არიან ბერძნული ქრისტიანული კულტურის სულისკვეთებით, რომელთაც შეთვისებული აქეთ არაბული და სპარსული კულტურა. თვითონ რუსთაველი აღმრდილი იყო ბერძნული კულტურისა და ქრისტიანობის საფუძეულზე.

ბელგიელი აეგორის აზრით, გარიელი ყველაზე მაღლა დგას. მის პერსონაში ღომინირებს მიწიერი სიყვარულის დიდი გრძნობა. იგი არის თავდადებული რაინდი, მიჯნური, რომელსაც არ ეშინია სიძნეელების და ყოველთვის მზად არის, მეგობრისათვის თავი გაწიროს. მან თავის მეგობრებთან – აეთანდილთან და ფრიდონთან ერთად, დიდი გმირობა ჩაიდინა: იერიშით აიღო ქაჯეთის ციხე, სადაც ქაჯების მიერ დატყუებული იყო მისი მიჯნური – ნესტან-დარეჯანი, გაათავისუფლა იგი ტყეუობისაგან და შემდეგ, მასზე დაქორწინდა.

აეგორი მსჯულობს ქალთა ტიპებზე: „ამ პოემაში, წერს იგი, აღფრთოვანების ობიექტები ახალგაზრდა დელოფლები არიან, რომელთაც არ იციან საქორწილო სიყვარული და სარეცელი. მათი მიზანი დაქორწინება და ოჯახის შექმნაა. პოემაში ქართული პოეტის შეხედულება სიყვარულზე ძალზე ამალეებული და მაღალ ჰუმანისტურია, რაც სავსებით არაჩვეულებრივი იყო შუა საუკუნეებისათვის. მაშინ, დასაუღეთ ევროპაში, ქალს სუსტ და პასიურ არსებად თელიდნენ. რუსთაველმა კი თავის პოემაში თინათინისა და ნესტან-დარეჯანის ასპექტით შექმნა ქალთა ტიპები, რომლებიც არიან უღრეკნი, ყველგან და ყოველ ვითარებაში დიდ ჰუმანისტურ იდეალებს ამელავნებენ. პოემა ქალი გაათანასწორა მამაკაცთან. მისი ბრძნული აფორიზმი ამაზე მეტყუელებს: „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუ გინდ ხეაღა“. სხვა რეალი კა არც იყო მოსალოდნელი XII-XIII საუკუნეების საქართუელოში, სადაც მეფობდა ქალი-თამარი, რომელმაც თავისი მეფობის პერიოდში დიდად გაითქუა სახელი... „ვეფხისტყაოსანი“ არის ცხოველმყოფელი თხზულება, რუსთაველის გმირებს უყვართ ადამიანური ცხოვრება, სულიერად მდიდარნი არიან, გონიერნი, ლამაზნი და ადამიანთა ღირსნი. მათი ცხოვრების სიყვარული განუხრელად დაკუშირებულია უფლების მოპოუებისათვის ბრძოლასთან“.

ბელგიელი მწერალი გახაზავს რუსთაველის, როგორც ლექსის დიდი ოსტატის რაობას და წერს: „რუსთაველმა ქართულ პოემა-

ში სამუდამოდ დაიმკვიდრა ქართული პოეზიის ღიღოსგაგის გიგული. XVIII საუკუნის ღიღი ქართველი პოეტის – ლაშაით გურამიშვილის აღმაფრთოვანებული გამოთქმა რომ ვიხმართ, რუსთაველმა ღარგო ხე, რომლის ფესვები ღრმად ჩასწვდა ქართულ პოეზიას, მიიღო უხვი მოსაქალი, რომელიც გრძელდება საუკუნეების მანძილზე“ (გვ. 275).

ბელგიელი მწერალი იქვე დასძენს, რომ ქართველებს, საუკუნეების განმავლობაში, ისე მაგრად ჰქონდათ გულში გამჯდარი „ვეფხისტყაოსანი“, ისე უყვარდათ, რომ ზეპირად იცოდნენ მთელი პოემა და მზითვად ატანდნენ ახალ დაქორწინებულ ქალებს. მართალი რომ ეთქვათ, შენიშნავს ბუიონი, ჩვენს ქვეყანაში ვინ გაბედავდა, ვინ შესთავაზებდა ბელგიელი მწერლის – გილ ულენშპუგელის წიგნს ახალ დაქორწინებულ ქალს მზითვად, მას სასაცილოდ აიგდებდნენ.

ეორე ბუიონმა ფრანგული გაზეთის – „ლე ნუველ ლიტერერის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა (1964 წ. 12. IX) პატარა სტატია, რომელშიც შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ საკითხს. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თამარ მეფის კარზე, რომელიც მეფობდა შუა საუკუნეების საქართველოში. მაშინ საქართველო ძლიერი და ანტიკური კულტურით ნასაზრდოები იყო. ლელოფლისადმი გამიჯნულებულმა პოეტმა პოემის მიძღვნით გაამხილა თავისი გრძნობები, რისთვისაც დაუწყეს ღვენა და სამშობლოდან გააძევეს. მან უკანასკნელი ღღენი იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტერში დაასრულა. იქ ახლაც არის მის საფლავზეა წარწერა. ეს საფლავი ქართველმა მეცნიერებმა: აკაკი შანიძემ, გიორგი წერეთელმა და ირაკლი აბაშიძემ 1960 წელს აღმოაჩინეს.

ავტორი ქართულ პოემას აღარებს ფრანგი მწერლის – კრეტიენ ღე გრუას რომანებს. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“, მართალია, ერთგვარად ემსგავსება კრეტიენ ღე გრუს რომანებს ერთი და იმავე ეპოქის სულმა საფრანგეთშიც და საქართველოშიც დაბადა მსგავსი რაინდული გრძნობები და პოეტური ფორმები, მაგრამ მათ შორის ღიღი განსხვავებაც არის. ეორე ბუიონი წერს: „ქართველები უძველესი ერი. მათი წინაპრები ხეთებისა და მოგანელების მეზობლები იყვნენ, ხოლო აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ანტიკურ საქართველოსთან და ბიზანტიასთან ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა სპარსეთს. აქ ინდოეთიც არ უნდა გამოგვჩივს მხელეულობიდან, პოემაში იგრძნობა ამ ქვეყნის რაღაც გაღღენა. ჩემი ძვირფასი მეგობარი სერგი წულაძე „ვეფხისტყაოსნის“ მისეული ფრანგული თარგმანის წინასასიყვეობაში სამართლიანად შენიშნავს ყველა იმ გაღღენაზე, იღებათა და ფორმათა ურიოიერთობაზე, რომელიც ძლიერი იყო არა მარგო შორეულ წარსულში,

არამედ – რუსთაველის ეპოქაშიც“.

წიგნში ცალკე თავად არის გამოყოფილი „ქართული ლიტერატურა და რუსეთი“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს იოსებ ნონეშვილის სტრიქონები: „წარმოუდგენელია მეგობრობა ლიტერატორებთან, მწერლებთან მეგობრობის გარეშე. ერთი ხალხის გაცნობა იწყება მეორე ხალხის გაცნობით, თუ ერთი მეორეს სულს გამოხატავს“.

ავტორი განიხილავს XIX საუკუნის ქართული მწერლობის წარმომადგენლებს – ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გერისთაყის, გ.წერეთლის, დ.კლდიაშვილისა და სხვათა საწარმოებებს. შოაქვს მრავალი საბუთი იმაზე, რომ ილიამ და ვაჟამ ქართულ ლიტერატურას დიდი ამაგი დადეს.

ავტორი მოკლედ განიხილავს XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარების გზებს, 30-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე. მეტნაკლებად განიხილავს გ.გაბიძის, გ.გაბიძის, პ.იაშვილის, გ.ლეონიძის, ს.ჩიქოვანის, ალ.მირცხულაშვილის, კ.კალაძის, ი.აბაშიძის, გ.რ.აბაშიძის, ი.ნონეშვილის, ო.ჭილაძის, ალ.გომიამშვილის, რ.მარგარიანის, კ.ნადირაძის, შ.ნიშნიანიძის, თ.ჭილაძის, მ.ფოცხიშვილის, ჯ.ჩარკიანის, გ.ჭანტურიას, ლ.სტურუას, მ.ქელაშვილისა და სხვათა შემოქმედებას. მაგრამ უფრო ერცლად ჩერდება გ.გაბიძის, პ.იაშვილის, ი.გრიშაშვილის, გ.გაბიძის, გ.ლეონიძის, ს.ჩიქოვანის, ი.აბაშიძის, გ.რ.აბაშიძისა და ი.ნონეშვილის შემოქმედებაზე.

ნაშრომის ის თავი, რომელშიც ავტორი მსჯელობს XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარების გზაზე, დასათაურებულია: „გუმინდელი და დღევანდელი საქართველო – პოეზიის ქვეყანა“, რომელსაც ამშვენებს გ.გაბიძის სტრიქონები: „საქართველოს პოეტებმა ჩვენ სიახლე მოგვიგანეს“.

ავტორი ჯერ მსჯელობს რუსული და ქართული პოეზიის კონტაქტებზე. მიუთითებს ვლ.მაიაკოვსკიმე, რომელიც ამბობდა: „მე ქართველი ვარ, დავიბადე ბაღდადში“. ხოლო შემდეგ შოაქვს მაქსიმ გორკის სტრიქონები: „შეიძლება ითქვას, მე მაწანწალა საქართველომ გამხადა მწერალი“.

გბუიონი აღნიშნავს, რომ ქართველი პოეტების შემოქმედებითი კონტაქტები დღესაც გრძელდება რუს პოეტებთან. ბ.პასტერნაკმა, ნ.ტიხონოვმა, პ.ანტაკოლსკიმ, ნ.მაბალოცკიმ, ალ.მეჟიროვმა, ეეგ.ეეგუშენკომ, გახმაღლისანამ და სხვებმა რუსულ ენაზე თარგმნეს ქართველი პოეტების ლექსები და გააცნეს რუს მკითხველს. საბჭოთა პოეტების ლექსები, აგრეთვე, ითარგმნა ევროპულ ენებზე.

„გალაკტიონ გაბიძე, წერს ბუინი, საბჭოთა ეპოქაში გახდა დიდი ლირიკოსი, რომელიც თავის ლექსებში პირველ დღეებიდანვე უმღეროდა რევოლუციას, რომელშიც თვითონ მონაწილეობდა. ეს

იყო პეტროგრადში, 1917 წელს. გვაბიძემ გასაოცარი ძალით შეასრულა თავისი პოლიტიკური და ლიტერატურული მოქალეუობა. იგი ჭეშმარიტად ითელეა XX საუკუნის ქართული პოეზიის ფუძემდებლად“ (გვ. 134).

ავტორი ერცლად ჩერდება გვაბიძის პოეზიის მთავარ მოტივებზე. მისი აზრით, გვაბიძემ ქართული პოეზია გაამდიდრა თავისებური პოეტური მოტივებით და სამართლიანად დაიმკვიდრა სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

ეხება გალაკტიონის პირველი პერიოდის შემოქმედებას. მიუთითებს, რომ ქართველი პოეტი ამ პერიოდში უახლოვდება დასავლეთ ევროპის სიმბოლისტების იდეოლოგიურ პოზიციებს, რაც ნათლად ჩაის მის მიერ რევოლუციამდელ ლექსებში. მაგრამ ავტორი იქვე სამართლიანად აღნიშნავს, რომ გვაბიძის პოეზია, ამისდამიუხედავად, იდგა ეროვნულ ნიადაგზე, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ კლასიკურ პოეზიასთან, მისმა პოეზიამ მოდერნიზმთან განვითარება ეერ პოვავო. გალაკტიონმა მთელ თავის პოეტურ შემოქმედებაში შეინარჩუნა სულიერი ნათესაობა ქართულ კლასიკურ პოეზიასთან. მაგრამ რევოლუციამდელ ლექსებშიც იგრძნობა მისი სულიერი ნათესაობა რევოლუციურ ტენდენციებთან.

ამის საილუსტრაციოდ მოაქვს ერთი ადგილი პოეტის ერთ-ერთი ლექსიდან, სადაც ის ამბობს, რომ თავის გულში ყოველთვის შეინახავს რწმენას მომავლისადმი და როცა ქარიშხალი ამოვარდება, მზად არის, რევოლუციაში ჩააბას ღემოკრავიული ძალები. ეორე ბუიონი მსჯელობს გალაკტიონის ლექსებზე, აძლევს მათ მაღალ შეფასებას და ბოლოს, დაასკენის: „გალაკტიონი იყო ღრმა აზროვნებისა და ტემპერამენტის პოეტი, მისთვის პოეზია ღიდი მორალური ძალა იყო, ადამიანს რომ მთავაცონებდა. მოაქვს სტრიქონები პოეტის ლექსიდან:

„სული მეტი უნდა იყოს, ვიდრე თოვლია,
მეგობრებო, საფლავამდე შევისნარჩუნებ
სიხარულის სინდისს – მხოლოდ
პოეზიას, უპირველეს ყოვლისა“.

ჩერდება პიაშვილის ლექსებზე, მოიხსენიებს მის „ახალ საქართველოს“, რომელშიც ქართველი პოეტი უმღერის ახალ საქართველოს წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. პაოლო იაშვილს არასოდეს არ უღალატია ხელოვნებისათვის, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც პოეტისა, თავისი მშობლიური ქვეყნის წინაშე, აქვეყნებდა პატრიოტულ ლექსებს. პიაშვილი ცოტა ხნით იყო პარიზში, სადაც გაეცნო ფრანგი სიმბოლისტების შემოქმედებას (სტეფან მალარმე, შარლ ბოდლეერი, არტურ რემბო, პოლ ვერლერი). პოეტი განიცდიდა მათ გაუ-

ლენას. პარიზში იგი დაუმეგობრდა გიო აპოლინერს. საქართველოში მიუხეობრო „ცისფერყანწელთა“ ჯგუფს და იმყარებდა ფრანგი სიმბოლისტების ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს. მაგრამ მას პატრიოტიზმის გრძნობა არასოდეს დაუკარგავს. სამწუხაროდ, მისი პოეზიის გაფურჩქენის პერიოდში, შეწყდა პოეტის ცხოვრება.

განიხილავს გიციან გაბიძის პოეზიას. შენიშნავს, რომ გიციანმა, თავის შეგობარ პოეტებთან: პიამეილთან, ეგაფრინდამეილთან და კნადირაძესთან ერთად, ქ.ქუთაისში, 1915 წელს შეადგინა ლიტერატურული ჯგუფი, რომელსაც უწოდა „ცისფერი ყანწები“ (ლეკორნ ბლეი). გიციანი იყო ქართული სიმბოლიზმის ფუძემდებელი ქართულ მიწაზე. ამავე სახელწოდებით გამოდიოდა ქართველი სიმბოლისტების ბეჭდვითი ორგანო – ჟურნალი. მანვე დაწერა ამ ჟურნალისათვის ორი მანიფესტი. ქართველი სიმბოლისტები ქართულ ენაზე თარგმნიდნენ ფრანგი სიმბოლისტების ლექსებს, წერდნენ, აგრეთვე, მათ შემოქმედებაზე სტატიებს და აქვეყნებდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ჟორე ბუიონი აძლევს მაღალ შეფასებას გ.გაბიძის შემოქმედებას და წერს: „გიციან გაბიძე იყო მაღალი კულტურის პოეტი, კარგად იცოდა ფრანგული, ორიგინალურად იცნობდა ფრანგი სიმბოლისტების ლექსებს. მან თბილისში, 1920 წელს, ქართულად თარგმნა არტურ რემბოს „მთერალი ხომალდი“, მანვე თარგმნა არტურ რემბოს „სენსასიონ“ (განცდა). არტურ რემბოს მიუძღვნა, რომელშიც მიიჩნევს მას მსოფლიოს მოწინავე პოეტად და უნდა მასთან დაბინაღრება“.

აქვე, უნდა შეენიშნოთ, რომ გიციან გაბიძეს არ უთარგმნია არტურ რემბოს „მთერალი ხომალდი“ და „განცდა“. ეს ორი ლექსი თარგმნა პაოლო იამეილმა და, აგრეთვე, მიუძღვნა თავისი ლექსი. რატომღაც ასეთი შეცდომა არის დამეებული ბატონი ჟორე ბუიონის ნაშრომში.

გბუიონი მოიხსენიებს ბესო ჟლენგის სტატიას, რომელიც დაბეჭდა ფრანგული ჟურნალის – „ვერ ე ოპინიონის“ 1967 წლის მეშვიდე ნომერში. ამ სტატიაში ბესო ჟლენგი აღნიშნავს, რომ პოეზიას საქართველოში. ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში პირველი ადგილი ეჭირა. ამასთან დაკავშირებით, ჟორე ბუიონი წერს, რომ საქართველო მართლაც პოეზიის ქვეყანა ყოფილა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რუსთაველისა და გურამიშვილის, ბესიკისა და ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ გაბიძის პოეზიას.

ახასიათებს გ.ლეონიძის პოეზიას. მისი აზრით, გ.ლეონიძე ნამდვილი პოეტი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა, დღეს იგი ქართულ საბჭოთა პოეზიაში ერთ-ერთ დიდ პოეტად

არის მიჩნეულიო.

ბუიონი წერს: „გიორგი ლეონიძემ ქართულ საბჭოთა პოეზიაში მოგვცა ეპიური პოეზიის მრავალი ნიმუში, დაწერილი აქვს, აგრეთვე, მრავალი ჭოთხრობა, სცენარი. აგი ეროვნული პოეტია. მისი ლექსები ევროპის მრავალ ენაზეა თარგმნილი“.

აეგორს მოაქვს პატრიოტიზმის თემაზე დაწერილი ლექსები: „არ ღაიღარდო, ღელავ“, „ეუღლურ სამშობლოს“, „იერის ღამე“, „ვისმენ მაისის სიმთა ხმას“. აეგორი გაღალის „სამგორის“ გარჩევაზე, ანცეფურებს პოეტის მიერ დახატული ბუნების სურათები, პოეტური მეტაფორები და წერს: „პოემაში – „სამგორი“ პოეტი მომხიბლავი ფერებით გვისაგავს ბუნების სურათებს, სადაც დაიბადა და იცხოვრა. გვისაგავს გომბორის შორეულ მთებს, იერის გვირგვინებს, წისქვილის ჩქრიალს, ძველ მონოტონურ სიმღერას... ესელებით საოცარ სახეებს, პოეტურ მეტაფორებს, რომლებიც ყოველთვის ბრწყინვალე და მამზილველია... პოეტს სურს, რომ სამგორის მინდერებში გაღმოვიდეს იერის წყალი, გაანაყოფიეროს მიწა და ქვეყანას უხვი მოსავალი მისცეს“.

აეგორს ძალიან მოწონებია ლექსი – „ოლე“, რომლის ლეიტ-მოტივი ის არის, რომ ეს ხე აღმართულა ლიახეის ნაპირას, მაგრამ მისი ფესვები ეერ აღწევს მასაზრდოებელ ლიახეამდე და ხმება. „ლექსი – „ოლე“, წერს ბუიონი, სიმბოლურად გაღმოგვცემს, თუ რა მოვლის იმას, ვინც ხალხს მოწყლება. ეს ხე, მარგოობის მსამის მოქმედების შედეგად, შიგნიდან გამოფიგულა. აგი, როგორც სახრჩობელა, აღმართულა კლდებზე და ფრთებმოგეხილ არწევს ჩამოგავს“.

განიხილავს სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებას. აგი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მკითხველის ყურადღება მიიქცია ნიჭიერად დაწერილი ლექსებით, პოემებითა და კრიტიკული სტატიებით. არჩევს პოეტის დიდ პოემას – „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და წერს: „სიმონ ჩიქოვანის პოემა – „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა პოეზიაში. მას აქვს, აგრეთვე, დაბეჭდილი ლიტერატურულ-კრიტიკული კრებულები და თარგმანები“.

ამის შემდეგ, ბელგიელი აეგორი ერცლად ჩერდება პოემის ანალიზზე. იგი აღნიშნავს, რომ სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოემას – „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელიც პოეტმა დაწერა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომის სუსხიან დღეებში. ეს არის უბრწყინვალესი პოეტური ქმნილება, რომლითაც სიმონ ჩიქოვანმა მთელ საბჭოთა კავშირში აღიარება ჰპოვა. აგებულია იგი ღრმა პატრიოტულ მოტივზე, პოეტი გამოხატავს ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას სა-

ქართველთა ისტორიული წარსულისა და ახლანდელი, საბჭოთა სოციალისტური სამშობლოსადმი. ქართველი ერის დიდი გმირული წარსული თანადროულობის ასპექტით არის დახატული და შორეული ისტორიული მოვლენები დანახულია სოციალისტური ეპოქის თვალთახედვით. პოემაში ასახულია XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მოვლენები და, ამავდროულად, დამაჯერებლად და დახატულია XVIII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის — დავით გურამიშვილის პოეტური ბუნება. პოემაში სულ 51 ლირიკული ლექსია წარმოდგენილი. ნაწარმოები იხსნება ლექსით — „გურამიშვილის სურათზე“, რომელშიც გამოხატულია სამშობლოდან გადახეწილი პოეტის ლოცვით დაქანცული და მწუხარებით მოსილი სახე.

სიმონ ჩიქოვანი ფიქრებით უკრაინაშია, დავით გურამიშვილის მეორე სამშობლოში, რომ სრულყოფილად აღიქვას და განიცადოს დიდი ქართველი პოეტის გრაგიული ბედი. სიმონ ჩიქოვანს თითქოს ესმის სამშობლოს საყვალლო ბედით გამოწვეული დიდი პოეტის გირილი და გოდება. მას უნდა, დავითის სულიერი ტკივილები მხატვრულად გამოხატოს, მშობლიური ხალხისათვის გასაგები გახადოს.

ავტორს ერცლად აქვს განხილული გურამიშვილის ლექსები, მოხიბლულია ამ ლექსებით და აძლევს მათ მაღალ შეფასებას. ეორე ბუიონი ბოლოს აკეთებს საგულისხმო დსკენას: „პოემა — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, ლირიკულ-ეპიკური ხასიათის ნაწარმოებია, მისი ერთ-ერთი მთავარი გმირი — თვით გურამიშვილია... სიმონ ჩიქოვანმა დიდი საქმე გააკეთა ქართული კულტურისათვის, მან გააცოცხლა XVIII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, წარმოაჩინა პოეტის ცხოვრებისა და შრომისათვის მთავარი მომენტები. უპირველეს ყოვლისა, როგორც დიდი პოეტი, რომელმაც თავის ლექსებში მაღალმხატვრულ სახეებში ასახა მაშინდელი საქართველოს ეკონომიკური-სოციალური მდგომარეობა და მეორე მხრივ, მეტრძოლ ხალხებს შორის მეგობრობისა და ძმობის იდეები. საზღვარგარეთის ქართველოლოგებმა დავით გურამიშვილზე დაწერეს ნაშრომები და პოეტის ზოგიერთი ლექსი ითარგმნა უცხოურ ენებზე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა, მისი ლექსების თარგმნა და პოეტზე მონოგრაფიული გამოკვლევა“.

ეხება ირაკლი აბაშიძის პოეზიას. გამოვიდა იგი სამწერლობო ასპარეზზე XX საუკუნის 30-იან წლებში, წერდა ლექსებს, პოემებსა და პუბლიცისტურ წერილებს. ირაკლი აბაშიძემ აღიარება პოეზია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ, საზღვარგარეთაყ. მისი ლექსები ითარგმნა ეუროპის ხალხების ენებზე და თვითონ პოეტზეც დაიბეჭდა რამდენიმე ნაშრომი.

ირაკლი აბაშიძის თემატიკა, განაგრძნობს ე.ბუიონი, მრავალ-ფეროვანია. პოეტი ეხმაურება თანამედროვეობის აქტუალურ სა-კითხებს, უმღერის ქართული ხალხის წარმატებებს სოციალისტუ-რი მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ჟორჟ ბუიონის აზრით, პირველი თაობის პოეტებს შორის, ყვე-ლაზე ნიჭიერი პოეტები იყვნენ: ალიო მირცხულაძე, კარლო კა-ლაძე, ხოლო მეორე თაობის პოეტებს შორის – ირაკლი აბაშიძე და ალექსანდრე გომიაშვილი.

„ირაკლი აბაშიძემ, წერს ბუიონი, ქართულ საბჭოთა პოეზიაში შემოიტანა თაყისი წელიწადი. ამ წლებში დაწერილ ლექსებს რომ კითხულობთ, თქვენს გეგმებში მისი პოეზიის სიწმინდე და გა-მომთქმის სიმდიერე. ირაკლის პოეზიაში ფეხს იდგამს „ინდუსტრი-ალიზაციისა და კოლექტივიზაციის გმირი, სახე პოეტი მოქალაქი-სა და ჯარისკაცისა“. მოაქვს პოეტის სტრიქონები: „იყავი გმირი, სადაც სასარგებლო ხარ, ამ ეპოქაში მარავენდელთ შემოსილი ალით. ეპოქა შენ მოგიწოდებს ბრძოლისაკენ, როგორც გმირსა და ჯარისკაცს“.

უცხოელი ავტორი შემდეგ უფრო ავითარებს ამ აზრს. მიუთი-თებს, რომ შემდგომში ი.აბაშიძის პოეზია უფრო მრავალფეროვა-ნი ხდება. პოეტი ლირიკული ინტონაციებით უმღერის ოქტომბრის რევოლუციას და მის ბელადს – ლენინს. ეხება ლექსების ციკლს – „ყველა სიმღერა რასმე გვაგონებს“, რომელიც შედგება 36 ლექსი-საგანს. ამ ციკლის ლექსებიდან მოკლედ მიმოიხილავს ლექსებს: „კოლხიდის საგანძური“, „გადარჩენის ბალადა“, „დმანისის ქვე-ბი“, „პირველი თოვლის სიმღერა“, „თბილისი“ და სხვ.

ბელგიელი ავტორი განიხილავს „გადარჩენის ბალადას“. მას აინტერესებს, თუ როგორ არის ამ ლექსში გადაჭრილი ლირიკუ-ლი გმირის ბედი. „გადარჩენის ბალადა“, წერს ბუიონი, რომელიც 1931 წელს არის დაწერილი, ამ თვალსაზრისით ძალიან დამახასი-ათებელია. ეს არ არის ბალადა, მისი ნამდვილი მნიშვნელობით, კერძოდ რომ ეთქვათ, მასში ბალადის არც სიუჟეტი და არც კომ-პოზიცია. ეს არის წმინდა ეპიკური საწყისი, რამდენიმე თხრობი-თი სტროფი, რომელიც ზუსტად გვიხანიათებს რეალურ ცხოვრე-ბას დეტალებში. ძალიან საინტერესოა 30-იანი წლების ქართული პოეზიის განვითარების გზები, მისი პოეტური პროცესი. ამ პერი-ოდში ბევრი ქართველი პოეტის შემოქმედებას ახასიათებდა ერ-თი მხრივ, გადაჭარბებული რიტორიკა, მეორეს მხრივ თხრობის სიმშვიდე. ბევრ ლექსში ლირიკული გმირის ხმა ძალიან შერბი-ლებულია. სამარცხენოდ, პოეზიიდან ლირიკაში გასწვრილი იყო. ირაკლი აბაშიძე კი აქ გვესახება როგორც ნოვატორი. პოეტი ხმა-მალა ლაპარაკობს გაზაფხულზე, ყვავილებზე, მღვასა და სიყუ-რულზე. ირაკლი აბაშიძემ ნათელყო ის ფაქტი, რომ ბუნებისა და

აღამიანის სიმშენიერე ერთმანეთთან ახლოა და აღამიანისათვის გასაგები“.

ჩერდება ირაკლი აბაშიძის ომისდროინდელ ლექსებზე. „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დროს, წერს ბუიონი, ირაკლი აბაშიძემ დაწერა რამდენიმე ლექსი, რომლებიც გამოხატავს აღამიანის ღრმა გრძნობებს. მათ შორის, ყველაზე ცნობილია „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელშიც ასახულია ხალხის გმირობა, ქართული ფოლკლორის საუკეთესო ტრადიციებიდან რომღებულობს სათავეს. ქართველ ხალხს გმირული წარსული, გმირული პოეზია რომ არ ჰქონოდა, მაშინ ეს ლექსიც ეერ დაიწერებოდა. ხალხი გამხსენებელია კაპიტან ბუხაიძის გმირული ბრძოლებით. კაპიტანი ბუხაიძე ამბობს: „მე საფლაეში არა ეწეეარ, აქ ღარაჯად ღამაყენეს“.

კრიტიკოსი ვრცლად ჩერდება ირაკლი აბაშიძის ლექსების ბოლო ციკლზე. „პალესტინა, პალესტინა“ და „რუსთაველის ნაკეალეზე“ მას შიაჩნია ბრწყინეალე ნაწარმოებებად. იგი აღნიშნავს, რომ საუკუნეების განმეაულობაში არ იყო ღადგენილი დიდი ქართველი პოეტის – შოთა რუსთაველის ეინაობა, მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ იპოვეს. ამ საქმეში დიდი ღამსახურება მიუძღვით ქართველ მეცნიერებს: აკაკი შანიძეს, გიორგი წერეთელსა და პოეტ-აკადემიკოსს ირაკლი აბაშიძეს, რომლებმაც 1960 წლის შემოღგომამე იერუსალიმის ჯერის მონასტერში მიაგნეს შოთა რუსთაველის ნაკეალეეს, მის საცხოვრებელ ადგილს, სადაც პოეტმა გააგარა თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ მეკლევარი აანალიმებს ირაკლი აბაშიძის ლექსების მეორე ციკლს – „პალესტინა, პალესტინა“ და გოვეს პირველ ციკლს – „რუსთაველის ნაკეალეზე“. ალბათ, ამის სამუალეება არ ჰქონდა. სამაგიეროდ, კარგად აქეს განხილული მეორე ციკლი „პალესტინა, პალესტინა“. „ლექსების ციკლი – „პალესტინა, პალესტინა“, წერს ბუიონი, დაიწერა პალესტინის ჯერის მონასტრის კელლების ძირში, სადაც ლეგენდის მიხედვით, შოთა რუსთაველი გარღაცელილა. ირაკლი აბაშიძე სთხოვს თავის სახელოვან წინაპარს, აჩუქოს მას თავისი თეალეები თიმისათვის, რომ გააცოცსლოს ამ უკანასკნელის ცხოვრება, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ აეგორის ცხოვრების უკანასკნელი წლები. აეგორი გაღმოგეცემს შოთა რუსთაველის ხმას, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან ჩვენამდე აღწევს. ირაკლი აბაშიძემ, მისთვის ჩვეული პოეტური ოსგატობით, მოახერხა აღამიანის, ბრძენის, მხურეალე პატრიოგის აღსარებისა და უკანასკნელი გაღამწყევეი ამრების გაგება. აეგორი დიდი მღელეარებით მოგვითხრობს თავის რიულ და მნელ ძიებაზე, აღმოსაელეთის გგებზე, ყრუ ტრამალეებზე, მაგრამ

ვერსად ნახულობს თავისი დიდი წინაპრის ნაკეალევს. მაგრამ ახლა ირაკლის დიდი ენთუზიამით და თავყანისცემით შეუძლია თქვას: „შენ აქ ხარ“... შესავალი დაწერილია ორიგინალურად, შთაგონების დიდი სიძლიერით. ...წიგნში ჟღერს რუსთაველის ხმა, ირაკლი აქ ანგარიშს უწევს ყველაფერს და თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას. ჩვენ გვესმის შოთა რუსთაველის ხმა, რომლის თითოეულ სიტყვას ჩვენთვის მოაქვს გულწრფელი ცნობა, აღიარება, პოეტური ენების გამოხატვა. ირაკლი აბაშიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს პოეტური მონოლოგი წარმატებით წარმოსახა. მთელი სიღრმით და სიძლიერით, რუსთაველის მთელი ცხოვრება თვალწინ წარმოგვიდგინა. ყოველივე ეს ითქვა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, კედლების ძირში. მაგრამ, ამავე დროს, ხმა გაისმა თვით მონასტერშიც, მეთისხილის ბაღშიც, თეთრ სენაკშიც და მოგვიანებით, მონასტრის კედლებს შორის. მაგრამ ჩვენს მეხსიერებაში დიდხანს რჩება სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო ჯვრის მონასტერში მშობლიურ ენაზე. ეს იყო სიყვარულის ხმა“.

შემდეგ, ბუიონი აანალიზებს ეპიკურ მომენტს, როდესაც დიდი ქართველი პოეტი კედება და ეთხოვება მშობლიურ მიწას. „ეპიკური მომენტი, განაგრძობს ბუიონი, განსაკუთრებით, მხატვრულად არის წარმოდგენილი. დიდი პოეტი კედება, იგი ეთხოვება მშობლიურ მიწას, ირგულივ ყველაფერს მხატვრული ელფერი გაღაპკრავს, რუსთაველის წერილი თოვლს დაუფარავს, მზის მერთალი სხივები მღაზენით გადაუელის სახეზე, მეთის ხილის მწვანე რტოები ფარავენ მის გულმკერდს“.

ბოლოს, ბელგიელი ავტორი აკეთებს საგულისხმო დასკვნას: „ირაკლი აბაშიძემ დიდი პოეტური და ფსიქოლოგიური სიძლიერით შეძლო ამ დიდი ჰუმანისტის ნამდვილი სახის დახატვა. თანამედროვე ქართველმა პოეტმა ოსტატურად მოახერხა წარსული დროის პოეტური აღსარების გადმოცემა ჩვენს მშფოთივარე საუკუნეში, ჩვენს თანამედროვე ეპოქაში.“

ირაკლი აბაშიძე არის თავისუფალი შთაგონებისა და სრულიად ბუნებრივი გონის პოეტი. იგი არის აკაკი წერეთლის კლასიკური პოეტური გრადიციის ყველაზე ერთგული და, აგრეთვე, დიდი ქართველი პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის გრადიციებისა. ირაკლი აბაშიძე არის ცოცხალი თხრობის, პოეტური დიალოგისა და უშუალო საუბრის დიდი ოსტატი“.

წიგნიდან ჩანს, რომ ეორე ბუიონი პირადად იცნობს გრიგოლ აბაშიძეს, ბევრჯერ ყოფილა მასთან მწერალთა კავშირში და სახლში, დაუმყარებია პოეტთან პირადი კონტაქტები, შეუსწავლია მისი პოეზია და პროზა.

ბუიონი აღნიშნავს, რომ გრიგოლ აბაშიძის ადგილი ქართულ

პოეზიაში, უმთავრესად, ეპიკური ლექსებით განისაზღვრება, როგორცაა: „შავე ქალაქის გაბაფხული“, „გოთრგი მეექვსე“, „ძლევის ქელი“ და „ზარზმის გმანება“. იქვე შენიშნავს, რომ ეს ლექსები იმაზე მეტყველებენ, რომ გრ.აბაშიძე აგრძელებს ქართული კლასიკური ეპიკური პოეზიის ტრადიციებს. მის ლირიკულ და ღრამატულ ლექსებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ თეატრში. გრ.აბაშიძე პირველია ქართველ პოეტებს შორის, რომელსაც ღაბეგიო პროზისაკენ მიდრეკილება. მან კიდე შექმნა შესანიშნავი ისტორიული რომანები: „ლაშარელა“, „ღიღი ღამე“ და „ცოტნე“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გრ.აბაშიძემ ლამიკისდრა რომანისტიკის სახელი. მის წიგნებში იგრძნობა სამყაროს პოეტური ჭერება, ისტორიული რომანის კონცეფცია“.

ბუიონი მსუთითებს, რომ გრ.აბაშიძე აგრძელებს ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. მის პოეზიაში ასახულია ხალხის ენერგიის, ეროვნული გრძნობის, სიუაქიძის ძლიერება, ბუნების მიერ შთაგონებული მშვენიერების სიდიადე. ეს თემები არ არის ერთი კონკრეტულ ნაწარმოებში მოქცეული და ღრმისაგან მოწყვეტილი. ასეთი პოეტური შთაგონება ჩვენ შეიძლება შეეადაროთ შარლ ბოლერის ლექსს – „ამალეება“, რომელიც არ გვაწყვეტისებს იმ ჯაჭვს, რომლითაც სინამდვილესთან ვართ დაკავშირებული. ქართველი პოეტი ლექსების წიგნში – „მითები და კლდეები“ გულისა და გონების აუცილებლობას გვაგრძნობინებს, აქ ახლებურადაა გააზრებული ანტეოსის მითი. ისე, როგორც ბუმბერაზს ღელამიწასთან შეხება ახალ ძალას მატებს, ასევე, მთას არაჩვეულებრივ ძალას მიწა ანიჭებს, რომელსაც ეყრდნობა. სწორედ, მწვერვალები და ქარაფები, ღელამიწის გულიდან ღებულობს გამძლეობას. გრიგოლ აბაშიძის პოეზია ღრმა ისტუიციით, ფაქიში გრძნობით წვდება შინაგან სამყაროს, გრძნობებს, სულის იღუმალ სამყაროს. მის პოეზიაში ასახულია მოგონებანი ბავშვობაზე, წარსულის ამალელებელი ფაქტები. პოეტი მოგვაგონებს ადამიანურ სეუდას, ყოველი არსების ბელის გარდაუქვალობას, რომელიც ადამიანში იწვევს მომღვაებულ გრძნობებს, რომელსაც შემდეგ გონება, ფილოსოფიური აზროვნების შემწვობით გადალახავს. ეს მღელვარება და ცხოვრებისეული ინგიმურობა ისევე, როგორც რეალური სამყაროს აღწერილობა, გაღმოცემულია თავისთავადი ენითა და სურათებით. მწვერვალების თვალუწედენულობა, ას თუნდაც ფრინველის ფრენა, რაც ხშირად მხოლოდ რიტორიკულ სახეებს წარმოადგენს, აქ ნამდვილი პოეტური სურათებითაა გაღმოცემული. ე.ი. ისეთ სახეებად, რომელთაც უნარი შესწევთ, გააღვივონ ჩვენში იკაროსის ოცნება და ალგვიძრან პაერში მერცხალივით, ანუ ღრუბელივით ღალი მოძრაობის იღუმალი სურეილი. ასეთი სიამოვნება მხოლოდ ოცნებაში არსებობს, დაასკენის სერგი

წულაძე გრიგოლ აბაშიძის ლექსების წიგნის – „მთებისა და კლდეების“ შესავალ სტატიაში.

აღნიშნული წიგნი, განაგრძობს ბუიონი, გამოქვეყნდა 1976 წელს. ამ წიგნიდან რამდენიმე ჟრანგული თარგმანი ჟრანგულ ეურიალ-ში „რევიუ ლე კარტელოლოგი“ ცურცლებზე გამოქვეყნდა.

შემდეგ, ბუიონი წერს: „1978 წლის გაზაფხულზე შესაძლებლობა მექონდა, შენახა გრ.აბაშიძე, მესაუბრა მასთან და გავეცო, რამდენად დიდია მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. მან პატივი დამლო, მიმიწვია მაგიდასთან და გულთბილად დამიწყო საუბარი. მე აღარ შევედგები ქართული სუფრის აღწერას, სადაც უხვად იყო საჭმელ-სასმელი. სუფრის წვერებს შორის გულთბილი ურთიერთობა, მჭერმეცხველური სიცივნები დიდ სიამოვნებას მგვრიდა. გრ.აბაშიძის ოჯახში მიღებული გამამხნეველი ადამიანური სითბოს გარდა, სასტუმრო „ივერიაში“ წავილე ავგორის მიერ საჩუქრად მიღებული ლექსების წიგნი – „მთები და კლდეები“, რომელიც ქართულიდან ჟრანგულად თარგმნა ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა – სერგი წულაძემ. მე მამხნეებს ამ წიგნიდან პოეტის შემდეგი სტროფი:

„ლე, სხეას უყვარდეს უსაზღვრო ეელი,

მე მათ სიყვარულს არ ვეცალები,

მე მიყვარს ჩემი კლდეები ბნელი,

ღრუბლებში კალთებაკეცილები“.

გრ.აბაშიძე, ასევე, ომახიანად აცხადებს პირველ ლექსში:

„არის ლამაზი მხარე მრავალი,

მაგრამ არ არის სხვა საქარეულო“.

ნათუ, ამიგომ გვხვდება გულზე პრომეთეს შთამომავალი, ამ მთიულთა ეროვნული სიამაყის გრძნობა, რომელიც ჩვენ, ბელგიელებს, თვითონ დაკარგული გვაქვს?

მაისის იმ საღამოს, თბილისში რომ ვიყავი, ქართველების ეროვნული მეობის სიმტკიცეში კიდევ ღრმად დამარწმუნა იოსებ ნონეშვილის ორმა ლექსმა მელეასა და ბაირონზე, რომლებიც პოეტმა საბერძნეთში ყოფნის შემდეგ შექმნა და ჩვენ პირველად წაგვიკითხა მგზნებარე და დამაჯერებელი ტონით.

შენ გაგიმარჯოს, გრიგოლ აბაშიძე! მადლობას გიხდით ლექსის კრებულისა და თქვენთან გატარებული ერთი მშვენიერი საღამოს გამო.

ბოლოს, მინდა მოვიგონო გრ.აბაშიძის „ოქროს ეენახი“, „ქვეყანას გავეწდი, თუმცა დიდი“, და „ფიქრი ენგურის პირას“. ეს დიდი დიდებაა, იყო ახალგაზრდობისდროინდელი მისწრაფებებისა და პოეტური მოწოდების ერთგული ისტორიულ ქალაქში. რა არის ამაზე უკეთესი დღეს? („ბელგიკურს მაგამინ“, XI, 1980).

ავგორი ეხება, აგრეთვე, გრ.აბაშიძის ისტორიულ რომანებს,

როგორიცაა: „ლაშარულა“, „დიდი ღამე“, „ცოტნე, ანუ ქართველთა დაცემა და ამალულება“.

ბელგიელი ავტორი აღნიშნავს, რომ ეს რომანები ძვირფასია იმიტომ, რომ დაწერილია ქართული კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე, ამ კულტურის წარმატებებზე, აღორძინებასა და არა მუყუდებზე. ავტორი მოგვითხრობს სიკეთესა და ბოროტებაზე, დიდებასა და პატივმოყვარეობაზე, სიამაყესა და გამცემლობაზე, მწურობრივ აღმაფრენასა და დაცემაზე, ხშირად რომ იცელებოდა და მშვიდობის საქმეს უკანა პლანზე მიაგვლებდა.

„აღნიშნული ისტორიული რომანები, განაგრძობს ბუიონი, დაწერილია მრავალი საისტერიესო მასალის საფუძველზე, დღემდე ნაკლებად რომ აყო ცნობილი. ტრილოგიაში ნათლად ჩანს მსოფლგაგების დიდი დიაპაზონი, რომელსაც მწერალი აღწევს საქართველოს ამ რთული ისტორიის ღრმად შესწავლის შედეგად. ეს რომანები ფასეულია იმითაც, რომ სხვა ისტორიული რომანების მსგავსად, არ არის გადატვირთული ლამაზ-ლამაზი ნივთების აღწერით.

მე მახარებს, რომ ქართველმა – მწერალმა გრ.აბაშიძემ თამამად აიღო ეს დიდი თემა, დიდსულოვნად დაგვისატა წინაპრები, მათი შეცლომები და საგმირო საქმეები“.

ბუიონი ცალკე ეხება „ცოტნეს“ და იქვე მიუთითებს, რომ ეს რომანი „ლაშარულასა“ და „დიდი ღამის“ გაგრძელებაა. გრ.აბაშიძე ეყრდნობა ქართულ და უცხოურ წყაროებს, ოსტატურად მოგვითხრობს ქართველი ხალხის ეროვნული გმირის – ცოტნე დადიანის გმირობაზე, ღამაჯერებლად წარმოგვიჩენს ცოტნე დადიანის გმირობის პერიპეტიებს დიდი განცდის ღრვს. შესანიშნავად არის აღწერილი ცოტნეს ბავშვობა და ყრმობა, სოციალური გარემო, რომელშიც ეს გმირი აღიზარდა. მწერალი მიზნად ისახავს, შეაქოსო ქამთაღმწერლის მიერ კონსპექტურად გაღმოცემული ცოტნეს თავგადასავლის ყველა ხარეზი, სრულიად აღადგინოს და აჩვენოს მკითხველს თუ როგორ მოხდა ეს სინამდვილეში.

საქართველოს დაცემა XIII საუკუნეში გამოიწვია არა მარტო შინაგანმა ჭირმა, არამედ გარეშე მტრების თავდასხმებმა.

გრ.აბაშიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ღრმად ჩააკვირდა ქამთაღმწერლის კონსპექტურ ჩანაწერებს, მიიღო მისგან შესაძლებლობის მაქსიმუმი და სიცარიელე ეპოქის საერთო ცოდნითა და ფანტაზიით შეაქსო. ამასთან დაკავშირებით, გრ.აბაშიძე მოხდენილად შენიშნავს: „თუ მამხილებელი საბუთების ნაკლებობა სასამართლო გამოძიებისათვის დიდი დაბრკოლებაა, მხატვრისა და შემოქმედისათვის ფაქტიური მასალის სიღარიბე, ცოდნის განსაზღვრულობა. ზოგჯერ საუკეთესო თვისებაა ფანტაზიის გამლისა და სიუჟეტის თავისუფალი განვითარებისათვის. მაგრამ

ცოგნე დადიანი უბრალო პიროვნება როდია, იგი ქართველი ხალხის ეროვნული გმირია და მისი ბიოგრაფიის შექმნისას ეს ფაქტი რომანისტიკისათვის უაღრესად ანგარიშგასაწეია“.

„გრიგოლ აბაშიძემ, განაგრძობს აეგორი, ღრმად ჩაიხედა ხალხის ისტორიული გმირის – ცოგნე დადიანის სულში, დამაჯერებლად დაგვიხატა მისი მღელვარება და მკითხველს განაცდევინა ამ გმირის ვნების მთელი სიმძაფრე. გრ.აბაშიძე გვაძლევს თავისი გმირის ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს, ცოცხალ, ცხოვრებისეულ ღეგალებს, სისხლსავე ადამიანურ ვნებებს და დამაფიქრებელ მსჯელობებს ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხზე“.

ბუიონი შენიშნავს, რომ ქართველი აეგორი ეყრდნობა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს. ეს იქიდან ჩანს, რომ რომანში ხალხი გამოყვანილია როგორც ისტორიის შემოქმედი ძალა და ამით იგი ავსებს მემბრიანების ხარვეზს, მწერლის სიგყუბით რომ ეთქვათ, რომელიც აწუხებდა ფრანგ მწერალს – ვოლტერსა და ქართველ მწერალს – ილია ჭავჭავაძეს.

„სამართლიანობა მოითხოვს, დაასკვნის ბუიონი, ეთქვათ, რომ ამ გასრულებულ ტრილოგიაში გრ.აბაშიძე ყველგან სიმართლის მეტყველია. ისტორიული გმირები დახატული ჰყავს დიდი ოსტატობით. გვიჩვენებს, თუ როგორ უყვარდათ მათ საქართველო, რა სიკეთე, ან ვნება მოუგანეს მათ საქართველოს. აეგორს ცოგნე დადიანის გმირობა ქართველი ერის აპოთეოზად ესახება და მის თაუდაღებაში ხედავს არა მარტო ერთი თაობის განწმენდას, არამედ, მთელი დაცემული საქართველოს ამაღლებას. ჩვენი აზრით, „ცოგნე“ კლასიკური ტიპის რომანია“.

მართალია, გრ.აბაშიძის შემოქმედება ბელგიულ მკვლევარს მოკლედ აქვს განხილული, მაგრამ ის რაც თქვა ჩვენს მწერალზე, უცხოელ მკითხველს მაინც აძლევს წარმოდგენას მისი შემოქმედების მთავარ მაგისტრალურ მიმართულებაზე.

ეორე ბუიონის წიგნში ერთ-ერთი თავი ასეა წარმოდგენილი: „მთა რუსაველიდან იოსებ ნონეშვილამდე, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და სერგი წულაძესთან გავლით“, რომელსაც წამძღვარებული აქვს იოსებ ნონეშვილის სტრიქონები: „ქართველი ხალხი მებრძოლი, სტუმართმოყვარეა. ვინ არ იცის, რომ სტუმარი ღმერთის გამოგზავნილია. დიახ, არსებობს ასეთი ქვეყანა, მას საქართველოს ეძახიან“.

ბუიონი, უპირველეს ყოვლისა. მსჯელობს XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარების საკითხებზე. გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ „ქართული პოეზია დაიკავეს ღირსეულ ადგილს ფრანგულენოვან სამყაროში“. შემდეგ, იგი მსჯელობს ი.გრიშაშვილის, კნაღირაძის, ალ.მირცხულავეს, კ.კალაძის, რ.მარგიანის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანისა და ოთარ ჭილაძის პოეზიაზე.

მიიჩნევს მათ XX საუკუნის ქართული საბჭოთა პოეზიის მოწინავე პოეტებად, რომლებიც ეხმიანებიან თანამედროვე ქართულ სინამდვილეს, ქმნიან ლექსებსა და პოემებს.

ავტორი, შემდეგ, ერცლად ჩერდება ი.ნონეშვილის პოეზიაზე. წინა პლანზე წამოსწევს ი.ნონეშვილის იმ ლექსებს, რომლებიც პოეტმა დაწერა და გამოაქვეყნა მისი საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობის შედეგად.

„იოსებ ნონეშვილი, წერს ჟორჟ ბუიონი, სამწერლობო ასპარეზზე გამოვიდა რევამ მარგინთან ერთად, დიდი სამამულო ომის სუსხიან წლებში და მკითხველის ყურადღება მიიქცია პატრიოტული ლექსებითა და პოემებით. პატრიოტი პოეტი იოსებ ნონეშვილი უმღერის საბჭოთა ხალხის გამარჯვებას დიდ სამამულო ომში, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დიდი მხედართმთავერის – ი.ბ. სტალინის წინამძღოლობით. პოეტმა შესანიშნავი ლექსები შექმნა საზღვარგარეთ მოგზაურობის შედეგად... მისი პოეზია მრავალფეროვანია, გვაჯადოებს თავისი ორიგინალობით, სამყაროს რეალური ხილვით. ი.ნონეშვილი გააზრების პოეტია და არა – უბრალო ემოციებისა. ამაში პირადად დაერწმუნდით, როდესაც პირადად გაეცანით იგი თავის ბინაში. მას ბევრი ლექსი აქვს დაწერილი სიყვარულის თემაზე. ასეთებია: „მელა“, „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმევენდებოდა“ და მრავალი სხვ. მის ყველა ლექსში იგრძნობა პოეტის ალგაცება მშობლიური ქვეყნის სილამაზით. ქართული მიწა მშვენიერიც არის და ბარაქიანიც. ამაზე მსჯელობს პოეტი ლექსში – „შემოდგომა თბილისში“. მისი ლექსები ხალხში დიდი სიყვარულით სარგებლობს, რადგან პოეტის სიტყვა ყოველთვის ალალი, წრული და თვითმყოფალია. მისი მგზნებარე ლექსები აღსაესეა შინაგანი გრძნობით, გულის სითბოთი, რაც ქართველთა ბუნებისათვის, საერთოდ, დამახასიათებელია“.

როგორც ცნობილია, ი.ნონეშვილმა ინახულა მრავალი ქალაქი: პარიზი, რომი, ბერლინი, ვაიმარი, პრაღა, ვარშავა, ვაშინგტონი, ნიუ-იორკი და სხვა მრავალი. ამ მოგზაურობამ ძალიან გააზდიდრა პოეტის შემოქმედება. პოეტის ფიქრები ყოველთვის საქართველოს მთებსა და ველებს დასტრიალებდა, ყოველთვის თავისი ხალხის დავალება ახსოვდა, იბრძოდა სიკეთისა და სიმართლისათვის, ჰუმანიზმის წმინდა იდეალებისათვის.

მოვიგანთ ჟორჟ ბუიონის წიგნიდან ერთ ადგილს, რომელიც საგულისხმოა ქართველი პოეტისათვის: „ახლა გადავივარ XII და XIX საუკუნეებიდან XX საუკუნეში. აი დღეს სტუმრად ვიმყოფები იოსებ ნონეშვილის სახლში. ჩვენი პოეტი არის საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი, მშვიდობის რესპუბლიკური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და თანამედროვე საქარ-

თელოს უპოპულარესი პოეტი, რომელიც თავის მრავალფეროვან ლექსებში უმღერის თავისი ქვეყნის ახალგაზრდობას (იხ. მისი „გული სიხარულით იესება“). პოეტი გასცქერის მომავლის ღრმას, რომელიც ფრიალებს. იგი მშვიდობისა და მეგობრობის გამარჯვებას უფრო მეტად გამოკვეთილ სახეს აძლევს. პოეტმა, ომის შემდეგ, გამოაქვეყნა პოემა – „ახალგაზრდა ქალმშვილის თავგადასავალი“, რომელიც მიუძღვნა ახალგაზრდა ქარიველი ქალმშვილის – ზოია რუსაძის ბრძოლებს გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. პოეტმა დამაჯერებლად დაგვიხატა გმირი ქართველი გოგონას უკელადი სახე, რომელიც, ჩემი აზრით, სამუდამოდ დარჩება ქართულ პოეზიაში.

ლექსების ციკლმა, რომელიც პოეტმა სამღვარგარეთ მოგზაურობის შემდეგ გამოაქვეყნა, ჭეშმარიტად გააფართოვა ქართული საბჭოთა პოეზიის თემატური რეგისტრი.

მესმის პოეტის, თამაღის გამამხნევებელი, მჭერმეტყველური და დაუშრეტელი სიკეეები. იგი წარმოსთქვამს მრავალ სადღეგრძელოს ისე, როგორც თავის ლექსებს. ეს ნიშნავს, სასმისი ბოლომდე უნდა დაეალო. ჩემს გვერდით მის სლოვაკი პოეტი – მილომ კრნო, პირდაპირ – გოქსის თაემჯდომარე გივი მელაძე, მაგისდის თათან – კინომსახიობი ქალი, თავისი შაეგერემანი ემხით მაგილას პიკანტურობას რომ მატებს. ყველგან მხარულება და სიუხვე სუფეს.

გაეეცანი კედლებზე მიმაგრებულ ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტებს. ეფიქრობ მანძილზე, რომელიც იოსებ ნონეშვილს შ.რუსთაველისა და ნ.ბარათაშვილისაგან აშორებს და თავს უეცრად მათ მახლობელად ეგრძნობ. ვარ ახლობელი მათი ნაწარმოებებისა და ადამიანური თვისებებისა. ეს რომ იგრძნო, აუცილებელია, იმოგზაურო დროსა და სივრცეში. დაეაზუსტე ფრანგული სიტყვის „ბონჟურის“ ქართული შესატყვისი, „გამარჯობა“ ყოფილა, „ორევეუარის“ კი – მშვიდობით. დაე, მშვიდობა და გამარჯვება სუფეედეს თქვენთან, ქართველებო, და კეთილი იყოს წელს ქართველთა სტუმრობა ბელგიაში“.

ჟორჟ ბუიონი განიხილავს ქართული პროზის განვითარებას XX საუკუნის ათიანი წლებიდან დღემდე. მენიშნავს, რომ ქართველი რომანისტები ქმნიდნენ შესანიშნავ ნაწარმოებებს თანამედროვეობის აქტუალურ თემაზე და ამ მხრივ გარკვეული წარმატებები ჰქონდათ. ავტორი ეხება შვიდი ქართველი რომანისტის შემოქმედებას, როგორიც არიან: კ.გამსახურდია, ალ.ქუთათელი, ლ.ქიაჩელი, კ.ლორთქიფანიძე, მ.ჯავახიშვილი, ნ.ლორთქიფანიძე და ნ.დუმბაძე.

ბელგიელ მწერალს უცხოეთის პრესაში წაუკითხავს კ.გამსახურდიას მოგაერთი ნაწარმოები, აგრეთვე, საბჭოური გა-

მოცემები მისი რომანებისა და მასზე კრიტიკული ლიტერატურა. ბუიონი აღნიშნავს, რომ კვამისაბურღია სამწერლობო ასპარეზზე გაბოვიდა XX საუკუნის ათიან წლებში. იმოგზაურა საზღვარგარეთ. განიცდიდა დეკადენტიური ხელოვნების გავლენას, რაც ნაიზღადავად გამოჩნდა მწერლის პირველი პერიოდის ნაწარმოებებში, როგორიც არის: „დიონისეს ღიმილი“, „მკვლართან შეხვედრა“, „ქალის რძე“ და სხვ.

ეორე ბუიონს წაუკითხავს რენე ღომეკისეული „ლილოსტაგის მარჯვენის“ ფრანგული თარგმანი და ძალიან მოწონებია. აეგორი აღნიშნავს, რომ ეს რომანი დაწერილია ისტორიულ თემაზე, მასში ასახულია საქართველოს ამბები, რომელთაც ადგილი პქონდა X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. „ეს იყო საქართველოს აყვავების ხანა, წერს ბუიონი. გიორგი მეფე, რომელიც რომანის ერთ-ერთი გმირია, აგრძელებს საქართველოს წინა მეფეების მემკვიდრეობას, იბრძვის საქართველოს გასაერთიანებლად, მაგრამ ამ ბრძოლაში წარმატებები უერ მოიპოვა. რომანის სიუჟეტად მწერალს ალებული აქვს სევეტიცხოელის მშენებლობის ბოლო პერიოდი, რომელიც მოიცავს გიორგი პირველის მეფობის უკანასკნელს წლებს. რომანის მთავარი გმირები არიან: გიორგი პირველი, ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე, კათალიკოსი მელიქსედექი, სპასალარი გეიადი, დედოფალი მარიამი და სხვები.

ისტორიულად ცნობილია, რომ კონსტანტინე არსაკიძე გარდაიცვალა სევეტიცხოელის მშენებლობის დამთავრებისას, მაგრამ რომანის მიხედვით, არსაკიძე ვერაგი მეფის – გიორგი პირველის მსხვერპლი ხდება. მისი ბრძანებით მთავარ ხუროთმოძღვარს – კონსტანტინე არსაკიძეს მარჯვენა ხელი მოსჭრეს. ამიტომაც, რომ რომანს ეპიგრაფად მწერალმა წარუშდღვარა სტრიქონები:

„ხეკორძულას წყალი მისიკამს,

მცხეთა ისე ამიგია,

დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,

რატომ კარგი ავიგია“.

ჩვენ ღლემღე არ მოგვეპოვება ისტორიული საბუთები იმის შესახებ, რომ ასე მხეცურად მოექცნენ სევეტიცხოელის ამშენებელს. ქართველი ხალხი ამის შესახებ გაღმოგვეცემს ლეგენდას... არსაკიძე, ფარსმან სპარსის შეგირდი, უაღრესად ნიჭიერი იყო, მაგრამ მან აჯობა თავის მასწავლებელს. არსაკიძის შემოქმედების ნაყოფი – სევეტიცხოელი ღარჩება, როგორც მებრძოლი წარმავლობასთან, უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა. მწერალს შესანიშნავად ღაუხატავს ფარსმან სპარსი, როგორც ინტრიგანი და ღამსმენი. არსაკიძეს მეფე გაუხლა მოქიშმელ, მას უნღოღა, არსაკიძისაგან ჩამოეშორებინა უღამამგესი ქალი – შორენა კოლონკელიძე, რომელსაც გულწრფელად უყვარღა შორენა. არსაკიძე რომანის ერთ-

ერთი ყველაზე დადებითი გმირია, რომელიც აღიზარდა ღარიბი კაცის ოჯახში, მას ხალხთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და დიდი სიყვარულით სარგებლობდა. რომანში თანდათანობით ვლინდება არსაკობის მოწინავე მსოფლმხედველობა, იგი თავისი დროის მოწინავე ადამიანია, თუმცა, მასში მაშინვე არ ვლინდება შინაგანი პროტესტი შუა საუკუნეების დოგმატიზმისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ.

ეჭვს გარეშეა, რომ „დიდოსტაგის მარჯვენა“ წარმოადგენს ლიტერატურულ შედეგს, რომელიც უტოლდება მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებებს“.

ეპიუონი ესება „მთვარის მოგატყუბას“. იგი აღნიშნავს, რომ მწერალი ამ რომანში ერთმანეთს უპირისპირებს ორი ეპოქის ადამიანებს, ერთის მხრივ, წარმატებულ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული წრისა და ახალი სოციალისტური წყობილების ადამიანებს. ამ დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლაში ავტორი გეიჩვენებს სოციალისტური წყობილების ცხოველმყოფელობას და ძველი წყობილების დაღუპვის აუცილებლობას.

გრილოგიის სოციალურ ფონად მწერალი იყენებს საბჭოთა სინამდვილის მნიშვნელოვან პერიოდს. ახასიათებს რომანის გმირებს და ბოლოს, დაასკვნის: „მთვარის მოგატყუბაში“ ეკამსახურდია ამჟღავნებს საგნებისა და მოვლენების კარგ ცოდნას, გრილოგიაში ბევრია საინტერესო, მართალი და რეალისტური სურათები. რომანი კოლექტივიზაციის ფონზე იშლება, მოქმედება წარმოებს სოფლად, თუმცა, ქალაქის საკმაოდ არის წარმოჩენილი. მწერალს კარგად ეხერხება სახეების გროტესკულად ასახვა, იგი რამდენიმე წინადადებით აყალიბებს დასრულებულ პორტრეტს. რომანში მაღალი მხატვრულობით შესრულებულია მრავალი ეპიზოდი, ცალკეულ სცენებსა და სურათებს წარმოგვიდგენს მდიდარი და ლამაზი პოეტური ფერებით. მკითხველზე ღრმა შუაბეჭდილებას ახდენს გრილოგიაში ჭარბად აღწერილი მნეჩეულებანი, გრადიციული ადამიანები და ღლეობები“.

ავტორი ცდილობს, მოგვეცეს „დავით აღმაშენებლის“ მოკლე ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი. მიუთითებს, რომ რომანში ასახულია ამბები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XI საუკუნის მეორე ნახევარსა და XII საუკუნის პირველ ნახევარში. რომანის მთავარი გმირი დავით მეოთხეა, რომელიც იყო სახელმწიფო მოღვაწე, დიდი მებრძოლი, ბევრი რამ გააკეთა მან საქართველოს ერთ მთლიან, ფეოდალურ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის. მის სახელთანაა დაკავშირებული ისტორიული ძეგლები და კულტურული დაწესებულებების მშენებლობა.

ავტორი ჯერ გადმოგვცემს, თუ რა მდგომარეობა იყო დავით მეოთხის მეფობამდე საქართველოში. მოაქვს მრავალი საინტე-

რესო მასალა იმაზე, თუ როგორ მძიმე მდგომარეობაში იყო საქარველო, სამეფო საქმეები ვერ იყო მოგვარებული, თურქების გამუდმებული თავდასხმების შედეგად, საქართველო გაჩანაგებული იყო. ამასთანავე, ქართველი ფეოდალები ქვეყნის ცოცხალი ორგანიზმის ღამლას ხელს უწყობდნენ და ასეთი მოქმედებით მტრებს ეხმარებოდნენ. ასეთ მძიმე პირობებში მოუხდა დავით აღმაშენებელს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა. მაგრამ ღვათმა მსხვილ ფეოდალებსა და ღიდგეაროვან ერისთავებს აგრძნობინა თავისი ძალა. ბერი თავგასული ფეოდალი დააპატიმრა და მიიღო გადაწყვეტილება რეგულარული ჯარის შექმნის შესახებ.

რომანში მოქმედება მეტწილად საქართველოს საზღვრებს გარეთ წარმოებს. ჟორჟ ბუიონის აზრით, ქართველი მწერალი მართებულად იქცევა, როდესაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას უკავშირებს საერთაშორისო მოვლენებს. დავითი ებრძოდა ისლამის აგრესორებს და რეაქციულ ძალებს. „ამიგომ, წერს ბუიონი, დავითის ბრძოლების მარტოდენ ნაციონალური ისტორიის ფარგლებში მოთავსება სწორი არ იქნებოდა. ამიგომ ქართველი მწერალი სწორად მოიქცა, როდესაც რომანში ღიდი ადგილი ბიზანტიის სამეფოსა და ჯვაროსანთა ომების აღწერას დაუთმო“.

ავტორი „დავით აღმაშენებელს“ ადარებს ლუი აროგონის „კომუნისტებს“. „ისევე, როგორც „კომუნისტებში“, ასევე, „დავით აღმაშენებელში, წერს ბუიონი, მრავალრიცხოვანი მოქმედი გმირია გამოყვანილი. რელიეფური სახეა გიორგი ჭყონდიდელი. იგი არის ბრძენი და ქვეყნის სიმტკიცის მსახური. ჭყონდიდელი წვრთნის და ხელმძღვანელობს ჯერ კიდევ ახალგაზრდა დავით მეოთხეს. შესანიშნავად არის ღახატული მარიამ ღედოფალი, იგი, ქალთა სახეებიდან, მეტ ყურადღებას იქცევს. მარიამი არის განათლებული, იშვიათი სიღამამის, მაგრამ იგი, ბოლოსაღაბოლოს, მონაზვნად აღიკვეცება. რომანში მრავალი საგულისხმო და საინტერესო მხატვრული ეპიზოდი და პასაჟია. საინტერესოა, აგრეთვე, მეფე გიორგისთან მისი ყრმობის მეგობრის – ღრმად მოხუცი შმაგ ერისთავის შეხვედრა, ღედოფალ რუსუდანის გამოთხოვება შეილთან და მისი მონაზვნად აღკეცის სენა, თურქი მსგოვრების შეპყრობა და ღაკითხვა. ეს რომანი უცხოელ მკითხეულებში ღიდ ინტერესს იწვევს“.

მოკლედ ჩერდება, აგრეთვე, „ვამის ყვავილობაზე“, რომელიც დაწერილია თანამედროვეობის თემაზე. მასში ასახული არიან საბჭოთა ადამიანები, რომელთაც შესწევთ ძალა, კოლექტიური შრომით გარდაქმნან ბუნება და მისი ადამიანის სამსახურში ჩაყენება. მწერალი ქება-ღიდებას ასხამს სოციალისტური ყოფის ადამიანებს, აგვიწერს სოფელ ბერმუხას, სადაც ძველად სიცოცხლე ღულდა. მაგრამ შემდეგ, ღროთა განმავლობაში, გადაშენდა. უკანასკნე-

ლალ სოფელი ბერმუხა ეაჩნადეების საბაგონო ყოფილა. ამ სოფლის მცხოვრებლები მისდევდნენ მეცხოველეობას, მაგრამ აქ, ახლა ცხრა მუხის ზეგანზე, განზრახულია ეაზის გაშენება, აგრეთვე, უნდათ, მოაწყონ ჰესი, დაუსახლებელი ადგილები კელაე დაასახლონ, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა.

ბელგიელი ავტორის აზრით, ღრმა შთაბეჭდილებას გოეებს ეახტან კორინთელი, რომელმაც კარგად იცის სოფლის მეურნეობა. იგი, გოდერძი ელანიძესთან ერთად, ხელმძღვანელობს ეაზის გაშენების საქმეს. შეჰდეგ, ჟორჟ ბუიონი წერს: „მთავარი პრობლემა, რომლითაც დაინტერესებულია ქართველი მწერალი, ეს არის, გვიჩვენოს კოლექტიური შრომის ძალა ბუნებისა და ადამიანის გარდაქმნის საქმეში. საბჭოთა ადამიანები შეკრთიებული ძალით ებრძვიან პირველყოფილ ბუნებას, რათა დაიმორჩილონ იგი და ჩააყენონ ადამიანთა სამსახურში.

მკითხველზე ღილ შთაბეჭდილებას ახდენს კოლექტიური შრომის სურათები, როდესაც ბერმუხის მშრომელები ცხრა მუხის ზეგანს ასუფთაებენ ეაზის გასაშენებლად. მწერალი გვიჩვენებს ცხოვრების გარდაქმნის, ახლის დამკვიდრების გზას, როგორც მძაფრი წინააღმდეგობისა“.

გაკერით მოიხსენიებს ალ. ქუთათელის რომანს – „პირისპირ“ (ფას ა ფას), შეჰდეგ, ლეო ქიაჩელის „გვალი ბიგვას“, ადარებს მას ბელგიელი მწერლის – გილ უდენშპიგელის გმირებსა და, აგრეთვე, რომენ როლანის „კოლა ბრენიონს“, ასაბუთებს, თუ როგორ იქცა გვალი მშრომელ ადამიანად, საკოლმეურნეო მოძრაობის გაუღენით.

უფრო ვრცლად ჩერდება კ. ლორთქიფანიძის რომანზე – „კოლხეთის ცისკარი“, რომელიც 1956 წელს ფრანგულად გამოვიდა პარიზში. მწერალს წაუკითხავს ამ რომანის ფრანგული თარგმანი და მასზე უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული სტატიები და რეცენზიები.

ავტორი აღნიშნავს, რომ „კოლხეთის ცისკარი“ XX საუკუნის ერთ-ერთი საყურადღებო რომანია, რომელიც ოსტატურად ასახავს საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების გზებს საქართველოში.

მსჯელობს ლეო ქიაჩელის რომანის – „გარიელ გოლუას“ შესახებ, რომლის ფრანგული თარგმანი გამოვიდა 1958 წელს, პარიზში. კრიტიკოსი წერს, რომ რომანით დაინტერესდა, რადგან მასში 1905 წლის რევოლუციის ამბებია აღწერილი, ერთი პატარა ქართული სოფლის მაგალითზე. „როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, წერს ჟორჟ ბუიონი, ეს რომანი მწერალს დაუწერია 1915 წელს, შეიქცარიაში, შემდეგ გამოუგზავნია საქართველოში და აქ აღუბუკდავთ. ამ რომანში მე დავინახე სიბრძნე, სოფლური უბრა-

ლოება, პარმონია და ზომიერება, რითაც ასე გამოიძრეოდა ლოქ-ენკოს საუცხოო ფილმი – „მეწა“, რომელიც ნაჩვენები იყო ბრ-უსელში, კინემატოგრაფიის თორმეტ შედეურს შორის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ რომანს, ამ კავკასიურ „გმირობას“ აკლ-ლეს ემოცია, ღრმატიზმი. ასე, მაგალითად, რომანში თხრობა სიმ-ძაფრეს აღწევს მაშინ, როდესაც მთაში გახიზნული მოხუცი გარ-ელი, მოღალატის მიერ მოკლულ თავის ერთადერთ შვილს – ლე-ვანს ხელში აიგაყებს და ამაყად შეხედება მტერს. მსგავს ეპიზოდს ეხედებით ეიზენშტაინის ფილმში – „ჯაჟმოსანის პოტიომკინი“, სა-დაც თმაგაწეწილი და შემლილი ღელა, ბავშვით ხელში, ხედება მტრის მოღერებულ თოფს. ლეო ქიჩელი აქ წარმოგვიდგება რო-გორც მოკრძალებული მწერალი, რომელსაც უყვარს თავისი გმი-რი, სიმბოლო თავისი ხალხისა. ეს მოხუცი, მრავალი განჯვის გა-დაგანის მიუხედავად, ბოლომდე ღარბისელი რჩება. გარიული სა-თავეში უდგება პირეელ მოხალისე წითელ რაზმს და თავის გარ-შემო მთელ სოფელს შემოიკრებს. გარიული სინდისი და პატიოს-ნებაა გლეხების, რომელთაც იგი ხელმძღვანელობდა თავისუფლ-ბისათვის ბრძოლაში. რომანის ყოველ გვერდზე ჩქეფს მშობლიუ-რი მიწის, მისი ამაყი ხალხისა და თავისუფლების სიყვარული“.

ჩერდება მისიელ ჯაჟახიშვილის შემოქმედებაზე. განიხილავს მის ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა: „ჯაყოს ხიზნები“ (ლე კიზან-ლე ღეაკო): „გივი შადური“, „თეთრი საყელო“ (ლე კოლ ბლან) და „არსენა მარაბდელი“ (არსენ ღე მარაბდა).

თავისი ნაშრომის შესავალ ნაწილში, ავტორი აღნიშნავს, რომ მ.ჯაჟახიშვილი იყო ნიჭიერი მწერალი, თხრობის ღიდი ოსტატი, ფლობს მწეავე სიტუაციების შექმნის მეთოდს, ამხელს ბოროტე-ბას, აღიღებს კეთილ ადამიანებს. ჟორე ბუიონი წერს, რომ „ჯა-ყოს ხიზნები“ მაღალმხატვრული რომანია, გამოიძრევა ფილოსო-ფიური კონცეფციით, მასში ღამაჯერებლად ასახულია ქართველი ხალხის ტკივილები, ნაჩვენებია მთელი პროცესი, თუ როგორ ღაქ-ნინდნენ თავაღამნაურები. თავადი თეიმურაზ ხევისთავი, თავის მეუღლე მარგოსთან ერთად, ხდება თავისი ყმის – ჯაყოს ხიზანი.

არჩევს „არსენა მარაბდელს“, მისი თქმით, ეს რომანი მ.ჯაჟახიშვილის შემოქმედებაში უმაღლესი წერტილია, ღიდი ეპი-კური გილოა, რომელშიც ასახულია ქართველი გლეხების ბრძო-ლა თავაღამნაურულ, ფეოღალური გირანის წინააღმდეგ. რომანში ასახულია მაშინდელი საზოგადოების სხეაღასხეა ფენა. აქ თავი და თავი გლეხოება მათი ბელადი – არსენა ოძელაშვილი, გამო-ჩენილი მეზრძოლი, მაღალი მორალური თვისებებითაა ღაჯილ-ღობული.

ბუიონი წერს: „რომანში ასახულია რთული ისტორიული პრო-ცესი, ფეოღალიზმის რღვევა და კაპიტალიზმის განვითარება. რო-

მანის მთავარი გმირი – არსენა ოძელაშვილი სამოქმედო ასპარეზზე მაშინ გამოდის, როდესაც მეფის თვითმპყრობელობა არბევდა გლეხთა გამათავისუფლებელ მოძრაობას. ეს მხატვრული მონუმენტური ნაწარმოები დამაჯერებლად მოგვითხრობს ქართველი გლეხის – არსენა ოძელაშვილის ბრძოლაზე მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა 1820-40 წლებში. ამ შესანიშნავი ეპოპეის გმირი, ხალხის წრიდან გამოსული არსენა ოძელაშვილია, რომელიც განმარტოებულად ებრძვის მდიდრებს, მათ ართმევდა და ღარიბ ხალხს აძლევდა, თვითონ დარწმუნებული იყო ხალხის სამართლიანი ბრძოლის გამარჯვებაში“.

ბელგიელი მკვლევარი იზიარებს ქართველი კრიტიკოსების – ბესო ელენგისა და გურამ ასათიანის კონცეფციას იმის შესახებ, რომ „არსენა მარაბდელი“ პირველი ნაწარმოებია, რომელიც სათავეს უდებს ქართულ საბჭოთა რომანტიკას, სადაც წარსული ცხოვრება სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდანაა დანახული და წარმოსახული.

ესება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას. ცალკე გამოყოფს მხოლოდ ორ რომანს, როგორიცაა: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „თეთრი ბაირალები“. „თეთრი ბაირალებიდან“ მოაქვს რომანის მთავარი გმირის – ზაზა ნაკაშიძის თავგადასავლიდან სტრიქონები: „ღამით მე ისევ მზე მეახლა, სხივი ჩამაბა და წელზე ოქროს ბაწარივით თავისაკენ მიმიზიდა. რაც უფრო ეუახლოვებოდი მზეს, იგი სულ უფრო გრილი ხდებოდა, სულ უფრო გრილი. როდესაც მიუეახლოვდი და ხელი შეეახე, მან არ დამწეა მე. ჩეყენ ერთად შევედქვით ვეებერთელა აღმართს, მე და მზე, წინ – მზე და მე უკან. ჩეყენ აველით სულ მაღლა, როგორც არაყინ და მზე ველარ აღნობდა მარადიულ თოელს. ეს არის ჯომოლუნგმა, თქვა მზემ, თეთრი ბაირალი მომაწოდა და ჩემს გვერდით დადგა. მე გავეშალე ბაირალი, მაღლა აღემართე და ესედავ, ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირალი ფრიალებდა, როგორც სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო. ერთი ვეებერთელა და უსპეგაკესი თეთრი ბაირალი ფრიალებდა ქვეყნის თავზე“.

ბელგიელი ავტორი ეორჟ ბუიონი ეყრდნობა რა ბესო ელენგის მოსაზრებას, წერს, რომ ზემოთ აღნიშნულ სიგყეებში გამოთქმულია რომანის ძირითადი იდეური აზრი, მისი სოციალური და ესთეტიკური იდეალი, მისი მორალი და ფილოსოფია. ეს რომანი ეხმარება არა მარტო საბჭოთა ხალხს, არამედ მსოფლიოს ხალხებს, რომ დმკვიდრდეს ყველგან მშეიდობა, სიკეთე, ჰუმანიზმი, ხალხთა შორის მეგობრობა. ამავე დროს, რომანში მზის სინათლეზეა გამოტანილი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები. მზის სიმბოლიკაში ქართული მწერალი ახორციელებს ყოველგვარი სიკეთის, სინათლისა და სილამამის იდეალს.

ამის შემდეგ, ბუიონი განმარტავს: „ნოდარ ღუმბაძის „ოთხთ ბაირალებში“ ასახულია ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების ქართული სინამდვილე, როდესაც მწერალი ხუმრობით სენტიმენტალურ ჰუმანიზმს ეძახის, ამიშვლებს ადამიანის სისუსტისადმი შემწყნარებლობას, ამჟღავნებს გულშემატკივრობას, სიმპათიას ადამიანებისადმი, საერთოდ, ხოლო ჩვეულებრივი ადამიანისადმი, კერძოდ. ასეთი იყო აღნიშნული წლების ასპექტები. ავტორი ღიმილითა და სინამდით აგვიწერს ცხოვრებას. რომანი გაუღენთილია რწმენით, რომ სიმშვენიერე არის ღელაარსი თვით ამ სინამდვილისა“.

(გვ. 155).

ეხება, აგრეთვე, მეორე რომანს – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. კრიტიკოსი იქვე შენიშნავს, რომ ეს რომანი მაშინვე შეიყვარა ხალხმა. რომანში ჰუმანიზმი მთელი თავისი ძალითა და მომხიბვლელობით გამოჩნდა. ერთი შეხედვით, აქ სრულიად უბრალო გმირებია დახატული. ეს გახლავთ უცნაური და მშვენიერი ოთხი გმირი, რომელთა ხასიათებსა და ყოფაში ასე ძლიერად გამოჩნდა საბჭოთა ადამიანების მაღალი სული და მოქალაქეობრიობა.

ეორე ბუიონი ბოლოს აკეთებს საგულისხმო დასკვნას: „რომანი – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ უპასუხებს მკითხველის მოთხოვნას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ მწერლობაში დიდი ხნის განმავლობაში არ იყო წარმოჩენილი ასეთი უბრალო და ჰუმანური პერსონაჟები. ნოდარ ღუმბაძემ შეისისხლხორცა, გაითავისა ქართული ეროვნული კულტურის გრადიციები, საბჭოთა კლასიკის უმდიდრესი გამოცდილება. მწერალმა შესძლო, თავის მხრივ, გაემდიდრებინა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა თავისთავადი, ღრმა და მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით, რომლებშიც მაღალი მოქალაქეობრივი მისწრაფებები ჩაქსოვილია თბილ იუმორსა და ლირიზმში. მწერლის იუმორს მნიშვნელობას ის მაგებს, რომ იგი ცრემლიანი ღიმილის, ან თანაგრძნობის აღსაძვრელად კი არ არის მხოლოდ მოხმობილი, არამედ სიკეთის, გამარჯვების რწმენის განმტკიცებას ემსახურება. ცხოვრების ეს იმედიანი ხილვაა ნოდარ ღუმბაძის შემოქმედების ძალა და მშვენიერება. მწერლის სიყვარულით აღსავსე გულისფთქვა ძლიერად და გადამდებად ისმის მისი ყოველი რომანიდან და მოთხრობიდან. ნოდარ ღუმბაძის მხატვრული სამყარო იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი ყოველი რომანი და მოთხრობა ეკრანიზებულია და მილიონობით ადამიანის კუთვნილება გახდა. ნოდარ ღუმბაძის მოთხრობები და რომანები, რომლებშიც ღრმა ცოდნით აისახა ხალხის ცხოვრება, მისი თავდადებული ბრძოლა მაღალი იდეალების ხორცშესასხმელად, თანამედროვე ადამიანისათვის საუკეთესო სულიერი საძრდოა.

ნოდარ დუმბაძის რომანები და მოთხრობები გავიდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეეთ, თარგმნილია მრავალ უცხო ენაზე და უცხოელი მკითხველების სამაგიდო წიგნებია“.

ეორე ბუიონი იქვე მოიხსენიებს რევაზ ჯაფარიძის, თინა ღონეშვილის, ოთარ ჩხეიძის, ლადო ავალიანის, არჩილ სულაკაურის, ოტია იოსელიანის, ლევან გოთუას, გიორგი შაგბერაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ელიშერ ყიფიანის, თამაზ ჭილაძის, გურამ გუგეშიძის, ჭაბუა ამირეჯიბისა და სხვათა ნაწარმოებებს. შენიშნავს, რომ მემოთ აღნიშნული მწერლები ნაყოფიერად მუშაობენ თანამედროვე ქართულ პროზაში და აქვთ წარმატებანი.

ეორე ბუიონი უცხოეთის ჟურნალებსა და გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებს სტატიებსა და რეცენზიებს ქართველი მწერლებისა და მეცნიერების ნაშრომებზე და აცნობს უცხოეთის ხალხს.

ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი რეცენზია აკად. შოთა ძიძიგურის წიგნზე — „ქართული ენა“, რომელიც გამოსცა ფრანგულ ენაზე თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ეორე ბუიონი თავის რეცენზიაში წერს: „როდესაც საქართველოზე ვფიქრობ, მაშინვე მაღლიერების გრძნობით ვიგონებ კულტურის ორ გამოჩენილ მოღვაწეს: გასტონ ბუაჩიძესა და სერგო თურნაეას. ამასწინათ, სერგო თურნაეასაგან მივიღე სამი წიგნი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ერთმანეთს მაინც აესებს. ესენია: შოთა ძიძიგურის „ქართული ენა“ (ქართულიდან ფრანგულად თარგმნა სერგი წულაძემ), „ბუნების მგოსნები“, რომელიც შეადგინეს და თარგმნეს ფრანგულ ენაზე თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკებმა: ნინო წულაძე-კალაგომიშვილმა და ნუნუ ქალეიშვილმა, აგრეთვე, „ქართული პოემის ანთოლოგია“, თარგმნა და შეადგინა ტატიანა ავალიანმა...“

ქართული ენა, რომელსაც აქვს ორიგინალური და უნიკალური დამწერლობა, ეკუთვნის ქართველურ ენათა ჯგუფს, რომელიც ცნობილია, აგრეთვე, სამხრეთ-კავკასიური ენების სახელწოდებით. თავისი განვითარების თხუთმეტსაუკუნოეანმა ისტორიამ ქართულ ენას ღიდი დანიშნულება და ძლიერება დაუმკვიდრა. ქართული ენა ცოცხლობს როგორც წარსულის, ასევე აწმყოს ყველა ცოცხალ ენათა შორის. იგი არის ეროვნული მეობის ძირითადი სიმბოლო. ქართული ენა რჩება ერის განმასხვავებელ ძირითად ნიშნად, ეინაიდან ენა არის ერის ცნების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის განვითარებამ განაპირობა მისი ენისა და კულტურის სიმდიდრე. მე ამ საკითხზე მსჯელობა მქონდა ჩემს წიგნში — „საქართველო — ოქროს საწმისის ქვეყანა“.

შოთა ძიძიგურის წიგნი ინტერესს იწვევს იმიტაც, რომ ქართული ენა ენათესაება ბასკურ ენას, ან, უკიდურეს შემთხვევაში,

ემსგავსება მას. ასეთი რთული ჰიპოთეზის კელევა, მართალია, ძალიან ძნელია, მისი გამოკვლევა მარტო ფილოლოგებს არ ძალუპთ, მასში სხვა დარგის მეცნიერებიც უნდა ჩაერიონ...

„ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“, რომელიც შესანიშნავად უთარგმნია პოეტსა და მთარგმნელს – გაგიანა ავალიანს, მე კელავეიპოვე თბილისი, მტკეარი და მთაწმინდა, აგრეთვე, ამიერკავკასიის ამ რესპუბლიკის საიამაყო პოეტები, დაწყებული შუა საუკუნეებიდან – შოთა რუსთაველით, საბჭოთა ხელისუფლებამდე – ლადო ასათიანის ჩათვლით. ამ ორ ეპოქას შორის წარმოდგენილია ოციოდე გარდაცვლილი, მაგრამ მარად უკელავეი პოეტები: ნ.ბარათაშვილი, ალ.ქავჭავაძე, გრ.ორბელიანი, ი.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი, გ.გაბიძე, მათ პატრიოტულ, რომანტიკულ თუ ხალხურ მოტივებს ძველი ქრისტიანობიდან კომუნიზმის დღევანდელ ეპოქამდე მიყვევართ, თუმცა ეს უკანასკნელი პერიოდი ნაკლებადაა ნაჩვენები, ვიდრე – პირველი. აქ აწყო გვევლისება ხალხის წარსულისა და ლირიკული სულის სარკედ. ქართული ხალხი, ისე როგორც სხვა ხალხების პოეზიაში, უფრო ღრმადაა ასახული მისი სიმართლითა და წრფელი გრძნობით. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ამ პოეზიაში საკეთარ თავს ხელავენ მთელი მსოფლიოს ხალხები, სიყვარულისა და თავისუფლებისაკენ მისწრაფებას კითხულობენ.

ამ რჩეულ პოეტთა ოცეულში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანია მთის პოეტი – ვაჟა-ფშაველა, რომლის შესანიშნავი ლექსი – „არწივი“ შეგიძლიათ წაიკითხოთ: „არწივი ენახე დაჭრილი“... ვაჟა-ფშაველა თვითონ არის არწივი, რომლის სისხლი გაღმოჩქეუს წყეულ ყვაფ-ყორნებს შორის? სინამდვილეში, ვაჟა თავს აფარება და საყვარელ მთებში, ფშაურ სოფელს. ამიგომაც პოეტს „მთის არწივი“ უწოდეს. ჩვენ ხელთ გვაქეს პოეტის მოთხრობების წიგნი – „ბუნების მგოსნები“, რომელშიც შევიდა პოეტის მოთხრობები: „ია“, „ფესვები“, „მთანი მაღალნი“, „ხმელი წიფელი“, „მელის ნუკრის ნაამბობი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „მთის წყარო“, „დაფერფლილი არწივები“ და სხვ...

ამ მოთხრობებს ორგვანი მიზანი აქეს, ერთი ის არის, რომ ფრანგულენოვან სამყაროს გააცნოს ვაჟა-ფშაველას პროზაული ნაწარმოებები, მეორე ის, რომ ახალგაზრდა მთარგმნელებს ქართულიდან ფრანგულად თარგმანის გექნიკა შეასწავლოს. ამგვარად, ჩვენ ხელთ გვაქეს ხალხების დაახლოვების შესანიშნავი საშუალება. ეს არის ქართულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნილი ვაჟას მოთხრობები.

პოეტი უმღერის წყაროსა და მცენარეთა ფესვებს, მელის ნუკრსა და იას. არ შეიძლება, ადამიანი არ განიმსჭვალოს სიკეთისა და მშვენიერების გრძნობით იმისათვის, რომ ბოროტება დავამარ-

ცხოდ. განა შეიძლება, არ იგრძნოთ, რომ ადამიანსა და ბუნებას სიწმინდე და სიკეთე აკავშირებს? დიახ, პატივი უნდა ეცეთ ადამიანებს, რომლებიც ქმნიას კულტურას და იმათ, ვინც ამ კულტურას ავრცელებს. ჩვენ ამით საშუალება გვქმნება, გადავლახოთ ეროვნული პროვინციალიზმი. ამას ვამბობთ არა გეოგრაფიული სივრცის თვალსაზრისით, არამედ – პროვინციალიზმში სულიერ შემოღუღულობას ვგულისხმობთ. კულტურის მოღვაწეთა მეშვეობით, ჩვენ ევცნობით საზღვარგარეთის ხალხების ცხოვრებამოღვაწეობას. ვიგებთ, რომ იმ ხალხებს იგივე გასაჭირი და მისწრაფება აქვთ, რაც ჩვენ. ამგეარად, ამ საშუალებით ჩვენ აღმოვაჩენთ ხოლმე დღემდე უცნობ მოძმე ხალხებს. აი, სანამდე მივყავართ ჭეშმარიტად უნივერსალურ ჰუმანიზმს“ (ქორე ბუიონი, „ენა, პროზა და პოეზია საქართველოსი“, ქურნალი „ბელეიკ-ურსს მაგაზინ“, ნომერი 8-9, 1980).

1978 წელს, მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და გამომცემლობა „განათლებლამ“ ფრანგულ ენაზე გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომლის ფრანგული თარგმანი და შესავალი სტატია ეკუთვნის გასტონ ბუაჩიძეს, ხოლო ილუსტრაციები, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს – ლადო გუდიაშვილს.

წიგნმა დადებითი გამოხმაურება ჰპოვა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ბელგიურმა ქურნალმა – „ბელეიკ-ურსს მაგაზინმა“ 1979 წლის ივნისის ნომერში გამოაქვეყნა ქორე ბუიონის წერილი – „საბა-ორბელიანი: სიბრძნე სიცრუისა“, რომელსაც წინ უძღვის დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის უკვდავი სტრიქონები: „სიკცვა საქმიანი და საქმე სიკცვიანი“. აი, რას წერს ბუიონი: „როდესაც აქ საბჭოთა ლიტერატურაზე ვსაუბრობთ, თავისთავად იგულისხმება, რომ მხედველობაში გვაქვს რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირში გამოცემული წიგნები, რომელთა მიმართ ზოგჯერ სისტემატური კრიტიკა გაისმის ხოლმე, ვიდრე მეგობრობის. ეს არის ჩვენი მოკრძალებული პერიოდული გამოცემა.

...გასტონ ბუაჩიძე, რომლის დედა ფრანგია, არის ლექტორი და მთარგმნელი. ამავე დროს, მისი მწერლური ნიჭიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. იგი, კერძოდ, გვაცნობს თავისი სამშობლოს ორ ყველაზე დამახასიათებელ გმირს: „მორეულ წარსულში ეს გახლავთ პოეტი შოთა რუსთაველი, ახლო წარსულში კი – მხატვარი ნიკო ფიროსმანი. ამ ორს შუა ცხოვრობდა სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725), „საქართველოს მამად“ წოდებული. გასტონ ბუაჩიძე, უთუოდ, ქართული და ფრანგული ლიტერატურის შეხვედრის ყველაზე იღბლიანი წარმომადგენელია, მისი

სახით მოგვევლინა, ერთგვარად, ელჩი იმ ღრმა კულტურული კაემირებისა, რომლებიც ესოდენ ესაჭიროება ხალხთა შორის მშვიდობიანი არსებობის დამკვიდრებას.

რაც შეეხება ღაღო გულიაშვილს. იგი იმეამად საქართველოს ყველაზე სახელგანთქმული მხატვარია. და მე არც ის გარემოება მაეიწყდება, რომ მისმა ნიჭმა შეამკო იმ წიგნის გარეკანი, კაკასიის ამ რესპუბლიკას რომ ვუძღვენი მრავალთქმული მითოლოგიური სათაურით – „საქართველო – ოქროს საწმისის ქვეყანა“.

აღმოსაელეთისა და დასავლეთში XVIII საუკუნემ ზღაპრების, იგავებისა და ნოელების აყვავება წარმოშვა. ყელა ამ ნაწარმოების საერთო ნიშანი შეიძლება მათ ფილოსოფიურ სულისკვეთებასა და „განათლებული ღესპოტიზმის“ ქადაგებაში ექმით. საქართველოში ამ ახალ მიმდინარეობას სათაეში ჩაულგა დიპლომატი და კათოლიკე პრელატი – სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც, ერთსა და იმავე ღროს, დიდ გამაერიოიანებლად და დიდ აღმზრდელად იქცა... თავის წინასიციეაობაში გასგონ ბუაჩიძე, სულ ცოტა, ოთღაათიოდე გეერდს გეთაეამობს და მარგოდენ ზოგაღად წარმოაჩენს ყოველივე ამას. მას საესებით ვეთანხმებით, როღესაც იგი ერიმანეთის აახლოეებს სულხან-საბა ორბელიანისა და ერამმ როგერ რამელის მოღვაწეობასა და იღეებს. თეით ამ გარემოებიდანაც საკმოდ გამოსჰეივის განათლებულ ქართეელთათვის უეე ორი საუკუნის მანძილზე ესოდენ საამაყო ნაწარმოების ლიგერაგურული და დოკუმენტური ღირებულება. „სიბრძნე სიცრუისა“ მოწოდებუღია, ბრძნულად წარმართოს მათი საქმიანობა, ვისაც ხალხთა მმართველობა აკისრია...

კრებულის იგავები ძაფზე ასხმული მარგალიტის მძიეები გეგონებათ (ამ კომპოზიციას, ღიახაც, რომ სიციეა „ძაფი“ უხდება). ერთმანეთს თითქმის ფეხღაფეხ მიჰყეება სხედასხევა გამოცდილები-სა და მსოფლმხედეელობის მქონე მთაეარ პერსონაეთა ნაამბობი, ხოლო მოქმედება სპარსეთის ერთ მომიჯნაეე სამეფოში იმლება“.

„ბელეიკუარსს მაგაზინის“ 1981 წლის მესამე ნომერში დიბეჰდა ე.ბუიონის რეცენზია კ.გამსახურდიას „დიღოსგატის მარჯვენაზე, რომელსაც წამმღეარებული აქეს ქართელი მწერლის სტრიქონები: „მოვლენათა ფოკუსში მოქეეულია მელაეის წაკეუთის ამბაეი, ე.ი. განწირული ბედი დიდი ხელოეანისა გირანულ სახელმწიფოში“. აეგორი წერს: „ფოსგა ზოგეერ საოცარი დამთხვეეის მატარებელია. ახლახან, ამის მოწმე თაეად გავხვდი, როცა ფოსგალიონმა ერთღროულად კ.გამსახურდიას „დიღოსგატის მარჯვენა“ და კანადელი მწერალი ქალის – პოლინ ეეკის რომანი – „ნიღოსის ქალბატონი“ გაღმომცა. ორიეე რომანი მოგეითხრობს ხუროთმოძღვრისა და დიდგეაროვანი ქალწულის გრაგიკულ სიყ-

ეარულზე, რომელიც იშლება სასახლის კარის ინტრიგების ფონზე. განა, გაძარ ღვირ-ელ-ბაჰარის ამგებელი და სეფეციხოვლის ხუროთმოძღვარი ორივე უსამართლობის მსხვერპლი არ გახდა? უბედურება დააგყდათ თავს გმირებს: პაჩეკსუტსა და სენმუტს, შორენასა და კონსტანტინე არსაკიძეს“.

ეორე ბუიონი ერცლად მსჯელობს რომანის გმირებზე და აძლევს მათ მაღალ შეფასებას. იგი ბოლოს აკეთებს სამართლიან დასკვნას: „კონსტანტინეს (აქ, ამჯერად, ვგულისხმობთ მწერალს) მოუხდა დიდი მუშაობა იმისათვის, რომ „ქებაში ჩაკირული საიდუმლო განეცხადებინა სიტყვაში“. იგი მეორე დიდოსტატია, რომელმაც საქართველოს უძღვნა თავისი შედეგები. როგორც ქვას, ასევე სიტყვასაც, მეტი წონა აქვს და უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი მახვილი“.

ეორე ბუიონმა ბელგიური ჟურნალის – „ბელგიკურს“ 1983 წლის ბოლო ნომერში რეცენზია მიუძღვნა სერგი წულაძის მიერ შედგენილ „ქართულ პოეზიის ანთოლოგიას“, რომელიც გამოვიდა თბილისში ფრანგულ ენაზე.

რეცენზენტი ერცლად განიხილავს ქართველი პოეტების (V-XX საუკუნეები) ლექსების ფრანგულ თარგმანებს. მკითხველის ყურადღებას იქცევს ავტორისეული ღრმა მეცნიერული ანალიზი, მოაქვს სათანადო ადგილები თარგმანებიდან და დაასკვნის, რომ სერგი წულაძემ უცხოელ მკითხველებს, თავისი მაღალმხატვრული თარგმანების სახით, დიდი საჩუქარი უძღვნა, გააყნო მათ რუსთაველის, ნ.ბარათაშვილის, გრ.ორბელიანის, ალ.კავჭავაძის, ი.კავჭავაძის, აკ.წერეთლის, ე.ე.ე.შაველას, გ.გაბიძის, გ.ლეონიძის, ს.ჩიქოვანის, ი.ნონეშვილის, შ.ნიშნიანიძის, ნ.დუმბაძის, არჩ.სულაკაურის, ირ.აბაშიძის, გრ.აბაშიძის, რ.მარგიანისა და სხვათა ნაწარმოებები.

„წინამდებარე თარგმანი, წერს ბუიონი, ავსებს დღემდე არსებული ხარვეზებს. „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ სრულყოფილად აკმაყოფილებს ჩვენს სურვილს – უკეთესად გავიცნოთ პრომეთესა და ოქროს საწმისის ქეყანა. მართლაც, ჩვენს წინაშე ერთი რწმენისა და სამშობლოს მქონე 60 მგოსანი, დაწყებული შუა საუკუნეებიდან – XX საუკუნემდე, ქრისტიანობიდან ლიბერალიზმამდე და მეძლე, სოციალიზმამდე... როგორ არ ეახსენოთ, მაგალითად, ე.ე.ე.შაველა „იმ დიდ პოეტთა რიცხვიდან, ვინც თავისი ენით გააცოცხლა ხალხური მითები“ და რომლის ამაღელვებელი ძეგლიც დგას თბილისში? მის ლექსებში ასახულია საქართველოს ყველა კუთხე, ადამიანთა ყველა გრძნობა, რომელთა შორის უძლიერესია თავისუფლების სიყვარული. ამ წიგნში ნათლად ჩანს ქვეყნის მცირე და დიდი ისტორია.

სერგი წულაძემ, რომელსაც საფრანგეთის აკადემიის ლანგლუას

პრემია მიენიჭა, დიდი შუშაობა გასწია ქართული პოეზიისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ, საერთოდ, ღელამიწის ყველა კუთხეში მცხოვრები ადამიანების საკეთილდღეოდ, ამიგომ ომახიანად ეამბობ: მგოსანო! ჩემო მეგობარო, საქართველოვ, ჩემო მეგობრებო, ყველა ქვეყნის პოეტებო, შეერთდით!”

ეორე ბუიონი 1982 წლის 9 აგვისტოს, ბელგიულ და ლუქსემბურგულ მწერლებთან ერთად, ეწვია მწერალთა კავშირს, სადაც აცო მიიღო მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ – ნოდარ ღუმბაძემ, რომელიც მწერლებს ესაუბრა ქართული მწერლობის განვითარების გზებზე. საუბარში აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთარგმნელობით მოღვაწეობას სხვადასხვა ქვეყნის მწერალთა ურთიერთშეხვედრების, ხალხთა დაახლოების, მეგობრული ურთიერთობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ბელგიური ჟურნალის – „ბელეიკურსს მაგაზინის“ 1983 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ე.ბუიონის რეცენზია ნ.ღუმბაძის „მარადისობის კანონზე“. სტაგიის მარჯვენა მხარეზე გამოქვეყნებულია მწერლის ფოტოსურათი. რეცენზიას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სტრიქონები ქართველი მწერლისა: „კომუნისში კაცობრიობის ბელნიერების უმაღლესი საფეხურია. ის ბელნიერი ეამი, როდესაც ადამიანს სამუალება მიეცემა, მხოლოდ ის აკეთოს, რისი გაკეთებაც მას შეუძლია“ ბუიონი აანალიზებს რომანს და წერს: „მკითხველი მაშინვე შეამჩნევს წიგნის გარეკანის სიმბოლურ გაფორმებას. წითლად შეფერილ დიდ გულში ჩახატულ სკამ-ლოგინზე სხედან მღვდელი და ინტელიგენტი, მათს ზურგს უკან მოჩანს გუმბათიანი ეკლესია, მეორე მხარეს – ნამგალი და ურო. როგორც რომანიდან ჩანს, ეს მოულოდნელი ამბავი თითქოს უპირისპირდება ბალზაკის ნაწარმოებში – „ერსულ მირუემი“ გამოქმულ მოსამზრებას, სადაც ვკითხულობთ: „მორწმუნენი და ათეისტები ორ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და ერთმანეთის არ ესმით. შეუძლებელია, მათ ერთმანეთს გაუგონ“.

აღნიშნული საპირისპიროდ საკმარისია დაეასახელოთ საავადმყოფოს ერთ ოთახში მყოფი სამი კაცი, ანუ სამი ინფარქტიანი ავადმყოფი. ესენია: ათეისტი მწერალი – ქართული გაზეთის რედაქტორი ბაჩანა, სასულიერო პირი იორამი და მეჩექმე. ეს უკანასკნელი მარსელ პანოლის გმირებს ემსგავსება, დანარჩენი ორი, თუ მათ მნიშვნელობას შევამცირებთ, ალბერ კამიუსაკენ იხრება. მთავარი ამრი ამ რომანისა შეიძლება ასე გამოვხატოთ: აქ ერთმანეთს პატიოსნება და უსინდისობა უპირისპირდება“.

„ბელეიკურსს მაგაზინის“ 1978 წლის XI ნომერში დაიბეჭდა ეორე ბუიონის სტატია გრ.აბაშიძის შემოქმედებაზე, რომელსაც წამძღვარებული აქვს ქართული პოეტის სტრიქონები: „მოასწა-

რი, ქვეყნის ხილვა წილად გერგო ერიხულ“. ავტორი მოკლედ განიხილავს გრ.აბაშიძის შემოქმედებას და მაღალ შეფასებას აძლევს. იგი წერს: „ჩემს წიგნში – „საქართველო – ოქროს საწმისის ქვეყანა“ საგანგებოდ გავამახვილე ყურადღება გრ.აბაშიძის პოეზიასა და პროზაზე და მიუზღინე მას შესაფერისი ადგილი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. შევეხე მწერლის ნაწარმოებებს, როგორიცაა: „შაჟი ქალაქის გამაფხული“, „მარშმის მშანება“, „ძღუეის ქელი“, „ლაშარელა“, „მარგის იდეები, ანუ ღიდი ღამე“...

ბელგიურმა ჟურნალმა – „ლა დრიად“, რომლის მთავარი რედაქტორი არის ჟორჟ ბუიონი, 1978 წლის დეკემბრის ნომერში ათი გვერდი დაუთმო გასტონ ბუაჩიძის სტატიას – „გალაკტიონ ტაბიძის არტისტული ყვაილები“. ქართველი ავტორი აცნობს ბელგიელ მკითხველს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მოგიერთ მხარეს და საგანგებოდ განიხილავს 1919 წლის პოეტურ კრებულს, რომლის გამოსვლითაც ქართული პოეზიის ისტორიაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო. სტატიას ინტერესით შეხვდა უცხოელი მკითხველი. ამის თაობაზე ბელგიელი მწერალი ანდრე გლოდი ერთ-ერთ წერილში გვწერს: „ახლახან, წაეკითხე ლიტერატურულ ჟურნალში – „ლა დრიად“, რომლის რედაქტორია ჩემი მეგობარი ჟორჟ ბუიონი, გასტონ ბუაჩიძის ეტიუდი: „ქართული მწერლობა – გალაკტიონ ტაბიძის არტისტული ყვაილები“. ეს გახლავთ მშვენიერი, ჰკეიანური და საკითხავად სასიამოვნო ტექსტი. მისი დამწერი, უსათუოდ, ნიჭიერი მწერალია, რომელსაც უყვარს გალაკტიონის შესანიშნავი პოეზია და სხვასაც აყვარებს მას, მამინაც კი, როდესაც ენის უცოდინარ მკითხველს დედანში არ შეუძლია წაიკითხოს ქართველი პოეტის ლექსები.

ეს ეტიუდი სურვილს აღძრავს, კიდევ უფრო მეტი გაიგო გალაკტიონ ტაბიძეზე. ლუი. არაგონმა რამდენიმე გვერდი უძღვნა თავის წიგნში, საბჭოთა ლიტერატურაზე რომ გამოაქვეყნა. არაგონმა მოგვცა რამდენიმე ნიმუში გ.ტაბიძის ლექსების თარგმანისა, მაგრამ არაგონის წიგნში მაინც არ არის წარმოდგენილი გალაკტიონ ტაბიძე მისი ღრის ისტორიულ კონტექსტში. გ.ტაბიძის სტილის გასტონ ბუაჩიძისეული ანალიზი მე გაცილებით ღრმად მწვდება. ეს იქნებ იმიტომაც, რომ გასტონ ბუაჩიძე აელენს გ.ტაბიძის ნათესაურ კავშირს ფრანგ პოეტებთან, რომლებსაც მე კარგად ვიცნობ. ეს გახლავთ მაღარმე, ბოდლერი თუ ვერლენი“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჟორჟ ბუიონმა თავისი ჟურნალის – „ლა დრიადის“ 1983 წლის მესამე ნომერში გამოაქვეყნა ამ სტრიქონების ავტორის სტატია – „ნოდარ ღუმბაძე – თანამედროვე საქართველოს გამოჩენილი მწერალი“, რომელშიც ავტორი უცხოელ მკითხველებს მოუთხრობს ნოდარ ღუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ეორე ბუიონთან ერთად, აქ უნდა მოვიხსენიოთ ბელგიელი პოეტი და მთარგმნელი, ქართული კულტურის დიდი მეგობარი – ანდრე გლოდი, რომელიც ქართული ლიტერატურით დაინტერესდა ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში. იგი 1959 წელს, ბრიუსელში გაეცნო საბჭოთა პოეტებს: გრიგოლ აბაშიძეს, გასტონ ბუაჩიძეს. თარგმნა გრ.აბაშიძის ლექსები და დაბეჭდა ბელგიური ჟურნალის – „ნუვე დე ლეტრ სოფიეგიის“ 1959 წლის მეოხე ნომერში. ანდრე გლოდს უშუალო კონტაქტები აქვს დამყარებული გრ.აბაშიძესთან, გასტონ ბუაჩიძესთან და ამ სტრუქტურების ავტორთან; გვაქვს მიმოწერა ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ანდრე გლოდი დაიბადა 1918 წლის 27 ივნისს, პატარა ქალაქ ფიცი-ფონტენში (დე უის ოლქი, ბელგია), ხელოსნის ოჯახში.

ანდრე გლოდი საშუალო სკოლაში იწყებს ლექსების წერას. შემდეგ ამთავრებს ბრიუსელის უნივერსიტეტს (ფილოლოგიური ფაკულტეტი) და იწყებს ჟურნალისტურ მოღვაწეობას. 1940 წელს ბელგიის მიწაზე ებრძვის გერმანულ ფაშისტებს, ბრძოლის დროს იგი მიიღებს ჭრილობას, მის შენაერთს გერმანელები შემოარტყამენ ალყას და გყვედ მიჰყავთ. 1940 წლის ბოლოს ბრუნდება სამშობლოში. 1943 წელს აარსებს ყოველთვიურ არალეგალურ გაზეთს – „რეზისტან ბელჟ“, აქვეყნებს სტატიებს გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ბელგიის განთავისუფლების შემდეგ (1944), რედაქტორობს ყოველკვირეულ გაზეთს – „ლა რეზისტან ბელჟ“, რომელშიც აქვეყნებს სტატიებსა და მოთხრობებს.

ანდრე გლოდს გამოქვეყნებული აქვს მრავალი მოთხრობა, სტატია, ნარკვევი და თარგმანი. აღსანიშნავია მისი ლექსების წიგნი – „ნაყოფიერი ღამეები“ (1937), „ჯადოსნური ოცნება“ (1938, ლიტერატურული ქრონიკები), „სპეციალური მსროლელი ასეულები“ (1947, მოთხრობების კრებული), „ერთი ზაფხული ბულგარეთში“ (მოთხრობა, 1956), „ტემპლუს ხეხილის ბაღი“ (რომანი, გამოსცა ეორე ბუიონმა, 1965 წ.) და სხვ.

ანდრე გლოდის მოთხრობები, რომანები, ნარკვევები ეძღვნება ომისა და მშვიდობის საკითხებს, ამხელს ომის გამჩალებლებს. ასახავს ბელგიელი ხალხის მდგომარეობას, მათ ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის.

ანდრე გლოდის მიერ თარგმნილ გრ.აბაშიძის ლექსებს: „გაზაფხულის ყვავილი“, „სიმაღლისაკენ“ და „მშვიდი მეციხოვნე“, ბელგიის პრესამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და მაღალი შეფასება მისცა.

1979 წლის 12 იანვრის წერილში ანდრე გლოდი გვწერს: „თქვენმა 1978 წლის 23 დეკემბრის სასიამოვნო წერილმა გული გამითბო. მე ძლიერ პატივცემული ვარ გრიგოლ აბაშიძისაგან, ჩემს 1959 წელს შესრულებულ ლიტერატურულ ნაწრომს რომ იხსენიებს. იგი

ქართულ ხალხს უყვარს. სამუშაო, რომელიც შეეასრულე, ქართულ პოემიასთან მიახლოების ცდაა... მე მისხეილ იურიის ძე ლერმონტოვმა აღმიძრა ინტერესი კავკასიელი ხალხისადმი. ჯერ კიდევ 1918 წელს, ბელგიელმა პროფესორმა ანრი გრეგუარმა გამოაქვეყნა წიგნი – „სლავური პოემიის მარგალიტები“, რომელშიც შევიდა ლერმონტოვის ლექსების ფრანგული თარგმანები. ეს წიგნი, სამწუხაროდ, ბელგიაში არ არის. მაღლობას მოგახსენებთ, იმისათვის, რომ ჩემს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე წერილი რომ გამოაქვეყნეთ“.

გასტონ ბუაჩიძემ ბელგიური ჟურნალის – „ლა დრიადის“ ფურცლებზე (რედაქტორი ჟორჟ ბუიონი), 1979 წელს, გამოაქვეყნა სტატია – „ქართული ლიტერატურა. გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“, რომელსაც ერთ-ერთ თავის წერილში ეხმიანება ანდრე გლოდი, აძლევს მას მაღალ შეფასებას და წერს: „ეს არის ძალიან კარგი სტატია, რომელიც დაწერილია ღიდი ერუდიციით და სიამოვნებით იკითხება. სტატია დაწერილია ნიჭიერი მწერლის მიერ, რომელსაც უყვარს გალაკტიონ ტაბიძის მომხიბლავი პოემია, მკითხველს უქმნის ყველა პირობას, შეიყვაროს გალაკტიონის ლექსები, რადგან ბელგიელმა მკითხველმა ქართული არ იცის.

ეს სტატია მიგვიანიშნებს იმაზე, რომ მეტი უნდა ვიყოფეთ გალაკტიონ ტაბიძეზე. მე არ ვიცი, ჟურნალებმა: „ლა ლიტერატურ სოვიეტიკმა“, „ვერ ე ობინიონმა“ და „დე ლეგრ სოვიეტიკმა“ თუ მიუძღვნეს წერილები გალაკტიონის შემოქმედებას. არ ვიცი, აგრეთვე, თუ ეინმეს ასიამოვნა ლუი არაგონის წიგნმა – „საბჭოთა ლიტერატურა“. ბაგონმა ლუი არაგონმა ამ წიგნში რამდენიმე გვერდი მიუძღვნა გალაკტიონ ტაბიძეს, სათაურით: „ახალი ოქროს ეპოქა“. აქ ისტორიულ ასპექტში არ არის წარმოდგენილი გალაკტიონ ტაბიძის პოემია. ჩემი აზრით, გასტონ ბუაჩიძისეული გალაკტიონ ტაბიძის პოემიის ანალიზი უფრო ღრმაა. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ გბუაჩიძე იხილავს გატაბიძის პოემიას ფრანგი პოეტების: სტეფან მალარმეს, შარლ ბოდლერის, პოლ ვერლენის პოემიასთან მიმართებაში, მათ შემოქმედებაში პოულობს ბევრ საერთოს, რაც მე ძალიან კარგად ვიცი. ბაგონი ჟორჟ ბუიონი შეიძლება დაგვეთანხმოს იმაში, რომ „ლა დრიადის“ მომავალ ნომერში დაბეჭდოს მოკლე ცნობა გალაკტიონ ტაბიძეზე და მოიხსენიოს პოეტის მთავარი ნაწარმოებები. ამ სურვილს მე შევასრულებდი, მაგრამ რადგან ვიცი, რომ ჟორჟ ბუიონი საქართველოდან მიღებულ მასალებს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს, რადგან მას მეტი საიმედო წყარო ექნება.

მე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ პარიზში, პიერ სეგერსის მიერ დაარსებულ სერიაში, გალაკტიონზე გამოქვეყნდეს ვრცელი

წერილი ფრანგულ ენაზე, მის ლექსებთან ერთად. ამ სერიას ქვია „დღევანდელი პოეტები“. ეს კოლექცია ფართოდ არის ცნობილი და სათანადოდ შეფასებული ფრანგულენოვან სამყაროში, პოეზიის მეგობრების მიერ. მე პირ სეგერსისაგან ამ საკითხში რწმუნება არ მაქვს, პირადად არ ვიცნობ. მე არ ვიცი, არის თუ არა იგი ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის მწერალი. ძალიან ვნანობ, რომ არ შემიძლია განვახორციელო ასეთი ღონისძიება. პირ სეგერს და ჟორჟ ბუიონს აქვს გამოცემის საკუთარი სამუშაოები. მაშაყაეთი რომ წარმოგიდგინეთ მარტო ჩემი მოსაზრებანი და ოცნებები... საერთოდ, მე პრობაიკოსებთან უფრო ახლო ვარ, ვიდრე — პოეტებთან.

მე ვიცი, რომ მ. ქსიმ გორკიმ თავისი პირველი მოთხრობა — „მაკარ ჩკრა“, გამოაქვეყნა თბილისში, 1892 წლის გაზეთ „კავკაზის“ 12 ლექსების ნომერში. დიდ პატივს ვცემ მაქსიმ გორკის, რომელმაც ღრმად იცოდა თხრობის ხელოვნება და პერსონაჟების გაყოცხლება რეალურ საფუძველზე.

ანდრე გლოდი თავის ერთ-ერთ წერილში ეხმიანება საქართველოდან მიღებულ ლიტერატურას და წერს: „მე უკვე მივიღე თქვენი ორი წიგნი ქართულ ენაზე: „ლიტერატურული სარკვევები“ და „საზღვარგარეთული ქართველოლოგია“. ამ წიგნებს, რა თქმა უნდა, სათუთად შეეცანხა ჩემს ბიბლიოთეკაში. აჰ, ხანშიშესული რომ არ ვიყო, მქონდეს საკმაო მეხსიერება, შევისწავლავდი ქართულ ენას, წავიკითხავდი თქვენს წიგნებს და ქართული ლიტერატურის სხვა ნაწარმოებებსაც.“

აგრეთვე, მივიღე 1979 წლის 10 თებერვლის შესანიშნავი წერილი და თქვენი სტატია გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით, რუსული გაზეთის — „მალადიოე გრუზიის“ ფურცლებზე რომ დაიბეჭდა.

დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ გზავნილებისათვის. 1979 წლის 8 თებერვალს, შეკეთილი ფოსტით გამოგიგზავნეთ ეურნალი „ნუველ დე ლეტრ სოვიეტიკი“, რომელშიც დაბეჭდილია გრ. აბაშიძის სამი ლექსის ფრანგული თარგმანი, რომლებიც მე შევასრულე... უკვე მივიღე გასტონ ბუაჩიძის წერილი, რომელსაც მალე ვუპასუხებ. ეს-ეს არის, ვამთავრებ სულხან-საბა ორბელიანის მისეულ „სიბრძნე სიერუის“ ფრანგული თარგმანის კითხვას. სულხან-საბა ორბელიანი, მართლაც, არის გენიალური მწერალი, რომელიც არაფერში ჩამოუვარდება ჯან ლაფონტენს, ძმებ გრიმებსა და ჰერდერს“.

შემდეგ, ანდრე გლოდი ჟორჟ ბუიონს სწერს: „...სანამ თქვენი წიგნი გამოვიდოდა, ბელგიელებმა არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა ეს საოცარი ქვეყანა, რომელიც მღებარეობს კავკასიონის მთის ძირში. სწავლელები იხსენიებენ არგონავტებს, რომლებიც

კოლხილაში გაუჩინარდნენ. მისეილ ლერმონტოვმა კარგად აღწერა ეს მხარე თავის „დომონში“...

აქ ჩვენ ვხედავთ მსოფლიოს კულტურის წყაროს. ეს გვაძლევს საფუძველს, რომ აღმოცენებულიყო სულხან-საბა ორბელიანის იგაუ-არაკები, რომლებიც ქართულიდან შესანიშნავად უთარგმნია გასტონ ბუაჩიძეს. ეს იგაუ-არაკები შეიძლება შევადაროთ ეან ლაფონტენისა და ძმების გრიმების იგაუ-არაკებს, აგრეთვე, ეან ჟოფრუა დე ჰერდერსა და „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს. გვაქვს ჩვენ ბელგიის ლიტერატურაში ამ რანგის ნაწარმოებები? მგონი, არა. სულხან-საბა ორბელიანი ცხოვრობდა 1658-1725 წლებს შორის. ამ ეპოქაში ცხოვრობდნენ დიდი მხატვრები. რაც შეეხება მწერლებს. ძალიან ძნელია მათი გეარების დასახელება. თქვენი წიგნი განვალაგე საცნობარო ლიტერატურის გვერდით, ხელით რომ აგარებენ. ჩემს წარმოდგენაში ხშირად დავდივარ თბილისში და თქვენი წიგნის მეშვეობით, ეპოულობ პასუხს კითხვებზე, რომლებიც განუწყვეტლივ თავში მიგრიალებს. რას აკეთებენ იქ, სხვადასხვა სამყაროში იმისათვის, რომ გექონდეს კარგი მომავალი? გზები, რომლებიც წარსულიდან იღებენ სათავეს, იყოფიან სხვადასხვა შტოებად. ეს გზები დიდი ხანია, მას შემდეგ, რაც კავკასიაში დაიკარგა. მაგრამ დღეს კავკასიის მთების სიმშვენიერის დაკარგვა მეტი აღარ შეიძლება, ჩვენს თვალწინ წარმოჩენილია აღმავლობის გზაზე დამდგარი საქართველო. ძვირფასო ეორჟ, ეს არის ჩემი მოლოცვა თქვენი წიგნის გამოსვლის გამო“.

ანდრე გლოლს მიუღია ეაეა-ფშაველას მოთხრობების ფრანგული თარგმანები, რომლებიც ქართულიდან შეასრულეს ნუნუ ეადეიშვილმა და ნინო წულაძე-კალაგომიშვილმა. აი, რას წერს ბელგიელი მწერალი: „ბუნების მგოსნებში“ ეაეა-ფშაველა ისწრაფოდა, დაეხატა სიცოცხლის აკვნის, ბუნების სურათები და სცენები. პოეტს თავის პალიტრაზე ჰქონდა უმშვენიერესი ფერები და კიდეც შესძლო მათი ძალის გამოყენება, ჩვენი აღფრთოვანების გასაძლიერებლად. ეაეა-ფშაველა უკვირდებოდა თავის ქვეყანას, საქართველოს, ოცნებობდა... თავის მოთხრობებში ისე გვიხატავდა ქვეყნის სიმშვენიერეს, რომ კაცთა და მხეცთა სისასტიკეს არ მაღაუდა. პოეტს სურს, გაანათლოს თავისი ხალხი უკეთესი მომავლისათვის, გაჭირვებისა და განჯვის მიმართ უფრო ყურადღებიანი გახადოს იგი. მგრედი, რომელიც თავის ბარტყს ჰკარგავს, სიბრალულით გვაესებს ყველა იმ დედის გაჭირვების მიმართ, რომელთაც შვილები მოსტაცეს. კაჰკაჰის საქციელი გვიღვიძებს სიბრაზეს უსინდისობის, ეგოიზმისა და სისასტიკის წინააღმდეგ. ბოლოს, ეაეა-ფშაველას მთამაგონებელია სიყვარული ადამიანებისადმი, რომლებიც იბრძვიან და იგანჯებიან.

„ბუნების მგოსნების“ ფრანგულ ენაზე თარგმანი, რომელიც შეს-

რულებულია თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომლები: ნუსუ ქადეიშვილისა და ნინო წულაძე-კალაგოზიშვილის მიერ, ძალიან მომეწონა, თარგმნილი მოთხრობები წყაროსავეთ მოედინება, აი, ეს არის მთავარი. მოთხრობები კამკაძა, ბუნებრივი, მსუბუქი და დახეწილი სტილითაა ნათარგმნი. მკითხველი არ გრძნობს, რომ თარგმანს კითხულობს, სტილის სილამაშისა და ღირსებას აეგორს — ვაჟა-ფშაველას მიაკუთვნებს. ჩემი სრული რწმენით, მთარგმნელი უნდა ამოეფაროს აეგორს, რომლის ნაწარმოები ისე უნდა წარმოაჩინოს, თითქოს, იგი აღქმული და შექმნილია სათარგმნ ენაზე. ეს საკითხი ჯერ კიდევ მწვავედ დგას პოეზიის თარგმნის დროს, რადგან სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ხშირად ჰკარგავს მუსიკალობას“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანდრე გლოდი თავის წერილებში ეხება ქართველი და ბასკი ხალხების ურთიერთობას, რუსი და ქართველი პოეტების კონტაქტებს. იგი წერს: „...მოგვიერთ აეგორს ჰგონია, რომ ბასკები და ეგრესკები ატლანტიკაში არიან წარმოშობილნი. თუ არ ვცდები, ქართული და ბასკური ენები მონათესავეა, ბასკები ესპანეთში მოსულნი უნდა იყვნენ კავკასიიდან. ერთხელ კიდევ ავლნიშნავ, რომ ვაჟა-ფშაველას ღრმად უყვარდა ბუნება, ადამიანის სულის მაცოცხლებელი ძალა. ვაჟა არის კეთილშობილი, დილსულოვანი პოეტი, რომელმაც კარგად იცოდა ხალხისა და ბუნების მთელი საიდუმლოება...“

მოსკოვის გამოცემლობა „პროგრესის“ მიერ, გამოცემულ წიგნებში: „საბჭოთა ლიტერატურა“ და „ადამიანები და პრობლემები“, წაეკითხე წერილები, რომლებშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ უყვართ რუს საბჭოთა პოეტებს ქართული პოეზია. ესენი არიან: ნ.გინოხოვი, პ.ანტოკოლსკი, ნ.შაბოლოვი, ბ.პასკერნაი და სხვანი. ასე, მაგალითად, კ.შელინსკი ამბობს: „ცხოვრების გრძნობის სისრულე, უმრავლეს შემთხვევაში, გამოხატულია ქართველი პოეტების ლექსებში, ახალგაზრდებთან რომ დგანან და რევოლუციის ეპოქას აღიქვამენ. ეს კი ყველაზე ნათლად გამოჩნდა გიორგი ლეონიძის ლექსში — „პოეზი“. მე კი ვიგეოდი, ეს ჩანს, აგრეთვე, კონსტანტინე სიმონოვის მოგონებებში, იგივეს ეხება სამხრეთი კავკასიის ლიტერატურაში. მეგობრობის დიდი გრადიუა დაამკვიდრეს კავკასიაში პუშკინმა და ლერმონტოვმა“.

აქვე, უნდა მოვიხსენიოთ, აგრეთვე, ბელგიელი მეცნიერი, ქართველოლოგი, პროფესორი პოლ პეეტერსი (1870-1950), რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდა ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან პრობლემებს. მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან პრობლემებს. მას ჰყავდა მოწაფეები, რომლებიც დღეს განაგრძობენ მეცნიერულ მოღვაწეობას, ესენი არიან: ლუენის უნივერსიტეტის პრო-

ფესორი – ბატონი ეურარ გარიგი, რომელსაც ღიღი მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა ღამყარებული კორსული კიკელისძესთან, აკაკი შანიძესთან და არნოლდ ჩიქობავასთან. მისი გამოკვლევები აღიარებულია მსოფლიო მეცნიერებაში.

ბატონ ეურარ გარიგს, თავის მხრივ, ჰყავს, აგრეთვე, მოწაფე – მიშელ ვან ესბროკი, რომელიც მუშაობს ძველი ქართული ლიტერატურის დარგში, დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს მრავალი საყურადღებო ნაშრომი ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე. ამ ორი წლის წინათ, ბატონი მიშელ ვან ესბროკი გადავიდა მიუნხენის უნივერსიტეტში და იქ მოღვაწეობს.

1989 წელს, საფრანგეთის გამოძეგმლობა – „პუბლიკასიონ ორიენტალისტ ღე ფრანსმა“ და მოსკოვის „რადუგამ“ ერთობლივად გამოსცეს „ვეფხისტყაოსნის“ გასტონ ბუაჩისიული ფრანგული პოეტური თარგმანი, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა და მწერლებმა. აღნიშნულ თარგმანზე ჩვენი რეცენზია დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ 1989 წლის 20 აგვისტოს ნომერში. რეცენზიაში – „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანი“, ნათქვამია: ფრანგული თარგმანი ემყარება 1974 წლის „ნაკადულს“ გამოცემას, რომელშიც წარმოდგენილია ღიღი პოემის 1587 სტროფი...

მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნის“ მისიულ თარგმანს უძღვნის ღე-ღას, საქართველოსა და საფრანგეთს... როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა პოეტურ ენაზე, მრავალ სიმღელესთანაა დაკავშირებული. ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი, ეფხისტყაოსნისა და „ამირან-ღარეჯანიანის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი – პროფესორი რობერტ სტივენსონი ერთ-ერთ თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ძნელია იმ მაჯამათა თარგმნა, საღაც სიტყვა ორატოროვანია და ჩამოთღლის ბეერ ასეთ სიმღელეს. იგი, ბოლოს, შენიშნავს: ჯერ არ გამოჩენილა ისეთი მთარგმნელი, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ ენაზე თარგმნა რომ შეეძლოს, თაყალ ამიგომ თარგმნა რიგმული პროზით ინგლისურ ენაზე. მაგრამ ჩვენ ვიტყოდით, რომ გამოჩნდა მთარგმნელი – გასტონ ბუაჩისი, რომელმაც სრულყოფილებამღე მიიყვანა პოემის პოეტური თარგმანი. რა თქმა უნდა, რუსთველოლოგიის წინსვლამ განაპირობა ახალი თარგმანის საჭიროება. მთარგმნელს, უპირველეს ყოვლისა, მუსტად უთარგმნია პოემის სათაური: „რაინდი პანტერას გყაეში“, რადგან ვეფხვი ეეროპული პოეტური გრადისციებისათვის არ არის ღამახასიათებელი და მკითხველში არ იწვევს სათანადო ასოციაციებს. თარგმანის ორიგინალთან შეჯერებამ მიგვიყვანა იმ ღასკენამღე, რომ საქმე გვაქვს თარგმანის შესანიშნავ ოსტატთან, რომელიც კარგად ფლობს ორივე ენას, შესანიშნავად იცის რუსთველოლოგიის ახალი წარმატებანი, ქართული და ფრანგული პოეტიკის მნიშ-

ენელოვანი საკითხები. თავად არის პოეტური ნიჭით დაჯილდოებული, აქვს ღიდი ენერგია და სწრაფვა დასახული მიზნისაკენ. თარგმანი მუსტად გადმოსცემს ორიგინალის აზრს, რითმსა და მეტრს, განწყობილებას, ხასიათილება მუსიკალობითა და მელოდიურობით. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველთვის და ყველგან ისარჩუნებს რუსთაველის კატრენებს. საესეებით გამართულად ისმის რუსთაველის ლექსის ელერადობა, მოელი მისი მუსიკალური განწყობილება. მეორე, რაც მკითხველის ყურადღებას იპყრობს, ის არის, რომ დაეცულია რუსთაველის პოეზიისათვის დამახასიათებელი პოეტური სახეები.

გასტონ ბუაჩიძე, ჭეშმარიტად, მთარგმნელობითი ხელოვნების ღიდი ოსტატია. მან თარგმანში ჩააქსოვა მეცნიერის დახვეწილი ინტელექტი და პოეტური ბუნების არგისტულობა. მთარგმნელი გვიჩვენებს სხვადასხვა პოეტური ფორმის ფლობის ხელოვნებას. ქართული ლექსის ენამზიანობა ღიდად არის დამოკიდებული რითმის ალიტერაციასა და ასონანსების გამოყენებაზე. მათი შემოქმედების ძალა აღვილად არ გადაიგანება სხვა ენაზე შინაარსის დაკარგვის, ან დამახინჯების გარეშე. რაც შეეხება მახეულსა და მეტრს, ფრანგული და ქართული ბუნებრივად ეთანაბრება ერთმანეთს. ისე, როგორც ფრანგულ ალექსანდრიულ ლექსს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ 12 მარცვლიანია, ასევე, რუსთაველის 16 მარცვლიან ტაქს ორად ყოფს ცეზურა, ინგლისურისაგან განსხვავებით, სადაც შეიძლება აყოს უმახვილო მარცვლების ცვალებადი რაოდენობა. ჩვენს მთარგმნელს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ქართული და ფრანგული ლექსთწყობა სილაბურია, ყიდრე გონური, რადგან პოლისილაბურ სიტყვებში მახვილი უფრო თანაბრად ნაწილდება. ამგვარად, ქართული მეტრი შეიძლება მიუახლოვდეს ფრანგულ მეტრს, რასაც გ.ბუაჩიძე წარმატებით ახორციელებს. მთარგმნელს მიუგნია და გამოუხატავს რუსთაველის პოეზიის სული.

ფრანგი მეცნიერი ბერნარ უტიე ერთ-ერთი წერილში აღნიშნავს, რომ სერგი წულაძე და გასტონ ბუაჩიძე 16 მარცვლიანი ლექსის ერთგულნი არიან ბოლომდე. შემდეგ, იგი წერს: „ფრანგულისათვის უჩვეულო მარცვალთა ამგვარი სიუხვე გამართლებულია იმით, რომ სხვაგვარად შეუძლებელია შეინარჩუნო მდიდარი რუსთაველური რითმა, რომელიც მეტწილად სამ და ოთხ უკანასკნელ გერუს აერთიანებს... გ.ბუაჩიძემ კი კატრენები გარითმა თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში მიღებულ რითმითა სახესხვაობის გათვალისწინებით და თანაც, რა რიგ ვირტუოზულად“.

აფორიზმების ორიგინალთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ აქაც გასაოცარი სიზუსტითაა გადმოცემული რუსთაველის ბრძნული აზრები და შეგონებები“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყორე ბუიონმა დაწერა რეცენზია – „ქართული ლექსები და ზღაპრები“, რომელიც დაიბეჭდა ბელ-გიური ჟურნალის – „ბელჟიკურს მაგაზინის“ 1989 წლის მერვე ნომერში.

აეგორი, საერთოდ, ეხება გასტონ ბუაჩიძის მთარგმნელობით-სა და სამწერლობო მოღვაწეობას და მაღალ შეფასებას აძლევს მათ. აი, რას წერს იგი: „უკვე კარგა ხანია ვიცნობ გასტონ ბუაჩიძეს, თბილისში ქართველი მამისა და ფრანგი დედისაგან რომ დაიბადა. უნივერსიტეტის პროფესორია, მთარგმნელი და თვითონ აეგორი რუსულად თუ ქართულად გამოცემული მრავალი წიგნისა. უკანასკნელ დროს კვლავ შევხვდი მას ბელგიის ქალაქ სტაუ-ლოში, „აპოლინერის დღეებზე“ და შემდეგ, ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში, სადაც პუშკინის სახელობის ცენტრმა იგი, თავის უფროს მეგობარ გრიგოლ აბაშიძესთან ერთად, მიიწვია. სიცილი-ელი პოეტისა და გამომცემლობა „ევროედიტორის“ ხელისშეწყობით. ლუქსემბურგში ახლახან გამოიცა გრ.აბაშიძის ლექსთა კრე-ბული – „სამი ფანჯარა სანაპიროზე“, რომლის წინასიტყვაობა და ფრანგული თარგმანი გასტონ ბუაჩიძეს ეკუთვნის. საქართველო-ში გრ.აბაშიძეს იცნობენ როგორც მნიშვნელოვან და ნაყოფიერ მწერალს ლიტერატურის ყველა კარნში და, აგრეთვე, როგორც მთარგმნელს. „მეუ ჩიგის ენით ვეუღრტულები“ და „მე ჩემს აუმ-ხდარ სიზმრებსაც ვუმღერ“, ამბობს გრ.აბაშიძე... გ.ბუაჩიძე შემ-დეგნაირად განაზოგადებს კრებულის თემას: „პოეტის მშერა სანა-პიროზე სამ ფანჯარას მისწყდება, მწვანე კუნძულს ესტუმრება, ელადის თაეზე გაღაივლის და საიდუმლო სერობის წინაშე მოით-ქეამს სულს. უფიყის მხაგერობასთან დამშვიდობებისას ცრემლი მოერევა მნახელს“. დასასრულ, წინასიტყვაობის აეგორი პოე-ტის ყველას გასაცებად თქმულ ბრძნულ რჩეეას იშველიებს: „ძა-ლითაიე რომ დაგიხუჭონ, გაახილე თვალი. მოასწარი, ქვეყნის ნახ-ეა წილად გერგო ერთხელ“.

ამავე მთარგმნელს ეუმაღლით გამომცემლობა „პუბლიკასიონ ორიენტალისგ დე ფრანს“ და მოსკოვის „რადუგას“ ერთობლივ გამოცემას ფრანგულად – „ქართული ხალხური ზღაპრები“, რომ-ლმაც ადგილი დაიკავა იუნესკოს მსოფლიო ლიტერატურის წარ-მომადგენლობით ნაწარმოებთა სერიამი. ზღაპრის ფორმით და-წერილ წინასიტყვაობაში გასტონ ბუაჩიძე წარუდგენს მკითხველს კონკიას კაეკასიელ ძმას და დაასკენის: „მთელი ეს კრებული ოდ-ნავ თუ დაიტევს ნაცარქექიას ზღაპრების გუდას“. მართლაც, ერ-თის მხრივ, ყველა ხალხის საუნჯე ამოუწურავია, მეორეს მხრივ კი, რაოდენ განსხვავებული და ერთმანეთისაგან დამორებული არ უნდა იყოს ხალხები, ყველგან საოცრებათა და სიბრძნის წყერ-ვილს ეხედებით. დაე, ყოველთვის სიყვარულმა და სამართალმა

გაიმარჯვოს! აღმოსაელეთსა და დასაელეთში შუღამ მიაშიგ ბაჟ-
შეებად ღარჩენილებს ჩვენ მოგეწონს, როდესაც ბოროტი აღამი-
ნები ისჯებიან. კეთილთ აჯილღოებენ და ათას ერთი თავგადა-
საელისა თუ გარდასახვის შელეგად, კელაჟ ეკითხულობთ: „ღა-
ქორწინდენ, მრავალი შვილი შეეძინათ და ბელსურად იცხო-
რეს“. ორი სხვადასხვა ენიდან ნასესხები სიტყვა რომ ეიხმართო,
გაუმარჯოს ღეეთა ღამზობის შელეგად ჰეჟი ენდს! ღეჟი გახლავთ
ქართული ზღაპრების გოლიათი, ერთი ან მრავალი თავი რომ
აბია და ბოროტებას განასახიერებს.

ზღაპრებსა და ისტორიაში, აწმყოსა და ძველ მითებში გარ-
ღუელად ცხადლება, რეღიარდ კიპლინგის გამოთქმა რომ ეიხმა-
როთ, „აღამიანის პატარების“ ბრძოლა და მუღამეჟმ საჟუკუნეების
მოსახიბლელად გამოღიან გმირები, რომლებიც განასახიერებენ
გარკვეული დროისა თუ ხალხის უმაღლეს თვისებებს. უეჭველად,
წარსული და დღევანდელი საქართველოსათვის ეს გმირი გახლავთ
„ეეფხისტყაოსანი“ და მისი მეხოტბე, სახელგანთქმული და იღუმა-
ლებით მოცული შოთა რუსთაელი, რომელიც, როგორც ჩანს, მეს-
ხეთის დაბა რუსთავის მკვიდრი იყო და ცხოვრობდა XII-XIII საჟ-
კუნეების მიჯნაზე, თამარ მეფის დროს, როდესაც საქართველოს
სამეფომ თავისი განვითარებისა და კულტურის გაფურჩქვნის უმაღ-
ლეს წერტილს მიაღწია. გაღმოცემით, რუსთაელს უიშელოდ ჰეჟა-
რებია თავისი მბრძანებელი. მაგრამ უფრო ის ჩანს, რომ იგი იე-
რუსალიმს, წმინდა ჯერის მონასტერში გარღაიცეალა, საღაც შე-
ნობის ერთ-ერთ სეეგს მისი გამოსახულება ამკობს. სწორედ ეს
ეპიჟური და ღირიკული პოემა თავისი ქანრით, ერისა და იმავე
დროს, „ტრისტანსა და იზოლდას“ და „როღანის სიძღერას“ რომ
გეაგონებს, ჩეენი მეგობრის – გასტონ ბუაჩიძის მიერ ფრანგულად
თარგმნილი, გამოსცეს „კუბლიკასიონ ორიენტალისტ ღე ფრანს-
მა“ და „რადუგამ“. ღიღი ფორმაგის მშეენიერი წიგნი დასურათე-
ბულია და მაგარ ყღამია ჩასმული. ქართული ზღაპრებისა და „ეეფ-
ხისტყაოსნის“ სპარსული მინიატურებივით ძვირფასი
ილუსტრაციები თბილისელ მხატვარ – რუსუღან ფეტეიამეილს
ეკუთვნის.

„ეეფხისტყაოსნის“ 1582 კატრენი შაირის ფორმით არის დაწე-
რილი, ანუ თექესმეგმარეღელი ქართული ღექსით. აბა, როგორ
შეეაჯამოთ აქ რაინდ გარიელისა და მშეთუნახავ ნესტან-
დარეჯანის მიერ გაღალახული ურიცხვი ფათერაკი? შეენიშნავთ
მხოლოდ, რომ მათაც, ბოლოს, ბელნიერებას მიაღწიეს, რასაც, სხე-
თა შორის, ხელი შეუწყო მათი სიყვარულის საღარაჯოზე მყოფმა
ერთგულმა მეგობრობამ. ეს პეროიკული და თითქმის ეროტიული
ამბავი უთუოდ მოხიბლავდა შუა საჟუკუნეებისა და კრეტიენ ღე
ტრუას თაყვანისმცემლებს. რამღენი საგმირო თავგადასაეალია!

რამდენი შიშისმომგერელი ვითარება! რამდენი ცრემლი იღვრება! ამგეარად, მე შემიძლია, უმტკივნეულოდ, თანამედროვე საქარეულოდან შუა საუკუნეებისაკენ გადავინაცულო და მათი ასაკის შესაბამისად, გბუაჩიძისაგან – გაბაშიძესა და რუსთაველისაკენ“.

მკითხველის ყურადღებას აქცევს ბრიუსელში მოღვაწე ცოლქმარი – ჟან ბლანკოფი და გოლდი სკარ-ბლანკოფი.

გოლდი სკარი დაიბადა ამერიკაში, 1933 წლის 5 მარტს, დაასრულა პარვარდის უნივერსიტეტი, სპეციალობით სლაუისტია. 26 წელია, რაც ასწავლის რუსულ ენასა და საბჭოთა კავშირის ისტორიას, კითხულობს ლექციებს რუსული კულტურის საკითხებზე მთარგმნელთა უმაღლეს სახელმწიფო ინსტიტუტში, გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ქართულ მწერლებზე და ქართულ კინემატოგრაფიაზე.

გოლდის მეუღლე – პროფ. ჟან ბლანკოფი მოღვაწეობს ბრიუსელის უნივერსიტეტში, ისტორიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, რამდენიმე ნაშრომი ქართული ხელოვნების საკითხებზე. ბატონი ჟანი სმირად ჩამოღის საქართველოში, თავის მეუღლე – გოლდისთან ერთად, გამოღის სიმპოზიუმებზე, რომლებიც ეძღვნება საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების საკითხებს. ბატონი ჟანი არის მუღმიფი წვერი სლავი არქეოლოგების საერთაშორისო ასოციაციისა, მან ორჯერ მიიღო მონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში, ქნოეგოროღის მიღამოებში.

„ქართული ხალხის კულტურისაღმი სიყვარული, წერს გოლდი, მე ჩემმა ქმარმა – ჟან ბლანკოფმა შთაბაგონა. იგი არის გამოჩენილი მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობს ბრიუსელის უნივერსიტეტში“.

ქალბატონი გოლდი სკარი სამღვარგარეთის ჟურნალ-გამეტებში სმირად აქვეყნებს სტატიებს ქართული კულტურის საკითხებზე. 1987 წელს, ქბრიუსელში გამოვიდა მისი წიგნი – „მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა“ (ლა ლიტერატურ სოვიეტიკი მულტინასიონალ), რომელიც შეიცავს 117 გვერდს.

გარდა ამისა, მან გამოაქვეყნა ცალკეული სტატიები ნოდარ დუმბაღის შემოქმედებაზე. პირველი სტატია დაიბეჭდა ბელგიური ჟურნალის – „ლა დრიაღის“ (დირექტორი ჟორჟ ბუიონი) 1987 წლის № 129-ში, ამავე წლის მომღვენო ნომერში (№ 130). აგრეთვე, მისი სტატია – „ნოდარ დუმბაღის შემოქმედება“, ითარგმნა ინგლისურიდან და გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიტერატურსაიი გრუზიას“ 1988 წლის მეშვიდე ნომერში.

როგორც გოლდი სკარის წიგნიდან ჩანს, წიგნში წარმოდგენილი ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება მრავალეროვანი საბჭოთა

ლიტერატურის წარმომადგენლებს: ნოდარ ღუმბაძეს, ჭაბუა ამირეჯიბს, ჩაითმაგოვს და ფისკანდერს, ავტორს გამოუქვეყნებია 1984-1986 წლებში ბრიუსელის ეურნალში – „რევიუ დე პუი დე ლესტ“).

აღნიშნულ წიგნში მეორე თავი ეძღვნება ორი ქართველი მწერლის: ნოდარ ღუმბაძისა და ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება-შემოქმედებას. ეს თავი ყველაზე დიდია და შეიცავს 40 გვერდს. ამ თავს წამძღვარებული აქვს სტრიქონები „მარადისობის კანონიდან“, რომ „აღამიანის სული ასჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე მისი სხეული. რომ მისი გარება მხოლოდ ერთი აღამიანის არ შეუძლია. ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელს უსდა შეეპყვით და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული, თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე, დაუსრულებლად, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ, არ დავობლდეთ და მარტონი არ დაერჩეთ ქვეყანაზე“.

ავტორს მოაქვს მრავალი საბუთი იმაზე, რომ ნოდარ ღუმბაძის რომანებმა მთელი მსოფლიო დაიპყრო, ითარგმნა 30 უცხო ენაზე, რადგან მისი რომანები და მოთხრობები ეხება კაცობრიობის მნიშვნელოვან პრობლემებს, კაცობრიობის ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის.

ქალბატონი გოლდი სკარი პარალელს ავლებს ნ.ღუმბაძისა და აითმაგოვის შემოქმედებას შორის. იგი აღნიშნავს, რომ ორივე მწერალი დაიბადა 1928 წელს, ორივე იმრავებოდა ობლობაში, ორივეს თავს დაატყდა მეორე მსოფლიო ომის სუსხიანი წლები. ერთმანეთს უღარებს აითმაგოვის რომანს – „პირისპირ“ და ნ.ღუმბაძის – „მე ვხედავ მშეს“. ორივე მწერალი ერთმანეთს ეკითხება ცხოვრების მიზანზე, მსჯელობს კაცობრიობის ბუღზე. ნ.ღუმბაძე უფრო მეტად პატიოსნებასა და სინდისზე მსჯელობს, ხოლო ჩ.აითმაგოვი მეტ აქცენტს სინდისის პასუხისმგებლობაზე აკეთებს. ორივე მწერალი აღამიანში ამჩნევს რწმენას, უნარს იმისათვის, რომ გადალახოს დაბრკოლებანი, რომლებიც აღამიანს ცხოვრებაში წინ ელოდება.

მეორე მხრივ, ჩ.აითმაგოვი ბარაქიანად იყენებს ეპიკურ წყაროებს, ნ.ღუმბაძე კი დრამატულ სიტუაციებში მთავარი მოქმედი გმირების ქცევაზე აკეთებს აქცენტს ისე, რომ თვითონ მწერალი სიტუაციებში არ ერევა. ჩ.აითმაგოვი არის მთხრობელი და შუა კაცი, თავის ნაწერებში ყველგან აქვს შეხების წერტილები. ორივე მწერალი მშვენიერად ახერხებს საკუთარ კულტურაში ორიგინალური ელემენტების შერწყმასა და თხრობას. ჩ.აითმაგოვის ყველა ნაწარმოებს, გარდა „ცისფერი თაგვებისა“, ძირი ყირგიზეთის ფოლკლორსა და გრადიციებში აქვს გადგმული, ხოლო ნ.ღუმბაძეს კი თავის ძვირფას საქართველოში გადაეყვართ, გვიზიარებს აღ

გილობრივ კოლორიტს, თავისი მშობლიური გურიის სითბოსა და ღიმილს.

ასევე, ავტორი ღიდ ადგილს უთმობს ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებას, განიხილავს მის რომანს — „ღათა თუთამსია“. აღნიშნავს, რომ ამ რომანმა ღიდი ინტერესი გამოიწვია დასავლეთ ევროპაში, ამიტომ იგი სასწრაფოდ ითარგმნა მრავალ უცხო ენაზე, უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა რეცენზიები, რომლებშიც ქართულ მწერალს მაღალი შეფასება მისცეს. ავტორის აზრით, ჭაბუა ამირეჯიბი საყურადღებო მწერალია, რომლის შემოქმედება უნდა იქნას შესწავლილი უფრო ვრცლად, ვიდრე ეს ღდეს არისო.

გოლდი სკარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კარგად შეუსწავლია ოთხივე მწერლის შემოქმედება, აგრეთვე, კრიტიკული ლიტერატურა და დაუწერია კარგი წიგნი, რომელსაც ჩვენი მკითხველები მიესალმებიან.

საყურადღებოა ქურნალ „ლა დრიადში“ გამოქვეყნებული ორი სტატია ნოღარ ღუმბაძეზე, აქაც ბელგიელი ავტორი — ქალბატონი გოლდი ვრცლად განიხილავს ნოღარ ღუმბაძის შემოქმედებას და აძლევეს მას მაღალ შეფასებას.

მკითხველის ყურადღებას იქცევს მისი ნაშრომის შესავალი ნაწილი, სადაც იგი მსჯელობს ქართული ლიტერატურის განვითარების გზებზე, მეხუთე საუკუნიდან ღღემდე. ეხება შ.რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიჩელის, ღემნა შენგელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, შალვა ღადიანის, ჭაბუა ამირეჯიბის, ნოღარ ღუმბაძისა და სხვათა შემოქმედებას. ქალბატონი გოლდი სამართლიანად წერს: „საქართველო, გრადიციულად, ცნობილია, როგორც პოეზიის ქვეყანა, XIX საუკუნეში გაჩნღნენ შესანიშნავი პროზაიკოსები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა. მათ საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ პროზასა და პოეზიას. ამასთან ერთად, ქართველი მწერლების უმრავლესობა კარგად იცნობს რუსი მწერლების შემოქმედებას.

XX საუკუნე აღინიშნა ქართული ლიტერატურის აყვავებით, პორიზმონგზე გამოჩნღნენ ეროვნული მწერლები, 20-30-იან წლებში განვითარება იწყო ქართულმა რომანმა. სამწერლობო ასპარეზზე გამოღიან: ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე გამსახურღია, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ღემნა შენგელაღია, სერგო კლდიაშვილი, შალვა ღადიანი, რომლებმაც თავიანთ ნაწარმოებებში ასახეს ახალი ცხოვრება, რომელიც 1917 წლის რევოლუციამ მოიგანა.

მეორე მსოფლიო ომი, ეს არის შემოგრიალების პუნქტი ქართული რომანის განვითარების საქმეში. სოციალური სიგუაიის შეცვლამ ერთდროულად გავლენა მოახდინა გმირების სირთულესა და მწერლის მიერ ობიექტური სინამდვილის ესთეტიკურ აღქმაზე. ომის შემდგომი პერიოდის მწერლები ძალიან ბევრია ქართულ ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, აქ ძალიან ძნელია ყველა მწერლის მოხსენიება.

ბევრი ახალგაზრდა მწერალი წერს თავის მშობლიურ ენაზე. ამიგომ საჭიროა, მათი ნაწარმოებები ითარგმნოს რუსულ და უცხო ენებზე. რესპუბლიკის საზერებს გარეთ ქართველი მწერალი არ არის ისე ცნობილი, როგორც საჭიროა. ჩვეულებრივად, რუსული ტექსტიდან ხდება მათი ნაწარმოებების თარგმნა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და ევროპის სხვა ენებზე. თვითონ ქართველები ძალიან ბევრს თარგმნიან დასავლეთის მწერლების ნაწარმოებებს თავიანთი მშობლიურ ენაზე, უშუალოდ, ორიგინალიდან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1989 წლის 10 ოქტომბერს, თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში შელგა მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა ქართული ხელოვნების საკითხებს. აღნიშნულ სიმპოზიუმზე მონაწილეობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურის მოღვაწეები.

აღსანიშნავია ბელგიელი ცოლ-ქმრის – გოლდი სკარბლანკოფისა და ეან ბლანკოფის მოხსენებები. გოლდიმ წარმოადგინა „ქართული ხელოვნება, ფასეულებათა სისტემის ასახვა“, ეან ბლანკოფმა – „ფასადების რელიეფები ქართულ, რუსულ და დასავლურ ხელოვნებაში“. ორივე მოხსენება შეფასებულ იქნა კარგად.

აღსანიშნავის ის ფაქტი, რომ პროფ. გოლდი საკმაოდ ფლობს ქართულს, მან თავისი მოხსენების შესავალი და დასკვნა ქართულ ენაზე წარმოადგინა. ქალბატონ გოლდის ძალიან უყვარს ქართველი ხალხი, მისი კულტურა. მან ბელგიაში დააარსა საზოგადოება – „ბელგია-საქართველო“, რომლის თავმჯდომარეც თვითონ არის.

ქალბატონ გოლდთან გვაქვს მიმოწერა. საინტერესოა მისი 1989 წლის 3 მარგის წერილი, რომელიც დაწერილია ქართულად. ამ წერილში ვკითხულობთ: „მივიღე თქვენი პირველი თებერვლის წერილი, თქვენი სტაგითი, ჩემი წიგნის შესახებ. ძალიან ვაფასებ ჩემი პატარა ღვაწლის თქვენეულ შეფასებას. ამ ლიტერატურის აღმოჩენა ჩემთვის იყო სასიამოვნო „მოკი“ და აწი, ვეღარ შევძლებ უიმისობას. მე და ჩემი მეუღლე ვაკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რომ გამოვიწვიოთ ინტერესი ქართული ქმნილებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე და ჩავეყაროთ ფესვები ნამდვილ მეგობრობას ჩვენს ხალხებს შორის. ბედნიერი ვართ, რომ

თქვენ ბრძანდებით ერი-ერთი, ვინც ჩვენ მხარს გვიჭერს ამ საქმიანობაში“.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას ეწვია პროფ. ოთარ გაცინიშვილი, რომელიც იყო უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე. ბაგონმა — პროფ. ოთარმა „კომუნისტის“ კორესპონდენტს ქალბატონ ლარისა ხუბულურს მისცა ინტერვიუ ბელგია-საქართველოს ასოციაციის შესახებ.

მან აღნიშნა, რომ ბელგიაში შეიქმნა ბელგია-საქართველოს ასოციაცია, რომელსაც სათავეში უდგას ჩვენი კულტურის დიდი მეგობარი გოლდი ბლანკოფსკარი. ქალბატონი გოლდი ქართველოლოგია. იგი არაერთხელ ყოფილა საქართველოში. ჩვენი საზოგადოების მოწვევით კი ცხრა თვის განმავლობაში სტაჟირებას გადიოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ სწავლობდა ქართულ ენას, ჩვენს ისტორიას, კულტურას. მან, ჩვენს საზოგადოებასთან შეთანხმებით, გადაწყვიტა, დაეარსებინა ასოციაცია ბელგიაში, რომლის მთავარი მიზანია ქართული კულტურის პროპაგანდა ევროპაში. ასოციაცია აერთიანებს ბელგიაში მცხოვრებ ქართველებსა და ჩვენი კულტურით დაინტერესებულ ბელგიელებს. ასოციაცია ბელგიაში მოაწყობს ქართველ მხატვართა გამოფენებს, ორგანიზაციას გაუკეთებს ჩვენს ფესტივალებს, ქართული საკონცერტო კოლექტივების გასტროლებს, სასწავლებლად მიიწვევენ ქართველ ბავშვებს და, ასევე, ბელგიელ ბავშვებს გამოგზავნიან საქართველოში, დაეხმარებიან საქართველოთი დაინტერესებულ პირთ, იმოგზაურონ ჩვენს ქვეყანაში...

ბრიუსელიდან მუვილეთ ბელგია-საქართველოს ასოციაციის მიერ ფრანგულად გამოცემული ბიულეტენის პირველი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ამ მოგზაურთა შთაბეჭდილებები. ბელგიელები მათი ნაამბობით ეცნობიან თანამედროვე საქართველოს ცხოვრებას, ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს და სხვ“.

პროფ. გოლდი სკარის მოღვაწეობაზე ჩვენ გამოვაქვეყნეთ რამდენიმე სტატია, რომელიც დაიბეჭდა ქართულ პრესაში. „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1989 წლის 26 იანვრის ნომერში დაიბეჭდა: „ამერიკელი მეცნიერის წიგნი მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაზე“, „წიგნის სამყაროს“ 1989 წლის 12 ივლისის ნომერში — „ამერიკელი მეცნიერის ნაშრომი“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1988 წლის 29 ნოემბრის ნომერში — „ამერიკელი მეცნიერი ნოდარ დუმბაძის შესახებ“, „საბჭოთა ოსეთის“ 1988 წლის 19 ოქტომბრის ნომერში — „სულის სიმძიმე“, „ამერიკელი მეცნიერის მოსაზრებანი“, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 1989 წლის 3 ნოემბრის ნომერი

მერმე – „ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი“... ქართული კულტურის დიდ მეგობრებს: ბატონ პროფ. ჯან ბლანკოფსა და მის მეუღლეს – პროფ. ქალბატონ გოლდი სკარს ეუსურეებთ შემგომ წარმატებებს თავიანთ კეთილშობილურ მოღვაწეობაში ქარიველი და ბელგიელი ხალხების საკეთილდღეოდ.

ორივე მოღვაწე იმსახურებს დიდ პატივისცემას. შემდგომში, მათ მოღვაწეობაზე უფრო ერცლად შეეჩერდებით და გაუაცნობთ ქართველ ხალხს.

ნაშრომში მოტანილი ყველა მასალა მეტყველებს იმაზე, რომ ქართულ კულტურას საზღვარგარეთ ჰყავს მეგობრები, რომლებიც არ ზოგავენ ენერგიას იმისათვის, რომ საზღვარგარეთის ხალხებს გააცნონ უძველესი ქართული კულტურა. მათი ნაშრომები ხელს შეუწყობს საზღვარგარეთის ხალხებთან კულტურული, ლიტერატურული და მეცნიერული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.



ლეა ფლური,
იოლანდა მარშევი,
რუთ ნოიკომი

შვეიცარიელი ქართველოლოგები

საქართველოსა და შვეიცარიის კულტურულ, ლიტერატურულ, მეცნიერულ ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს. გასულ საუკუნეში საქართველოში ჩამოდიოდნენ შვეიცარიელი კულტურის მოღვაწეები, ეცნობოდნენ ქართველი ხალხის ისტორიას, ლიტერატურასა და ხელოვნებას. შვეიცარიაში სწავლობდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, იუანე მაჭავეარიანი, არისტო ჭუმბაძე, მიხეილ ჯაფახიშვილი და ბერი სხვ.

შვეიცარია-საქართველოს კონტაქტები განსაკუთრებით განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1937 წელს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ დიდი ზემოქმედებით აღნიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი, ენევის უნივერსიტეტშიც გამართულა საზეიმო სხდომა, რომელზეც რუსთაველზე და ქართულ კულტურაზე ისაუბრეს გამოჩენილმა მეცნიერებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა.

1963 წელს, ენევის უნივერსიტეტში შვეიცარიელი მეცნიერების: ალბერ მალშეს, ჟან მარტენის, შარლ ბორეოს, პოლ კარის, ედუარდ კლაპარეკისა და სხვათა ინიციატივით გამოიცა ამ სხდომის მასალები, სათაურით: „შოთა რუსთაველი ენევის უნივერსიტეტში“ ამ გამოცემამ თბილისამდე მოაღწია.

ენევის უნივერსიტეტის რექტორი ერნესტო ტაიის გამოსვლა-

ში მაღლობას უხდის რუსთაველის აღმზრდელ კრს. ხოლო სახელმწიფო მოღვაწე ალბერ მალში აღნიშნავს: „ჩვენი ბელსიერნი ვართ, რომ რუსთაველზე ბევრი რამ გავიგეთ, ამ გენიოსი პოეტის ნაწარმოები აელერდება შევიცარიამი. ჩვენ გეყავს პოეტი, რომელსაც შეუძლია, რუსთაველის პოემა თარგმნოს ფრანგულ ენაზე. მაღლობა ჩვენს პოეტს ბატონ – პლაშოს, რომელმაც გვითარგმნა ცალკეული ეპიზოდები „ვეფხისტყაოსნიდან“.

ქერნალ „ლე ენევეს“ რედაქტორის ეან მარტენის სტაგიაში „რუსთაველი – დიდი ქართველი პოეტი“, ეკითხულობთ: „საერთოოდ, ცნობილია, რომ აღნიშნავენ დიდი ადამიანების დაბადების 100 წლისთავს, მაიო იუბილე მეორდება ერთი საუკუნის შემდეგ. მაგრამ უფრო მოგვიანებით, უმრავლესობა დავიწყებას ეძლევა. იშვიათად არიან ისეთები, რომელთაც დაბადებიდან 750 წლისთავზე იხსენიებდნენ. რუსთაველი იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოეტი. დიდმა კრიტიკოსებმა კარგად იცოდნენ ეს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე აღარებენ მას დანტეს, შექსპირსა და ვოლტეს. მაგრამ როგორ უნდა ეგზიაროთ ამ ეპიკური პოემის მომხიბვლელობას? ქართული ელერადი ენა ჩვენთვის დღემდე უცნობია. „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად არ თარგმნილა. იგი უნდა წავიკითხოთ რუსულ თარგმანში, გერმანულად, ან ისტლისურად. ენევეს უნივერსიტეტში ჩვენმა პოეტმა – რენე ლუი პლაშომ წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ მსხეული ფრანგული თარგმანის რამდენიმე ნაწილი“.

შევიცარიამ-საქართველოს ლიტერატურულ ურთიერობათა განვითარებას ხელი შეუწყო ჩვენმა თანამემამულემ – კიტა ჩხენკელმა.

კიტა ჩხენკელმა (1895-1963) 1920 წელს დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტი, შემდეგ, სწავლა განაგრძო გერმანიაში, ჰამბურგის უნივერსიტეტში. აქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და გახდა ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. ჯერ კიდევ ჰამბურგის უნივერსიტეტში მუშაობისას, მან, ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით, დაიწყო ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენა, რომელიც ევროპელებს პრაქტიკულად ქართული ენის შესწავლაში დაეხმარებოდა. აქვე, დაიწყო ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე მუშაობაც. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს, ჰამბურგის ერთ-ერთი დაბომბვისას, მისი ნაწერები დაიკარგა.

1948 წლიდან კიტა ჩხენკელი გადადის შევიცარიამში. შენიერება ქცეურობის გერმანულენოვან უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის სწავლებას, ჩამოაყალიბა ქართული ენის კათედრა, სადაც მიიზიდა დინტერესებული მოწაფეები, რომელთა შორის თავი გამოიჩინეს: ლეა ფლურმა, იოლანდა მარშეკმა და რუთ ნოიკომმა. ამრიგად, ქცეურობის უნივერსიტეტში საფუძ-

ველი ჩაეყარა მომავალ ქართველოლოგთა სკოლას.

ქციურისში კ.ჩხენკელმა გააგრძელა „ქართული ენის შესავლისა“ და „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენაზე მუშაობა.

1958 წელს კ.ჩხენკელმა, თავისი ნაშრომების გამოსაცემად, დაარსა გამოცემლობა „ამირანი“. ამ ღრისათვის მას უკვე ღამთაერთეული ჰქონდა „ქართული ენის შესავალი“, ორ გომალ. ესაა ქართული ენის სისტემატური გრამატიკა. პირველი ტომი შეიცავს თეორიულ ნაწილს, მეორე – პრაქტიკულს. ამ ნაშრომების გამოცემაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ლეა ფლურს. წიგნის გამოსაცემი ხარჯების შემცირების მიზნით, ლეა ფლურმა ერთი ამერიკელი მეგობრის დახმარებით, სპეციალურად შეისწავლა პოლიგრაფია და 1953 წელს შეუღლა წიგნის აწყობას. 1958 წელს კი ღამთაერთად მისი გამოცემა.

როცა კიგა ჩხენკელი „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენაზე მუშაობდა, მეცნიერს აქტიურ დახმარებას უწევდნენ რეთნოიკომი და იოლანდა მარშევი.

1960 წელს ლეა ფლური შეუღლა ლექსიკონის აწყობას, მაგრამ კიგა ჩხენკელმა სიცოცხლეში მხოლოდ 7 ნაკვეთის გამოცემა მოასწრო. დანარჩენი სამუშაოს მთელი სიმძიმე მის მოწაფეებს დააწვათ. ამ საქმეში მათთვის დიდი დახმარება გაუწვია ჩვენს თანამემამულეს, გამოჩენილ რუსთველოლოგს – ვიქტორ ნოზაძეს. 1965 წლის 25 მაისს წერილში ვიქტორ ნოზაძე თავის წერილში ცნობილ პედაგოგს – დიომილე ცქეაგინიძეს სწერდა: „მე აქ, ციურისში ვიმყოფები, რათა დაეხმარო ლექტორ კ.ჩხენკელის მოწაფე ციურისელ ქალებს, რომლებიც მის მიერ დაწყებულ ქართულ-გერმანული ლექსიკონის შედგენას განაგრძობენ. უკვე დაბეჭდილია რვა რეეული, დასაბეჭდად უნდა დამზადდეს ახლა მეცხრე და მეათე რეეული. კიგას მოწაფეები ამზადებენ რეეულებს და მე მიუღიარ ხოლმე მასალის შესამოწმებლად“.

კიგა ჩხენკელის ნაშრომების გამოქვეყნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია გამოჩენილ მსოფლიო მეცნიერებს შორის. მათ საზღვარგარეთის პრესაში გამოაქვეყნეს სტატიები და რეცენზიები, რომლებშიც მაღალი შეფასება მისცეს ქართველი მეცნიერის ნაშრომებს, მათ შორის, აღსანიშნავია: ჰ.ჟოგის, რ.ლაფონის, კ.ბუდას, კ.პ.შმიდგის, ე.რიშმის, ე.ცილარცმის, ი.პოლიტორის, კ.რეგამეის, ე.ალიერსმის, ს.ბინდამის, პ.პომარედამის, ე.გარიტის, ი.ასფალგის, ნ.ყაუხჩიშვილის, დ.მ.ლანგის, რ.სტივენსონის, ა.გუგუშვილისა და სხვათა რეცენზიები. „ქართული ენის შესავალმა“ შესძლო, არა მარტო დახმარება გაეწია ქართული ენის შემსწავლელი ბევრი უცხოელისათვის, არამედ ჩაენერგა დიდი სიყვარული ქართული ენისა, ანბანისა, მწერლობისა და კულტურისადმი. მან გერმანუ-

ლენოვანი სამყაროს ბევრ მკითხველს შეაყვრა ქართველი ხალხი, მისი გმირული ისტორია და აწმყო.

კჩხენკელის „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ და მისივე „ქართული ენის შესავალი“ ქართველოლოგიითა და საერთოდ, კავკასიოლოგიით დაინტერესებული ყველა უცხოელის სამაგიდო წიგნი გახდა. ამერიკელმა მეცნიერმა — ლუის სოლანომ ქართული ენა სწორედ კჩხენკელის ამ ნაშრომებით შეისწავლა.

მოვესმინოთ საზღვარგარეთულ მეცნიერებს. პროფ.რენე ლაფონი: „ეს არის ქართული ენის ბრწყინვალე სახელმძღვანელო“. პროფ. პ.ფოგა: „ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს გამოსვლა ევროპულ ენაზე დიდი მოვლენაა. დღემდე ამ ენის სახელმძღვანელოები არ გვექონდა საკმარისი. ეს ნაშრომი ავსებს ხარეშს. ახლა ხელთ გვაქვს დიდად სასარგებლო სახელმძღვანელო, რომელიც ხელს უწყობს ქართული ენის შესწავლას. კავკასიური ენის ასეთი სახელმძღვანელო სხვა არა გვაქვს“. პროფ. კრეგამი: „ამ წიგნში ენათმეცნიერებს შეუძლიათ ნახონ ის, რასაც სხვა სახელმძღვანელოებში ვერ ნახავენ. იგი იძლევა ენის პრაქტიკულად შესწავლის შესაძლებლობას“.

გარდა ამისა, ქართული ლიტერატურის პროპაგანდას შეეცნა რიაში ხელი შეუწყო კიტა ჩხენკელის, რუთ ნოიკომისა და იოლანდა მარშეის მთარგმნელობითმა საქმიანობამაც.

კიტა ჩხენკელი და რუთ ნოიკომი ჯერ კიდევ ჩვენს საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შეუდგნენ „ეისრაშიანის“ გერმანულ ენაზე თარგმნას XII საუკუნის ერთ-ერთი შემოკლებული ვარიანტიდან. 1957 წელს ეს თარგმანი გამოსცა ციურიხის გამომცემლობამ — „მანესე“. თარგმანი შესრულებულია უმაღლეს ღონეზე. მთარგმნელებმა წიგნს დაურთეს ბოლოსიტყვაობა, სადაც მოცემულია ქართული ლიტერატურის განვითარების გზები, ქართველი ხალხის ისტორია, ქართველ სწავლულთა მოღვაწეობა სირასა და ათონის მონასტრებში, სადაც ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები შეიქმნა. „რუსთაველის პოემა „ქეფხისტყაოსანი“ და „ეისრაშიანი, წერენ წინასიტყვაობის ანოტაციები, მაშინდელი სულიერი ცხოვრების დიდი გაქანების დამამტკიცებელი საბუთია. საქართველო, მაღალი ცივილიზაციის ქვეყნებიდან ერთად, ასრულებდა არა მარტო შუამავლის როლს (დასაქვლეთსა და აღმოსავლეთს შორის ს.თ.), არამედ, თავად შექმნა თვითმყოფადი კულტურა და საკუთარი სახე ბოლომდე შეინარჩუნა“.

საინტერესოა მთარგმნელთა მსჯელობა ქართული ენის საკითხებზეც. მათ მოაქვთ მრავალი საბუთი იმისა, რომ უცხოელები თავიდანვე იყვნენ დაინტერესებულნი ქართული ენის მეცნიერული შესწავლით, მიუთითებენ მარი ბროსეს, ნიკო მარის, პ.შუხარდგის, ად.ფ.პარნაკის, პოლ პეეგერსის, გერჰარდ ლეეგერ-

სის, ჰანს ფოგტისა და სხვა მეცნიერების დამსახურებაზე ქართული კულტურის კელევისა და პოპულარიზაციის საქმეში. „ისინი იკვლევდნენ ქართულ ენას იმ შეგნებით, რომ გაეღოთ ხიდი დასავლეთისა და აღმოსავლეთის შორის და სარგებლობა მოეგანათ მსოფლიოსათვის“.

მეტად ფასეულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის — რუთ ნოიკომის მიეცნიერული და მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნარკვევი და თარგმანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. კიგა ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ, მისი ნაშრომების გამოცემის საქმე გააგრძელეს: ლეა ფლურმა, რუთ ნოიკომმა და იოლანდა მარშემა. სამივე ქართველოლოგს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ენისა და ლიტერატურის კელევისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ჯერ შეეჩერდებით რუთ ნოიკომის მიეცნიერულ და მთარგმნელობით საქმიანობაზე. როგორც აღვნიშნეთ, სამივე მოღვაწე ქართული ენითა და ლიტერატურით დაინტერესდა ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში, მათ ქართული კულტურისადმი სიყვარული კიგა ჩხენკელმა შთააგონა. სამივე მოღვაწემ შესანიშნავად შეითვისა ქართული ენა და ლიტერატურა. სამივე ბოლომდე დარჩა მასწავლებლის ერთგული. როდესაც ელაპარაკობთ რუთ ნოიკომზე, აქ, უსათუოდ იგულისხმება, ლეა ფლური და იოლანდა მარშევიც, რადგან სამივე მოღვაწის მუშაობა ქართველოლოგიაში ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

რუთ ნოიკომი დაიბადა 1920 წლის 12 ნოემბერს, ქნეუჰაუზენში (შვეიცარია). იგი, გიმნაზიის დასრულების შემდეგ, შედის ციურიხის უნივერსიტეტში, ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ამავე დროს, სწავლობს გერმანულ ლიტერატურას. იგი 1945 წელს, ციურიხის უნივერსიტეტში, წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას, თემაზე: „ბოროტი ადამიანი ფრანგულ ლიტერატურაში“, რომლისთვისაც ერთხმად მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

რუთ ნოიკომი 1946-1949 წლებში ასწავლის უცხო ენებს, ამავე დროს, მუშაობს ჟურნალისტად, შემდეგ, „მანესეს“ გამომცემლობაში, მდიანად, თანამშრომლობს კ.ჩხენკელთან. თავის მასწავლებელთან ერთად, იწეებს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნას, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, მან გააგრძელა თარგმნა და დაასრულა 1974 წელს.

თარგმანი შესრულებულია პროზად, რადგან იგი მიზნად ისახავს დედანთან მაქსიმალურ სიახლოვეს. პროლოგი და ეპილოგი თარგმნილია თეთრ ლექსად. თარგმანის გეჟსტს თან ახლავს მთარგმნელისეული ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ეპოქის შესახებ. წიგნი ილუსტრირებულია XVII

საუკუნის ქართველი მხატვრისა და კალიგრაფიის — მამუკა თაყა-ქარაშვილის მინიატურებით, რომელთაგან 12 მინიატურა ფერადია. ბოლოსიგყვაობის ავტორი — რუთ ნოიკომი სამართლიანად წერს: „ვეფხისტყაოსანი“, ისე, როგორც „ეისრაშიანი“, შუა საუკუნეების მნიშვნელოვან პოეტურ ქმნილებებს ეკუთვნის. აქ პროზად თარგმნილი პოემა უგოლდება სარაინდო რომანს. ეს პოემა, უპირველეს ყოვლისა სიყვარულსა და მეგობრობას ეძღვნება. „ვეფხისტყაოსანში“ რეალისტური ენით მოთხრობილია საგმირო საქმეები, აღმოსავლური ყაიდის დაძაბული თავგადასავალი... პოემაში სიმართლე იმარჯვებს წყევლიადმე. „ვეფხისტყაოსანი“ მაშინდელი საქართველოს მაღალი კულტურის დადასტურებაა“.

1970 წელს, ჩ. ქციურისში გამოვიდა თარგმანების კრებული — „თანამედროვე ქართული მოთხრობები“, ქართველი მწერლების მოთხრობების გერმანული თარგმანები. აქ დაბეჭდილია მ.ჯაფარიშვილის „ბაჩაყ დაიგვიანა“, „ემშაკის ქეა“, „ტყის კაცი“, ნ.ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცი“, კ.გამსახურდიას „ხოგაის მინდია“, ლ.გოთუას „ყინწისის ანგელოზი“, „უგზო ქარავეანი“ და გრ.ჩიქოვანის „დაბრუნება“.

მოთხრობების თარგმანს თან ერთვის მთარგმნელის არგუმენტირებული სტატია, რომელშიც მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიას, დასაბამიდან დღემდე. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ევროპის ლიტერატურის სპეციალისტებმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ დიდი ისტორიის მქონე ქართულ ლიტერატურას. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ევროპელმა კრიტიკოსებმა და მწერლებმა უნდა შეისწავლონ ქართული ლიტერატურა, თუ სურთ, გაიგონ ქართველი ერის ცივილიზაცია.

აღნიშნულ თარგმანს გამოეხმინა ფრანგული ჟურნალი — „რევიუ დე კარტველოლოგი“ (ტომი XXVIII, 1971). რეცენზენტი მიუთითებს, რომ რუთ ნოიკომმა შეარჩია ქართული ლიტერატურის კარგი ნაწარმოებები, რომლებიც ხასიათდება მაღალი იდეური და მხატვრული ასპექტით.

„საკვირველი ხალხია ქართველები“ — ასეთი სათაურით დაიბეჭდა სარედაქციო წერილი შეეიცარიული გაზეთის — „დი ტაგის“ 1970 წლის აგვისტოს ნომერში. აქ ნათქვამია: „გამომცემლობა „მანესე“ ქართულ ლიტერატურას სამართლიანად აყენებს მსოფლიოს მშვენიერ ლიტერატურათა გვერდით. რამდენიმე წლის წინ მან მკითხველს მიაწოდა XII საუკუნის მომაჯაღოებელი სამიჯნურო რომანი — „ეისრაშიანი“.

შეეიცარიის მეორე გაზეთი — „გალურ ტაგებლავი“ წერს: „გამომცემლობა „მანესე“ თვალწინ გადაგვიშალა უახლესი ქართული მწერლების ნაწარმოებთა ერთი ტომი, ჩვენთვის, თითქმის, დღემდე უცნობი ქმნილებანი მსოფლიო ლიტერატურისა, რაც უაღ-

რესად საგულისხმო მოეჩვენა. ამ რამდენიმე წლის წინ, ციურიხში გარდაცვლილი მეცნიერისა და მოღვაწის – კიკა ჩხეცკელის შრომას ამოდ არ ჩაუვლია. რუთ ნოიკომი, შესანიშნავ თარგმანთან ერთად, გვაძლევს ნათულ წარმოდგენას ხალხსა და ქვეყანაზე, ისტორიასა და ენაზე, აგრეთვე, წიგნში შესულ ხუთ მწერალზე“ („გალურ გაგებლად“, 1970, აგვისტო).

1970 წლის 16 აგვისტოს „ნოიე ციურიხერ ცაიგუნგის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სარედაქციო წერილი რუთ ნოიკომის მიერ მესრულებულ თარგმანებზე. გაზეთი წერს: „ქართული მწერლობა განვითარების მაღალ დონეზე ყოფილა არა მარტო შუა საუკუნეებში, არამედ ამჟამადაც. ქართული მწერლობა, უდავოა, მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობაში საპატიო ადგილს დაიჭერს, ამას წინამდებარე გომი თვალნათლივ ამტკიცებს“.

იოლანდა მარშევი არის ციურიხის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორი, კითხულობს ლექციებს ქართულ ენაში, ხელმძღვანელობს ქართული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელ კათედრას. იოლანდა დაინგერესდა რუსული და ქართული ენებით, მას ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია კიკა ჩხეცკელმა. ქალბატონი იოლანდა ამ სტრიქონების ავტორს 1974 წლის 4 აპრილის წერილში წერს: „კიკა ჩხეცკელისაგან გავიგე ქართული ხალხის ვინაობა, დაეინგერესდი ქართული ენითა და კულტურით. კიკა ჩხეცკელისაგან ვისწავლე ქართული ენა და წლების განმავლობაში, მისი მეცნიერ-ასისტენტი ვიყაფი. სახელდობრ, მას ვესმარებოდი „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შედგენაში.

თავისი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ, თანახმად ანდერძისა, ციურიხის უნივერსიტეტმა იოლანდა მარშევს მიანდო „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ რედაქტირება. მართლაც, იოლანდა მარშევმა, თავის კოლეგებთან: რუთ ნოიკომთან და ლეა ფლურთან ერთად, დიდი მუშაობა გასწია და 1974 წელს გამოსცა სამგომიანი ლექსიკონი.

„ნოიე ციურიხერ ცაიგუნგი“ 1958 წელს „ქართული ენის შესავლის“ ორგომეულზე წერდა: „ეს ნაშრომი წარმოადგენს თანამედროვე ქართული ენის სისტემატურ გრამატიკას, რომელიც აღსაყესა მაგალითებით. ავტორმა წარმატებით წარმოგვიღგინა თავისი მშობლიური ენის გრამატიკული კანონები უცხოელებისათვის. წიგნში წარმატებით დაძლეულია ვერბალური სისტემის სიძნელენი, აქ ენათმეცნიერებს შეუძლიათ იხილონ ის, რასაც სხვა სახელმძღვანელოებში ვერ იხილავენ. ეს წიგნი ენის პრაქტიკულად შესწავლის საშუალებას გვაძლევს“.

პროფ. იოლანდა მარშევი არის შესანიშნავი ლექტორი, იგი ციურიხის უნივერსიტეტში სისტემატურად კითხულობს ლექციებს ქართულ ენაში, კვირაში ატარებს 6 საათს 30 სტუდენტთან. მისი სტუ-

დენტები არიან მომავალი ენათმეცნიერები, რომანისტები, სლავისტები, ეთნოლოგები, მასწავლებლები, რომლებიც დიდი ყურადღებით ისმენენ ლექციებს ქართულ ენაში. ამ უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება უკვე დაკანონდა და ფაქულტატურ საგნად იქცა. მისი სტუდენტები სადიპლომო ნაშრომებს აბარებენ დიდი წარმატებით.

იოლანდა მარშეი დაიბადა 1920 წლის 11 მაისს, ქალაქ ციურხში, მოსამსახურის ოჯახში. აქვე, 1939 წელს, დაამთავრა გიმნაზია, 1945 წელს უნივერსიტეტი, რომანული ენების განხრით. შემდეგ, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია რომანული ენების ღარგში და, წლების განმავლობაში, ციურხის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლის უცხო ენებს.

ასევე, დიდი ღვაწლი მიუძღვის ლეა ფლურს შეეცადიაში ქართველოლოგიის განვითარების საქმეში. დაიბადა იგი 1916 წლის 9 სექტემბერს, სოფელ მაგენ-ინგელაქენში (შვეიცარია). აქვე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, დაინტერესდა უცხო ენებით, შერჩა სანიშნავად ფლობს ფრანგულს, იტალიურსა და ინგლისურს. ლეა ფლური ქართული ენით დაინტერესდა ჩეიქი საუკუნის 40-იან წლებში, თავის კოლეგებთან ერთად, ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა კიგა ჩხენკელმა. ლეა ფლური მოგვითხრობს: „1947 წელს დავიწყე ქართული ენის სწავლა კიგა ჩხენკელთან, რომელსაც ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს უცხოელთა საკვლეო ინსტიტუტსა და ციურხის უნივერსიტეტში. იგი მეორედ აღგენდა თავის წიგნს – „ქართული ენის შესავალს“ (ამ ნაშრომის პირველი მონახაზი დალუპულიყო 1943 წელს, ჰამბურგის დაბომბვის დროს).

ამ დროიდან ჩემი თავისუფალი დრო მოვანდომე ამ მეტად საინტერესო პიროვნებასთან თანამშრომლობას. ამასთან დაკავშირებით, ვიმეცადინე 1947-1948 წლებში, სპეციალურ საკომერციო სამდივნო სასწავლებელში, დიპლომი მივიღე“.

ლეა ფლური არის გამომცემლობა „ამირანის“ დირექტორი, ხელმძღვანელობს საგამომცემლო საქმეებს, ბეჭდავს ქართული მეცნიერებისა და მწერლების ნაშრომების გერმანულ თარგმანებს და ავრცელებს გერმანულენოვან სამყაროში.

ამ გამომცემლობამ გამოსცა მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რუთ ნოიკომისეული გერმანული თარგმანი, ქართული მწერლების მოთხრობები, „ვისრამიანი“ და ბუერი სხე.

რუთ ნოიკომი და იოლანდა მარშეი შეეცადიის ეურნალ-გამეთებში ხშირად აქვეყნებენ სტატიებს ქართული ლიტერატურის საკითხებზე, აგრეთვე, ქართული მწერლების ნაწარმოებების გერმანულ თარგმანებსა და აცნობენ მკითხველებს. ამ მხრივ, მკითხველის ყურადღებას იპყრობს „ნოე ციურხერ ცაიგუნგის“ ორი ნომერი (ლიტერატურული დამატება) № 295, 19-20 XIII 1981 წ.

და №265 13-14, XI, 1982 წლისა.

პირველ გაბეითში (№295) გამოქვეყნებულია რუთ ნოიკომის ვრცელი სტატია – „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც ავტორი გერმანულენოვან სამყაროს მოუთხრობს ქართული ლიტერატურის განვითარების გზებზე, მეხუთე საუკუნიდან დღემდე.

ავტორი განიხილავს იაკობ ხუცესის, გიორგი მერჩულეს, მოსე ხონელის, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ალ.ჭავჭავაძის, გრ.ორბელიანის, ნ.ბარათაშვილის, ი.ჭავჭავაძის, აკ.წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ.ყაზბეგის, კ.გამსახურდიას, მ.ჯავახიშვილის, ნ.ლორთქიფანიძის, გ.ტაბიძის, პ.იაშვილის, გ.ლუონიძისა და ანა კალანდაძის ნაწარმოებებს.

გაბეითის მეორე გვერდზე წარმოდგენილია რუთ ნოიკომის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი ქართულ მწერალთა ნაწარმოებები, როგორიცაა: ილია ჭავჭავაძის „გუთნის ღელა“, ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“, გ.ტაბიძის „აგმის ყვავილები“, გ.ლუონიძის „დილა ნარგიზნარევი“, ანა კალანდაძის „ლოცულობს გველი“.

მეტად საგულისხმოა რ.ნოიკომის ზემოთ ხსენებული სტატია, რომელშიც მოაქვს მრავალი საინტერესო მასალა ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველო ძველი კულტურის ქეიყანაა, რაზედაც მეტყველებს მრავალი ისტორიული და ლიტერატურული ძეგლი. ქართველებმა მეოთხე საუკუნიდან მიიღეს ქრისტიანობა, საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ შეიქმნა ლიტერატურული კერები, სადაც, საუკუნეების განმავლობაში, წარმოებდა მჩქეფარე ლიტერატურული მუშაობა, ითარგმნებოდა სახარება, იწერებოდა ნაშრომები ქართული ლიტერატურის ნიშნულოვან საკითხებზე.

ნაშრომის ავტორი, უპირველეს ყოვლისა, მკითხველის ყურადღებას მიაქცევს საქართველოში სუსულიერო ლიტერატურის განვითარების საკითხებს. მეცნიერი მსჯელობს იაკობ ხუცესის „მუშანიკის წამებაზე“, რომელიც, მისი აზრით, მეტად ფასეულია ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ავტორი გადადის საერო მწერლობის აღმოცენების საკითხებზე. მოაქვს მრავალი დამადასტურებელი ფაქტი იმაზე, თუ რამ შეუწყო ხელი საერო მწერლობის აღმოცენებას საქართველოში. მკვლევარის მართებული თქმით, XI-XII საუკუნეებში საქართველოში მომწიფდა შესაფერისი პირობები იმისათვის, რომ ქართული სასულიერო მწერლობის წიაღში ჩასახული საერო მოტივებიდან განვითარებულიყო, ცალკე შტოდ, საერო მწერლობა.

მევიცარიელი სწავლული მსჯელობს დავით აღმაშენებლის დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე, საქართველო ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ რომ აქცია. ამ პერიოდში იქმნება საერო ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარ-

მოგებები: „ამირან-დარეჯანიანი“, „ეისრაჰიანი“, „თამარიანი“, „აბდულ-მესიანი“, რომლებმაც სიღაგე მოუშვადა „ეფუხისგყაოსანს“.

მკვლევარი ვრცლად განიხილავს „ეფუხისგყაოსანის“ სიუჟეტურ ქარგას. ჯერ გადმოსცემს პოემის მოკლე შინაარსს, შემდეგ, თითოეულად ახასიათებს პოემის გმირებს. მისი აზრით, პოემა დაწერილია თამარ მეფის საღიდეblად, თამარი თინათინის პროტოტიპია. იქვე, ეხება პოეტიკის საკითხებს, დაბალი და მაღალი შაირის თავისებურებებს.

რ.ნოიკოში შენიშნავს, რომ „ეფუხისგყაოსანი“ არის მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოები, რითაც ქართულმა პოეტიკამ უმჯერა ხალხებს შორის მეგობრობასა და სიყვარულს, წყვდიადზე სიკეთის გამარჯვებას. რუსთაველი იყო დიდი პოეტი-ფილოსოფოსი, ანტიკური ფილოსოფიის კარგი მცოდნე. „ეფუხისგყაოსანი“ არია ქართულთა ეროვნული ეპოსი, რომელიც დღესაც ეხმიანება ხალხებს შორის სიყვარულსა და მშვიდობას. რუსთაველმა დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის ქართულ მწერლობაზე, გაიჩინა ბევრი მიმბაძველი.

ეხება დაცემის ხანას და აღნიშნავს, რომ თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს თავს ესხმიან ირანელი, მონღოლი, თურქი აგრესორები. 1453 წელს თურქებმა დაიპყრეს ბიზანტია. თამარ მეფის დროს აყვავებული ქვეყანა გააჩანაგეს, გაანადგურეს ლიგერატურისა და ხელოვნების ძეგლები, ლიგერატურული ცხოვრება ჩაქდა. იქვე მიუთითებს, რომ XVI საუკუნეში სამწერლობო ასპარეზზე გამოდიან არჩილ მეფე და თეიმურაზ პირველი, რომლებიც ქმნიან ლირიკულ ნაწარმოებებს, უსთარღება თარგმნითი ხელოვნება, საისტორიო მეცნიერება, საერო მწერლობა.

მკვლევარი მსჯელობს XVIII საუკუნის ქართულ ლიგერატურაზე, სახელდობრ: ანტონ კათალიკოსის, დავით გურამიშვილის, ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებაზე, აგრეთვე, ეახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება-შემოქმედებაზე. კერძოდ, ვრცლად განიხილავს სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებას და საზოგადო მოღვაწეობას. შენიშნავს, რომ მწერალმა იმოგზაურა საფრანგეთში, იტალიაში, დაწერა ლექსიკონები, დიდმნიშვნელოვანი იგაჟარაკების წიგნი – „სიბრძნე სიერისა“ და სხვა მრავალი.

ავტორი ცალკე გამოყოფს XIX საუკუნის ქართულ ლიგერატურას. მიმოიხილავს ეპოქას: მეფის მთავრობა კავკასიაში მიზნად ისახავდა ერების ჩაგვრას, მათ დაპყრობას, გასაქანს არ აძლევდა კულტურის განვითარებას. მოიხმობს უცხოურ მასალებს იმაზე, რომ ამ დროისათვის ქართული მწერლები კარგად იყვნენ გაცნობილი დასავლეთი ევროპის კულტურას, დაინგერესებული იყვნენ ფრან-

გული რეკოლუციის იდეებით. მეკლევარის მარიუბული თქმით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო განვითარდა და გაღრმავდა განმანათლებლური იდეები, მეფის თვითმპყრობელობას დაუპირისპირდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ორივე მწერალი იღწოდა ეროვნული სულიერი კულტურის გაძლიერებისათვის, აკრიტიკებდა მეფის თვითმპყრობელობის რეაქციულ პოლიტიკას, აღვიწყებდა ეროვნული კულტურის მარცვალს და იბრძოდა ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის.

უცხოელი ავტორი, იქვე. მოიხსენიებს ილიასა და აკაკის მემკვიდრეებს. უკვე გარდაცვლილ ქართველ რომანტიკოსებს: ალ. ჭავჭავაძესა და ნ. ბარათაშვილს. შენიშნავს, რომ მათ 1832 წელს, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოაწიეს აჯანყებამო. შენიშნავს, რომ ავტორი აქ უზუსტობას იჩენს, მათ აჯანყება არ მოუწევიათ, მეთქმელებას აწყობდნენ, მაგრამ დროზე გაუგეს და დააბაგიმრეს.

რ. ნოიკომი, შემდეგ, წარმოგიდგენს ნ. ბარათაშვილის „მერანის“ მისულ გერმანულ თარგმანს, რომელიც შესრულებულია მაღალი მხატვრული ოსტატობით. მისი აზრით, „მერანში“ გაღმოცემულია საქართველოს გრაგიკული ბედი. მსჯელობს ალ. ქაბბეგისა და ეკე-ჟშაველას შემოქმელებამე. გახაზავს, რომ ეკე-ჟშაველა წერდა ღრმააზროვან ლექსებს ჟშაველითა ცხოერებდან, ლექსებში დაწერილია ჰომეროსის სტილით და ყოველივის ხალხში ღიღი ჰაგივით სარგებლობდაო.

ცალკე თავი ეძლეება XX საუკუნის საბჭოთა ქართველ მწერლობას. მაღალ შეფასებას აძლეეს: კ. გამსახურდიას, მ. ჯაფახიშვილის, ლ. გოთუას, ნ. ღორთქიფანიძის, გ. ტაბიძის, გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, გ. ლეონიძისა და ანა კალანაძის შემოქმელებას.

რ. ნოიკომი შენიშნავს, რომ XX საუკუნის ქართველ მწერლებს დახვდათ მაღალ ღონეზე განვითარებული ქართული ენა, რომელიც მომდინარეობს ძველი დროის გრადისუბიდან, ილიამ და აკაკიმ რომ გაკეალეს. ავტორი იქვე მიუთითებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქართველი მწერლების წინაშე მეგად საპსუხისმგებლო ამოცანა დადგა – წერას იწყებენ ახალი ვითარების შესაბამისად, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯეებით, უმღერიან სოციალისტურ მშენებლობას, ახალ სინამდვილეს.

აქვე უნდა ითქვას. წერს რუთ ნოიკომი, რომ ამ პერიოდის ზოგიერთი ქართველი მწერალი განიცდიდა ევროპული რეალიზმის, სიმბოლიზმისა და ექსპრესიონიზმის გავლენას, მაგრამ დილხანს არ გავრძელებულა ეს ლიგერატურული პროცესი, ქართველმა საბჭოთა მწერლებმა გაწყეატეს კავშირი ამ უცხო მიმართუ-

ლებასთან და დაადგინენ სოციალისტური რეალიზმის გზას. ავტორის სამართლიანი თქმით, ყველა ქართველი მწერალი იყო პატრიოტი, იცავდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიწმინდეს.

გაზეთის მეორე გვერდზე წარმოდგენილია თარგმანები, რომლებიც, უშუალოდ, შესრულებულია ორიგინალიდან, რეთი ნოიკომის მიერ. ასეთებია: ილია ჭავჭავაძის „გუთნის ღელა“, ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“, გ.გაბიძის „აგმის ყეპეულები“, „საქართველოს ცა და მიწა“, გ.ღვინიძის „დილა სარგებოიანი“ და ანა კალანდაძის „ლოცულობს გველი“.

მეშთ აღნიშნული თარგმანების შეჯერებამ ორიგინალთან, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მთარგმნელი ამჟღავნებს ორივე ენის კარგ ცოდნას, სწორად გადმოსცემს ქართველი პოეტების ლექსების აზრს, იცავს ლექსის მარცვალთა რაოდენობას, რითმსა და რიტმს. ყველა ლექსი თარგმნილია უმაღლეს მხატვრულ დონეზე.

მკითხველის ყურადღებას იქცავს რთი ნოიკომისა და იოლანდა მარშეის ერთობლივი სტაგია – „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება“, რუბრიკით – „საქართველოს უკვდავი ბუღბუღი“. (უნშტერბლახე ნახტიგალ გეორგიანს). *1 *1. „ნოიე ციურიხერ ცაიგუნგ“, № 265, 1982, 13-14 XI

სტაგია ასე იწყება: აკაკი წერეთელი „საქართველოს უკვდავი ბუღბუღი“. ასე შეარქვეს პოეტს სიყვარულით მისმა თანამეგამეულებმა. პოეტის ლექსები აელერდა მთელს საქართველოში.

დაიწერა ეს ლექსები, უმთავრესად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 1801 წელს საქართველო რუსეის შეუერთდა. ისე, როგორც თითოეული ქართველისათვის, აკაკი წერეთლისათვის ამ ამბავს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თავის შემდგომ შემოქმედებაში. აკაკის ლექსებში გამოხატული იყო არა მარტო სამშობლოს სიყვარული, ბუნების პეიზაჟები, არამედ მხილებული იყო მეფის რუსეთში გაბატონებული უსამართლობა“.

ავტორებს მოაქვთ მრავალი საბუთი იმაზე, რომ ილიამ და აკაკი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი როლი შეასრულეს. ისტორიის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ პატარა საქართველომ ბევრ განსაცდელს გაუძლო, შეიწარჩუნა საკუთარი ენა, ლიტერატურა, როგორც თავის სამშობლოში, ისე, მის საზღვრებს გარეთაც. საზღვარგარეთ ქართველმა მწერლებმა და მეცნიერებმა შექმნეს მნიშვნელოვანი ლიტერატურული კერები, მათ ჰყავდათ შესანიშნავი მეფეები, კულტურის დიდი მესვეურნი: თამარ მეფე, ეახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გაორგი სააკაძე და სხვანი. ასეთი ძველი კულტურის ხალხს, რომელსაც ჰყავს რუსთაველი, სიკვდილი არ უწერია, მოგვითხრობენ ციურიხელი მეცნიერები – რთი ნოიკომი და იოლანდა მარშეი.

ავტორები გადმოსცემენ აკაკის მოკლე ბიოგრაფიას, გარემოს,

აკაკის „ჩემი თავგადასახელიდან“. ეს არის თავები: „ძიძის სახლი“, „მამის სასახლე“, „მამა მოჭადრაკე“ და „ბატონყმობის შესახებ“, (ეს სათაურები გამოკვეთილია მთარგმნელების მიერ ს.თ.), ლექსი „ხატის წინ“ თარგმნილია რუთ ნოიკომის მიერ. იგი შესრულებულია მაღალ მხატვრულ ღონეზე.

ნამრომის ბოლოს აეგორები მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ უცხოელ მეცნიერებს, რომლებიც მათ ეხმარებოდნენ ლიტერატურული გეურლების მომზადებაში. ესენი არიან: პროფ. ბლუმენბერგი (მიუნსტერის უნივერსიტეტი), პროფ. ი.განტენრი (ბამელის უნივერსიტეტი), პროფ. მ.გამბურუხი (ბრაუნშვაიგის უნივერსიტეტი), პროფ. ა.ჰორნ-ონ-კენი (გიოტინგენის უნივერსიტეტი), პროფ. დ.განსლაფი, პროფ. კ.მაინბერგერი (ცურხის უნივერსიტეტი), პროფ. გ.ფელერი (კელნის უნივერსიტეტი), პროფ. ე.ჰიუტენგერი (ბერნის უნივერსიტეტი), პროფ. ჰანოვალტერ კრუტი (აუგსბურგის უნივერსიტეტი) და სხვანი.

მოგანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ აეგორებს სერიოზულად ემუშავიან თემაზე, დიდძალი მასალა მოუმზადებიათ, აგრეთვე, თარგმანებიც, რაც ხელს შეუწყობს ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. სამივე ქართველოლოგი: რუთ ნოიკომი, იოლანდა მარშეი და ლეა ფლური ყველგან და ყოველთვის დიდ ქებას იმსახურებს.

სამივე მოღვაწე შესანიშნავად ფლობს ქართულ ენას, თარგმნის ამ ენიდან და სხარტად ლაპარაკობს. მათი სისტემატური მიმოწერა აქეთ ქართულ მეცნიერებთან ქართულ ენაზე. საილუსტრაციოდ მოიგებან სტრაქონებს ლეა ფლურის 1978 წლის 8 მაისის წერილიდან, რომელიც დაწერილია ქართულ ენაზე. აი, რას წერს იგი: „ამით გადასტურებთ თქვენგან წერილისა და წიგნის – „რენე ლაფონი და საქართველოს“ მიღებას. დიდ და წრფელ მადლობას მოგახსენებთ კეთილი ყურადღებისათვის. გთხოვთ, მაპატიოთ, რომ დაგიგვიანეთ პასუხი. ეს მოხდა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. რაც შეეხება თქვენს მიერ ნათხოვარ წიგნებს, ღლეს გამოგიგზავნეთ „ამირანის“ მიერ გამოქვეყნებული შრომა: კიგა ჩხენკელი „აინფიურენგ ინ ღერ გეორგიშე შპრახე“ (ორ ტომად), სამგომიან „ქართულ-გერმანულ ლექსიკონს“, სამწუხაროდ, ვერ გიგზავნით. ერთი სრული ეგზემპლარი (26 რეეულისაგან აკისტული) არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. აგრეთვე, აქეს კ.შარქის ბიბლიოთეკასაც და რამდენიმე პროფესორს. ასე რომ, შეიძლება მანღვე იყოს თქვენს განკარგულებაში.

ამის გარდა, გამოგიგზავნეთ რუთ ნოიკომის მიერ გადათარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და „გეორგიშე ერეკლერ ღერ სოიერენ ცაიგ“ (კრებული თარგმანებისა, „უახლესი ქარ-

სადაც პოეტი გლეხების ბავშვებთან იზრდებოდა, რამაც მომავალ პოეტზე დიდი მთავბეჭდილება მოახდინა. დიდი სიყვარულით აქვთ აღწერილი აკაკის ქუთაისის გამსნაშიაში გატარებული სწავლის წლები. ავტორები მიუთითებენ, რომ აკაკი ქუთაისის გამსნაშიაში გაეცნო ერთ პოლონულ პაგრიოტს, არალეკალურად მომუშავეს, რომელმაც აკაკის პაგრიოტიზმის გრძნობა გაუღვიძა. „ისე, როგორც ალამ მიცეპეიჩის გმირმა, წერს რუთ ნოიკომი, კონრად ეზლენდროლმა გადაწყვიტა, თავი შესწიროს სამშობლოს, ასევე – აკაკიმაც თავის გულში საიდუმლოდ შეისახა იდეა – ისწავლოს და სამშობლოს ემსახუროს. ამ მიზნით პოეტი პეტერბურგს გაემგზავრა“.

ავტორები აღნიშნავენ, რომ აკაკი პეტერბურგის უნივერსიტეტში უკავშირდება მოწინავე სტუდენტებს, რომლებიც უკვე ნასაზრდოებნი იყვნენ დასავლეთ ევროპიდან შემოსული მარქსისტული იდეებით. აკაკი, მათთან ერთად, ებძევა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ავტორები წერენ: „აკაკი წერეთელი ეკუთვნის XIX საუკუნის მწერალთა იმ თაობას, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ცნობილია თერგდალეულთა სახელწოდებით. ამ თაობას, აკაკისთან ერთად, ეკუთვნოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის სიწმინდის დაცვას. ქართული ენა და ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში“.

შეიყვარებული ავტორები, შემდეგ, მსჯელობენ აკაკის შემოქმედებაზე, მიიჩნევენ მას XIX საუკუნის უდიდეს ლირიკოსად. ამასვე ღრღობს, მიუთითებენ, რომ აკაკის კალამს ეკუთვნის მრავალი პოემა, მოთხრობა, პიესა და პუბლიცისტური წერილი. ავტორები განსაკუთრებით გახმაზავენ აკაკის მოღვაწეობას XIX საუკუნის 90-იან წლებში. პოეტი იწყებს მოგონებების წერას, დაწერა მოგონება „ჩემი თავგადასავალი“, რომელშიც დამაჯერებლად აღწერს ბავშვობის წლებს, თუ როგორ იზრდებოდა გლეხის ოჯახში. მისი მოგონებანი, იუმორთან ერთად, შეიცავს მკაცრ კრიტიკასაც მეფის რეჟიმის წინააღმდეგ. აკაკი ბოლომდე ღარჩა როგორც დაუცხრომელი მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის. პოეტი ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. როდესაც იგი გარდაიცვალა, მთელმა საქართველომ საერთო გლოვა გამოაცხადაო.

ბოლოს, ავტორები მსჯელობენ აკაკის დამსახურებაზე, მიუთითებენ, რომ აკაკი, ილიასთან ერთად, იყო ქართული ლიტერატურული ენის ფუძემდებელი და XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზატორი.

ამავე გაზეთის მეორე გვერდზე წარმოდგენილია აკაკის ნაწარმოებთა გერმანული თარგმანები. ავტორებს: იოლანდა მარშესა და რუთ ნოიკომს ერიობლივად უთარგმნიათ ნაწყევლები

თეული მწერლები"). ორივე გამოსულია გამოქვეყნება „მანესე – ბიბლიოთეკა დერ ექსტრაგერაში“. „ეისრაშიანი“ დიდი ხანია, რაც მესამე გამოცემა გამოლევულია. ეცელები, კიდეც ვიშოვო ერთი ცალი და გაახლოთ.

ჩვენ გვაქვს ჩვენ მიერ შეღვენილი და გადათარგმნილი წიგნები. თანდართვით გიგზავნით, თქვენი თხოვნისამებრ, ორ ბროშურას ჩვენი წიგნების შესახებ, აგრეთვე, გიგზავნით ჩემი, იოლანდა მარშევისა და რუთ ნოიკომის ავტობიოგრაფიასა და ფოტოსურათებს.

რა თქმა უნდა, ვიყენებთ პროფ. ი.გვარჯალაძის ლექსიკონებს, განსაკუთრებით დიდ ღახმარებას გვიწევს მისი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. პირადად მიემართე პროფ. ი.გვარჯალაძეს, მისი ღახდაბის 80 წლისთავთან დაკავშირებით, მილოცვით. გადმოგცემთ საუკეთესო სურვილებს ჩემგან, იოლანდა მარშევისა და რუთ ნოიკომისაგან. გთხოვთ, გადასცეთ ჩვენი საღამო ინსტიტუტის ღირექტორს – იაკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს“.

მეორე წერილი დათარიღებულია 1986 წლის 20 ოქტომბრით. ლეა ფლური ამ სტრიქონების ავტორს სწერს: „უცხოეთიდან ღახრუნებისას, ღამხულა თქვენი 14 სექტემბრით დათარიღებული წერილი და თქვენს მიერ „ლიტერატურულ საქართეულოში“ გამოქვეყნებული სტატია ჩემი იუბილის გამო. უდიდეს მადლობას მოგახსენებთ ჩემღამი ასეთი დიდი და კეთილი სურვილებისათვის. დიდი მადლობა ყველას, რომლებმაც მომილოცეს ღახდაბის დღე. ვიმედოვნებ, რომ კიდეც დიღხანს შემეძლება ვიმეცადისო ქართული ენისა და ლიტერატურის დარგში.

რაც შეეხება ბატონ აკაკი შანიძის იუბილეს, რომელიც შედგება 1987 წლის 26 თებერვალს. სამწუხაროდ, ვერ მივიღებთ მონაწილეობას.

ჯერ არ მომივიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეათე ტომი. იგი მალე მომივა. წინასწარ გითვლით გულწრფელ მადლობას, ამ ენციკლოპედიაში ჩემზე მნიშვნელოვანი სტატია რომ გამოაქვეყნეთ.

ამასობაში, ალბათ, მოგივიდათ ჩემი 24 სექტემბრის გამოგზავნილი ბარათი, რომლითაც დავიღასტურეთ ნოდარ ღუმბაძის წიგნი (3 ცალის) მიღება.

მოგიკითხათ იოლანდა მარშევმა და რუთ ნოიკომმა. მიიღეთ ჩემგან საუკეთესო სურვილები და გულითადი საღამი“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართეულოში ლეა ფლურის, იოლანდა მარშევისა და რუთ ნოიკომის წერილები ხშირად მოდის, ისინი დანეტერესებულნი არიან საქართეულოს მეცნიერული და ლიტერატურული ცხოვრებით. ქართული მეცნიერები და მწერლები მათ უგზავნიან საჭირო ლიტერატურას. ჩვენი მეცნიერები

და მწერლები მათ მოღვაწეობას თვალყურს აღეჩენებდნენ: აკაკი შანიძე, ისიდორე გვარჯალაძე, ივანე იმნაიშვილი, ქსენია სიხარულიძე, ივანე ქავთარაძე, არსოლდ ჩიქობავა და ბევრი სხე. აღნიშნული მეცნიერები თავიანთი ნაშრომებში მაღლიერების გრძნობით მოიხსენიებენ მათ კეთილშობილ საქმიანობას ქართული ლიტერატურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში საზღვარგარეთ.

ქართულ პრესაში მათი მოღვაწეობის შესახებ წერილები გამოაქვეყნეს: იმეგრელიძემ, ნ.კაკაბაძემ, ა.გელრუანმა, რ.თურნაევამ, რ.ჯაფარიძემ.

გამეტ „სამშობლოს“ 1974 წლის დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა პროფ. იმეგრელიძის სტატია – „ქართლი ენის მოამბე შეიქცარიელ ქალები“, რომელშიც ავტორი გადმოსცემს თავის მოგონებებს, 1968 წელს საქართველოში მათი ვიზიტის გამო. იგი წერს: „საქართველოზე შეყვარებულ ამ ქალებს ჩვენი ქვეყანა არ ენახათ. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავეზე, საიუბილეო კომისიის მოწვევით, ისინი საქართველოში ჩამოვრდნენ და 1968 წლის ოქტომბერ-ნოემბრის სამი კვირა აქ გაატარეს. მათი იხილეს საოცნებო ქვეყანა და მისი ხალხი. გაეცნენ ჩვენს უნივერსიტეტს და მის კაბინეტებს, ბრძანდებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოგ ინსტიტუტში, მწერალთა კავშირში, სკოლებსა და პიონერთა სასახლეში, თეატრებსა და კლუბებში, მუზეუმებსა და პანთეონებში, გამოვიდნენ ტელევიზიითა და რადიოთი. თბილისის გარდა, მათ ნახეს რაიონული ქალაქები, სოფლები, უშუალოდ შეხვდნენ მშრომელებს.

...თბილისის ოპერის თეატრში 22 ოქტომბერს ეუსმინეთ უნივერსიტეტის ზეიმისადმი მიძღვნილ კონცერტს. ქართული მუსიკით, ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით აღტაცებული ციურისხელი სტუმრები გვეუბნებიან: სიხარულით ეას ეეწიეთ, ესოდენ ლამაზი მდიდრული, მომხიბვლელი ხელოვნება იშვიათად თუ გვინახავს. მართალი ბრძანდებოდა ჩვენი სულიერი მამა – ბატონი კიკა, როცა იცოდა ხოლმე: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“...

გავეხუმრეთ: თუ ეგრე მოგწონთ ყოველივე ქართული, თბილისში ბევრს მოსწონხართ, მისთხოვლით აქაურებს!..

– ვერა, ვერა, – გვიპასუხეს ეროხმად, – გათხოვების დრო სად გეაქვს, ქმარს მოელა უნდა, ჩვენ კი ყოველ დღე 15-16 საათს ვმუშაობთ ბატონ კიკას დატოვებულ საქმეზე.

სტუმრები დასაუღლეთ საქართველოში ბრძანდებოდნენ. დაბრუნების შემდეგ, იოლანდამ გვითხრა: ყმაწვილები შეგვიხვდნენ, იმერულად უქცეიდნენ, მეც რომ წავეუიმერულე, მითხრეს: ჩვენებური ლაპარაკი საიდან იცით!

შევიცარიელი ქართველოლოგების მოღვაწეობით დაინტერესდა ქართველი პროფესორი ქსენია სიხარულიძე, რომელმაც იმოგზაურა შევიცარიამი, გაეცნო მათ მოღვაწეობას და დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა სამშობლოში. ეურნალ „საქართველოს ქალის“ 1967 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა მისი სტატია – „შევიცარიელი ქართველოლოგები“, რომელშიც ავტორი გადმოსცემს თავის მოსაზრებას შევიცარიელ ქართველოლოგებზე. ავტორი წერს: „ჩემი სიყრმის ოცნება იყო, მეხილა ევროპის ოთხი ქვეყნის შუა მდებარე, სილამაზით განთქმული ქვეყანა – შევიცარია. ...ჩვენ გვინდოდა, გვენახა ციურისში მოღვაწე შევიცარიელი ქართველოლოგი ქალები. ზოგი რამ უკვე ვიცოდით მათ დიდ საქმიანობაზე. ვიცოდით, რომ ციურისში არის გამომცემლობა, რომელიც უძველესი ქართული თქმულების ეპიური გმირის – ამირანის სახელს ატარებს. ვიცოდით; რომ გამომცემლობა „ამირანს“ კარგი წიგნი აქვს გამოშვებული, რომ აქ დაიბეჭდა ქართული ენის ორგომიანი სახელმძღვანელო გერმანულ ენაზე და თერთმეტი ნაკვეთი ქართულ-გერმანული ლექსიკონისა. ვიცოდით ისიც, რომ ამ ლექსიკონის გამოცემის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – ქალბატონი იოლანდა მარშევია. არც ის იყო უცნობი ჩემთვის, რომ გამომცემლობა „ამირანს“ ქალბატონი ლეა ფლური ხელმძღვანელობს. მე თბილისში ენახე ლოქტორის – ქალბატონ რუთ ნოიკომის მონაწილეობით, ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვისრამიანი“... ჩემი მოგზაურობა შევიცარიამი ქართველოლოგ ქალთა მშობლიური ქალაქიდან დაიწყო. 1966 წლის 30 სექტემბერს, დილით, ციურისში ჩაეფურინდით... გამაოცა და დიდად აღმაფრთოვანა შევიცარიელი ქალების ტკბილმა ქართულმა, მათმა დახვეწილმა მეტყველებამ ჩემს დედაენაზე. მე მათ ვთხოვე, ეამზნათ თავიანთ საქმიანობაზე ქართველოლოგიის დარგში. სიამოვნებით დამთანხმდნენ, ოღონდ ისინი საკუთარ თავზე როდი ლაპარაკობდნენ. იოლანდა მარშევმა დაახასიათა ლეა ფლურის მეტად დამაბული მუშაობა, ლეა ფლურმა კი – იოლანდა მარშევისა. ორივენი კი მაცნობდნენ რუთ ნოიკომის ღვაწლსა და ამაგს ქართველოლოგიის სფეროში. გამახარა ცნობამ, რომ „ამირანს“ დაგეგმილი აქვს ქართული წიგნების კვლავ თარგმნა და გამოცემა.

ქალბატონმა ლეა ფლურმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პროფესორ იოლანდა მარშევის დიდ მონაწილეობას ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემაში. ამ ლექსიკონის გამოცემას, მეშვიდე ნაკვეთიდან დაწყებული, უხელმძღვანელა ქალბატონმა იოლანდა მარშევმა. ქალბატონ ი.მარშევის ღვაწლი ქართველოლოგიაში იმითაც არის დიდი, რომ იგი ციურისის უნივერსიტეტში ასწავლის ქართულ ენას... მუდამ მემახსოვრება შევიცარიელ ქალთა ტკბილქართული, მათი კეთილშობილური ღიმილი, საოცრად ან-

მე ვუპასუხე: ჩემი მასწავლებელი იმერელი კაცი გახლდათ.

– შეძლეგ მითხრეს, – დასძინა იოლანდამ, – როგორიაო შეეცადარიული ენა. მე აუეხსენი შეეცადარიული ენის თავისებურებები.

ჩვენ რუსთაუელის პროსპექტზე ვსივრნობდით, სტუმრებთან ერთად. თითქოს, დაბარებულელები იყენენო, შეეხვდით აჭარულსა და მეგრულ ქალებს. დაესხდით პირველი სამუქლო სკოლის ბაღში, ილიასა და აკაკი ძეგლთან. საუბარი წარიმართა ქართულსა და გერმანულ ენებზე. ამ უკანასკნელს საქმოდ გამართულად ლაპარაკობდა მეგრული ქალიყ. სტუმრებმა ქართველი ქალები გააოცეს საქართველოს ყოველი კუთხის, აკაკისა და ილიას ლექსების ცოდნით.

1968 წლის 31 ნოემბერს შეეცადარიული სტუმრები ჩვენი აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში მობრძანდნენ, გაიმართა გულთბილი საუბარი. სტუმრები საღილად რესტორან „ისინდის“ ერთერთ კაბინეტში გვეყადა. ინსტიტუტის კოლექტივში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ ოჯახში. ლეამ წარმოთქვა ნ.ბარათაშვილის „მერანი“, რუთმა – რაფიულ ერისთავის „სამშობლო ხეყსურისა“. რუთი განსაკუთრებული გრძნობით წარმოთქვამდა ლექსში ხუთგზის განმეორებულ სტრიქონებს: „არ გაყეული მე ჩემს სამშობლოს სხვა ქეყნის სამოთხეზედა“, იოლანდამ განმარტა: ამ რეფრენს ბატონი კიტა ჩვენკელი აგრე გამოყოფით, ნელა, ხამგასმით წარმოთქვამდა, როგორც ეს ლეამ თქვაო. მანკე დასძინა: ბატონი კიტა აკაკის სტროფსაც საგულდაგულოდ და ხმოვად იმეორებდა:

„ჩემი ხატია სამშობლო,

სახატე – მთელი ქვეყანა.

და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,

არ შემიძლია მეც, განა?!”

თვითონ იოლანდამ ამავე სუფრასთან ჩააბულბულა აკაკის ლექსი „სულიკო“ და „ჩემო ციცინათელა“.

11 ნოემბერს აეროდრომზე ვართ მასპინძლები და ჩვენი სტუმრები. თვითმფრინავთან გამოთხოვება დაიწყო: ლეა ფლურმა წარმოთქვა „ეფესისტყოსნიდან“ მთელი სტროფი: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“, რუთ ნოიკომმა დაუმატა: „იყო არაბეთს როსტყევან“... და სხვ. იოლანდამ აღგვითქვა: ჩვენ გავაძლიერებთ ქართულის სწავლებას შეეცადარიაში, მობრძანდით, ყოველი ქართველის მასპინძელი ვიქნებით. ჩვენ ვიცით, სად რამდენი ქართველი ცხოვრობს – სპარსეთის ფერეიდანში, ძველ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ვიცით, ვინ არიან და როგორ ცხოვრობენ ჭანები (ლაზქები), ვიცნობთ ბევრ ქართველს ევროპაში, ვეცლებით, ყველას, ზოგს პირადად და ზოგს პრესით ვაუწყით ჩვენი აღფრთოვანება საქართველოთი და ქართველი ხალხით“.

თებული თეალები, რომელშიც ჩემი სამშობლო ქვეყნის სიყვარული ამოვიკითხე... შევიცარიელ ქართველოლოგ ქალებს ჯერ არ უნახავთ საქართველო და მაინც უყვართ იგი.

მე მსურს, აქ, ჩემს სამშობლოში, ვიხილო ისინი, ვინც შორეულ შევიცარიებაში ესოდენ ღიდ აძავს ღებენ ჩვენს ღეღვენას, ჩვენს ღიდ მწერლობას, ჩვენს უმღიდრეს კულტურას“.

აღსრულდა პროფ. ქსიხარულიძის ოცნება: სამივე ქართველოლოგი 1968 წელს ჩამოვიდა თბილისში და მონაწილეობა მიღლო უნივერსიტეტის იუბილეში. ამის შესახებ ცნობილი ენათმეცნიერი და მთარგმნელი მისილ მამულაშვილი 1969 წლის „წიგნის სამყაროს“ 28 მაისის ნომერში წერს: „ქართველი ხალხის მეგობარი შევიცარიელი ქართველოლოგი ქალები, ამასწინათ, თბილისის უნივერსიტეტის იუბილეზე საქართველოში იყვნენ მოწვეულნი, ჩვენს ქვეყანაში მთელ თვეს ღარჩნენ და რადიოთი თუ ტელევიზიით, უნივერსიტეტის კათედრებიდან თუ, უბრალოდ, მეგობრულ თავყრილობაზე ჭეშმარიტად აკვირებდნენ ყველას თავიანთი შესანიშნავი, გამართული ქართულით. ისინი კვლავაც განაგრძობენ კეთილშობილ საქმიანობას – ქართული კულტურისათვის უანგარო სამსახურს ორივე ერის საკეთილდღეოდ და ხალხთა შორის მშეიდობის გასამტკიცებლად“.

ციურიხში იყო, აგრეთვე, პუშკინის სახელობის პეღაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ეთერ არჯევანიძე, რომელმაც ინახულა სამივე შევიცარიელი ქართველოლოგი. ჰქონდა მათთან საუბარი ქართველოლოგიის რიგ საკითხებზე, მაღალი შეფასება მისცა მათ მოღვაწეობას. მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე წერილი გამოქვეყნდა ინსტიტუტის გაზეთის – „საბჭოთა პეღაგოგის“ ფურცლებზე.

თბილისის უნივერსიტეტის გაზეთის 1967 წლის 24 ივნისის ნომერში დაიბეჭდა გ.ნინოშვილის სტატია – „შევიცარიელი ქართველოლოგები შოთა რუსთაველზე“, რომელშიც ავტორი მსჯელობს შევიცარიებაში მოღვაწე ქართველოლოგების მოღვაწეობაზე და აძლევს მათ მაღალ შეფასებას.

თავის წერილში – „ქანღარაზე ეშმაკი მის“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე, რევამ ჯაფარიძე, სხვათა შორის, მოიხსენიებს შევიცარიელი ქართველოლოგების მოღვაწეობას და წერს: „ღღეს საქართველოში ბევრმა დაინტერესებულმა პირმა იცის, რომ ღიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომ წლებში, ენევის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა ერთი ჩენი თანამეგობრულე, მშობელი ერისა და მშობლიური მეცნიერებისათვის თავღაღებული პროფესორი – კიტა ჩხენკელი. მეცნიერის შარავანღეღით მოსიღი სახელი ღღემღე ცოცხლად მემოგვინახეს მისმა ერთგულმა მოწაფეებმა, შევიცარიელმა ქართველოლოგებმა, ქართუ

ლი ენისა და მწერლობის ჩინებულად მცოდნე იოლანტა მარშეუ-
მა, რუთ ნაიკომმა და ლეა ფლურმა“.

უნდა შეენიშნოთ, რომ დაშეკებულია უზუსტობა: ბაგონი – პროფ.
კიგა ჩხენკელი ენევის უნივერსიტეტში არ მოღვაწეობდა, ეს უნი-
ვერსიტეტი წარმოგვიდგენს ფრანგულენოვან სამყაროს, კიგა კი
მოღვაწეობდა ციურიხის უნივერსიტეტში, რომელიც გერმანულე-
ნოვან სამყაროს წარმოგვიდგენს. გარდა ამისა, დამახინჯებულია
ქალბატონ მარშევის სახელი, წერია „იოლანტა“, უნდა იყოს – იო-
ლანდა, აგრეთვე, რუთის გვარი, წერია „ნაიკომი“, უნდა იყოს ნო-
იკომი. წერილის ავტორს ამის შესახებ ჩვენ ვესაუბრეთ და შენიშ-
ვნისათვის მადლობა გადაგიხდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეიძლება ქართველოლოგიის
ფუძემდებელი – პროფ. კიგა ჩხენკელი და მისი მოწაფეები – რუთ
ნოიკომი, ლეა ფლური და იოლანდა მარშევი იმსახურებენ ქართ-
ველი ხალხის ჯეროვან ყურადღებას, მათ დიდი ღვაწლი მიუძღ-
ვით ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმე-
ში საზღვარგარეთ. გადაეწყვიტეთ, ცალკე ნაშრომის გამოქვეყნე-
ბა მათ მოღვაწეობაზე. მიუპართეთ თხოვნით, გამომიგზავნონ მა-
სალები.

1988 წლის დეკემბერში მივიღეთ პასუხი ქალბატონ ლეა ფლუ-
რისაგან. აი, რას გვწერს: „მოგვიყიდა თქვენი 5 სექტემბრით და-
თარიღებული წერილი. ძალიან ვწუხვარ, დავიგვიანეთ პასუხი, ჩვენ-
ზე არაა დამოკიდებული მიზეზების გამო. დღეს, თქვენი თხოვნა-
სამებრ, თანდართულად გიგზავნით:

1. სტატიას კიგა ჩხენკელზე, მის მოღვაწეობაზე ფოტოსურათით,
2. კიგას ქართულ-გერმანული ლექსიკონის ბოლოსიტყვაობას,
3. სტატიას ჩვენი მუშაობის შესახებ, რომელიც, თავის ღრმე,
გამოაქვეყნა შეიძარიულმა გაზეთმა – „დი ველტოხეი“,
4. „ბერიხტ ლერ მიტარბაიტერ“-ს.

ამ სტატიებში კიგას პიროვნებისა და მუშაობის აღწერა ისე
მთლიანად არის მოცემული, რომ ჩვენი ცალ-ცალკე მოგონებები
ახალს ვერაფერს დაუმატებს. რაც შეეხება ვიქტორ ნობაძის დახ-
მარებას. ეს არის აღნიშნული წერილში „ბერიხტ ლერ არბაიტერი-
სა“ და ლექსიკონის ბოლოსიტყვაობაში.

დიდ და გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ნელი ანდრონი-
კაშვილის წიგნის – „რობერტ სტივენსონის ქართველოლოგიური
ძიებანი“ გამოგზავნისათვის. მივიღეთ სამი ცალი ცალ-ცალკე მიმ-
ღენით.

ესარგებლობ შემთხვევით და მოგილოცავთ შობა-ახალ წელს.
დაესწარიტ მრავალს ჯანმრთელად და ბედნიერად. მოკითხე, აგ-
რეთვე, იოლანდა მარშევისა და რუთ ნოიკომისაგან“.

მემოთ აღნიშნული მასალები მიღებულია ჩვენს მიერ. ყურად-

ღებისათვის უღრმეს მაღლობას მოუახსენებთ ქალბატონ ლეა ფლურსა და მის ორივე კოლეგას. ჩვენ უკვე შევუღეთ მუშაობას და მომავალი გეიჩეენებს, როგორ შევასრულებთ დასახულ ამოცანას.

უდავოა, რომ შეეცადიელ ქართველოლოგებს აქეთ დიდი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე. ქართველი ხალხი, მისი მეცნიერები და მწერლები მაღალ შეფასებას აძლევენ შეეცადიელ ქართველოლოგებს. მათი მოღვაწეობა ხელს შეუწყობს ქართველი და შეეცადიელი ხალხების კულტურულ, ლიტერატურულ და მეცნიერული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას..

ragaca

Resume

Dans ce livre intitule "Les amis de la culture georgienne a l etranger", professeur Sergo Tournava consequemment considere les problemes litterairee georgiano-etangers du vingtieme siecle.

L'auteur y etudie les travaux des amis de la culture georgienno: Mimmo Morina, Rosemarie Kieffer, Georeges Bouillon, Andre Glaude, Goldie Scar-Blankoff, Jean Blankoff, Lea Flury, Iolanda Marchev, Kita Tachenkell, et Ruth Neukomm pubies dans la presse a l'etranger.

Leurs merite est grand dans le domaine de la popularisation de la langue et des lettres georgiennes.

Le travail reflete un grand interet manifeste par les representants de differentes cultures envers les.

Letters et culture georgienne.

შინაარსი

წინასიტყვაობა – გრიგოლ აბაშიძე	4
1. მიმო მორინა	6
2. როგმარი კიჟერი.	44
3. ჟორჟ ბუიონი.	77
4. შვეიცარიელი ქართველოლოგები.	130
5. Resume.	151